ყოველკვირეული
ალია

„პატრულის თანამშრომლები თავს გავიდნენ! შეგიძლიათ, მათი სამსახურიდან გაშვება მოითხოვოთ!“



24

N13/741/ 28 მარტი, 3 აპრილი 2016 წ ფასი 2 ლარი

ყოველკვირეული ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## „ამათ რომ ჰგონიათ, ვანო ციხეში ზის, რა, ვერ დადის ხოშიანად ციხიდან გარეთ, კაჭრეთში, მაგარ მწვადებზე? ეს სირები, ესენი!“

რას ამბობს სასჯელაღსრულების სამინისტრო მერაბიშვილის „კაჭრეთულ გასეირნებებზე“?



8

## 23-24 მარტს, ღამის საათებში, თბილისი განგსტერების ქალაქად იქცა. ქალაქის სხვადასხვა უბნებიდან, ერთდროულად, ძალიან ბევრი ახალგაზრდა აჰყავდათ

„არ მინდა ისეთი საქართველო, სადაც პოლიცია კი არ მიცავს, მცემს და ჩემზე ძალადობს“





27

## „ახლა მთელი საზოგადოება 31 მარტის მოლოდინშია და ყველა იმ შიშით ცხოვრობს, რა ჩანაწერებს გამოაქვეყნებენ“

„რას ვიზამთ, ბიძინას უყვარს პოლიტიკური ბოზები, რაც უკვე ბევრჯერ დადასტურდა“





12

## „დაანონსებული სკანდალური კადრები აუცილებლად გავრცელდება“

„ირაკლი ღარიბაშვილი შეიძლება დიდი პრობლემების წინაშე აღმოჩნდეს!“



10

## თამაზ მეჭიაური:

„აქვს თუ არა უფლება ამომრჩეველს, იცოდეს, პოლიტიკოსი ვინ არის, რა ორიენტაცია და რა მრწამსი აქვს? არ უნდა იცოდეს, ვინ არის მისი რჩეული და ვის უხდის ქვეყნის მართვაში ფულს?!“

„ვის სჭირდება გვარამიასთან ერთად ჰაერის სუნთქვა, ვის ამადლის თავს, ეს ბაღლინჯო, პრესტიჟული საკნის პარაშასთან რომ არ ზის, მისი ფილმების მთავარ გმირთან, ყავარჯნიანთან, იმიტომ გაბლატავდა...“



25

## მარი გრიგოლია: „ეღადავე შენი ოჯახის წევრებს, შე ქათამო! უტაქტო! უნამუსო! თავხედო!“

დავით ლორთქიფანიძე:

„ყველა გაიგებს, რატომ აქვს ინგას შვილს აგრესია და საიდან მოდის ეს ყველაფერი!“



21

## „ჩემი საქმე უშუალოდ ირაკლი ღარიბაშვილმა ჩაფარცხა! რადგან ესენი არაფერს აკეთებენ, მე თავად ვიძიებ შურს!“



16

## ნიკა რურუა: „ამ მთავრობის დანაშაული ისაა, რომ პირდაპირ სამ ასოზე არ გაგზავნა“



23

## მამუკა ახვლედიანი:

„მე ვთქვი, რა ხდებოდა 2012 წელს, ყველაფერს მოვყვები-მეთქი და აგერ, გიყვებით“



21

# რატომ ეშინია „ოცნებას“ „მასტერასი“?

14

## სოხუმში რუსი ოკუპანტების მდგომარეობა კრიტიკულია — მასობრივი მოწამვლა ოკუპირებულ აფხაზეთში



53 რუსი ჯარისკაცი, რომლებიც ოკუპირებულ აფხაზეთში მსახურობენ, მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან. ოკუპანტები სოხუმში დისლოცირების ბაზაზე მოიწამლნენ. წინასწარი ინფორმაციით, ოკუპანტების მასობრივი ინტოქსიკაცია სამხედრო ნივთიერების სხეულში მოხვედრამ გამოიწვია.

როგორც ირკვევა, ის სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებიან, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი ვერტმფრენით მოსკოვში გადაიყვანეს. (ნიუპოსტი)

## ონლაინსესხების წინააღმდეგ ინტერნეტში ახალი პოსტერი გამოჩნდა




ონლაინსესხების წინააღმდეგ კამპანიის ფარგლებში, ინტერნეტში ახალი პოსტერი გამოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ ონლაინსესხების აკრძალვის მოთხოვნით, სოციალურ ქსელში რამდენიმე გვერდიც არის შექმნილი. გარდა ამისა, 24 მარტს, „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციამ“ ონლაინსაკრედიტო ორგანიზაციებისთვის რეგულაციების დაწესების მოთხოვნით კამპანიის დაწყების შესახებ განაცხადა.

ასოციაციის პოზიციით, ორგანიზაციების საქმიანობის შინაარსი, ფორმები და მასშტაბები, შესაძლოა, სოციალური აფეთქების წინაპირობა გახდეს.

ამ თემაზე ჟურნალისტებმა ეკონომიკის მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილსაც დაუსვეს შეკითხვა. ის ფიქრობს, რომ ონლაინსესხების მიმართულებით, რეგულაციები უნდა არსებობდეს.

დიმიტრი ქუმსიშვილის ინფორმაციით, ამ მიმართულებით, ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს და საზოგადოება რეგულაციებს უახლოეს მომავალში იხილავს. (pia.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03



## როგორ აღშფოთებულა ზვიად კვაჭანტირაძე... უარესებიც უქნიათ „ნაცებს“, მაგრამ ფეხებიც ვერავინ მოსჭამათ!!!





საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ზვიად კვაჭანტირაძე „რუსთავი 2“-ის ეთერში საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მხარდაჭერა-არდაჭერის საკითხზე „ევროპის სახალხო პარტიის“ პრეზიდენტის განცხადებას ეხმაურება და პირობას დებს, რომ ქვას ქვაზე არ დატოვებს, მაგრამ შეასრულებს თუ არა პირობას?

გამოგიტყდებით და ეჭვი გვეპარება, რადგან „ქართული ოცნების“ შეუსრულებელი დაპირებები იმდენია, თვლასა და ჩამოთვლას მთელი გაზეთი არ ეყოფა!..

აი, რას ამბობს ზვიად კვაჭანტირაძე (პრინციპში, ნამდვილად მართალს ლაპარაკობს, მაგრამ შედეგი არ ექნება გულზე მჯიღების ამ ბრახაბრუხს, თორემ კი ბატონო – წერე და იკითხე):

„ყველა მინდა დაგაწყნაროთ. ეს კაცი, ჟოზეფ დოლი, არაფერს არ წყვეტს ევროპარლამენტში, იგი წევრიც კი არაა და მისი სახელიც კი არ ახსოვთ საფრანგეთში. ეს „ნაცმოსა“ და სააკაშვილის მორიგი პიარული სვლაა ხალხის, ამომრჩევლის დაშანტაჟების მიზნით და თუნდაც ამისთვის, ამ აფიორისთვის მკაცრად მოგთხოვთ პასუხს და არ გაპატიებთ!

ჟოზეფ დოლს კი პირდაპირ შეკითხვას ვუგზავნი მეილზე, რამდენი შემოგწირათ სააკაშვილმა ამ შანტაჟში თქვენი ჩართულობისთვის? იქნებ, თქვენზეც აქვთ ოდესღაც რამე კომპრომატები ჩაწერილი და დღეს თავად ხართ შანტაჟის მსხვერპლი?

ვინც არ იცის, რა მოხდა „რ2“-ის ეთერში:

„ნაცმოძრაობამ“ გადაწყვიტა, ყველა ბინძური ფორმა და ტექნოლოგია გამოიყენოს საკუთარი მიზნების მისაღწევად და „რ2“-ის ეთერში ევროპის სახალხო პარტიის საპ. თავმჯდომარეს გააკეთებინეს(!) ყოვლად უპასუხისმგებლო, შანტაჟის შემცველი განცხადება, რაც ჩვენი მხრიდან ადეკვატური, მაგრამ უმკაცრესი რეაგირების გარეშე არ დარჩება.

ევროპარლამენტარები, მათ შორის სახალხო პარტიიდან, არ მიჯერებენ, რომ ასეთი განცხადება გაკეთდა საქართველოში და ამბობენ, რომ ეს სრული გაუგებრობაა.

არავის, არასდროს, არც ერთ ეტაპზე ვიზალიბერალიზაციის საკითხის გადაწყვეტა ოქტომბრის არჩევნებთან არ დაუკავშირებია. ახლა, როგორც ჩანს, „ნაცმოძრაობა“ იყენებს კიდევ ახალ იარაღს იმისთვის, რომ ჩაშალოს ეს პროცესი და ზიანი მიაყენოს ხელისუფლებასა და საკუთარ ხალხს. არ გამოგივათ!

თუ ასე გააგრძელეთ, ერთი წუთითაც ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ უმკაცრესი რეაგირება თქვენს მორიგ მოღალატეობრივ მზაკვრობაზე და პირდაპირ ანტიქართულ საქციელზე ექნება სწორედ ამავე ქვეყნის ხალხს და ამომრჩეველს, რომლის ხელისუფლებაში დაბრუნებასაც ასე შანტაჟითა და დაშინებით ცდილობთ.

მაინც, ასე ბრიყვულად როგორ მოიქეცით? არც კი გიფიქრიათ, რომ ეს საქციელი შეიძლება ზუსტად თქვენვე შემოგიტრიალდეთ უკან?

არ გამოგივათ და არც გაპატიებთ...“

**აჰა, გამოდის, თავად ზვიად კვაჭანტირაძე კი არ იზამს რამეს და კი არ ექნება რეალური გაგრძელება ამ მაიმუნობას, არამედ ისევ ხალხს გადმოგვაბარა ყველაფერი — არჩევნებზე „ნაცებს“ პასუხს ამომრჩეველი გაგცემთო...**

**ჰმ! „ოცნებას“ ხომ რას ამბობთ, ჩამოგირიგებთ ჩვენს ხმებს — გოგლიმოგლი არ გინდათ უზმოზე?!.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რომელ ბაღში რომელი მაღალჩინოსნის ახლობელი იყო დასაქმებული

ბაგა-ბაღების განთავისუფლებული დირექტორების პროტესტი გრძელდება. განთავისუფლებული პედაგოგები პოლიტიკურ სარჩულზე საუბრობენ, რასაც არ ეთანხმება უგულავას მერობის პერიოდში სამსახურიდან განთავისუფლებული 90-ე საბავშვო ბაღის დირექტორი ნანი ჯანელიძე, რომელიც იმ დღეებს იხსენებს, როცა ერთდროულად 207 პედაგოგი დარჩა სამსახურის გარეშე და ისიც აღნიშნა, რომ არავის მოუკითხავს ისინი და არ გარკვეულა რეალურ სიტუაციაში.

– როგორ მოხდა მასიურად დირექტორების განთავისუფლება, რომ მახსენდება, ახლაც კი ვერ ვიკავებ თავს, იმხელა ნერვიულობა მაქვს გადატანილი. 1994 წელს დავინიშნე 90-ე საბავშვო ბაღის დირექტორად, მანამდე ვმუშაობდი სკოლაში მასწავლებლად. სკოლაში 17 წელი ვიმუშავე, ვარ დამსახურებული პედაგოგი. აქტიური მუშაობის გამო, 1994 წელს გადამიყვანეს 90-ე ბაღის დირექტორად. ჩემი შეთავაზებით მუსიკის პედაგოგად მოვიდა ლელა გოგორიშვილი, ამასობაში შვებულების დროც დადგა და სწორედ შვებულებაში მყოფნი გაგვათავისუფლეს თანამდებობიდან. არც კონკურსში მიმაღებინეს მონაწილეობა, რადგან იმ წელს შემისრულდა 60 წელი. კონკურსზე მუსიკის მასწავლებელი გოგორიშვილი წავიდა, მე ამ დროს უკვე დირექტორის მოადგილედ ვიყავი გადაყვანილი. დახმარებაც კი შევთავაზე. მერე ჩატარდა კონკურსი, არ ვიცი, გაიარა, არ გაიარა, მაგრამ ერთ დღესაც დირექტორად



მოგვევლინა. შემოსვლის წუთებიდან ჩემდამი საშინელი აგრესია გამოავლინა, გაუშვა სამსახურიდან ყველა პროფესიონალი და მოიყვანა თავისი კადრები. მე ხმამაღლა ვაცხადებ, რომ მას მხოლოდ ათწლედი აქვს დამთავრებული და თუ დიპლომი აქვს, ის ყალბია. არ მეშინია ამ სიტყვების და საქმე ისაა, რომ ყველა ახალი კადრი თავისნაირი მოიყვანა.

ოქტომბერში ჩაატარა თათბირი, მეც ვესწრებოდი და იქ მითხრა, რომ უნდა დამეტოვებინა ეს თანამდებობაც და ისიც მითხრა, – ზემოდან მითხრეს და შენ „ნაციონალური მოძრაობა“ არ გადაგიხდის ხელფასს და სხვა პარტიის ხალხმა გიხადოსო. ახლა, როგორც იქნა, აღდგა სამართალი და 2 დღეა, რაც 91-ე ბაგა-ბაღის დირექტორად დავინიშნე. დღემდე 39-ე ბაღში დირექტორის მოადგილე ვიყავი. ახალ ბაღში დაძაბული სიტუაცია დამხვდა, მაგრამ მოვეფერე, დაველაპარაკე და მდგომარეობა გავანეიტრალე. აი, ეს იყო პოლიტიკური სარჩული და არა ის, დღეს რომ ამბობენ...

რომელ ბაღში რომელი მაღალჩინოსნის ახლობელი იყო დასაქმებული:

90-ე ბაღი ლელა გოგორიშვილი – ხათუნა გოგორიშვილის და.

91-ე ბაღი ლალი ნაფეტვარიძე – დიდუბის რაიონის „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარის ლევან ტალახაძის დედა.

მე-19 ბაღი ირმა გიორგაძე – მერიის საგანგებო სიტუაციათა მართვის სამსახურის ყოფილი უფროსის და.

მე-6 ბაღი – თამარ ბაქრაძე, დავით ბაქრაძის ბიძაშვილი.

85-ე ბაღი – ინგა გუგავაუდესიანი – გია უდესიანის და.

36-ე ბაღი – ელზა უდესიანი – გია უდესიანის და.

155-ე ბაგა-ბაღი ნაირა ბახია – თბილისის ყოფილი ვიცემერის გიორგი მელაძის ნათესავი.

მე-2 ბაღი ანა გეგია – იმერეთის ყოფილი გუბერნატორის ლაშა მაქაცარიას კლასელი, რომელიც მასთან სტაჟიორად მუშაობდა.

153-ე ბაღი ლია გასიტაშვილი – დავით კირკიტაძის ნათესავი.

23-ე ბაღში დირექტორის მოადგილე მაია ბობოხიძე – აკაკი ბობოხიძის და.

მე-6 ბაღის დირექტორის თამუნა ბაქრაძის ქმარი არის დათო კიზირია, მიხეილ სააკაშვილის მრჩეველი უკრაინაში. (postalioni.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „იფქლის“ წარმოებულ პურში მომხმარებელმა ბუზი აღმოაჩინა — რას აცხადებენ კომპანიაში

პურ-ფუნთუშეულის მწარმოებელ კომპანია „იფქლი 1“-ის პროდუქტში ერთ-ერთმა მომხმარებელმა მწერი აღმოაჩინა. ფაქტის ამსახველი ფოტო მან „კვირას“ მიაწოდა. როგორც მომხმარებელი აცხადებს, პური რამდენიმე დღის წინ გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ მარკეტში შეიძინა.

– პური შევიძინე ერთ-ერთ მარკეტში, გაბრიელ სალოსის ქუჩაზე. შეფუთული იყო. სახლში მოვიტანე და რომ გავხსენი, თავიდანვე ვერ შევნიშნე – პურთან ერთად საკმაოდ დიდი ზომის ბუზი იყო გამომცხვარი. კოშმარია, რასაც გვაჭმევენ. აღარასოდეს ვიყიდი „იფქლის“ პურს. მე მათ აღნიშნული ფოტო „ფეისბუკზეც“ გავუგზავნე, მაგრამ არ დრომდე პასუხი არ გაუციათ, როგორ მოხვდა ბუზი პურში, – აცხადებს მომხმარებელი.

„კვირა“ „იფქლი 1“-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელს – თეონას დაუკავშირდა, რომელმაც გვარი საიდუმლოდ დატოვა და აღნიშნა, რომ არ სურს მისი პირადი ინფორმაცია გასცეს. მან კითხვის მოსმენის შემდეგ ტელეფონს აღარ უპასუხა.

მოგვიანებით, კომპანია „იფქლი 1“-ის ერთ-ერთ მფლობელთან, დავით ვასაძესთან დაკავშირება მოხერხდა. როგორც ვასაძე აღნიშნავს, მის საწარმოში ყველა სანიტარიული ნორმა დაცულია და არ იცის, საიდან მოხვდა მწერი პროდუქტში.

კომპანიის ხელმძღვანელი არ გამორიცხავს, რომ მის პროდუქტში ბუზი კონკურენტი საწარმოს წარმომადგენლებმა მოათავსეს, თუმცა პირობას დებს, რომ მათ პროდუქტში მწერი აღარასოდეს მოხვდება.

– დედას ვფიცავარ, ჩემს პურში მწერი არასდროს აღარ მოხვდება. წესით და კანონით, ფქვილი იცრება და დიდი ზომის მწერი ჩემს პროდუქტში ვერანაირად მოხვდებოდა, თუმცა გამორიცხული არაფერია. მზარეული რომ დგას ქუდით, საკვებში თმა მაინც შეიძლება ჩაუვარდეს. ჩვენს პროდუქტში არ უნდა იყოს უცხო სხეულები, მაგრამ დავუშვათ ერთი პროცენტით, რომ მოხვდა მწერი. სუპერმარკეტში ბევრი კონკურენტი გვყავს და არ გამოვრიცხავ,




რომ ძალით ჩაგვიდეს.

იქნებ ინტრიგანმა მომხმარებელმა ჩადო ჩემს პურში მწერი?! ინტერესი დიდია. ბევრს არ სიამოვნებს, რომ ყველაზე წარმატებული საწარმო ჩვენ გვაქვს, – განაცხადა დავით ვასაძემ.

საწარმოს ხელმძღვანელი აცხადებს, რომ, თუ მას, როგორც მომხმარებელს, თავად ექნებოდა ასეთი შემთხვევა რომელიმე საწარმოსთან, მის დაკეტვას ეცდებოდა.

– მე არ ვიყიდდი ასეთ პურს და ვეცდებოდი, საწარმო დამეკეტა. რა ვქნა, აღმოჩნდა ჩემს პურში და დავკეტო საწარმო? რა გავაკეთო? ციხეში ჩავჯდე? შეიძლება ახალი პური გავუგზავნო ჩვენს უკმაყოფილო მომხმარებელს – ხომ ჭამე ბუზიანი და ახლა აღარაა ბუზიანი-მეთქი. დედას ვფიცავარ, ჩემს პურში ბუზი აღარ მოხვდება, – განაცხადა დავით ვასაძემ.

მისივე თქმით, საწარმო სურსათის უვნებლობის სამსახურის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს და სანიტარიული ნორმების დარღვევის არანაირი ფაქტი არ დაფიქსირებულა. (kvira.ge)

## შავმა ზღვამ აჭარისა და აფხაზეთის სანაპიროებზე 50 დელფინი გამორიყა



შავი ზღვის სანაპიროზე დელფინების გამორიყვის ფაქტები დაფიქსირდა. გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, განმუხური-სარფის მონაკვეთზე 50 ძუძუმწოვარი გამოირიყა.

სააგენტოს სპეციალისტები კვლევას აწარმოებენ. უწყება მოსახლეობას სიფრთხილისკენ მოუწოდებს და სთხოვს, გამორიყულ დელფინებს არ შეეხოს.

მეთევზეობისა და შავი ზღვის მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელის განცხადებით, სარფი-განმუხურის მასშტაბით – 19, ხოლო აფხაზეთის სანაპიროზე 20-ზე მეტი ფაქტი დაფიქსირდა. (პირველი რადიო)

## დარჩელიდან გატაცებული 18 წლის გოგონა ზუგდიდში, მიტოვებულ სახლში ნაწამები იპოვეს




სოფელ დარჩელიდან გატაცებული 18 წლის გოგონა ზუგდიდში, მიტოვებულ სახლში ნაწამები იპოვეს.

როგორც გოგონას ახლობლები აცხადებენ, ის ამ დროისთვის ქუთაისში ერთ-ერთ კლინიკაშია მოთავსებული, სადაც მკურნალობის კურსს გადის.

– 18 წლისაა, გაიტაცა ვიღაცა კაცმა, რომელიც ადრე ნასამართლევი იყო. სამი დღე ვეძებდით და ზუგდიდში მიტოვებულ სახლში ვიპოვეთ ყურმოჭრილი და ნაწამები. ახლა ქუთაისის საავადმყოფოშია მოთავსებული და იქ გადის მკურნალობის კურსს. პირი, რომელმაც გოგონა გაიტაცა, ამ დრომდე დაკავებული არ არის, – აცხადებენ გოგონას ახლობლები.

ამასთანავე, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განმარტავენ, საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თავისუფლების უკანონო აღკვეთას გულისხმობს. (accent.com.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## აი, ამის მერეც გაბედავენ და იტყვიან „ნაცები“, რომ ქვეყანაზე ზრუნავენ!!!




საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მხარდაჭერა დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სამართლიანად ჩაივლის საპარლამენტო არჩევნები – ეს განცხადება ევროპარლამენტის ყველაზე მსხვილი პარტიის „ევროპის სახალხო პარტიის“ (EPP) პრეზიდენტმა „რუსთავი 2“-თან ინტერვიუში გააკეთა. მანვე მიანიშნა, რომ არჩევნებს ლეგიტიმაციის პრობლემა არ უნდა შეექმნას. დაულმა ხაზი გაუსვა საარჩევნო რეფორმის აუცილებლობას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში დემოკრატიული და თანასწორუფლებიანი არჩევნების ჩატარება.

ჯოზეფ დაული მიმდინარე თვეში საქართველოში ვიზიტად ჩამოდის. EPP-ის პრეზიდენტმა დაგეგმილ შეხვედრებზეც ისაუბრა, მათ შორის ევროკავშირის წარმომადგენლობასთან, დიპლომატიურ კორპუსთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესთან, სამოქალაქო სექტორთან, ახალგაზრდებთან და „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებთან და პოლიტიკურ პარტიებთან.

– ბოლო შეხვედრები მექნება მთავრობის წევრებთან და წამოვჭრი ისეთ საკითხებს, როგორიცაა მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ საქართველოში არსებული პოლიტიკური და გეოპოლიტიკური სიტუაცია, რეფორმების პროცესი, საარჩევნო გარემო, ვიზალიბერალიზაცია, მედიის დამოუკიდებლობა, შერჩევითი სამართალი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, – განაცხადა „ევროპის სახალხო პარტიის“ პრეზიდენტმა. (ნიუპოსტი)

**აი, ასეთი „დემოკრატიის შუქურის“ მასპინძლობისთვის 1 თეთრიც კი არ უნდა დაიხარჯოს ბიუჯეტიდან და საერთოდაც, ქვეყანაში შემოსვლის უფლებასაც არ უნდა ვაძლევდეთ „ნაცების“ ფულებით ჯიბეგავსებულებს, მაგრამ რისი მაქნისია „ოცნება“?!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვლადიმერ პუტინმა ჯონ კერის ჩემოდნის ტარების გამო დასცინა




ჟენევაში სირიის სამშვიდობო მოლაპარაკებების მორიგი რაუნდის მიმდინარეობის პარალელურად, სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი ხუთშაბათს მოსკოვში, პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის მთავარ მხარდამჭერთან, ვლადიმერ პუტინთან მოლაპარაკებების გასამართად იმყოფებოდა. მოლაპარაკებების თემა სირიელებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებს შეეხებოდა და შემდეგ თემებს მოიცავდა: ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების არეალის გაფართოება; მტრობის შეწყვეტის შენარჩუნება; პოლიტიკური ტრანზიციის განხორციელება. მაგრამ თითქმის 4-საათიანი მოლაპარაკებების დაწყებამდე რუსეთის პრეზიდენტმა კრემლში კერისთან ერთად ტელეკამერების წინ გამოჩენისას უცნაური არასერიოზულობა გამოიჩინა: როგორც პუტინმა კერის უთხრა, ის „იმედგაცრუებული და გულნატკენი“ იყო იმის ხილვით, რომ ასეთი მაღალი რანგის ოფიციალურ პირს თვითმფრინავიდან თავისი ჩანთა თავადვე მოჰქონდა.

– ერთი მხრივ, ეს ქცევის საკმაოდ დემოკრატიული ნორმაა, მაგრამ, მეორე მხრივ, გავიფიქრე, რომ შესაძლოა, შეერთებულ შტატებში არც ისეთი სახარბიელო მდგომარეობაა და არავინ არაა, ვინც დაეხმარებოდა სახელმწიფო მდივანს მისი ჩანთის ტარებაში. შესაძლოა, თქვენ რაღაც ფული ჩამოიტანეთ იმისთვის, რომ მთავარ საკითხებზე მოვრიგდეთ, – მიმართა პუტინმა კერის.

პუტინის იუმორს კერიმ ასე უპასუხა: „როდესაც განვცალკევდებით, გაჩვენებთ, რა მიდევს ჩემოდანში და ვფიქრობ, თქვენ გაკვირვებული დარჩებით – სასიამოვნოდ გაკვირვებული... (guardian.ge)

## „ისე სძულთ ადამიანებს ლამაზი ქალები, ყველაზე დიდ განსაცდელზე – შვილზე ღმერთის სახელით პარაზიტირებენ“

ტელეკომპანია „რუსთავის 2“-ის გენერალური დირექტორი მსახიობ შორენა ბეგაშვილის ქალიშვილის ფანჯრიდან გადმოვარდნის ფაქტს სოციალურ ქსელში ეხმაურება.

– ისე სძულთ ადამიანებს წარმატებული და ლამაზი ქალები, მათ ყველაზე დიდ განსაცდელზე – შვილის ჯანმრთელობის პრობლემაზე – პარაზიტირებენ, თან ღმერთის სახელით. ფსიქოლოგიას დიდი ხანია გასცდნენ. ფსიქიატრიის სფეროა, – წერს შორენა ბეგაშვილზე ნიკა გვარამია.



რაც შეეხება შორენა ბეგაშვილის ქალიშვილ ევა ბარბაქაძეს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

იაშვილის კლინიკის პრესსამსახურის განმარტებით, მრავლობითი მოტეხილობებისა და მათ შორის, ხერხემლის მალების დაზიანების გამო, პაციენტი სედაციის, ანუ ზედაპირული ძილის ქვეშ იმყოფება.

– პაციენტი ტრავმატოლოგებისა და ნეიროქირურგების მეთვალყურეობის ქვეშაა. ის რეანიმაციულ განყოფილებაშია, მაგრამ მართვით სუნთქვაზე არ იმყოფება. ევა ბარბაქაძე გონზე იყო, მაგრამ მას მრავლობითი დაზიანებები აღენიშნება, მათ შორის ხერხემლის მალები აქვს დაზიანებული, ამიტომ ის სედაციის ქვეშ არის, – აცხადებენ იაშვილის კლინიკაში.

შორენა ბეგაშვილის ქალიშვილი, ევა ბარბაქაძე მე-5 სართულიდან გადმოვარდა. (pia.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საბერძნეთში ემიგრანტები ცეცხლის გასაჩაღებლად ხატებს იყენებენ



კალავრიტელი მიტროპოლიტი ამბროსი საბერძნეთში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით საგანგებო მიმართვით გამოდის:

– ყოველდღიურად უფრო მეტად ნათელი ხდება, რომ „ემიგრანტები“, „ლტოლვილები“ და „არალეგალები“ არიან საბერძნეთის დამპყრობლები! თავის მხრივ, პოლიტიკური სისტემა მათ იღებს, იცავს, ქმნის ხელსაყრელ პირობებს! არავინ არაფერზე წუხს!

მმართველი პარტიის ერთ-ერთმა მინისტრმა აშკარა სისულელე თქვა:

– მიგრანტების მეშვეობით საბერძნეთში გადაწყდება დემოგრაფიული პრობლემა!!!

როგორც ვხედავთ, მთავრობა იცავს ჩვენი ქვეყნის დამპყრობლებს!

ისინი ტაძრებიდან და სამლოცველოებიდან ხსნიან ხატებს და კოცონში დებენ, რათა გათბნენ!

მიტროპოლიტ სერაფიმეს, პირეის პორტში, მოსთხოვეს მართლმადიდებლური ჯვრის მოხსნა!

ქალაქ კავალაში არალეგალმა მუსლიმანმა მიგრანტებმა სკოლის კედლიდან მოხსნეს ღვთისმშობლის ხატი და მოითხოვეს, რომ არ დაერეკათ საეკლესიო ზარები!

ევკარპიაში, თესალონიკის რაიონში, მუსლიმანები არიგებდნენ შემდეგი შინაარსის ბროშურებს ბერძნულად: „ბერძნებო, ირწმუნეთ წინასწარმეტყველ მუჰამედის სიტყვა, რათა გადარჩეთ. ომი მოვიდა თქვენს ქვეყანაში. ურწმუნოთა სისხლის მდინარეები დადგება. ხელმოწერა: ალაჰის მეომრები“.

საბერძნეთის სახელმწიფო არხზე უკვე გაუშვეს საინფორმაციო გამოშვება არაბულ ენაზე!

გამოიღვიძეთ ლეთარგიული ძილისგან! შეხედეთ, რა ხდება გარშემო! საბერძნეთი იღუპება! ჩვენ ნელ-ნელა ვკვდებით. იღუპება მართლმადიდებლობა და ბერძნული იდენტობა! ნუთუ გინდათ, რომ ბრძოლის გარეშე დანებდეთ? დაფიქრდით! (zneoba.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ძალიან ბევრი ცოდვა მაქვს ჩადენილი და ალბათ, მე არ უნდა ვიყო საჯარო სივრცეში“

– ძალიან ბევრი ცოდვა მაქვს ჩადენილი და თუ ამ ცოდვების მიხედვით გადაწყდება ჩემი საჯარო სივრცეში ყოფნა, ალბათ, მე არ უნდა ვიყო საჯარო სივრცეში, – ეს განცხადება გედევან ფოფხაძემ თამაზ მეჭიაურის გამოსვლის კომენტირებისას გააკეთა, სადაც უმრავლესობის წევრი იმ პოლიტიკოსებს, რომლებზეც მაკომპრომეტირებელი ვიდეოჩანაწერები არსებობს, თანამდებობის დატოვებას ურჩევდა.

– იმის გარკვევა დავიწყოთ, ვისზე არსებობს ვიდეომასალა და ვინ უნდა დატოვოს თანამდებობა, არ ვეთანხმები. ტერორისტები მიზნად სწორედ მაგას ისახავენ, ასეთი რაღაც ტერორისტს არ უნდა ჩაუვარდეს ხელში და მან არ უნდა დაიწყოს საზოგადოების დაშანტაჟება. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანი ვარ, ძალიან ბევრი ცოდვა მაქვს ჩადენილი და თუ ამ ცოდვების მიხედვით გადაწყდება ჩემი საჯარო სივრცეში ყოფნა, ალბათ, მე არ უნდა ვიყო საჯარო სივრცეში, – განაცხადა გედევან ფოფხაძემ. (პირველი რადიო)

## არ ვიცი, ეს განცხადება ჯოზეფ დაულის ოდესიდან დაუწერეს თუ თბილისიდან – ვიქტორ დოლიძე

„თავისუფალი დემოკრატების“ წევრი, დეპუტატი ვიქტორ დოლიძე ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტის ჯოზეფ დაულის განცხადებას „ცუდს“ უწოდებს და იმედს გამოთქვამს, რომ მის მოსაზრებას ვიზალიბერალიზაციის საკითხის შესაძლო გადაწევის შესახებ, მის პარტიაში ყველა არ ეთანხმება.

– ეს იყო ცუდი განცხადება. ჩემი აზრით, ეს არის რუსული ინტერესი, რომ დღეს საქართველომ არ მიიღოს ვიზალიბერალიზაციის პროგრამა. ეს ვიწრო პარტიული ინტერესების თემა არ არის, ეს არის თემა სახელმწიფოებრიობის მნიშვნელობის, – აცხადებს ვიქტორ დოლიძე და ჯოზეფ დაულის განცხადებას, რომ არჩევნების ჩატარებაზე იქნება დამოკიდებული საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის საკითხი, კატეგორიულად არ ეთანხმება.

– მე არ ვიცი, ეს განცხადება მას ოდესიდან დაუწერეს თუ თბილისიდან, მაგრამ ის აშკარად კითხულობდა ამ განცხადებას და მე ვფიქრობ, მან უნდა აგვიხსნას, რასთან გვაქვს საქმე. არანაირი კავშირი არჩევნებთან ვიზალიბერალიზაციას არ აქვს, – განაცხადა ვიქტორ დოლიძემ. (news.coa.ge)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK





## „რას ტრიპაჩობთ ამ თქვენი სექსებით, დაოკდით“ — პაპუაშვილი პრეზიდენტს



საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ზაზა პაპუაშვილი ჟურნალისტებისა და პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ იმ განცხადებებს ეხმაურება, რომელიც პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალების გავრცელებას ეხებოდა.

განცხადება პაპუაშვილმა ტელეკომპანია „იბერიის“ ეთერში გააკეთა. დეპუტატის თქმით, ის, რაც ტელეეთერებიდან ხდება, უზრდელობაა.

– რა სექსუალური აღტკინება დაემართა ამ ხალხს, კაცო?! ტელევიზორიდან რა ისმის, რეებს ლაპარაკობენ?! რა განცხადებებია – მე მაქვს სექსი, სექსის მხეცები და სექსის გიგანტები. რეები ისმის ამ ტელევიზიიდან?! დაოკდით, რა! რეებს ლაპარაკობთ?! ეს ყველას ეხება, პრეზიდენტს ეხება, ჟურნალისტს ეხება, მოქალაქეს ეხება. რა არის თქვენი ლეიბების და პროსტინების გარეთ გადმოფენა?! რაღაცის ხომ უნდა მოგერიდოთ, კაცო, რეები ისმის ტელევიზორიდან?! ასე არ ლაპარაკობდა არც ჟანეტა არჩვაძე, არც დონარა კინწურაშვილი, არც ლია მიქაძე, – განაცხადა ზაზა პაპუაშვილმა. **(pia.ge)**

## რაც ამ თემაზე „ალიას“ უწერია... მოახლოვდა არჩევნები და მხოლოდ ახლა გაახსენდათ



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, გია ჟორჟოლიანი ონლაინსესხების წინააღმდეგია და მის მაქსიმალურად შეზღუდვის აუცილებლობაზე ამახვილებს ყურადღებას.

– მაქსიმალურად შეზღუდვა რომ არის საჭირო, ფაქტია. ონლაინსესხების წინააღმდეგი ვარ, რადგანაც ძალიან დიდ სირთულეებს ქმნის. დეტალურად არ ვიცი, როგორ უნდა გაკეთდეს, ალბათ, საკანონმდებლო რეგულაციებიც საჭიროა. თუ პარლამენტში მსჯელობა გაიმართება, ამ პოზიციით მსჯელობაში ჩავერთვები, – აცხადებს გია ჟორჟოლიანი. **(pia.ge)**

## ნოდარ კაპანაძე: ფარმაცევტის ოცნება არის ბევრი ქრონიკული ავადმყოფი, ბევრი წამალი რომ შეიძინოს

ტელეკომპანია „ობიექტივის“ გადაცემაში „გაზეთ „ბანკები და ფინანსების“ საათი“ ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ნოდარ კაპანაძე ჯანდაცვის სფეროში არსებულ საკანონმდებლო რეალობას შეეხო და აღნიშნა, რომ საკანონმდებლო რეალობა და ზე-ქვე პუნქტები მისთვის ნაკლებად საინტერესოა:

– ფარმაცევტის ოცნება არის ბევრი ქრონიკული ავადმყოფი, რომ მათ შეიძინონ ბევრი წამალი. სადაზღვევო კომპანიის, დამზღვევის ოცნება არის ბევრი ჯანმრთელი ადამიანი, რომ გადაიხადონ სადაზღვევო შენატანი და არ გახდნენ ავად. ახლა ამიხსნას ვინმემ, ეს ორი „ცხოველი“ ერთ თავლაში როგორ აბია?! ყველაზე უფრო საინტერესო ამ შემთხვევაში ის არის, რომ იყო საუბარი ანტიმონოპოლიურ სამსახურზე და შეიქმნა კიდეც კონკურენციის სააგენტო, მაგრამ ეს სამსახური უნდა იყოს ძალიან მაღალი კლასის მათემატიკოსებით, ეკონომისტებითა და ფინანსისტებით დაკომპლექტებული, რომლებიც შეისწავლიან ფასწარმოქმნას. სხვა შემთხვევაში, საუბრები, რომ საქართველოში მედიკამენტები უსამართლოდ ძვირია, ან უსამართლოდ იაფი და ასე შემდეგ, მხოლოდ სუბიექტურ განცდებს ეფუძნება.

რეალურად კი რა ხდება – კონკურენციის სააგენტომ უარი თქვა ფარმაცევტული სექტორის შესწავლაზე და ეს უარი აიხსნა იმით, რომ თითქოს საამისო მიზეზები არ არსებობს. მე კი მგონია, რომ სააგენტოს, უბრალოდ, არ ძალუძს ამის გაკეთება. რატომ არ ძალუძს? მაშინ რას მიკეთებს კონკურენციის სააგენტო, ანტიმონოპოლიური სამსახური, თუ ამას ვერ აკეთებს. ჯერ ერთი, სამომხმარებლო ბაზარზე 30%-ზე მეტი თუ არის ერთი მოთამაშის ხვედრითი წილი, ეს არის ძალიან მაღალი რისკი და მონოპოლიური ფასების გამომწვევი ფაქტორი. თუ მხოლოდ რამდენიმე მოთამაშეა, მაშინ ძალიან დიდი რისკია კარტელური გარიგებების. ფასწარმოქმნის შესწავლა სულაც არ არის წარმოუდგენელი სირთულის ამოცანა, ამას საშუალო დონის სტატისტიკოსიც ძალიან კარგად შეძლებს, – აცხადებს კაპანაძე.

# მობილური ტერმინალი თიბისი ბანკისგან




• მობილურ ტერმინალს აქვს ონლაინ რეპორტინგის სისტემა. კომპანიას საშუალება აქვს, ვებ-პორტალის მეშვეობით შექმნას ტრანზაქციების ისტორია, აწარმოოს გაყიდვების სტატისტიკა, ამოიღოს ამონაწერი და სხვა.

• მობილური ბარათის წამკითხველები კომპანიებს თიბისი ბანკისგან უფასოდ გადაეცემათ.

მომავალში თიბისი ბანკი მობილურ ტერმინალს რამდენიმე ახალ ფუნქციასაც შემატებს.

თიბისი ბიზნესის მხარდაჭერით, მერჩანტები (მეწარმეები) დღეიდან გადახდის ყველაზე სწრაფი, ინოვაციური და კომფორტული სისტემით ისარგებლებენ.

**მობილური ტერმინალი** მცირე ზომის, თანამედროვე ფუნქციონალის მქონე მოწყობილობაა, რომლის საშუალებითაც გადახდა ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერი ტიპის პლასტიკური ბარათით, მათ შორის უკონტაქტო ბარათითაც მარტივადაა შესაძლებელი.

მობილური ტერმინალი ციფრულ ტექნოლოგიებზე მომუშავე ინოვაციური პროდუქტია, რომელიც განკუთვნილია ფართო ბიზნესსეგმენტისთვის: კაფე-ბარებისთვის, სილამაზის სალონებისთვის, მარკეტებისთვის, სავაჭრო ცენტრებში არსებული ობიექტებისთვის, ტაქსის მძღოლებისთვის, საკურიერო მომსახურებისთვის, ავტოსამრეცხაოებისთვის, გარე მოვაჭრე ჯიხურებისთვის და სხვა ნებისმიერი ტიპის ბიზნესისთვის.

**პროდუქტის უპირატესობებია:**

• გადახდა უფრო სწრაფია, ვიდრე ტრადიციული პოსტერმინალების გამოყენებისას. ქვითრის მიღება შესაძლებელია მოკლე ტექსტური შეტყობინების ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

• მოწყობილობა არის პატარა ზომის და მისი ტარება ან განთავსება უფრო მარტივი და მოსახერხებელია.

ინოვაციური გადახდის სერვისი თიბისი ბანკმა სტრატეგიულ პარტნიორთან, საგადამხდელო სისტემა „**Visa International**“-ის მხარდაჭერით დანერგა.

თიბისი ბანკი გადახდის ტექნოლოგიურ ინოვაციას საერთაშორისო კომპანია **GoS-wiff**-თან ერთად ახორციელებს.

## „მაესტროს“ საქმეზე ღლონტი ივანიშვილის, ჩხარტიშვილისა და ხუხაშვილის დაკითხვას ითხოვს



ბიძინა ივანიშვილის, ივანე ჩხარტიშვილისა და გია ხუხაშვილის დაკითხვა მოითხოვა.

მამუკა ღლონტის განცხადებით, ნასყიდობის ხელშეკრულებასთან კავშირი აქვთ როგორც ბიძინა ივანიშვილს, ასევე ივანე ჩხარტიშვილსა და გია ხუხაშვილს.

– დასახელდნენ ბიძინა ივანიშვილი, ვისგანაც წამოვიდა წინადადება, რომ შეისყიდდა გია გაჩეჩილაძის წილს, ვინაიდან გია გაჩეჩილაძე და მისი ძმა ლევან გაჩეჩილაძე, ბიძინა ივანიშვილის წარმოდგენაში ხელს უშლიდნენ მას. შემდეგ, ორი მოწმე, ეს არის გია ხუხაშვილი, რომელიც ესწრებოდა ამ საუბარს და ბატონი ვანო ჩხარტიშვილი, რომელიც 2 წლის წინათ ჩემთან შეხვედრაზე იყო მოსული და ასეთი წინადადება წარმომიდგინა, რომ გია გაჩეჩილაძე, რომელიც არ აბრუნებდა წილს წინარე ხელშეკრულების შესაბამისად, მისგან იყო შემოთავაზება, რომ გამოართმევდა ამ წილს გია გაჩეჩილაძეს. ჩემს კითხვაზე, დამიბრუნებდა თუ არა ამ წილს, მან პასუხი ვერ მომცა, შესაბამისად, საუბარი შეწყდა.

შესაბამისად, მე არ ვიცი უშუალოდ ბიძინა ივანიშვილმა გადაუხადა თანხა, ვანო ჩხარტიშვილმა გადაუხადა თანხა თუ ვინ გადაუხადა, მე ვიცი, რომ ეს იყო ივანიშვილის წინადადება, – აცხადებს მამუკა ღლონტი. (ნიუპოსტი)

„მაესტროს“ წილების განხილვა სასამართლოში 8 აპრილს განახლდება. მოპასუხე მხარემ მტკიცებულებები წარადგინა და მოსარჩელეს ყველა საჭირო დოკუმენტაცია გადასცა.

პროცესზე განცხადება მამუკა ღლონტის ადვოკატმა გააკეთა და

## „ელადავე შენი ოჯახის წევრებს, შე ქათამო!!!“ — ვის მიმართავს ინგა გრიგოლიას ქალიშვილი

საზოგადოების დიდი აღშფოთება გამოიწვია „ქართული ოცნების“ დეპუტატ დავით ლორთქიფანიძის რეპლიკამ, რომლითაც მან ინგა გრიგოლიას პირდაპირი ჩართვის დროს მიმართა.

– მოგესალმებით, შეყვარებულო ქალბატონო ინგა! – უთხრა დეპუტატმა ჟურნალისტს, რაზეც საპასუხოდ გრიგოლიამ განაცხადა, რომ არ ჰგონია, ამ თემაზე ხელისუფლების ან უმრავლესობის წარმომადგენლებს სახუმაროდ ჰქონდეთ საქმე.

ფაქტს გამოეხმაურა „ფეისბუკზე“ ინგა გრიგოლიას ქალიშვილი მარიამ



გრიგოლია და დეპუტატს შემდეგი სიტყვებით მიმართა:

– ელადავე შენი ოჯახის წევრებს, შე ქათამო! უტაქტო! უნამუსო! თავხედო! და თუ ამბობ, ნუ ჩმორდები მერე და ბოლომდე იკაცე, შე ქალო... – წერს მარიამი. (etanews.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ალექსიძის ქუჩის მცხოვრებლებმა ნარმანიას ფიტულის დაწვა სცადეს



ალექსიძის ქუჩის მაცხოვრებლები მაღალსართულიანი კორპუსების მშენებლობას აპროტესტებენ.

მათ აქციაზე თბილისის მერის დავით ნარმანიას ფიტული მიიტანეს და დაწვეს.

მოსახლეობა ამბობს, რომ გიგანტური მშენებლობა სარეკრეაციო ზონის გაქრობას გამოიწვევს.

ალექსიძის ქუჩის მცხოვრებლები თბილისის მერს და ხელისუფლებას ადანაშაულებენ.

– ასე თუ გაგრძელდა, რამდენიმე წელიწადში ყველა დაავადდება. დავით ნარმანია რამე ექსპერიმენტს ატარებს თუ რა ხდება, არ ვიცით, – განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ. (ნიუპოსტი)

**ალექსიძის ქუჩაზეა „ალიას“ რედაქციაც და აქვე ცხოვრობს თავად დავით ნარმანიაც, რომელიც ყოველდღე ხედავს, რომ უზარმაზარი კორპუსების მშენებლობის გამო აქაურობა ერთ დიდ უშნო ბეტონის ტყედ გადაიქცა. თუმცა ესთეტიკაზე ვინ საუბრობს, მართლაც ისეთი სიტუაციაა, სულ მალე სუნთქვაც შეუძლებელი გახდება.**

## აშშ-ის სპეციალურმა ძალებმა ISIS-ის №2 ლიდერი აბდელრაჰმან ალ-ქადული მოკლეს



გავრცელებული ინფორმაციით, აშშ-ის სპეციალური ძალების მიერ სირიაში განხორციელებული რეიდის დროს ე.წ „ისლამური სახელმწიფოს“ №2 ლიდერი აბდელრაჰმან ალ-ქადული მოკლეს, რომელიც, ასევე, ცნობილია, როგორც ჰაჯი იმანი.

აბდელრაჰმან ალ-ქადულის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისთვის აშშ-ის ხელისუფლებას ჯილდოდ 7 მილიონი დოლარი ჰქონდა დაწესებული. ქადული ერაყში დაბადებული, თუმცა ეთნიკურად თურქმენი იყო. ის ჯერ ერაყის „ალ-ქაიდას“ წევრი გახდა, რომელიც **ISIS**-ის წინამორბედად ითვლება, 2012 წლიდან კი ე.წ „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ლიდერი გახდა. (ნიუპოსტი)

## სს საქართველოს რკინიგზის შვილობილ კომპანია „ტრანს კავკასუს ტერმინალსსა“ და კომპანია LAM-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა





ს/ს „საქართველოს რკინიგზის“ შვილობილმა კომპანიამ „ტრანს კავკასუს ტერმინალსმა“ და **LAM** კომპანიათა ჯგუფმა განზრახვათა შესახებ მემორანდუმს ხელი მოაწერეს. მემორანდუმის თანახმად, კომპანიები სატრანსპორტო სფეროში თანამშრომლობით, ხელს შეუწყობენ საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალის მსოფლიო სავაჭრო გზებთან დაკავშირებას. ასევე, ერთობლივად შეიმუშავებენ საზღვაო კავშირს საქართველოს, თურქეთსა და შესაბამის ევროპულ ბაზრებთან.

– ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ „ტრანს კავკასუს ტერმინალსი“ „ტრანს კასპიური კონსორციუმის“ წევრი გახდა. კონსორციუმი ჩინეთიდან საქართველოში საკონტეინერო გადაზიდვებს უზრუნველყოფს, შემდგომში მათი სხვადასხვა მიმართულებით ტრანსპორტირების მიზნით. ჩვენი კომპანიის გარდა, კონსორციუმის წევრები არიან ჩინური, აზერბაიჯანული და ყაზახური კომპანიები. იმედი გვაქვს, რომ **LAM** ჯგუფი იქნება ერთ-ერთი კომპანია, რომლის მხარდაჭერითაც ჩვენ შავ ზღვაზე თურქეთისა და სხვა მიმართულებით საზღვაო მომსახურებას მივიღებთ, რომ შემდგომში სრულყოფილად უზრუნველვყოთ ჩინეთიდან წამოსული ტვირთის მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ტრანსპორტირება, – განაცხადა „ტრანს კავკასუს ტერმინალსის“ დირექტორმა **ლევან სულაბერიძემ**.

– ბოლო წლების განმავლობაში საქართველო სატრანსპორტო სფეროში მნიშვნელოვნად განვითარდა. ჩინეთი-საქართველოს აბრეშუმის გზა კი ამ მიმართულებით დამატებით შესაძლებლობებს აჩენს. **LAM** კომპანიათა ჯგუფი, როგორც გლობალური სატრანსპორტო კომპანია, „ტრანს კავკასუს ტერმინალსთან“ პარტნიორობით ამ შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას გეგმავს, რაც საქართველოს საშუალებას მისცემს, უფრო დიდი როლი ითამაშოს მსოფლიოს ტრანსპორტირების სფეროში. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ამ პროექტში ჩვენი წვლილი შეგვაქვს, – განაცხადა **LAM** კომპანიათა ჯგუფის დირექტორთა საბჭოს აღმასრულებელმა სელიმ მაკზუმემ.



შეგახსენებთ, რომ „ტრანს კავკასუს ტერმინალსის“ 100-პროცენტიანი წილის მფლობელია ს/ს „საქართველოს რკინიგზა“. რკინიგზის შვილობილი კომპანია 2009 წელს დაარსდა და მართავს და ავითარებს საკონტეინერო ტერმინალებს თბილისსა და ფოთში.

ხოლო **LAM** კომპანიათა ჯგუფი 70-წლიანი გამოცდილების კომპანიაა, რომელიც თავისი საერთაშორისო ქსელების მეშვეობით საზღვაო და ლოგისტიკურ მომსახურებას აერთიანებს.



# თაღლითთა ორგანიზებულ ჯგუფს მფარველი პარლამენტში ჰყავს

მაკა დეკანოსიძე
D 551 99-18-19



**სამართლიანი სასამართლოსთვის ბრძოლა, რომელიც ხელისუფლების შეცვლის დღიდან დაანონსდა, რეალურად ჯერ კიდევ უტოპიურად მოჩანს, რაზეც კონკრეტული განაჩენებიც კარგად მეტყველებს.**

**ერთ-ერთი ასეთი დაზარალებული იმ თაღლითურ სქემაზე საუბრობს, რომელიც წლების წინათ მოხდა. თუმცა თაღლითებმა, როგორც ჩანს, მაღალჩინოსნების დახმარებით დააღწიეს ციხეს თავი და როგორც დაზარალებული გიორგი ლომოური ამბობს, დღემდე მათ პარლამენტიდან მფარველობენ, რაც პროკურატურასა და სასამართლოზე განხორციელებულ ზეწოლაში გამოიხატება:**

– ჯერ კიდევ 2010 წელში ცნობილი ვარ სასამართლოს მიერ დაზარალებულად. იმ პერიოდში წარმოებდა სისხლის სამართლის საქმე, კონსტანტინე თოხაძისა და ზურაბ გვაზავას წინააღმდეგ. განსასჯელების მიმართ, სამივე ინსტანციის შედეგად დაიდო განაჩენი – კონსტანტინე თოხაძეს მიესაჯა 19 წელი, ზურაბ გვაზავას – 21 წელი, ბრალდებაში იყო სამი ეპიზოდი, მათ შორის იყო ჩემი ეპიზოდიც. დამტკიცდა, რომ ეს ადამიანები, უკანონოდ, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით დაეუფლნენ სხვის ქონებას და მათ შორის ჩემსას. ჩვენი ქონება იყო 3-ოთახიანი ბინა დოლიძის ქუჩაზე. რაც შეეხება, კონკრეტულად სქემას, რომლის მიხედვითაც მოქმედებდნენ – თითქოს ეს ადამიანები იყვნენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის თანამშრომლები, ასე გამეცნენ. მათთან მივედი თანხის სასესხებლად, კონტრაქტი უნდა დადებულიყო და იპოთეკით დატვირთულიყო მიკროსაფინანსო კომპანია „მარკლაინთან“, მაგრამ როცა ნოტარიუს თინათინ დევდარიანთან მივედით, ხდება ასეთი რამ – იქ განმიცხადეს, რომ კონკრეტულ ინდივიდთან, კონსტანტინე თოხაძესთან დაიდება ხელშეკრულება იპოთეკით, არანაირ „მარკლაინთან“. საბუთების მიხედვით, კონსტანტინე თოხაძე იყო ეროვნებით ებრაელის, ვინმე ფალიკ სოფიას მინდობილი პირი. თოხაძე იურიდიულად საბუთებში ყველგან იყო დაფიქსირებული, მასთან ერთად კი მოძრაობდა ზურაბ გვაზავა. ეს ორი იყო განუყრელი, ყველა ქმედებაში, იმ განსხვავებით, რომ კონსტანტინე თოხაძე ფიქსირდებოდა დოკუმენტაციაზე თავისი ხელმოწერით. 35 ათას დოლარზე დაიდო ხელშეკრულება მათთან. იქ, რა თქმა უნდა, გაიწერა, რა როგორ უნდა ყოფილიყო, სამი თვით დაიდო კონტრაქტი. სანამ მოვაწერდით ხელს თოხაძეს ასევე ვკითხე, რომ გადავადების შემთხვევაში რაიმე პრობლემა ხომ არ შემექმნებოდა. მივიღე პასუხი, რომ არანაირი პრობლემა არ იყო, თანხა იხადე შენ დროულად, რომ ჩაგდებები არ გქონდეს და არანაირ პრობლემას ჩვენ არ შეგიქმნითო. მას შემდეგ გავიდა ერთი თვე და ერთი თვის შემდეგ დაიწყო უკვე აგრესიული მოთხოვნები თანხის, პირველი სარგებელი იქვე დაიტოვეს, მეორე სარგებელი ანგარიშზე შევუტანე, რაც მქონდა მითითებული, ანგარიში იყო აბსოლუტურად განყენებული პიროვნების – ვინმე ელა დორფის სახელზე. როგორც მითხრეს, ებრაელები იყვნენ მთავარი დამფინანსებლები და მათი მოქალაქეები ამიტომ ფიგურირებდნენ, მესამე ებრაელსაც აფიგურირებდნენ, ვინმე მარკ ზლატაპორსკის. ხელშეკრულებაში, რომელიც აპოსტილით იყო დამოწმებული, ეწერა მისამართებიც, სანდოობისთვის, სადაც ამ ებრაელების საცხოვრებელი იყო მითითებული, მერე, ძიების დროს აღმოჩნდა, რომ არც ერთი მათგანი არ იძებნება.

სესხიდან მეორე თვეში დაიწყეს მოთხოვნა, რომ ყველაფერი რიგზე რომ იყოს და გაჩერდეს პროცესები, მოგვეცი 4000 დოლარი, რომელიც მე გადავუხადე, მაგრამ ამას წინ უძღოდა ასეთი ფაქტი – კონსტანტინე თოხაძის მხრიდან მირეკავს ქალბატონი, მისი წარმომადგენელი და ნდობით აღჭურვილი პირი, შანყულაშვილი თეა. როგორც შემდგომში გავარკვიე, ფალიკ სოფია აძლევს აპოსტილით დამოწმებულ ხელშეკრულებას თოხაძეს, სადაც მითითებულია, რომ გადანდობა მესამე პირზე თოხაძეს შეუძლია, ოღონდ ეს მესამე პირი აუცილებლად უნდა იყოს ადვოკატი. ასეთი პირობა დევს ხელშეკრულებაში. შემდეგ რომ ამოვწიეთ საჯარო რეესტრიდან მათი მინდობილობა, გავარკვიე და თეონა შანყულაშვილი არ აღმოჩნდა ადვოკატი და არც არასოდეს ყოფილა. თუმცა შემდეგში იგი ფიგურალურად უკვე ყველანაირ მანიპულაციას, ბინის წაღებისას თავად ახდენს. კონსტანტინე თოხაძეს კი ვაძლევ თანხას, რომელიც სიტყვიერად მიგრძელებს კონტრაქტს, ანუ პერიოდულად ეს თანხა შეადგენდა, 2000, 1500, 3000 დოლარს, ამ ყველაფერს უკვე ხელზე ვაძლევდით, მაგრამ კიდევ კარგი, მყავს მოწმეები, რომლებმაც უკვე მისცეს ჩვენება სისხლის სამართლის პროცესის მსვლელობისას და დაადასტურეს, რომ თანხის გადაცემის მომენტში თოხაძე აგრძელებდა კონტრაქტს. მათი თაღლითური სქემა იყო წინასწარ კარგად შემუშავებული და შენიღბული სამკუთხედის პრინციპი, როცა, ერთი მხრივ, მსხვერპლთან ნდობაში არიან შესული და თანხები მიაქვთ, ხოლო, მეორე მხრივ, მათივე გადანდობილი ფიგურები ახორციელებენ ქონების მიტაცებას, რაც შეეხება მთავარ ფიგურანტს ამ შემთხვევაში იზრაელის მოქალაქე ფალიკ სოფია საერთოდ არ არსებობს და გამოგონილი პერსონაა, ასევე მინდობილობაც, მის მიერ გაცემული და აპოსტილით დამოწმებული, დოკუმენტური სიყალბეა.



**— იმ პერიოდში არ შეგპარვიათ ეჭვი, რომ რაღაც რიგზე ვერ იყო?**

– არა, ვინაიდან თოხაძე ძალიან კარგად შემოვიდა კონტაქტში თავიდანვე, ვხვდებოდით პირზე კოცნით. ერთ დღეს მიბარებს თეონა შანყულაშვილი და მორიგების აქტზე მაწერინებს ხელს, რომ კონტრაქტის გასაგრძელებლად საჩვენებლად გვინდა ეს მორიგების აქტი და დანარჩენი ჩვეულებრივ რეჟიმში გააგრძელე გადახდაო, იყო მითითებული გარკვეული თარიღი, 15 ნოემბერი, სადამდეც უნდა გადამეხადა მთლიანი თანხა. თუმცა ამის პარალელურად ამ შანყულაშვილს ეს მორიგების აქტი მიაქვს კერძო არბიტრაჟში, სადაც იყო გიორგი ჟამუტაშვილი (ეს კიდევ ცალკე ფიგურაა და ცალკე რაღაცებია იქ მომხდარი) და სააღსრულებო ფურცელი უკვე გამოწერილია 20 ოქტომბრის რიცხვით, როდესაც გაგრძელებულია ხელშეკრულება 15 ნოემბრამდე, როცა კიდევ ვადა მაქვს გადახდის. ანუ ჩემს ჩუმად მიდის მანიპულაცია, ეს ჟამუტაშვილი ერთვება უკვე აქტიურად საქმეში, რომ ჩემი ბინა გადაფორმდეს ფალიკ სოფიაზე. 20 ოქტომბერს აღებული სააღსრულებო ფურცლით, 1-ელ თებერვალს გადააფორმეს ბინა. მე კიდევ სიტყვიერ ნიადაგზე, კიდევ დამატებით \$3000 3 თებერვალს და \$3000 10 თებერვალს მაქვს შეტანილი ანგარიშზე. ამ დროს არ ვიცი, რომ ბინა წაღებულია. უკვე 1-ელ მარტს მოდის უბნის რწმუნებული და მეუბნება, რომ ბინა უნდა დავცალო, რა თქმა უნდა, სახტად დავრჩი, რადგან ვიცი, რომ არანაირი პრობლემა არ მაქვს. უკვე 11 მარტს მოდის გვაზავა, მოჰყავს მუშები, ძაან დიდი ავეჯის მანქანა, შემოიჭრნენ ბინაში, მოიყვანეს პოლიცია, თეონა შანყულაშვილიც იქ იყო ამ დროს და გამოგვაგდეს ბინიდან, ოღონდ იმ ეტაპზე ვთხოვეთ, რომ ავეჯი დაგვეტოვებინა, რომელიც გარკვეული პერიოდის შემდეგ გარეთ გამოგვიყარეს.

ამის შემდეგ, უკვე ვცდილობთ სამართლებრივ ბრძოლას, მივაკითხეთ ერთი პოლიციის განყოფილებას, ძალიან ბევრ ადგილზე ვიყავით და საქმე წარმოებაშიც არ მიიღეს. თუმცა ერთ დღეს ვიგებთ, რომ ზურაბ გვაზავა და კონსტანტინე თოხაძე, აბსოლუტურად სულ სხვა საქმის გამო აიყვანეს. მოხდა ჩხრეკა მათ სახლში და ამოიღეს 87 000 დოლარამდე, მათ შორის საძინებლიდან, ქალის ჩექმიდან და ა.შ. მთავარმა პროკურატურამ უკვე ამის შემდეგ წამოწია ჩემი საქმე, დამირეკეს, მივედი და იმ ორ საქმესთან შედარებით, პროკურატურისთვის ლოკომოტივი აღმოჩნდა ჩემი საქმე.

**— ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების პერიოდზე საუბრობთ ხომ? და იგივე სქემა იყო სხვა შემთხვევაშიც?**

– დიახ, დიახ, 2010 წელზეა საუბარი, როცა საქმე აღიძრა. ისევ თაღლითობის ფაქტები იყო, თუმცა მათგან განსხვავებით მქონდა სრული კეთილსინდისიერი გადახდები, პლუს ბინა წაიღეს. დანარჩენს კი სამართლებრივად ჩემი ადვოკატი მოგიყვებათ.

**ლალი ტიკიშვილი, ადვოკატი:**

– მე მაშინ არ ვიყავი ადვოკატი, თუმცა რომ მოვიდეთ დღევანდელ სიტუაციამდე, აუცილებელია ვთქვათ, როგორ წარიმართა პროცესი, როდესაც საქმე აღიძრა, გვაზავამ და თოხაძემ გამოიყენეს დუმილის უფლება, ვერ დაასახელეს ვერც ფალიკ სოფია და ვერც ვერავინ, რადგან ის ხალხი, ფაქტობრივად, არ მოიძებნა. სისხლის სამართლის განაჩენი გამოუტანეს მხოლოდ გვაზავასა და თოხაძეს, რადგან ისინი იყვნენ ბრალდებული დანაშაულზე, რომ მათ მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისეს ლომაურის სახელზე არსებული ქონება და დამატებით \$6000, რაც ახდევინეს უკვე გადაფორმებული სახლის შემდეგ. ამას დაემატა სხვა შემთხვევებიც და ეს ადამიანები დააპატიმრეს. ლომოურის ოჯახმა, რა თქმა უნდა, მოითხოვა ბინისა და ამ თანხის დაბრუნება, გამოიწერა სააღსრულებო ფურცელი, \$6000-ზე დააკმაყოფილა სასამართლომ, მაგრამ ბინა ვერ დაუბრუნეს, რადგან უკვე რამდენიმეჯერ ჰქონდათ



გადაყიდული და უკვე სამართლებრივად კეთილსინდისიერი მფლობელი გამოდის, თუმცა დღემდე არავინ ცხოვრობს ამ სახლში და ისევ თავის ხალხია ჩართული გადაყიდვაში.

**— პროკურატურის მიერ ამოღებულ თანხას რა ბედი ეწია?**

– ესაა ყველაზე საოცარი შემთხვევა, როდესაც ამ თანხის დაბრუნებამ ასახვა არ ჰპოვა განაჩენში, თუმცა იცოდა პროკურატურამ, რომ დაზარალებული იყო ლომოური, პროკურატურიდან გიორგის დაურეკეს და უთხრეს, რომ თანხა ინახება პროკურატურაში სეიფში და არა რაიმე ანგარიშზე. რაც შეეხება პროკურატურის მიერ ამოღებულ თანხას, სასამართლოს ძალით დავაყადაღებინეთ გასულ წელს. ძალიან რთული პროცესი იყო, მაგრამ ყველაფერი რაღაც ეტაპამდე სამართლიანად მიდიოდა. დაყადაღება უკვე გავაკეთეთ იმ პერიოდში, როდესაც გავიგეთ, რომ ციხიდან გამოსული გვაზავა და თოხაძე ითხოვდნენ განცხადებით პროკურატურისგან თანხას, როგორც დაზარალებულები. აღსანიშნავია, რომ ეს ადამიანები პრეზიდენტმა სააკაშვილმა გამოუშვა შეწყალებით. მაგრამ პროკურატურა მოიქცა ძალიან კარგად, ლომოურს შეატყობინა, რომ ეს ადამიანები ითხოვდნენ თანხას და რაიმე მოემოქმედებინა. შევძელით ის, რომ დავაყადაღეთ...

შემდეგ შევიტანეთ სარჩელი ზარალის ანაზღაურების თაობაზე, ყველა მტკიცებულებით გამყარებული და ა.შ. პროცესი მიდიოდა ძალიან კარგად, თუმცა მოსამართლე ლია ავალიშვილმა თქვა, რომ კვლავ უნდა მოხდეს მოკვლევა, არადა მტკიცებულების სახით დევს სისხლის სამართლის განაჩენი, ასევე, თავად დააყადაღა ეს თანხა.

თავიდან კიდეც აღნიშნა მოსამართლემ, როდესაც შუამდგომლობა დავაყენე მოწმეთა დაკითხვის თაობაზე, რომ, რად მინდა შუამდგომლობა, როცა დევს განაჩენიო. მაგრამ მოულოდნელად მოხდა ისე, რომ ეს მოსამართლე საბოლოო განაჩენში აცხადებს, რომ თითქოს ლომაურმა ვერ დაასაბუთა ზიანი, იმ ფონზე, როდესაც განაჩენში წერია, რომ ეს ადამიანები თაღლითურად დაეუფლნენ ბინას და 6000 დოლარს. ანუ მოსამართლე, რომელიც რამდენიმეჯერ მოიქცა კანონის შესაბამისად, უკვე სხვანაირად საუბრობს, მოსამართლე ლია ავალიშვილმა მტკიცების ტვირთი დააკისრა დაზარალებულს და არა ბრალდებულებს, ამასთან უგულებელყო დამდგარი განაჩენი რაც ზეწოლის შედეგია. მე, როგორც იურისტი, ვერ ვისაუბრებ მოსაზრებებზე ფაქტების გარეშე, მაგრამ ლომაურს შეუძლია, თქვას, რა ამყარებს ზეწოლის ფაქტებზე ეჭვებს.

**გიორგი ლომოური:**

– დაზუსტებით ვიცი, რომ მაღალჩინოსნებისგანაა ზეწოლა. კერძოდ, პარლამენტიდანაა განხორციელებული ზარები, იმავე პროკურატურაში და ასევე, მოსამართლის განაჩენმაც ეს ნათლად დაგვანახა. ჩვენ ზუსტად ვიცით კონკრეტული გვარები, ჯერ კიდევ თავს ვიკავებ დასახელებისგან და ვერ გეტყვით. რადგან გასაჩივრებულია განაჩენი აპელაციაში, ცოტა ხანს კიდევ მოვიცდით. ასევე, დავადგინეთ ზარის ავტორი, რომელმაც პარლამენტიდან დარეკა პროკურატურაში და ითხოვდა თანხების გაცემას თოხაძე-გვაზავაზე. მათ მფარველობენ ისევ ის ადამიანები, რომელთა დახმარებითაც გამოვიდნენ ციხიდან. ასევე, მოვითხოვეთ სასამართლოსგან განმარტება, რის საფუძველზე განთავისუფლდნენ ეს ადამიანები ციხიდან. აღმოჩნდა, რომ დანარჩენ ორ შემთხვევაში დაზარალებულებზე არაერთხელ განხორციელდა ზეწოლა და ხელი მოუწერეს მათ. ჩვენზეც იყო ზეწოლა, მოგვიგზავნეს ხალხი. მაგრამ არ მოვაწერეთ მათ გამოსვლას ხელი. თუმცა სასჯელი მაინც შეუმსუბუქდათ. საკმაოდ დიდი თანხის სანაცვლოდ არიან გარეთ გამოსულები, შეწყალების კომისიის გავლით და ეს კიდევ ცალკე ძიების საკითხია, მაგრამ იმდენად უტიფრები არიან, ახლა სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლად ასაღებენ თავს და კიდევ თანხაზე აქვთ პრეტენზია. ამბობენ, რომ ეს არის მშობლების ფული, რასაც, რა თქმა უნდა, ვერ ადასტურებენ.

ახლა სააპელაციოში არის 31 მარტს პროცესი, მაქსიმალურად გვინდა ამ საქმით დაინტერესდეს, ასევე, არასამთავრობო სექტორი, სახალხო დამცველი, მხოლოდ ჩვენი საქმე არაა მთავარი, ძალიან დიდი ჯგუფია ჩართული მსგავს მაქინაციებში. დღემდე ეს ადამიანები, სავარაუდოდ, კვლავ აგრძელებენ უძრავი ქონების კუთხით მუშაობას და სერიოზული მფარველების გარეშე რომ ამას ვერ მოახერხებდნენ, ფაქტია. იმდენი გადანდობილი პირია, ახლა სხვა გვარებით მოახდენენ თაღლითობას. ძალიან დიდი ჯგუფია. კიდევ მინდა ერთი გვარი გავაჟღერო, მათ იცავდა გიორგი ყავლაშვილი, ცნობილი საპროცესო გამრიგებელი ადეიშვილთან. როგორც ჩანს, ამ მთავრობაშიც არ გაუჭირდა კარგი კონტაქტები.

**— იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციომ არ დააკმაყოფილა თქვენი მოთხოვნა, რას აპირებთ?**

– ამ შემთხვევაში აუცილებლად გაჟღერდება ის გვარები, ვინც ახდენს ზეწოლას. ჩვენ ვიბრძოლებთ ყველა ინსტანციაში საქართველოში და თუ შედეგს ვერ მივიღებთ, სტრასბურგამდეც მივალთ, ხაზგასმით ვამბობ ამას. დარწმუნებით შემიძლია, ასევე, ვთქვა, რომ ლია ავალიშვილმა, სანამ თანხას დააყადაღებდა, არ იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე, რადგან ძალიან დროულად ვიმოქმედეთ და მათ ვერ მოასწრეს გარკვევა, რა ვქენით.

წლებია, ქირით ვცხოვრობთ, ზუსტად ჩვენი ბინის წინ ვიქირავეთ და მნიშვნელოვანია, რომ არავინ ცხოვრობს დღემდე სახლში, პერიოდულად ვითომ არემონტებენ, რომ თითქოს ვინმე აპირებს ცხოვრებას. ჩემი შვილი ამ ამბის გადამკიდე, იურისტი გახდა და გერმანიაში სწავლობს. მთელი ცხოვრება რომ დამჭირდეს, ამ საქმეს ბოლომდე მივიყვან და მინდა გავაფრთხილო ყველა, ვინც ცდილობს ჩარევას სარგებლის მიღების მიზნით, რომ საბოლოოდ არაფერი გამოუვათ.

**— ახლა რომელ მოსამართლეს აწერია ეს საქმე?**

– ბესარიონ ტაბაღუას და არ ვიცი, რა დონით შეძლებენ მასზეც ზეწოლას. ამიტომ მინდა მეტი რეზონანსი. ეს უკვე აღარაა კერძო დავა, რადგან პოლიტიკოსები არიან გარეული.

## ოჯახი

# რა პრობლემები აქვთ მოზარდებს, როგორ უნდა აღვზარდოთ შვილები სწორად და როგორ უნდა დავეხმაროთ სუიციდისკენ მიდრეკილ თინეიჯერებს?



მიხეილ სახვაძე
599 93-28-03



**სულ რამდენიმე დღის წინ საზოგადოება კიდევ ერთხელ შეძრა და შეაძრწუნა მორიგი პატარა და ძალიან ლამაზი სიცოცხლის დასრულებამ — თბილისში, ქვანიას ქუჩაზე 14 წლის გოგონა მე-5 სართულიდან გადმოხტა.**

**ფაქტია, ბოლო პერიოდში თვითმკვლელობის შემთხვევები ძალიან მოხშირდა, ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ სიტუაცია, ამ მხრივ, განსაკუთრებით საგანგაშო მოზარდებშია.**

**რას ფიქრობენ ამ და ზოგადად, ბავშვის სწორად აღზრდაზე სპეციალისტები და როგორია მათი რჩევები?**

**„ყოველკვირეული ალიას“ გეშტალტ ფსიქოთერაპევტი ზვიად ეკიზაშვილი ესაუბრება:**



**— მოდით, დავიწყოთ იმით, რომ მკითხველს განვუმარტოთ, რას ნიშნავს გეშტალტ ფსიქოთერაპია?**

– „გეშტალტ“ – ეს არის გერმანული სიტყვა და ნიშნავს ფორმას, არსს და ეს არის ერთ-ერთი ფსიქოთერაპიული მეთოდი. დღესდღეობით არსებობს 2 ათასამდე ფსიქოთერაპიული მეთოდი – დაწყებული ფროიდის სკოლის ფსიქოანალიზიდან, დამთავრებული არტთერაპიით. გეშტალტ ფსიქოთერაპია წამყვანი ფსიქოთერაპიის მეთოდებში შედის. დაფუძნდა 1950 წელს, როგორც ფსიქოთერაპია, თუმცა მას ძალიან ღრმა ფესვები აქვს გერმანული ფსიქოლოგიის სკოლაში. დააფუძნა ფრიც პერლზმა მეუღლესთან, ლორა პერლზთან ერთად, შემდეგ კი შეუერთდა პოლ გუდმანი. ამ სამმა ადამიანმა გერმანიიდან სწავლება გადაიტანა შეერთებულ შტატებში. 2012 წელს საქართველოში გეშტალტ ფსიქოთერაპიისა და ოჯახური თერაპიის პირველი ინსტიტუტი ჩამოყალიბდა. ეს არის ევროპის გეშტალტ ფსიქოთერაპიის ასოციაციის ოფიციალური ერთეული, სადაც მეც ვსწავლობ მე-4 წელია და პირველი ჯგუფის წევრი ვარ, რომელმაც საქართველოში დაიწყო მუშაობა.

**— რას ნიშნავს ფსიქოთერაპია და რა განსხვავებაა ფსიქოთერაპიასა და გეშტალტ ფსიქოთერაპიას შორის?**

– ფსიქოთერაპია – ეს არის თერაპია საუბრით, თერაპია დიალოგით, ხოლო გეშტალტ ფსიქოთერაპია არის ფოკუსირებული კლიენტზე, ურთიერთობაზე კლიენტსა და ფსიქოთერაპევტს შორის.

**— ეს რაღაც გამორჩეული სხვაობაა ვითომ?**

– ეს არის მნიშვნელოვანი მომენტი. მაგალითად, იმავე ფსიქოანალიზში თერაპევტი მუშაობს უფრო, როგორც ფონი, ანუ არ ჩანს. თუნდაც ფილმებში გექნებათ ნანახი, როცა პაციენტი წევს, თერაპევტი კი უკან ზის, არ ჩანს და პაციენტი საუბრობს.

**— კი, მაგრამ ისიც მინახავს, რომ პირისპირ სხედან სპეციალისტი და პაციენტი და ისე საუბრობენ ხოლმე.**

– ეს არის უკვე მოდერნ ფსიქოანალიზი იმიტომ, რომ გეშტალტმა შემოიტანა ეს – ურთიერთობა. თერაპევტი არის ადამიანი, რომელიც ინსტრუმენტად იყენებს თავის შეგრძნებებს. შესაბამისად, ფოკუსირება ხდება დიალოგზე, ფოკუსირება ხდება კლიენტზე და ეს არის ერთ-ერთი ჰუმანისტური მიმართულება.

**— როგორც სპეციალისტი, როგორ შეაფასებთ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას?**

– მე რასაც ვხედავ, უფრო აქტუალურია ბავშვთა ფსიქოლოგია.

**— რატომ, რა არის ამის მიზეზი?**

– მშობელი ყველაფერს გასცემს ბავშვისთვის და იმიტომ.

**— და ეს სწორია?**

– მე არავის განვსჯი. უბრალოდ, ვაკვირდები, რაც ხდება და სურათი ასეთია – მშობელი ყველაფერს გასცემს ბავშვისთვის. პირველი პრიორიტეტი, ჯანმრთელ ოჯახში, რა თქმა უნდა, არის ბავშვი. შესაბამისად, ყველაზე დიდი რაოდენობით იყიდება საბავშვო ლიტერატურა...

**— მე მაპატიეთ, მაგრამ მგონია, რომ საბავშვო ლიტერატურის შეძენა რაღაც მოდად იქცა — მშობლების ნაწილი ლამაზყდიან წიგნებს თაროებზე გამოსაფენად ყიდულობს...**

– საბავშვო ლიტერატურასაც?

**— კი, ბატონო.**

– ჰო, შეიძლება, მაგრამ რეალურად საბავშვო პროდუქტები – ეს არის ყველაზე მოთხოვნადი და ყველაზე გასაყიდი და არ არის გამონაკლისი არც ბავშვთა ფსიქოლოგია.

**— ძალიან საინტერესო თემასთან მივედით — როცა მშობელი შვილს ზედმეტად ანებივრებს, ასე ვთქვათ, გადამკვდარია მასზე, თან ჰყვება, რამდენად სასარგებლოა ეს ბავშვისთვის?**

– თუ ზრუნვა გადადის ბავშვის საზღვრებს, რა თქმა უნდა, ეს ცუდია.

**— და სად არის ეს საზღვარი, როგორ უნდა ვიპოვოთ?**

– უფროსებმა ვიცით, რამდენად ახლოს უნდა დაუსხდნენ მოსაუბრეებს, თუნდაც ტრანსპორტში – თუ არის საშუალება, ერთმანეთთან ჩახუტებულები არ უნდა ვიყოთ, ანუ დავიკაოთ ადგილი დისტანციაზე, თქვენობით ვესაუბროთ ერთმანეთს თუ შენობით... ბავშვისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, იგრძნოს საზღვრები და სად სწავლობს ბავშვი? რა თქმა უნდა, ოჯახში, მშობლებისგან. შესაბამისად, მათ უნდა ვაჩვენოთ ჩვენი საზღვრები – რა შეუძლია მას აკეთოს და რა არ შეუძლია, ეს უკვე პირველი საზღვრებია.

**— საქართველოში გვაქვს ორი უკიდურესობა — ერთი, რომ დედაც და მამაც გავარდნილია ოჯახიდან და იძულებულია, იფიქროს მხოლოდ იმაზე, რა აჭამოს შვილებს და შესაბამისად, ბავშვთან ურთიერთობის დრო, საზღვრების დაწესებაზე ხომ საუბარიც ზედმეტია, აღარ რჩება. და მეორე — ვისაც აქვს საკმარისი ფინანსური შესაძლებლობები და შვილს უსრულებს ყველაფერს, რისი შესრულებაც კი შეიძლება. განვიხილოთ ორივე შემთხვევა — რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ამ ყველაფერმა ჩვენს შვილებზე?**

– მოდით, ცოტა შორიდან დავიწყებ – ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ ხშირად ვაწყდები ე.წ. ვორკოჰოლიზმს, ტრუდოგოლიკობას – ხალხი დილიდან გასულია სამსახურებში გვიან ღამემდე, მუშაობენ არანორმალურად და არანორმირებულად, მიზეზს კი ასახელებენ – „მე ვარჩენ ოჯახს“, „მეშინია, სამსახური არ დავკარგო, ოჯახი მშიერი დამრჩება“. ეს არის დიდი სტრესი. ვორკოჰოლიზმი არის სერიოზული ქრონიკული დაავადება, რომელიც, რა თქმა უნდა, უცბად არ იჩენს თავს როგორც ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, მაგრამ გრძელვადიანად ურტყამს სწორედ ოჯახს. მოდი, ავიღოთ თქვენი კითხვის პირველი შემთხვევა – როცა ბავშვი, ფაქტობრივად, ვერ ხედავს მშობელს, არ ურთიერთობს მასთან, მინიმალურია შეხება...

**— რაღა დაგიმალოთ და პირადად მე ვარ ასე და სამწუხაროდ, ალბათ, ასეა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა...**

– ნამდვილად ძალიან ვწუხვარ ამის გამო, რადგან ამ დროს ბავშვის ფსიქიკაში აი, რა ხდება – პირველი: ბავშვს აქვს მშობლის საჭიროება, ვინც მას მოუვლის, მასზე იზრუნებს. ამის გამო ისე ხდება ხოლმე, რომ მშობლის როლს ითავსებს სხვა – ვთქვათ, ბებია, ბაბუა, ან ძიძა...

თქვენ მიერ დასახელებულ ორ უკიდურესობას მე მესამესაც დავამატებდი – ქართულ რეალობაში, ასევე, ვხედავ, რომ დიასახლისები მთელ დღეს ატარებენ ოჯახში და მთლიან ყურადღებას უთმობენ შვილს, შვილი ხდება ცენტრი ამ ადამიანის ცხოვრების, მისი არსი, მისი იდეა და ფიქრობს, რომ უნდა გავზარდო ისე, როგორც მე მინდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვს აღარ რჩება თავისუფლება, აღარ აქვს თავისუფალი სივრცე, სადაც შეძლებს იყოს ისეთი, როგორიც არის. აქ უკვე თავს იჩენს ხოლმე პერფექციონიზმი – თუ მშობელი არის თავისი არსით პერფექციონისტი, უნდა, რომ ყველაფერი უნაკლოდ შეასრულოს და უნდა შვილი უნაკლოდ აღზარდოს და უნაკლოც.

**— და შედეგი როგორია ხოლმე?**

– ბავშვი ძალიან დიდი სტრესის ქვეშ იზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ვერ იხსნება, ცხოვრობს სხვისი ცხოვრებით.

**— და ბუნებრივია, ზრდასრულ ასაკში სერიოზულ პრობლემებს აწყდება...**

– რაღაც მომენტში ადამიანს ხომ პასუხისმგებლობის აღება უწევს, მაგრამ, როცა მთელი ცხოვრება სხვა იღებდა ყველანაირ პასუხისმგებლობას, ფაქტის წინაშე დამდგარმა შენ უკვე აღარ იცი, როგორ მოიქცე.

**— და რა რჩევებს მისცემთ მშობლებს, რომლებიც სულ მუშაობენ და ბავშვებს სათანადო ყურადღებას ვერ აქცევენ და მშობლებს, რომლებიც შვილებს ზედმეტად ანებივრებენ?**

– მოდით, იარლიყი გამოვიყენოთ და ვორკოჰოლიზმი დავარქვათ...

**— მოდით, იძულებითი ვორკოჰოლიზმიც დავუშვათ...**

– კი, ბატონო, იძულებითი იყოს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ვორკოჰოლიკი მიზეზად იყენებს სწორედ იმას, რომ „მე იძულებით ვმუშაობ“, „სხვა გამოსავალი არ მაქვს“...

**— რას ვიზამთ, რეალობაა ასეთი!**

– კი, ასეთია რეალობა...

**— არ მომწონს ეს სიტყვები — „თავს იმართლებს“... აი, მე პირადად დიდი სიამოვნებით გავატარებდი მთელ დროს ცოლ-შვილთან, მაგრამ არ გამოდის ასე, შეუძლებელია და იმიტომ!**

– ვფიქრობ, ადამიანმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა თავის ვორკოჰოლიზმზე. უნდა გააცნობიეროს, არჩევანით კეთდება თუ ეს არის ე.წ. ბრმა ლაქა. არის ფსიქოლოგიაში ასეთი ფენომენი „ბრმა ლაქა“, როცა რაღაცას აკეთებ და ვერ აღიქვამ ამას, არ აცნობიერებ. შეიძლება ჩვენს შეხვედრამდე თქვენც ვერ აცნობიერებდით, რომ ვორკოჰოლიკი იყავით.

**— და რას მომიტანს ამის აღიარება-გაცნობიერება?**

– ვორკოჰოლიკის დახასიათება რა არის – თუ მუშაობს დღეში 8 საათს და მეტს...

**— 8 საათი რა არის? უმრავლესობა გაცილებით მეტ დროს უთმობს სამსახურს!..**

– ასევე, ვორკოჰოლიკია ის, ვინც მუშაობს შაბათ-კვირას, დიდი ხანი არ დაუსვენია, სამსახური არის მისთვის მგრძნობიარე თემა, განიცდის სამსახურზე, ლაპარაკობს ოჯახში სამსახურზე...

**— რა ვუშველოთ ამ ხალხს და რაც მთავარია — მათ შვილებს?**

– მათ შვილებს ის უნდა ვუშველოთ, რომ დავუბრუნოთ მშობელი.

**— ბატონო ზვიად, მშობელი რასაც მუშაობს და ხელფასს რასაც იღებს, ის უნდა ცოლ-შვილისთვის, ასე არ არის?**

– კი, რა თქმა უნდა.

**— ჰოდა, სამსახური რომ დაკარგოს, მერე რა უნდა ქნას? ცუდად იქნება საქმე!**

– ვისთვის, ოჯახისთვის ისევ, არა?

**— ჰო, რა...**

– მეც მანდა ვარ! დილემაა ეს! მოდით, ასე დავსვათ საკითხი – ცუდად ექნება ოჯახს საქმე ახლა თუ 10 წლის შემდეგ, როცა ამდენი მუშაობით ადამიანს არავინ იცის, რა პრობლემები გაუჩნდება?

**— ჰო, ეგ მაგარი კითხვა დამისვით, მაგრამ ის ხომ იცით — დღევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელ ქათამსო. კვერცხი, ქათამი და ბუნდღა იქით იყოს, მაგრამ, როცა მცირეწლოვანი შვილი ან შვილები გყავს და მათ ძალიან ბევრი სჭირდებათ, იმაზე ვერ და არ ფიქრობ, რა მოგივა 10 წლის მერე, მთავარია, დღეს გყავდეს კარგად.**

– ვორკოჰოლიზმი არ არის ცუდი, გვერდიდან რომ შეხედო, შეიძლება თქვა – „ღმერთო, ეს რა მაგარი კაცია, რამდენს მუშაობს, ოჯახზეა გადამკვდარი“, მაგრამ ის მეორე, ბნელი მხარეც რომ არსებობს?! პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ჯანმრთელობა, ფსიქიკა, რომელიც ნელ-ნელა ზიანდება.

**— იმაში დაგეთანხმებით, რომ ფსიქიკურად გაწონასწორებული მშობელი უფრო სჭირდება ბავშვს, ვიდრე „სნიკერსი“, მაგრამ იმდენი „მაგრამ“ არსებობს...**

– „სნიკერსი“ იმ შემთხვევაში სჭირდება, როცა მშობელი არ ჰყავს, რათა ჩაანაცვლოს. ხშირად ბავშვი ტკბილეულით ანაცვლებს მოფერებას, ყურადღებას, რომელსაც ვერ იღებს, თამაშს, რომელიც უნდა მშობელთან. აქ დავამატებ ჩემს გამოცდილებას – ხშირად ვიყენებ თამაშის თერაპიას, როცა თუნდაც მე ვირგებ ბავშვის როლს და მეორე მიდგომა მაქვს, როცა დედას, მამას, ბებიას ვასწავლი, როგორ ითამაშოს ბავშვთან, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

გამოსავალი ამ სიტუაციაში ასეთია – დრო, რაც გრჩებათ, მაქსიმალურად ეფექტურად უნდა გაატაროთ ოჯახთან და შვილებთან. აი, აქ არის საჭირო ფსიქოთერაპევტის დახმარება, რომელიც გასწავლით თუნდაც ბავშვთან თამაშს, მინიმალური დროის ეფექტურად გამოყენებას.

გარდა იმისა, რომ ადამიანი არის მშობელი, ის ასევე არის მეუღლე, ძმა, და, შვილი, მეგობარი... ჰოდა, როცა დროის 70, 80 და 90 პროცენტი სამსახურს მიაქვს, შეუძლებელია, ამას მოკლევადიანი შედეგის გარდა, რაიმე სხვა დადებითი ფაქტორები ჰქონდეს.

**— ასეთ სიტუაციაში სპეციალისტის დახმარება არის ფასეული?**

– პირველ რიგში, ძალიან მნიშვნელოვანია პირადი ფსიქოთერაპია. ხშირად ვხვდები ხოლმე მშობლებს, რომლებიც ცდილობენ, შეცვალონ ბავშვი, ნაცვლად იმისა, რომ საკუთარი თავის შეცვლაზე იზრუნონ. ცოტა ხნით ამან შეიძლება გამოიღოს რაღაც შედეგი, მაგრამ სულ მალე ყველაფერი თავდაყირა დადგება – წეღან საზღვრები ვახსენე, მაგრამ საზღვრების დაწესება არ ნიშნავს ადამიანის, მით უმეტეს, ბავშვის პირად სივრცეში შევიჭრათ.

**— გადავიდეთ ბავშვებზე, ვისაც ყველაფერი უსიტყვოდ უსრულდება.**

– ასეთ ადამიანს, სავარაუდოდ, ექნება მოლოდინები, რომ ყველაფერს ცხოვრება მოუტანს, რეალობა კი ცოტა სხვა არის, გამოცდაა ბევრი, პასუხისმგებლობის აღება უნდა შეეძლოს და ასე შემდეგ. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, მე ვხედავ ასეთი ბავშვების პრობლემებს პირადი ცხოვრების აწყობაში, აიღოს პასუხისმგებლობა ოჯახზე, საკუთარ თავზე, შვილებზე.

**— ბატონო ზვიად, სამწუხაროდ, ძალიან გახშირდა თვითმკვლელობის ფაქტები, მით უმეტეს, მოზარდებში. სულ ვწერ, რომ ეს არის სახელმწიფოსა და სასულიერო პირებისთვის სერიოზულად დასაფიქრებელი და საგანგაშო ტენდენცია, მაგრამ ერთსაც ფეხებზე ჰკიდია და მეორესაც. რა ვქნა, ვერ ვხვდები, რა პრობლემა შეიძლება ჰქონდეს 13 წლის ბავშვს ისეთი, ადგეს და კორპუსიდან გადმოხტეს?! დახმარება შეგვიძლია რამით?**

– დახმარება, პირველ რიგში, არის ოჯახი.

**— ჰო, მაგრამ ხშირად სწორედ ოჯახი ხდება ამ საშინელი ფაქტების მაპროვოცირებელი.**

– ფსიქოანალიზის მიხედვით, ჩვენი ყველა პრობლემა მოდის ბავშვობიდან. პასუხისმგებლობის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ნებისმიერ ადამიანს. როცა მშობელი ბავშვს ზრდის, უნდა ასწავლოს, აუხსნას, უნდა დააკისროს პასუხისმგებლობა, რომ, თუ დაყრის სათამაშოებს, თვითონვე უნდა მიალაგოს, ბავშვმა უნდა ისწავლოს, რომ მის ნამოქმედარს რაღაც კონკრეტული შედეგი აუცილებლად მოჰყვება.

**— ეგ გასაგებია, მაგრამ რით უნდა დავეხმაროთ, თუ ასე არ არის აღზრდილი ადამიანი?**

– თუ ეს არის მისული ბოლო მომენტამდე, რაც შეგვიძლია, ეს არის, რომ ჩამოვიყვანოთ ფანჯრიდან.

**— და მანამდე?!**

– თვალები უნდა გავახილოთ და ჩვენი შვილები დავინახოთ, მოვუსმინოთ, არ ვიყოთ ჩაკეტილები ჩვენს პატარა სამყაროში.

**— ამბობთ, რომ ბავშვობიდან მოდის ეს ყველაფერი და უცბად არ შეიძლება იჩინოს თავი?**

– ძალიან იშვიათად, რაღაც ძალიან დიდი ტრაგედია უნდა მოხდეს, უშველებელმა სტრესმა უნდა დაარტყას ადამიანს, რომ სუიციდისკენ წავიდეს. ეს ფიქრი ნელ-ნელა გროვდება, რომელსაც უფროსებმა უნდა მიაქციონ ყურადღება.

## დიმიტრი ხუნდაძე — ირაკლი ღარიბაშვილი საზოგადოებაში პოზიტიური სახეა და გასაკვირი არ არის, კონკრეტული შეთავაზება მიიღოს



პარტია „ქართული ოცნების“ წევრი დეპუტატებისთვის უცნობია, რა ფორმით შეიძლება ჩაერთოს ყოფილი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი პარტიის საქმიანობაში, თუმცა ასეთ შესაძლო გადაწყვეტილებას მიესალმებიან და ამბობენ, რომ ღარიბაშვილის გამოცდილება და რესურსი პარტიას წაადგება.

როგორც დეპუტატი დიმიტრი ხუნდაძე აცხადებს, თუკი ღარიბაშვილს პარტია „ქართულ ოცნებაში“ აქტიურ, გამოკვეთილ პოზიციაზე ვიხილავთ, ამაში გასაკვირი არაფერია.

– ის არის ახალგაზრდა, გამოცდილი კაცი. საკმაოდ დიდი გამოცდილება მიიღო პრემიერის თანამდებობაზე ყოფნის დროს. ირაკლი საზოგადოებაში პოზიტიური სახეა და არის ჩვენი გუნდის წევრი, ამიტომ სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ მან რაიმე კონკრეტული შეთავაზება მიიღოს, – აცხადებს დიმიტრი ხუნდაძე.

უმრავლესობის კიდევ ერთი წევრის, ომარ ნიშნიანიძის თქმით კი, ირაკლი ღარიბაშვილის რესურსი დასაკარგი არ არის.

– მას აქვს სერიოზული რესურსი, გააძლიეროს „ქართული ოცნება“ თავისი განვლილი გზით, გამოცდილებითა და ავტორიტეტით. მე ასეთ ნაბიჯს მხოლოდ მივესალმები, – აცხადებს ნიშნიანიძე. (ინტერპრესნიუსი)

## თამაზ მეჭიაური — იმასაც მივესალმები, თუ ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკაში დამოუკიდებლად ჩაერთვება

– იმასაც მივესალმები, თუკი ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკაში დამოუკიდებლად ჩაერთვება და „ქართული ოცნებისგან“ დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებს, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი თამაზ მეჭიაური აცხადებს.

მეჭიაური დარწმუნებულია, რომ ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკაში ჩართვა, ზოგადად, ქართული პოლიტიკისთვის იქნება სასარგებლო.

– ირაკლი ახალგაზრდა კაცია და რატომ უნდა გავიდეს პენსიაზე ასე ნაადრევად?! მასზე ორჯერ დიდი ვარ და პენსიაში გასვლას ჯერ მე არ ვაპირებ. ამიტომ იმასაც მივესალმები, თუკი ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკაში დამოუკიდებლად ჩაერთვება, – აცხადებს მეჭიაური.

ამასთანავე, მეჭიაური ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ქართულ ოცნებას“ არ აქვს იმის ფუფუნების უფლება, უარი თქვას პოლიტიკურ ცხოვრებაში ისეთი რეიტინგული პიროვნების მონაწილეობაზე, როგორიც არის ირაკლი ღარიბაშვილი. (ინტერპრესნიუსი)

# „ამათ რომ ჰგონიათ, ვანო ციხეში ზის, რა, ვერ დადის ხოშიანად ციხიდან გარეთ, კაჭრეთში, მაგარ მწვადებზე? ეს სირები, ესენი!“

## რას ამბობს სასჯელაღსრულების სამინისტრო მერაბიშვილის „კაჭრეთულ გასეირნებებზე“?

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



ვიცით, რომ შს ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი, რამდენიმე ბრალდების საფუძველზე და სასამართლო გადაწყვეტილებით, პატიმრობაში იმყოფება და „მატროსოვის“ ციხის კედლებს „ხეხავს“. რამდენიმე დღის წინ, ჩემმა ახლობელმა (რომელსაც მე ვენდობი და რომლის ვინაობასაც, რა თქმა უნდა, არ დავასახელებ), სრულიად შოკისმომგვრელი ამბავი მომიყვა:

– რამდენიმე დღის წინ ბარათაშვილის ხიდთან მდებარე ერთ-ერთ რესტორანში მეგობრებთან ერთად ვიყავი. გვერდითა სუფრაზე „ნაცელიტა“ ქეიფობდა. თავიდან წყნარად იყვნენ, მაგრამ კარგა გვარიანად რომ შეთვრნენ, ერთ-ერთი მათგანი ფეხზე ადგა და განსაკუთრებული სადღეგრძელო შესვა, – მოდით, ახლა, ამ ჭიქით ჩვენს ვანოს გაუმარჯოსო და მთელი ქება-დიდება მოაყოლა მისი მისამართით. ყველაზე საინტერესო, რამაც შოკში ჩამაგდო, ეს ნათქვამი იყო, – ამათ რომ ჰგონიათ, ვანო ციხეში ზისო, რა, ვერ დადის ხოშიანად ციხიდან გარეთ, კაჭრეთში, მაგარ მწვადებზე? ეს სირები, ესენიო... ამ ნათქვამს სხვა „ნაცების“ სიცილი მოჰყვა და მერაბიშვილის სადღეგრძელო სულ რიხინ-რიხინით და „ოცნების“ ხელისუფლების უნიათობაზე ქილიკით შესვეს... მე ჩემს ერთ მეგობარს გადავხედე გაფართოებული თვალებით, ხომ არ მომესმა-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ ჩემს მეგობარსაც რომ შუბლზე ჰქონდა თვალები ასული, მივხვდი, რომ არაფერი მომჩვენებიაო...“

ჩემმა ახლობელმა, თავის მეგობრებთან ერთად, რესტორანი მალევე დატოვა და ამ დრომდე არ მეუბნება ცოცხალი თავით, კონკრეტულად რომელ რესტორანში იყვნენ ან რომელმა „ნაცფეისმა“ თქვა აღნიშნული სადღეგრძელო, – კედლებსაც ყურები აქვს და მომკლავენ უეჭველი, ეს რომ ხმამაღლა ვთქვაო... იმის გათვალისწინებით, რომ დღევანდელი ხელისუფლება ტყემალზე ზის და ბალს ჭამს, „ნაცები“ კი ისე „გრიმიტობენ“, დაკვირვებული და ჩახედული ადამიანი თუ არ ხარ, ვერც გაარკვევ, რომელია მმართველი ძალა. ახლობლის შიში ჩემთვის გასაგები აღმოჩნდა და აღარ ჩავეძიე (თუმცა ვეცდები, როგორმე მაინც ვათქმევინო მომავალში, რომელ რესტორანზეა საუბარი და ვინ წარმოთქვა ის „ისტორიული სადღეგრძელო“ მერაბიშვილზე).








აღნიშნული შოკისმომგვრელი ამბავი რეალურია თუ არა? მივყვეთ ლოგიკურ ვარაუდებს:

დავუშვათ, ეს ამბავი რეალურია და პატიმრობაში მყოფი ვანო მერაბიშვილი კაჭრეთში მწვადების საჭმელად დადის, მაშინ ლოგიკურია, მას ამაში ხელს უწყობენ, აბა, ჩიტი ეგ არ არის, როცა უნდა გადაფრინდეს და გადმოფრინდეს ციხის კედლებზე. ვინ შეიძლება უწყობდეს მას ხელს? – ლოგიკურია, რომ „კაჭრეთულ ვოიაჟებში“ მას ხელს „მატროსოვის“ ციხეზე მომუშავე თანამშრომლები უწყობენ და ესენი იქნებიან, სავარაუდოდ, ისინი, ვინც „ნაცების“ დროს მუშაობდნენ იქ და ახლაც ხელშეუხებლები რჩებიან. როცა ციხე ხუთი თითივით იცი და მერაბიშვილის ფანი ხარ, არ იქნება რთული, შენი კუმირი მწვადებზე წაიყვანო ჯიგრულ „პონტში“ ისე, რომ ეს ფაქტი ვერც ციხის კამერებმა დააფიქსიროს (ელემენტარულად, ადგე და გამორთო კონკრეტულ მომენტში) და ვერც პატიმრებმა გაიგონ რამე;

მეორე ვარაუდი: თუ ეს ამბავი სიცრუეა და ვანო მერაბიშვილს კაჭრეთული მწვადი მხოლოდ ძილში ესიზმრება, მაშინ საქმე გვაქვს შეგნებულ პროვოკაციასთან და კახი კახიშვილის უწყების დისკრედიტაციის მცდელობასთან – დაყრი ხმებს, რომ ვანო გარეგარე ისე დასეირნობს მწვადების საჭმელად, როგორც ადრე „წრიპა“ გამოჰყავდათ აბანოებში „საგულაოდ“, სასჯელაღსრულების მინისტრი აზრზე არაა და „ჭურში ზის“ ან კიდევ უარესი, კახი კახიშვილი მერაბიშვილის „ვოიაჟების“ საქმის კურსშია, შესაბამისად, ხელს უწყობს მას, პრივილეგირებულ მდგომარეობაში ამყოფებს და „ნაცებთანაა“ შეკრული ფულის ან რამე სხვა სიამის სანაცვლოდო...

ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს დიდ პროვოკაციასთან და კახიშვილის უწყების დისკრედიტაციის მცდელობასთან. ვინ იხეირებს ამით? — რა თქმა უნდა, „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც წინასაარჩევნოდ ტყავიდან ძვრება და ხალხის დაბოლებას უკვე მერამდენედ ცდილობს.

„კაჭრეთულ ვოიაჟებთან“ დაკავშირებული ამბავი, ნებისმიერ ვარიანტში უკვე სკანდალია – მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს სიმართლე, რადგან ამბის გამართლების შემთხვევაში, ეს კახიშვილისთვის უსერიოზულესი დარტყმა იქნება და აქ არ აქვს მნიშვნელობა, იცის თუ არა

### ცენტრალი

მან აღნიშნულის შესახებ – არცოდნა „აპრავდანიე“ არაა, როცა ამხელა მინისტრი კაცი ხარ და, ასევე, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების უდიდეს ნაწილში ბატონი მინისტრი დადებითი რეპუტაციით სარგებლობს, თუ ეს ამბავი მართალია, ეს მისი საქმიანი იმიჯისთვის სერიოზული დარტყმა იქნება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ეს ამბავი სიცრუეა, როგორც ზემოთ ვთქვი – საქმე გვაქვს სერიოზულ, დაგეგმილ პროვოკაციასთან და შეგნებულად ხმების დაყრასთან იმის შესახებ, თითქოსდა, „მატროსოვიდან“ კაჭრეთში მერაბიშვილი მწვადების საჭმელად მაშინ დადის, როცა მოუნდება, რაც სასჯელაღსრულების სამინისტროს, განსაკუთრებით კი მის მინისტრს, ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩააყენებს.

„ალიამ“ აღნიშნული ამბის საქმის კურსში სასჯელაღსრულების პრესსამსახურის ხელმძღვანელი, ბაია ცანავა ჩააყენა და დაინტერესდა, რასთან შეიძლება გვქონდეს საქმე? რადგან თეორიული შანსი იმისა, რომ მერაბიშვილი მართლაც გადიოდეს ციხიდან კონკრეტული პირების დახმარებით, შეიძლება მართლაც არსებობდეს.

ბაია ცანავა: „ეს არის სრული აბსურდი, რადგან დღეს სასჯელაღსრულების სისტემაში მსგავსი რამ წარმოუდგენელია. თუკი „ნაციონალური მოძრაობიდან“ ვინმემ ეგ ამბავი მართლაც თქვა, ჩემი აზრით, ეს არის სასჯელაღსრულების სისტემის დისკრედიტაციის სერიოზული მცდელობა“.

„ალია“ მაინც ეცდება, გაარკვიოს, ვინ იყვნენ ზემონახსენები სუფრის წევრები და კონკრეტულად რომელმა მათგანმა გააჟღერა ვანო მერაბიშვილის „კაჭრეთული ვოიაჟების“ შესახებ ინფორმაცია...

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



» ტეტ-ა-ტეტი

**სკანდალური საქმე — ალეკო ელისაშვილი ქალების წინააღმდეგ, ამ ეტაპზე დასრულდა. მთავარმა პროკურატურამ გასულ კვირას მიიღო დადგენილება სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, დანაშაულის ფაქტი არ დადასტურდაო. შეგახსენებთ, რომ „ოცნების“ დეპუტატებს — მანანა კობახიძესა და ეკა ბესელიას, საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი კორუფციაში ადანაშაულებდა. ელისაშვილმა იცოდა, რომ სიმართლეს ამბობდა, მაგრამ ამის სამართლებრივი გზით დამტკიცება ვერ შეძლო. რას ფიქრობს თავად მანანა კობახიძე ამ სკანდალურ საქმეზე? „ალიას“ კითხვებს ვიცესპიკერი პასუხობს.**

# მანანა კობახიძე: „ალეკო ელისაშვილის ტელეფონში ეს „სმს“-ები რომ აღმოჩენილიყო, ცრუ ჩვენებისთვის მას პასუხისგებაში მისცემდნენ, ამიტომ მან კვალი წაშალა!“





**— ალეკო ელისაშვილი პროკურატურის დასკვნას უნდობლობას უცხადებს, თქვენი აზრით, ამ სკანდალური საქმის გაგრძელება როგორი იქნება?**

– თქვენ ახსენეთ სიტყვა „სკანდალი“, მე კი ამას დავარქმევდი მიზანმიმართულ, ცილისმწამებლურ კამპანიას, რომელიც ააგორა ალეკო ელისაშვილმა ერთადერთი მიზნით, დიახ, ამისგან შეექმნა სკანდალი და ამით მიეღო გარკვეული პოლიტიკური დივიდენდები.

**— რომელ დივიდენდებზეა საუბარი, პრაქტიკულად, პროკურატურამ ის მატყუარად გამოიყვანა...**

– მერწმუნეთ, თავად ელისაშვილი არ ელოდა პროკურატურის დასკვნას. მას რომ სცოდნოდა, რომ პროკურატურა ამ ამბავს უყურადღებოდ არ დატოვებდა, გამოძიებასაც სკრუპულოზურად ჩაატარებდა, მის ტელეფონს შეამოწმებდა და ექსპერტიზას ჩაუტარებდა, მერწმუნეთ, ვერც გაბედავდა ცილისმწამებლური განცხადებების გაკეთებას. ეჭვი მაქვს, რომ, როცა მან განცხადება გააკეთა, მის ტელეფონში თავიდანვე არაფერი არ იყო, არავითარი „სმს“ შენახული არ ჰქონდა, რადგან ამ „სმს“-ში არაფერი არ იყო ისეთი, რაც დანაშაულთან იქნებოდა კავშირში. თვითონვე განაცხადა, რომ არაერთი მინისტრი, ჟურნალისტი თუ დეპუტატი წერდა პატიმრებთან დაკავშირებით, ჩვეულებრივი გზავნილები იყო მის ტელეფონში, რომელიც, ბუნებრივია, არ უნდა შეენახა ისევე, როგორც მე არ შემინახავს, მაგრამ, როცა პროკურატურამ მოსთხოვა მტკიცებულებების წარდგენა, აღმოჩნდა, რომ მას ეს მტკიცებულება არ ჰქონდა. შეიძლება განვიხილოთ მეორე ვერსიაც, შესაძლოა, შენახული ჰქონდა „სმს“-შეტყობინება, მაგრამ, როცა ადვოკატს აჩვენა, უთხრეს, რომ „სმს“-გზავნილი არ შეიცავდა დანაშაულებრივ ნიშნებს, მუქარას და ზეწოლას, ურჩიეს, რომ წაეშალა, თორემ ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. დამერწმუნეთ, ცრუ ჩვენებისთვის მას პასუხისგებაში მისცემდნენ, ეს „სმს“-ები მის ტელეფონში რომ აღმოჩენილიყო და ექსპერტიზას რომ აღედგინა, მიზანმიმართულად, განზრახ ცრუ ჩვენებისთვის, რადგან, რასაც მე მაბრალებდა, თითქოს მას მობილური ტელეფონით ვუგზავნიდი ისტერიკულ მუქარისშემცველ მესიჯებს, მსგავსი მის მობილურში არ იქნებოდა და ეს არის უკვე ცრუ ჩვენება, ამიტომ მან კვალი წაშალა. ასეთი ადამიანია ელისაშვილი, რომლის სახეც პროკურატურის დასკვნით ძალიან კარგად გამოჩნდა. ალოგიკურია, როცა შენ წელიწად-ნახევარი გაქვს ინფორმაცია და ამის შესახებ ხმამაღლა არ საუბრობ. ყურში ეჩურჩულები პრეზიდენტს, პროკურორს, ზოგიერთ პოლიტიკოსს... წელიწად-ნახევრის შემდეგ თუ ასეთ კამპანიას იწყებ, მტკიცებულება როგორ ვერ უნდა შეინახო, ამის უამრავი ტექნიკური საშუალება არსებობს, თვითონვე წაელო ექსპერტიზაზე თავისი მობილური ტელეფონი. თავად მოეგროვებინა მტკიცებულებები და ეყვირა ხმამაღლა, მაგრამ, რაც არ არსებობს ბუნებაში, იმას ვერანაირი ექსპერტი და გამოძიება ვერ დაადგენს და ვერ გამოიძიებს. საწყენი ის არის, რომ პროკურატურამ ამხელა რესურსი დახარჯა ოთხი თვის მანძილზე, 74 მოწმე დაკითხა. იმის ნაცვლად, რომ პროკურატურის რესურსი დაიხარჯოს მართლაც დანაშაულის გამოძიებაზე, ამ ავყიას განცხადებების გამო მოცდა უწყება. საზოგადოებას ისიც კარგად ახსოვს, რომ ის წლების წინათ ჩართული სისხლის სამართლის იმ საქმეში, როცა „კავკასიის“ პირდაპირ ეთერში მოხდა გადაცემაში სტუმრად მიწვეული 8 ახალგაზრდა ადამიანის დაპატიმრება, როგორც მახსოვს, ის იყო ერთ-ერთი იმათგანი, ვინც აქტიურობდა, რომ გამოძახებული ყოფილიყო პოლიცია, მერაბიშვილის უწყება და ა.შ. მოკლედ, „კავკასიის“ „საქმე“ მთლად კარგი მომენტი არ არის მის ბიოგრაფიაში. აშკარად იყო დანაშაულის პროვოცირება, ჟურნალისტმა არ უნდა აღმოაჩინო რესპონდენტი გისოსებს მიღმა პირდაპირი ეთერის დროს. ჩემი, როგორც დეპუტატის, ვალია ამომრჩევლის მომართვაზე, საჩივარზე, თხოვნაზე რეაგირება და დღეს ამას მედავება ელისაშვილი. როგორ ფიქრობთ, პატიმრების პრობლემებს რომ ყურადღებას არ ვაქცევდეთ (მე არ ვამბობ, ამ მხრივ იდეალურები ვართ), პატიმრების ოჯახის წევრები კარვებს არ გაშლიდნენ?.. საპროტესტო აქციებს არ მოაწყობდნენ?

**— სხვათა შორის, ალეკო ელისაშვილის სკანდალს გამოეხმაურა საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე ინგა ზაბახიძე, რომელმაც დაგადანაშაულათ, რომ თქვენ მას ცხოვრება ჯოჯოხეთად უქციეთ, მისი ოჯახის ტრაგედიაშიც თქვენი ბრალი დაინახა: „თქვენს უაზრო ინტრიგებს შეეწირა ჩემი არა მარტო საჩხერის საკრებულოს თავმჯდომარეობა, არამედ ჩემი ოჯახიც. იქნებ მეც ამოვყარო ის მესიჯები, როგორ მაიძულებდით „ნაციონალების“ მიერ დაფუძნებული გაზეთის უტენდეროდ და შეუსაბამოდ დიდი თანხით დაფინანსებას. როცა ვერ გამტეხეთ, კატეგორიულად გითხარით, რომ თქვენ გამო კანონს არ დავარღვევდი. ეს გაზეთი წააქეზეთ ჩემს წინააღმდეგ და რამდენიმე ნომერი მხოლოდ ჩემს ლანძღვას მიეძღვნა. ეს გაზეთი მამამ წაიკითხა და უჯანმრთელესი კაცი ინსულტით გარდაიცვალა. მამის სიკვდილი ვერ გადაიტანა ავადმყოფმა დედამ, მამის გარდაცვალების დღეს საჯაროდ ვაპირებდი საკრებულოს თავმჯდომარეობის დატოვებას და საჩხერიდან ამოწერასაც კი, სანამ თქვენ იქნებოდით მაჟორიტარი დეპუტატი. ამ განზრახვაზე ხელი „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ამაღებინა მხოლოდ ქვეყნის საკეთილდღეოდ...“ რა შეგიძლიათ ამაზე გვითხრათ?**

– ამდენი ხნის განმავლობაში ასეთი მძაფრი სტატუსი არ მახსენდება, რომელიც ინგა ზაბახიძემ „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე დაწერა, თუმცა მალევე წაშალა, რადგან მისი პარტიის ლიდერმა, ფრაქციის თავმჯდომარემ პარლამენტში დავით ბერძენიშვილმა მას ამ სტატუსის წაშლა დაავალა, რადგან არ იყო სწორი და არ შეიძლება, ასეთი დამოკიდებულება იყოს პარტნიორ პარტიებს შორის. სიმართლე გითხრათ, ამ თემის გაშლა არ მინდა, არ ვიცი, რა ამოძრავებდა, როცა ამას წერდა, მხოლოდ ერთს ვიტყვი, რომ, რაც წავიკითხე, იქ იყო გაუგონარი, აბსურდული ბრალდებები, ვერ გეტყვით, ეს რაში დასჭირდა. სამწუხაროდ, ამ ფაქტის გამო, შემდეგ ბატონ დავითს მოუწია ჩემთვის ბოდიშის მოხდა და მანვე მითხრა, რომ ინგას მისი საქციელის გამო პოლიტსაბჭომ მკაცრად უსაყვედურა.

**— ქალბატონო მანანა, კვლავ იქნებით თუ არა საჩხერეში მაჟორიტარობის დეპუტატი ამ სკანდალების შემდეგ? ადასტურებთ ხმებს იმის შესახებ, თითქოს ბიძინა ივანიშვილმა მიგანიშნათ, რომ მისი რაიონის დეპუტატი ვეღარ გახდებოდით?**

– მსგავსი არაფერი ყოფილა, ამაზე მხოლოდ ღიმილით გიპასუხებთ. ბატონ ბიძინას მინიშნებები და ორაზროვანი საუბრები არ სჩვევია, როცა რამე არ მოსწონს, სათქმელს ძალიან ცხადად და მკაფიოდ ამბობს საჯარო სივრცეშიც და პირადადაც. მსგავსი არაფერი ყოფილა, პირიქით, მე საკმაოდ აქტიურად ვგეგმავ პოლიტიკაში ყოფნას, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის მარტივი და პოლიტიკოსებს ზოგჯერ ძალიან დიდი ფასის გადახდა გვიწევს, როცა ამდენ ცილისწამებასა და ტალახის სროლას ვიტანთ...

## Die Welt – ევროკომისიას აეროპორტების შესასვლელში კონტროლის დაწესება სურს



ევროკომისიას ბრიუსელის ტერაქტების შემდეგ აეროპორტების შესასვლელში კონტროლის დაწესება სურს. ამის შესახებ გერმანული გამოცემა Die Welt-ი ევროკავშირის წყაროზე დაყრდნობით წერს.

– ეს საჭიროა, ვინაიდან ყველა ვიზიტორი აეროპორტში შესვლამდე შემოწმდება. ინდივიდუალური შემოწმება სირთულეებთან და ხარჯებთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ უსაფრთხოების მხრივ ეს დადებითი შედეგის მომტანი იქნება, – ამბობს წყარო.

გერმანული გამოცემის ინფორმაციით, მსგავსი გამოცდილება უკვე აქვს დომოდედოვოს აეროპორტს, სადაც 2011 წლის ტერორისტული თავდასხმის შემდეგ მსგავსი კონტროლი დაწესდა.

ევროკომისიის წყაროს განმარტებით, მეტროს სადგურებში მსგავსი უსაფრთხოების უზრუნველყოფა გაცილებით რთულია.

– რისკის ნულზე დაყვანა მეტროებში შეუძლებელია, – აღნიშნავს წყარო. (ინტერპრესნიუსი)

## ონლაინკრედიტის გამო ახალგაზრდა მამაკაცმა თვითმკვლელობა სცადა




დიდუბის რაიონის გამგეობის პრესსამსახურის წარმომადგენელი სალომე ფაშტიანი „ფეისბუქში“ საინტერესო ისტორიის შესახებ წერს:

– გუშინ ჩემი თანამშრომელი გოგონები სამსახურიდან სახლში ფეხით ბრუნდებოდნენ. დიღმის ხიდზე შენიშნეს ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც წყალში ხტებოდა.

მათ ამ ბიჭის გადარჩენა შეძლეს და რა თქმა უნდა, მიზეზიც ჰკითხეს. აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა მამაკაცს ონლაინკრედიტის დავალიანება ჰქონდა, რომლის გადახდასაც ვერ ახერხებდა.

ერთ-ერთმა ჩემმა თანამშრომელმა თავის მოძღვართან მიიყვანა, რათა ბიჭი დაემშვიდებინა და აეხსნა, რომ მსგავსი საქციელით პრობლემას ვერ მოაგვარებდა.

დღეს ჩემმა კიდევ ერთმა თანამშრომელმა ამ ბიჭს სამსახური დააწყებინა...

აი, ასეთი თანამშრომლები მყავს მე! – წერს სალომე ფაშტიანი. (ინფო9)

## „ტვიტერის“ სენსაცია! ბრიუსელის ტერორისტი-თვითმკვლელი ნაჯიმ ლააკრუი მერკელთან ერთად!



მსოფლიო სოციალური ქსელის მომხმარებლებმა პირველებმა შეამჩნიეს სრული მსგავსება ერთ-ერთ ლტოლვილსა და ბრიუსელში ტერაქტის მომწყობ პირს შორის. სენსაცია კი გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ხსენებულ ადამიანს რამდენიმე ხნით ადრე სელფი აქვს გადაღებული გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან. დევნილი ძალიან ჰგავს ნაჯიმ ლააკრუის, რომელმაც 22 მარტს ბრიუსელის აეროპორტში თავი აიფეთქა.

ლააკრუის ფოტო ბელგიის პოლიციამ 25 მარტს გამოაქვეყნა. როგორც ბელგიის სამეფო პროკურატურამ გამოაცხადა, სწორედ მან გაააქტიურა ასაფეთქებელი მოწყობილობა ბრიუსელის აეროპორტში.

თავდაპირველად, გამოძიებას ეგონა, რომ ლააკრუი ტერაქტების კოორდინირებას ახდენდა ბრიუსელში, მაგრამ პირადად არ მონაწილეობდა მასში. აეროპორტსა და მეტროპოლიტენში აფეთქებების შემდეგ მასზე ძებნა გამოცხადდა. 23 მარტს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლააკრუი დააკავეს, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ პოლიცია შეცდა.

რაც შეეხება ფოტოს, მერკელმა სირიელების ბანაკი ბერლინში 2015 წლის 10 სექტემბერს მოინახულა. ახალგაზრდა, რომელთან ერთადაც კანცლერმა სელფი გადაიღო, ძალიან ჰგავს ლააკრუის, რომელიც, ასევე, სირიიდან გახლავთ დევნილი. (mediacity.ge)

## თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ირინა ენუქიძის სახელი მიენიჭა



თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვიქტორ ნოზაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას, სანდრო გირგვლიანის დედის ირინა ენუქიძის სახელი მიენიჭა.

ირინა ენუქიძე 2007 წლის 24 აგვისტოს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა. 2015 წლის 22 დეკემბერს, პრეზიდენტმა ირინა ენუქიძე ქვეყნისა და ერის წინაშე გაწეული ღვაწლისთვის თამარ მეფის ორდენით დააჯილდოვა. (ipress.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# „დაანონსებული სკანდალური კადრები აუცილებლად გავრცელდება“

## „ირაკლი ღარიბაშვილი შეიძლება დიდი პრობლემების წინაშე აღმოჩნდეს!“

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



ჩვენ მოვისმინეთ ევროპის სახალხო პარტიის საპატიო პრეზიდენტის ჯოზეფ დაულის ულტიმატუმი, რომ ევროპარლამენტში სახალხო პარტიის ჯგუფი ვიზალიბერალიზაციას მხარს დაუჭერს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება თავისუფალი და სამართლიანი გზით. ახლა დავსვათ კითხვა, რა განსხვავებაა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგოლ კარასინისა და ჯოზეფ დაულის ამ ულტიმატუმებს შორის? როცა კარასინი შეეხო საქართველოში მოახლოებულ არჩევნებს და პოლიტიკურ ელიტას მოუწონა, შეეწყვიტა ანტირუსული ისტერია, ეს საკითხი მაშინვე მოინათლა, როგორც ქვეყნის შიდა პოლიტიკაში ჩარევა, რაც სწორი იყო, მაგრამ რატომ უნდა ეპატიოს ჯოზეფ დაულის მსგავსი განცხადების გაკეთება და ჩვენი ქვეყნის შიდა პოლიტიკაში ჩარევა? იბადება კითხვა, „ნაციონალური მოძრაობა“ ევროპის სახალხო პარტიის გავლით ხომ არ ემსახურება რუსეთის ინტერესებს. „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი ვიქტორ დოლიძე სწორედ ამ კონტექსტს მიანიშნებს და აცხადებს: „ჯოზეფ დაულის განცხადება რუსეთის ინტერესებს ეთანხმება. ეს იყო ცუდი განცხადება. ჩემი აზრით, ეს არის რუსული ინტერესი, რომ დღეს საქართველომ არ მიიღოს ვიზალიბერალიზაციის პროგრამა. ეს ვიწროპარტიული ინტერესების თემა არ არის, ეს არის თემა სახელმწიფო მნიშვნელობის. არ ვიცი, ეს განცხადება მას ოდესიდან დაუწერეს თუ თბილისიდან, მაგრამ დაული აშკარად კითხულობდა ამ განცხადებას და უნდა აგვიხსნას, რასთან გვაქვს საქმე. არანაირი კავშირი არჩევნებთან ან ვიზალიბერალიზაციას არ აქვს...“

„კურიერთან“ ინტერვიუში „ნაციონალური მოძრაობის“ სატელიტი პარტიის საპატიო პრეზიდენტი ჯოზეფ დაული აცხადებს, რომ გეგმავს საქართველოში ჩამოსვლას და ყოფილი თანამდებობის პირებს – გიგი უგულავას, ივანე მერაბიშვილსა და ბაჩანა ახალაიას მოინახულებს და ამ სამეულს, რომელსაც უამრავი დანაშაული მიუძღვის ქართველი ერის წინაშე, პოლიტპატიმრებად მოიხსენიებს. აი, სწორედ ამიტომაც ხართ უნიათოები „ქართული ოცნების“ წევრებო, რომ ამ ადამიანებს ვერ უმტკიცებთ დანაშაულს და ვიღაცა დაული ულტიმატუმების ენით გვესაუბრება და ქართველი ხალხის მონაპოვარს, იმ დამსახურებას, რომ მიიღოს ვიზალიბერალიზაცია, საფრთხის ქვეშ აყენებს... ხომ არ იკვრება საბედისწერო სამკუთხედი „ნაცების“, ოფიციალური კრემლისა და ევროპის სახალხო პარტიის სახით, რომ საქართველოს მოსახლეობას ხელიდან გამოაცალონ ყველაზე ღირებული მონაპოვარი და დაგვტოვონ რუსეთის პირისპირ. გვაქვს თუ არა საქმე შეთქმულებასთან და ევროპული ნიღბის ქვეშ მოქმედ „გრუ“-ს აგენტებთან, რომლებიც ამ ქვეყანას ყველაზე ცუდისთვის იმეტებენ?

ამ დეკლარირებული ბოროტების შემდეგ გვაქვს უფლება, ვიფიქროთ, რომ ამ სკანდალური ჩანაწერების ტირაჟირებაც ამ კამპანიის ნაწილია.

უკვე ცხადია, რა ტიპის არჩევნები გველოდება, ეს იქნება გამოცხადებული ომის ქრონიკა, „ნაცმოძრაობის“ ბოროტების ფოიერვერკი, რაც აქამდე არ გვინახავს. ვიდრე „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებას „ტრიუკებს“ უტარებს, კოალიციას „ქართულ ოცნებაში“ ჯერ კიდევ ვერ გაუყვია საპარლამენტო მანდატები და კვოტების გამო ლამისაა ერთმანეთი დაჭამონ. „ეროვნული ფორუმი“, რომელიც აპრილში ყრილობას მართავს, კოალიციის დატოვებით იმუქრება. „ქართულ ოცნებას“ „ფორუმის“ ბედი საერთოდ არ ანაღვლებს და უთვლიან, რომ, თუ სიკეთეს იზამთ და კოალიციას დატოვებთ, იქნებ ეს „რესპუბლიკელებისთვის“ სამაგალითო აღმოჩნდეს, სინდის-ნამუსმა შეაწუხოთ და დაგტოვონო...

**იურისტი ვალერი გელბახიანი „ალიასთან“ ინტერვიუში კოალიციის სავარაუდო დაშლასთან დაკავშირებით, აცხადებს:**

– „რესპუბლიკური პარტია“ ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ კოალიციაში შეინარჩუნოს ურთიერთობის ეს ფორმატი, ბუნებრივია, ეს მათ ინტერესებშია, რადგან კოალიციიდან რომ გამოვიდეს, მათ მოუწევთ „ქართული ოცნების“ ოპოზიციაში წასვლა, ან სხვა კოალიციის სუბიექტებთან ურთიერთობის მოძებნა. ეს მათთვის ახალი თავის ტკივილი იქნება. რაც შეეხება „ეროვნულ ფორუმს“, მათთვის ცნობილია, რომ კოალიციაში „ფორუმის“ ადგილი აღარ იქნება, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ის ასაჯაროებს ინფორმაციას, რომ კოალიციიდან გასვლა მოხდება მათი სურვილით. რეალურად კოალიციაში „ფორუმის“ საჭიროება უკვე აღარ დგას, ყველა პოლიტიკურ სუბიექტს ამოძრავებს ერთი ინტერესი, მოხვდებიან თუ არა პარლამენტში. „რესპუბლიკელები“ თვლიან, რომ ბიძინა ივანიშვილის ხარჯზე ძალიან ადვილია რაღაც წარმომადგენლობით მაინც აღმოჩნდნენ პარლამენტში, ამიტომ ისინი ცოცხალი თავით არ დატოვებენ კოალიციას და შეეცდებიან, სტატუს კვო შეინარჩუნონ, თუმცა ყველაფერი მაინც დამოკიდებულია ივანიშვილზე, თუ რას ფიქრობს იგი. როგორც ვხედავთ, ჯერჯერობით ის პაუზას აკეთებს, სწორადაც იქცევა, რომ შეფასებისგან თავს იკავებს, რადგან მისი ყოველი განცხადება აღქმული იქნება გარკვეული მოვლენების გამომწვევად. ივანიშვილი აცნობიერებს, რომ ასეთი გამოწვევებით შეიძლება დაჩქარდეს კოალიციის დაშლა, რომელიც მის ინტერესებში ნამდვილად არ შედის. არ შედის იმიტომ, რომ ახლა კოალიციის დაშლის დაჩქარების პროცესი რომ დაიწყოს, პირველ რიგში იშლება მთავრობა და მთავრობის დაშლის შემთხვევაში ივანიშვილს აღარ აქვს შანსი, შექმნას ახალი მთავრობა ამავე პარლამენტში, თუ, რა თქმა უნდა, დაიშლება კოალიცია საპარლამენტო არჩევნებამდე. ამიტომ ივანიშვილი მაქსიმალურად შეეცდება, შეინარჩუნოს ეს ფორმატი იმ სიტუაციამდე, ვიდრე არ მოხდება ახალი პოლიტიკური სახეების გამოცხადება, ჯერჯერობით ყველანაირად შეეცდება, არ გახსნას ფრჩხილი, რა ფორმატში მოუწევს მომავალში კონკრეტულ პოლიტიკურ ძალებთან ურთიერთობა, რომლებიც დღეს კოალიციის სუბიექტებად ითვლებიან. ის წინასწარი განცხადებები, რომ „ქართულ ოცნებას“ ეყოლება ახალი სახეები და დომინანტი ამ პარტიაში იქნებიან ქალები, მიანიშნებს ერთადერთზე, რომ დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი. უნდა ვივარაუდოთ, რომ „ქართული ოცნების“ 10%-იც კი აღარ იქნება ახალ სიაში, ეს ივანიშვილმა არაერთხელ დააფიქსირა, რადგან დღის წესრიგში დგას, რომ უნდა მოხდეს პარტია „ქართული ოცნების“ განახლება, ახალი სახეებით. სავარაუდოდ, აქცენტი კეთდება ახალგაზრდებზე. როგორც ვიცი, კადრების ძიება კვლავ აქტიურად მიმ-

ექსპერტი



**„ამ კადრების უკან იდეოლოგიური ნიღაბი არსებობს, რომელიც შეიძლება ისე განვითარდეს, რომ ზიანი მიაყენოს ძალიან ბევრ ადამიანს, მათ შორის, ბიძინა ივანიშვილს. ამიტომ ვფიქრობ, ივანიშვილს ამაზე ექნება ძალიან მკაცრი რეაქცია“**

დინარეობს „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის მეშვეობით, ახალგაზრდა ფრთა პირობითი სიტყვაა, ძალიან ბევრ სახეს რეკომენდაცია ექნება ბიძინა ივანიშვილის შვილების მხრიდან. საერთოდ, როცა გასაიდუმლოებული პროცესი მიმდინარეობს პარტიის შიგნით, ეს იმაზე მეტყველებს, რომ პარტიის ძველი აქტივის მიმართ ნდობა აღარ არსებობს.

**— თქვენი აზრით, ინფორმაცია ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნება რატომ გახდა აქტუალური, რატომ დაადასტურა პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ, რომ ღარიბაშვილთან მოლაპარაკებას აპირებდა „ქართული ოცნება“, რაც მეორე დღეს უარყო?**

– როგორც ჩანს, ღარიბაშვილის ზარი იყო ირაკლი კობახიძესთან, ალბათ, ითქვა მაგის მსგავსი, რომ ხომ არ შევხვდეთ და კონსულტაციები ხომ არ გავმართოთო. ამ განცხადების მეორე დღეს კობახიძეს, ალბათ, უთხრეს, რომ ზედმეტი ინფორმაციის გამჟღავნებისგან თავი შეეკავებინა და ჩვენ ვნახეთ, რომ მან უარყო, ღარიბაშვილთან ასეთი კონსულტაცია გამორიცხულიაო. ეს იყო ერთგვარი ტესტი ღარიბაშვილის მხრიდან, თუ რამდენად აქვს შანსი მოხვდეს „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში, რაც გამოირიცხა. იგი ერთხელ და სამუდამოდ ხელს ჩაიქნევს იმ ოცნებაზე, რომ კვლავ მოხვდეს „ქართულ ოცნებაში“, მაგრამ ამის შემდეგ არ გამოვრიცხავ, რომ ღარიბაშვილმა გადადგას დამოუკიდებელი პოლიტიკური ნაბიჯი და შექმნას პარტია. ღარიბაშვილს უკვე სათქმელი ექნება, მე მქონდა მცდელობა, ვყოფილიყავი თქვენთან ერთად „ქართულ ოცნებაში“, მაგრამ არ მოისურვეთ და ამიტომ, დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცხოვრებას ვიწყებო. არის მოლოდინი, ირაკლი ღარიბაშვილი იქცეს განტევების ვაცად და თუ მას დამცავი მექანიზმები არ ექნება, შეიძლება დიდი პრობლემების წინაშე აღმოჩნდეს.

**— რა სავარაუდო პრობლემებში აღმოჩნდება ღარიბაშვილი და ხომ არ გულისხმობთ მის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას, რომ არის მცდელობა, ღარიბაშვილის ჯგუფს დაუკავშირონ კადრების გავრცელება?**

– ამ კადრების უკან იდეოლოგიური ნიღაბი არსებობს, რომელიც შეიძლება ისე განვითარდეს, რომ ზიანი მიაყენოს ძალიან ბევრ ადამიანს, მათ შორის, ბიძინა ივანიშვილს. ამიტომ ვფიქრობ, ივანიშვილს ამაზე ექნება ძალიან მკაცრი რეაქცია. ახლა ღარიბაშვილმა უნდა გადადგას ნაბიჯი, დაიცვას თავი



მოსალოდნელი თავდასხმისგან, მარტივად რომ ვთქვათ, უნდა გაიკეთოს პოლიტიკური იმუნიტეტი.

**— თქვენი ვერსიით, პორნოსკანდალების კვალი ვისთან მიდის?**

– მე მგონია, პროკურატურამ რაღაც სცენარი უკვე იცის. უბრალოდ, მტკიცებულებათა შეგროვების ეტაპზეა, რომელსაც არ ასაჯაროებს ერთადერთი მიზეზით, რომ არ დაზარალდეს, „ქართული ოცნების“ იმიჯი, შესაძლოა, არსებობს კონკრეტული მტკიცებულებები პიროვნებებზე, რომლებიც არ უნდა ჩანდნენ ამ სცენარში. მე აქ სხვა რამე მგონია, ამ საქმეში ჩართულები არიან ის ადამიანები, რომლებიც კავშირში არიან ხელისუფლებასთან, ჯერჯერობით უნდა დაველოდოთ პროკურატურის სვლას, მათ აქვთ ინფორმაცია და ის მაინც იციან, საიდან აიტვირთა ფირები. ხმა გამოვიდა, რომ პორნოკადრები აიტვირთა რუსეთის ერთ-ერთ საიტზე. საინტერესოა, რატომ ფიქსირდება რუსეთთან კავშირი, რა საჭირო იყო რუსეთის ამ საქმეში ჩართვა, ძალიან ძნელია ამდენ ორომტრიალში პირდაპირ დაასახელო და ივარაუდო ისეთი მოვლენების განვითარება, რომელიც შეიძლება ამ წუთში არ იკითხებოდეს. მე ვფიქრობ, კადრების გავრცელება გაგრძელდება, დაანონსებულია 31 მარტი და თუკი ეს მუქარა არ გაცხადდა, მაშინ ძალას კარგავს ყველაფერი ის, რაზეც ეს ბინძური კამპანია იყო გათვლილი. ჩაფიქრებული კი არის ის, რომ წინასაარჩევნოდ ქვეყანაში აირიოს ვითარება. საკმაოდ ახლოს დგანან ჩანაფიქრთან დაინტერესებული ჯგუფები, რომ მოხდეს დესტაბილიზაცია. სამწუხაროდ, ეს კომპრომატები მოხვედრილია უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ხელში და მაღალი თანამდებობის პირებზე სერიოზულად იმუშავებენ, რომ გადაიბირონ ეს ადამიანები და გახადონ თავიანთი რეზიდენტები. მეც ვფიქრობ, ასეთი ადამიანები თანამდებობებზე არ უნდა იყვნენ...

ეთერ ბალაძე
593 15-64-47



**კვირას გმირთა მოედანზე ვეტერანების გამაფრთხილებელი აქცია გაიმართა, ისინი სამშაბათიდან მჯდომარე აქციას და შიმშილობის იწყებენ ერთადერთი მოთხოვნით — ვეტერანთა დეპარტამენტის უფროსი ირაკლი შიხიაშვილი უპირობოდ გადადგეს.**

**აქცია ჯერ ნორმალურად არც იყო დაწყებული, რომ გმირთა მოედნის მემორიალთან შიხიაშვილის ხალხი მოვიდა, მისმა პირველმა მოადგილემ ჯანრი უბირიამ გვირგვინით შეამკო მემორიალი და ჩხუბი დაუწყო შიხიაშვილის მოწინააღმდეგე ვეტერანებს, სასწრაფოდ დატოვეთ ტერიტორია, ეს წმინდა ადგილია და აქ არ შეიძლება შიმშილობაო. დოდო გუგეშაშვილიც გამოჩნდა, ყვიროდა, რა არ მოგწონთ შიხიაშვილისო??!! რა არ მოსწონთ შიხიაშვილის, ამაზე ვეტერანები „ალიას“ თავად უყვებიან.**

# შიხიაშვილის გადადგომის მოთხოვნით ვეტერანები შიმშილობას იწყებენ

## „ხელისუფლება სირაქლემას პოზაშია — თავი მიწაში აქვს ჩაყოფილი და კუდი უჩანს! არ ეშინია, რომ ამ კუდზე ცეცხლი წაეკიდოს?“







**გიორგი ბიძინაშვილი, ვეტერანი:**

– ვეტერანები, პირველ რიგში, ჰოსპიტალის დაბრუნებას ვითხოვთ და 800 ათასი ლარით დაფინანსებას (როგორც ადრე ფინანსდებოდა). ასევე, პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას და ვეტერანთა დეპარტამენტის უფროსის ირაკლი შიხიაშვილის გადადგომას. სწორედ ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო, ვიწყებთ მჯდომარე შიმშილობის აქციას. არა მგონია, რომ კვირიკაშვილმა ვეტერანებს ვერ გაგვიგოს. თუმცა, შიხიაშვილი თანამდებობიდან წასვლას არ აპირებს, არც წავა, რადგან თაფლის ჭამას მიჩვეული კაცი, თანამდებობას ვერ შეელევა. შიხიაშვილი დიდი ხანია, ვეტერანებს ატყუებს. ჯერ ერთი, ჰოსპიტალი უნდა აეშენებინა, მერე სოფელი გორგია, ახლა, ისევ ჰოსპიტალი. ასე გვათამაშებს, ცდილობს, დრო გაწელოს, რომ როგორმე გაძლოს ამ თანამდებობაზე. ჩვენ კი ვპირდებით, რომ ვერ დარჩება შიხიაშვილი თანამდებობაზე.

**გოგი მღებრიშვილი, ვეტერანი, პოლკოვნიკი:**

– შიხიაშვილი 24 საათი საზღვარგარეთ დასეირნობს, ვეტერანები კი გაჭირვეულ და გაუბედურებულ მდგომარეობაში ვართ. მას არც უსახლკარო ვეტერანების პრობლემა აწუხებს, ამიტომ ასეთი ადამიანი აქ არ უნდა იყოს. ვეტერანთა დეპარტამენტის უფროსად უნდა იყოს ისეთი, რომელიც არის ვეტერანი და იცის ყველა ვეტერანის გაჭირვება და ვეტერანებს რა სჭირდებათ. შიხიაშვილს ეს არ აინტერესებს, მას აინტერესებს მხოლოდ სკამი და ხელფასი. მე შემიძლია, წაგიყვანოთ და გაჩვენოთ, რა დღეში არიან ვეტერანები. გაუბედურებულები და უსახლკაროები.

**ვახტანგ მაჭავარიანი, ვეტერანი:**

– ვითხოვთ ვეტერანთა დეპარტამენტის უფროსის ირაკლი შიხიაშვილის უპირობოდ გადადგომას, ამის საფუძველი ნამდვილად გვაქვს, ამ ადამიანს მორალური უფლება არ აქვს, რომ ვეტერანთა დეპარტამენტის უფროსი იყოს.

**— ფიქრობთ, რომ შიმშილობით გადააყენებთ შიხიაშვილს?**

– ჩვენ პროტესტს გამოვთქვამთ, რატომღაც ხელისუფლება სირაქლემას პოზაშია – თავი მიწაში აქვს ჩაყოფილი და კუდი უჩანს. მერე არ ეშინია, რომ ამ კუდზე ცეცხლი წაეკიდოს? როდესაც გარშემო ამდენი ცეცხლის გამჩენი ტრიალებს? რეალურად, ჩვენი არც ერთი მოთხოვნა პოლიტიკური არ არის. ჩვენი მოთხოვნები სოციალური ხასიათისაა. მაგრამ სოციალურ პრობლემებზე თვალის დახუჭვამ, შესაძლოა, პოლიტიკური პრობლემები შეუქმნას ხელისუფლებას.

**— შიხიაშვილი თქვენთვის სასამართლოში ჩივილს აპირებდა.**

– იცით, რაშია საქმე? ქურდს კუდი ეწვოდაო, უბედნიერესი კაცი ვიქნები, თუ შიხიაშვილი ჩემს წინააღმდეგ შეიტანს სარჩელს! ვეტერანები ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ირაკლი შიხიაშვილი ვეტერანთა დეპარტამენტის უფროსი აღარ იყოს.

**მანანა ვერულაშვილი, ჰოსპიტალის დიაგნოსტიკური განყოფილების უფროსი:**

– 1-ლი აპრილიდან ჰოსპიტალში შუქი ითიშება და ფაქტობრივად, ქუჩაში გვყრიან. რა უნდა გავაკეთოთ? შიხიაშვილის ხალხი როგორ მოვიდნენ, როგორ შემოიჭრნენ, ხომ დაინახეთ. ჩვენ, უბრალოდ, არ გვინდოდა უსიამოვნებები და გავერიდეთ... ჩვენ არ ავყევით და არ ვიჩხუბეთ. ჯერჯერობით, ველოდებით სამშაბათს, რა გადაწყდება....

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# „IP მისამართის დადგენას ორი დღე სჭირდება“



კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალისტი ვასილ ჯამალაშვილი აცხადებს, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების გავრცელების მსგავსი გამოძიება ამერიკულ სპეცსამსახურებსაც უჭირთ.

ჯამალაშვილი აცხადებს, რომ IP მისამართის დადგენას დაახლოებით, ორი დღე სჭირდება, თუმცა ეს არაფერს ნიშნავს, რადგან კვალი შესაძლოა, რამდენიმე ქვეყანაში აღმოჩნდეს.

– ამერიკულ სპეცსამსახურებსაც კი უჭირს ასეთი სახის გამოძიებები, ვინაიდან ასეთი ტიპის დანაშაული საკმაოდ ახალია და კიბერსფერო ყოველთვის ვითარდება. ამერიკული კანონმდებლობის შესაბამისად, youtube-ზე ისტორია – ვინ რა ატვირთა, IP მისამართების ისტორია საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ინახება. შეიძლება, კვალი რამდენიმე ქვეყანაში გავიდეს, – განაცხადა ჯამალაშვილმა გადაცემა „არჩევანში“ სტუმრობისას. (pia.ge)

# წულუკიანი: გერმანიაში ჩვენი მოქალაქეები თავშესაფრის ძებნის საბაბით ქურდობენ, ყაჩაღობენ



იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გერმანიის ფედერალური კრიმინალური სამსახურის პრეზიდენტი ჰოლგერ მიუნში მიიღო.

– გერმანიის ფედერალური კრიმინალური პოლიციის ხელმძღვანელისა და მისი დელეგაციის ვიზიტი, რა თქმა უნდა, უკავშირდება ჩვენს თანამშრომლობას დანაშაულთან ბრძოლის საქმეში, მაგრამ პირდაპირ კავშირშია, ასევე, საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების მომავალ გადაწყვეტილებასთან. ეს პროცესი, როგორც ვიცით, დაძრულია და ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და მათ ძალოვან სტრუქტურებში უნდა შეიქმნას ის განცდა, რომ საქართველოდან საზღვრების გახსნის შემთხვევაში ჩასული მოქალაქეები დაიცავენ იქაურ კანონს და არ შექმნიან დანაშაულის საფრთხეს. ამიტომაც ჩვენი თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის უნდა გაათმაგდეს და მნიშვნელოვანია, ასევე, ის პრეცედენტები, რაც გერმანიაში არსებობს და ამაზე ფართოდ ისაუბრა ჩვენმა სტუმარმა, რომ იქ საქართველოს მოქალაქეები თავშესაფრის ძებნის საბაბით სჩადიან ძარცვას, ყაჩაღობას, ქურდობას. ჩვენ ვთანამშრომლობთ მათთან იმისთვის, რომ ასეთი მოქალაქეები უკან დავიბრუნოთ და მათ სასჯელი ქართულ ციხეში მოიხადონ, – განაცხადა თეა წულუკიანმა. (ipress.ge)

## აბესაძე: მოსალოდნელი იყო პოლიტიკური პროცესის დაწყება ბაგა-ბაღებში



თბილისის ბაგა-ბაღებში თანამშრომლების განთავისუფლებას „ნაციონალური მოძრაობა“ გამოეხმაურა. საკრებულოს დეპუტატი ირაკლი აბესაძე აცხადებს, რომ ეს არის პოლიტიკური პროცესი და უკავშირდება წინასაარჩევნო პერიოდს.

– დიდი ხანია ვსაუბრობთ, რომ მოსალოდნელი იყო პოლიტიკური პროცესის დაწყება ბაგა-ბაღებში და პროფესიონალი თანამშრომლების, შრომის კოდექსის უხეში დარღვევით, გაყრა, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური აქტივისტების დასაქმების მიზნით. ეს არის მძიმე კანონდარღვევა, რომლისთვისაც ეს ხელისუფლება პასუხს აგებს, როგორც კანონის წინაშე, ასევე, ოქტომბერში არჩევნებზე, – განაცხადა აბესაძემ.

თბილისის რამდენიმე ბაგა-ბაღის დირექტორის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ განცხადება თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა თემურ თორდინავამ 16 მარტს გააკეთა.

მისი განცხადებით, რამდენიმე დირექტორი მოვალეობის არაჯეროვნად ასრულებდა და დირექტორების განთავისუფლების მიზეზი მათზე დაკისრებული ვალდებულებების განმეორებითი დარღვევა გახდა. (news.ge)

## ირაკლი ალასანია — დათა ახალაიაზე ინტერპოლის გადაწყვეტილებაში პროკურატურის არაპროფესიონალიზმი იკვეთება



– დათა ახალაიასთან დაკავშირებით ინტერპოლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში პროკურატურის არაპროფესიონალიზმი იკვეთება, – ამის შესახებ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ ინტერპოლის გადაწყვეტილების კომენტირებისას აღნიშნა, რომლის თანახმადაც კუდ-ის ყოფილი ხელმძღვანელი დათა ახალაია წითელი ცირკულარით აღარ იძებნება.

– ეს არის ევროპელებისა და საერთაშორისო სამართალდამცავი სტრუქტურების გადაწყვეტილება. ქართულ პროკურატურას შესაბამისი არგუმენტაცია უნდა მიეცა საერთაშორისო პოლიციისთვის. აქ იკვეთება პროკურატურის არაპროფესიონალიზმი, – აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

დათა ახალაიას მიმართ ინტერპოლმა წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნა შეწყვიტა. (ინტერპრესნიუსი)

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



ვაი თუ ვაი?

# „ახლა მთელი საზოგადოება 31 მარტის მოლოდინშია და ყველა იმ შიშით ცხოვრობს, რა ჩანაწერებს გამოაქვეყნებენ“

## „რას გიზამთ, ბიძინას უყვარს პოლიტიკური ბოზები, რაც უკვე ბევრჯერ დადასტურდა“







**„გამიგია, რომ დიმიტრი ქიტოშვილს, რომელიც ერთ დროს პრეზიდენტ სააკაშვილის საპარლამენტო მდივანი გახლდათ, იმისთვის, რომ მისგან სასურველი ჩვენება მიეღოთ ოქრუაშვილის წინააღმდეგ, ემუქრებოდნენ, რომ მის ცოლს გაუგზავნიდნენ პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებს და ამით მოახდინეს მისი დაშანტაჟება“**

უცნაური დამთხვევაა, საარჩევნო კამპანია საქართველოში და ამერიკის შეერთებულ შტატებში პორნოსკანდალების ფონზე მიმდინარეობს. დონალდ ტრამპის მთავარი მეტოქე საპრეზიდენტო არჩევნებში ტედ კრუზი, სექსსკანდალებშია გახვეული. მეგაგამოცემები წერენ, რომ ტედ კრუზი მეუღლეს ხუთ ქალთან ღალატობდა. ჩამოთვლილია ის ქალბატონები, ვისთანაც ტეხასის შტატის სენატორს სექსუალური ურთიერთობები ჰქონდა. ერთ-ერთი ქალბატონი ამერიკის საპრეზიდენტო კანდიდატის კრუზის ყოფილი პოლიტიკური კონსულტანტი და დონალდ ტრამპის ამჟამინდელი პრესსპიკერია.

ჩვენთან კი საქართველოს პრეზიდენტი გამოდის და ამაყად ამბობს, რომ მას აქვს მრავალფეროვანი და მდიდარი სექსი. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ეს კარგი ტონია, შევახსენებთ, რომ ის არის ქაჯი. სექსსკანდალების გამო დასავლეთში პოლიტიკოსები პოლიტიკურ კარიერას კარგავენ, ხოლო სექსსკანდალების გამო საქართველოში კარიერას იკეთებენ. ეს არის ქვეყანა, სადაც მკვლელი ადამიანის უფლებებს იცავს, ბოროტი სიკეთის კეთებას „გასწავლის“, ბოზი მორალს გიკითხავს, ბიუჯეტის ქურდი — პატიოსნებაზე თავს დებს... ეს სტანდარტები დანერგა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და ბეჯითად აგრძელებს „ქართული ოცნება“. როცა ექსპერტები ამბობენ, რომ ასეთი რთული ვითარება, როგორიც დღეს არის ქვეყანაში, არასოდეს ყოფილა, მათ შორის არც შევარდნაძის და არც მიხეილ სააკაშვილის დროს. ამაში არის სიმართლე, რადგან იმ პოლიტიკურ მოცემულობაში მეტ-ნაკლებად ყველაფერს თავისი სახელი ერქვა და იმის შიშით, რომ სააკაშვილის ჯოჯოხეთში არ აღმოჩენილიყვნენ, ვერ ბედავდნენ საკუთარი პოზიციების ხმამაღლა გამოხატვას, მუდმივი მორჩილების პოზაში მყოფები რიგში იდგნენ, როდის მოუწევდათ სააკაშვილისთვის ხარკის გადახდა. შევარდნაძის დროს ქვეყანა კორუფციის ჭაობში იხრჩობოდა, ყველა ჯიჯგნიდა ამ ქვეყანას. დღეს კი უმართავი სიტუაციაა, როდესაც ხალხს არც პური აქვს და სანახაობაც ისეთი გულისამრევია, რომ ფიქრობ, სად გაიქცე... დღეს ყველას გმირობა უნდა, მათაც კი, ვინც ყველაზე უკანასკნელი ნაძირალაა. ქვეყანაში გამეფდა გიჟის თავისუფლება და არის შეგრძნება, რომ მართლა იმყოფები საგიჟეთში.

**„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა „ალიასთან“ აცხადებს:**

– საქართველოში სისტემურ დანაშაულს ჰქონდა ადგილი ხელისუფლების მხრიდან, „ნაციონალური მოძრაობა“ იღებდა იმ ფარულ კადრებს, რითიც დაშანტაჟებული ჰყავდა პოლიტიკური ოპოზიცია, საზოგადო მოღვაწეები, ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს მიმდინარეობს მხოლოდ ინფორმაციის დონეზე და კადრები არ ახლავს. ერთი რამ შემიძლია გითხრათ, ის, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება პორნოსკანდალებთან დაკავშირებით, ამ საქმით ან იმპოტენტები არიან დაინტერესებული, ან ონანისტები. ასეთი რამ ხდება მხოლოდ ელცინის რუსეთში, ავღანეთში და მსგავს ქვეყნებში. თუ ჩვენ გვინდა, შევქმნათ ისეთი ქვეყანა, როგორიც არის – ავსტრია, შვეიცარია, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ამ ბინძურ თემას საბოლოოდ დავუსვათ წერტილი. ბინძური კადრების შემკვეთიც დაისაჯოს და მისი გამავრცელებელიც. ამ სკანდალში პირველი ეჭვმიტანილი არის „ქართული ოცნება“, მაგრამ კიდევ არის მეორე, მთავარი ეჭვმიტანილი და ეს არის „ნაციონალური მოძრაობა“, რომლის გადაღებულიცაა ფირები. მაგრამ, ალბათ, იმასაც ამჩნევთ, რომ ყველაზე ლოიალურები ამ ჩანაწერების გავრცელების მიმართ არიან „ოცნების“ წევრები. არასაპარლამენტო ოპოზიციისთვის კი ეს კატეგორიულად მიუღებელია და ისინი საკუთარ პრინციპულ პოზიციას აფიქსირებენ. ეს ინდუსტრია შექმნა პირადად მიხეილ სააკაშვილმა, სექსკომპრომატებს იყენებდნენ ოპერატიული ინფორმაციისთვის. მაგალითად, გამიგია, რომ დიმიტრი ქიტოშვილს, რომელიც ერთ დროს პრეზიდენტ სააკაშვილის საპარლამენტო მდივანი გახლდათ, იმისთვის, რომ მისგან სასურველი ჩვენება მიეღოთ ოქრუაშვილის წინააღმდეგ, ემუქრებოდნენ, რომ მის ცოლს გაუგზავნიდნენ პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებს და ამით მოახდინეს მისი დაშანტაჟება. კიდევ რამდენიმე პოლიტიკოსის გვარ-სახელია ცნობილი, რომელსაც ახლა არ დავასახელებ... მიხეილ სააკაშვილი მათ ცოლებსაც უგზავნიდა სექსუალური ხასიათის კადრებს და აჩვენებდა, როგორ ღალატობდნენ ქმრები, მაგრამ სააკაშვილს ჰქონდა განკარგულება გაცემული, რომ საჯარო სივრცეში ამ ხასიათის ფირები არ უნდა მოხვედრილიყო. ბიძინა ივანიშვილს სხვა მიდგომა აქვს, ის თვლის, რომ ზუსტადაც საჯარო სივრცის საშუალებით უნდა მივიდეს ადრესატამდე.

**— სხვათა შორის, თქვენი პარტიის წევრმა გია ყრუაშვილმა აღიარა, როგორ გაუგზავნეს მის მეუღლეს სექსუალური ხასიათის ფირები, რის გამოც ყრუაშვილის მეუღლეს მუცელი მოეშალა, იგი მეექვსე ბავშვს ელოდებოდა.**

– დიახ, ასე იყო, მაგრამ არც ქიტოშვილი და არც ყრუაშვილი არ ყოფილან გამონაკლისები, სააკაშვილის რეჟიმის დროს ამას ჰქონდა მასობრივი ხასიათი. ამიტომაც ჰყავდა ყურებით გამოჭერილი ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერი და სწორედ ამის გამო ვერ მიაღწია ოპოზიციამ მიზანს სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მე უკვე აღარ ვიცი, რომელი სჯობია, ის, რასაც მიშა აკეთებდა, თუ ის, რაც დღეს ხდება, როცა ღიად აქვეყნებენ ამ მარაზმს, ჩემთვის ორივე კანიბალია – „ნაციონალებიც“ და „ქართული ოცნებაც“. ახლა მთელი საზოგადოება 31 მარტის მოლოდინშია და ყველა იმ შიშით ცხოვრობს, რა ჩანაწერებს გამოაქვეყნებენ ის ბოროტი ძალები, ვინც ინტერნეტმუქარა შემოუთვალა ზოგიერთ პოლიტიკოსს, მინისტრსა თუ ჟურნალისტს.

**— გასულ კვირას ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, ამას ადასტურებდა პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე, რაც მეორე დღეს გადათქვა. ერთია, რომ კობახიძე არასერიოზული პიროვნებაა, რადგან მას უკვე მერამდენედ უწევს საკუთარი სიტყვების უკან წაღება, მეორეა, ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკაში მოსვლა-არმოსვლის საკითხი. რას ფიქრობთ, რატომ წამოიწია ეს თემა დღეს?**

– გამოვრიცხავ ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას, იგი უკვე გასროლილი ტყვიაა, ნამდვილად არ მინდა ღარიბაშვილსა და მის ოჯახს გული ვატკინო, მაგრამ დღეს მისი პოლიტიკური ფასი არის ნული და ამ ჭორებს ვილაც შეგნებულად ავრცელებს. სად უნდა დაბრუნდეს ღარიბაშვილი, როცა „ქართულ ოცნებაში“ ფეხის ჩასადგმელი ადგილი არ არის, ან ვის სჭირდება ის, რომელიც წასული არ იყო პრემიერ-მინისტრობიდან, როცა მისი კოალიციის წევრებმა მიაძახეს, – ღარიბაშვილის ბედი აღარ გვაინტერესებსო...

**— რა ინფორმაცია გაქვთ, რა ხდება „ქართულ ოცნებაში“, ერთ დროს თქვენი მეგობრები — „ფორუმელები“, „კონსერვატორები“, რას აპირებენ? „ქართული ოცნების“ ახალ საარჩევნო ბლოკში შესაძლოა, „ფორუმმა“ უარი თქვას, თქვენ გჯერათ კოჯრის ტყის ზღაპრების?**

– ესენი არიან ნაძირალები, „ქართულ ოცნებას“ არანაირი პოლიტიკური პრინციპები არ გააჩნია, ეს კოალიცია კი არა, ქარვასლაა, სადაც ვაჭრობა მიდის. ზოგიერთი რომ იძახის, ჩვენ ვართ ევროპელებიო, ისეთივე ყალბები არიან, ვისაც ჩოხა აცვია და ხმას აძლევს ანტიდისკრიმინაციულ კანონს. ვისაც კი ევროპული მანტია



## „კახა შარტავა ფულს იღებს გუბაზ სანიკიძის ჯიბიდან, ახლა მოილაპარაკეს, რომ განგაშის ზარები შემოსცხონ“

აქვს მოსხმული, სწორედ ისინი არიან რუსეთის აგენტები, ყველა კონსერვატორი და ლიბერალი არის მოჩვენებითი, სინამდვილეში ფულზე დახარბებული კიკუები არიან, რომლებიც 10 ლარად ნებისმიერ სიაში ჩაეწერებიან. ახლა ისინი ვაჭრობენ, ჰგონიათ, რომ მეტ კვოტას მისცემენ, „ფორუმს“ ორ მანდატზე მეტს არ აძლევენ და ამიტომ იმუქრებიან კოალიციიდან გასვლას, გაქანებული ვაჭრობა მიდის „ფორუმელებისა“ და „მრეწველების“ მხრიდან.

**— „ეროვნული ფორუმის“ შიგნითაც რომ საქმე კარგად არ არის, ამას მათი ოთხწლიანი მოღვაწეობა მოწმობს პარლამენტში და გუბაზ სანიკიძის მიმართ არსებობს პრეტენზიები, ის კახა შარტავას თავის ტკივილად იქცა, რადგან სანიკიძემ „ფორუმს“ რეიტინგი გაუნულა...**

– ოჰ, რას მელაპარაკებით, ახლა, 2016 წელს კახაბერ შარტავას პრეტენზიები გაუჩნდა სანიკიძის მიმართ? ახლა აღარ ეთანხმება სანიკიძის პლატფორმას? რა საინტერესოა... სად იყო შარტავა 2012, 2013, 2014, 2015 წელს?!. გასაგებია, რაც ხდება. ეს არის გამიზნული ამომრჩევლის დასაბოლებლად.

**— კახა შარტავას გუბაზ სანიკიძისადმი პრეტენზია მას შემდეგ გაუჩნდა, როცა სანიკიძე დაუკრეფავში გადავიდა და უმადურობა გამოამჟღავნა ივანიშვილის მიმართ... „ნაციონალებმა“ სანიკიძის საუბრის ფარული ჩანაწერი გამოაქვეყნეს და ყველამ მოვისმინეთ, რომ ამ ადამიანის ერთადერთი მიზანი იყო პოლიტიკაში მოსვლით მილიონები ეშოვა, სინამდვილეში მას ხალხი ფეხებზე ჰკიდია. სანიკიძის ამ ქმედებამ კახა შარტავას იმ მომენტისთვის პოლიტიკური კარიერა მოუკლა, ბიძინა ივანიშვილი შარტავას პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატად განიხილავდა...**

– ახლა მე გეტყვით სიმართლეს, როგორც გინდათ, ისე დაწერეთ. კახა შარტავა ფულს იღებს გუბაზ სანიკიძის ჯიბიდან, ახლა მოილაპარაკეს, რომ განგაშის ზარები შემოსცხონ, რადგან კვოტა შეუმცირეს პარტიულ სიაში. ცდილობენ, გაითამაშონ სცენარი, თითქოს გადიან კოალიციიდან, ეგებ ვიღაცამ „ზევიდან“ უთხრათ, – ჯანდაბას, აჰა თქვენ, გქონდეთ ოთხი მანდატი ორის ნაცვლად და დაყაბულდითო. სად არის წამსვლელი „ფორუმი“, რისი თავი აქვთ, ესენი არჩევნებს როგორ მოიგებენ, ეს ხომ სასაცილოა?!. მაქსიმუმ ოთხ მანდატზე მიდის ომი, და ყველაფერს გააკეთებენ, რომ დარჩნენ კოალიციაში, ისევე როგორც ზვიად ძიძიგური, წიხლი რომ ურტყა, კოალიციიდან წამსვლელი არ არის, ოღონდ ფორუმისგან განსხვავებით, ძიძიგური კვოტებზე არ ვაჭრობს, რასაც მისცემენ, იმას დაყაბულდება. რას ვიზამთ, ბიძინას უყვარს პოლიტიკური ბოზები, რაც უკვე ბევრჯერ დადასტურდა. რაც შეეხება „რესპუბლიკელებს“, ეს პარტია დაბადებიდან სპეცსამსახურებთან თანამშრომლობს, რომელთა მიზანიც არის მუდმივად პარლამენტში ყოფნა. „რესპუბლიკური პარტია“ კომუნისტების დროს მათი აგენტურა იყო, ახლა ამერიკელების აგენტურაა, დემოკრატია იქნება – დემოკრატები იქნებიან, ავტორიტარიზმის დროს – ავტორიტარები, მთავარია, პარლამენტში ფრაქცია ჰყავდეთ, ხელფასი და სამივლინებო ხარჯები აიღონ. მოკლედ, მე ვფიქრობ, რომ ეს კოალიცია არ დაიშლება, იგივე შემადგენლობით დარჩებიან შემცირებული კვოტებით.

### ვცი თუ ვცი?

**— არასაპარლამენტო ოპოზიცია როგორ აპირებს არჩევნებზე ხელისუფლებისთვის ბრძოლას? აი, თქვენ, ოპოზიცია, მუდმივად ხელისუფლებისკენ რომ იშვერთ თითს და ვერ ახერხებთ ყველაზე მარტივი პოლიტიკური კომბინაციის გაკეთებას, რომ გაერთიანდეთ, ეს სამარცხვინო არ არის? სხვის ბოსტანში კენჭებს ითვლით და საკუთარი ქვა ვერ დაგინახავთ.**

– მე მხარს ვუჭერ ოპოზიციის გაერთიანებას, მიუხედავად იმისა, რომ არ მომწონს ბევრი საპარლამენტო პარტია, მიმაჩნია, რომ ისინი არ არიან სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსები, ამ ბანძი „ნაცებისა“ და „ქოცების“ ფონზე, რომლებიც არიან კრიმინალები და მათი ადგილი ციხეშია, უმჯობესია, მოხდეს არასაპარლამენტო ოპოზიციის გაერთიანება. ჩემი სახელმწიფოებრივი ხედვა არის ასეთი: თუ გვინდა, რომ ქართველი ერი გადარჩეს, თუ გვინდა სახელმწიფოს 21-ე საუკუნეში ჰქონდეს მომავალი, ყველაზე კარგი იქნება 2016 წლის 31 დეკემბერს სააკაშვილიც და ივანიშვილიც, ორივე იჯდეს ციხეში და თუკი კვლავ ესენი იქნებიან ხელისუფლებაში, ჩვენ ვიქნებით დამპალი ბანანის ხელისუფლება.

## „99,9%-ით დარწმუნებული ვარ, რომ ბრიუსელში მომხდარი აფეთქებების უკან რუსეთი დგას. იმიტომ, რომ ეს მისთვის მომგებიანია“



– 99,9%-ით დარწმუნებული ვარ, რომ ბრიუსელში მომხდარი აფეთქებების უკან რუსეთი დგას. იმიტომ, რომ ეს მისთვის მომგებიანია. და მომგებიანია სწორედ დღეს, – ამის შესახებ სოციალურ ქსელში მსოფლიო პოლიტიკის ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვიქტორ შლინჩაკი წერს.

– პირველ რიგში, მას სურდა სავჩენკოს განაჩენიდან ყურადღების გადატანა.

მეორე, ამით მიანიშნა ნატოს (რომლის შტაბ-ბინა სწორედ ბრიუსელშია), რომ რუსეთის სირიიდან წასვლით ყველაფერი მხოლოდ იწყება. ამიტომაც იყო, რომ ალექსეი პუშკოვმა ლატვია ახსენა – რუსეთი მსოფლიოს უმტკიცებს, რომ მისი „კეთილი ნების“ გარეშე ევროპაში მშვიდობა შეუძლებელია. ანუ, მათი ლოგიკით, ყველას უნდა შეეშინდეს და დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან და პუტინთან უნდა შეთანხმდნენ. რაც მიუღებელია.

მესამე, ეს უკრაინის მიმართ ყურადღების მოდუნებაა. იმიტომ, რომ ევროკავშირისთვის შიდა უსაფრთხოება ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე „სადღაც იქ“ ომი.

და აქ კი მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ უკრაინა უკვე ორი წელია, ევროკავშირის საზღვრებს იცავს პირდაპირი შეჭრისა და მუდმივად მოქმედი „ჰიბრიდული ომისგან“, რომელიც პუტინის მიერაა გამოცხადებული. და რომ ჩვენ არ ვართ ის მონეტა, რომლის გაცვლასაც მოსკოვი გარკვეული დათმობების გამო ეცდება (ეკონომიკურის, პოლიტიკურის, ტერიტორიულის), არამედ ვართ ფარი, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში იცავდა ევროკავშირს კრემლის ელიტის უსაზღვრო ამბიციებისგან.

თუ ევროკავშირი ერთხელ მაინც წავა დათმობებზე, პუტინის შეჩერება შეუძლებელი იქნება. იქნება კიდევ ახალი აფეთქებები. (news.ge)

## პოლონეთი ლტოლვილებს არ მიიღებს

პოლონეთის პრემიერ-მინისტრი ბეატა შიდლო აცხადებს, რომ მისი ქვეყანა ევროკავშირის მიერ შემუშავებული სქემის კვოტების მიხედვით გადასანაწილებელ ლტოლვილებს არ მიიღებს. პრემიერის თქმით, წინა ხელისუფლებამ მართალია, გამოაცხადა, რომ რამდენიმე ათას ლტოლვილს მიიღებდა, მაგრამ ეს იყო ნებაყოფლობით საფუძველზე. ამასობაში, პოლონეთის რადიოს ინფორმაციით, გამოკითხვის თანახმად, პოლონელთა 78 პროცენტი ლტოლვილთა მიღების წინააღმდეგია. მათი აზრით, სირიიდან და ერაყიდან ლტოლვილთა მიღება პოლონეთის უშიშროებას საფრთხის ქვეშ დააყენებს. (euronews.ge)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



# რატომ ამბობს უარს დაცვაზე ზაზა ხატიაშვილი?

## ზაზა ხატიაშვილი: „ეს ხელისუფლება ასეთია თუ ისეთი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მიშისტები გამოსწორდებიან“



**თბილისის საქალაქო სასამართლოში „კორტების საქმის“ განხილვაზე მისულ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს, ზაზა ხატიაშვილს მსჯავრდადებულთა მხარე სიტყვიერად და თითქმის ფიზიკურად დაუპირისპირდა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, მას მისდევდნენ, ლანძღავდნენ, ციხეში ჩასმით ემუქრებოდნენ, როცა ხელისუფლებაში ისევ მოვალთ, სასტიკად გაგისწორდებითო. ესენი ჯერ არ მოსულან, ხალხს უკვე ჩაცხრილვით ემუქრებიან, რომ დაბრუნდნენ (იმდენი არ აუდგათ გვერდები), ხომ დააპატიმრებენ და ჩახოცავენ მთელ საქართველოს? როგორც ასოციაციის წევრი ადვოკატები აცხადებენ, ზაზა ხატიაშვილის უსაფრთხოება დაცული არ არის და მას ყოველ წუთს ელოდება საშიშროება და ამიტომ ასოციაციამ უნდა დაუქირაოს დაცვა. სხვა შემთხვევაში ფატალური შედეგიც არ არის გამორიცხული. ცოტა ხნის წინ ადვოკატმა ემზარ პაქსაძემ პრესკონფერენცია გამართა და ზაზა ხატიაშვილი „ამხილა“. თითქოს მისი შვილი სწავლობს საფრანგეთში, თუმცა მალევე აღმოჩნდა, რომ ეს იყო მორიგი ტყუილი. ხატიაშვილი ვარაუდობს, რომ პაქსაძის გამოხდომა იყო გარკვეული მინიშნება და „ვიღაცა“ მის შვილებს დაემუქრა. როგორც თავად ზაზა ხატიაშვილი ამბობს „ალიასთან“, ის არავითარი დაცვის აყვანას არ აპირებს და მადლობას უხდის კოლეგებს, რომ ასეთი ინიციატივით გამოდიან:**

– მე საკუთარ თავს არ დავეძებ, სასამართლო პროცესზეც იმიტომ მივედი, რომ იურა ვაზაგაშვილის მეუღლეს მუდმივად აყენებენ შეურაცხყოფას. მე სპეციალურად მივედი, მაინტერესებდა, მეც თუ გამიბედავდნენ ლანძღვა-გინებას და პროვოკაციების მოწყობას. საერთოდ, აპოლიტიკური ადამიანი ვარ, არ მაინტერესებს არც ერთი პოლიტიკური ძალა. დამიწყეს ლანძღვა, მუქარა, ატეხეს ერთი ამბავი, სასამართლო პროცესი რომ დამთავრდა, იურა ვაზაგაშვილის მეუღლეს, ქალბატონ ციალას ვუთხარი, დავიცადოთ, ათი წუთის შემდეგ გავიდეთ-მეთქი. გავედით და გარეთ ყოფილან ჩასაფრებულები. სიცოცხლეში არაყი არ დამილევია, ღვინოსაც იშვიათად ვსვამ და ამ დროს თურმე ვყოფილვარ ლოთი, ნარკომანი... არ ავყევი, მივხვდი, რომ ეს იყო სამარცხვინო პროვოკაცია.

**— ინფორმაცია გავრცელდა, თითქოს პოლიცია იქვე იდგა და არ ჩაერია.**

– არა, ეგ ტყუილია, იქვე იყვნენ, ერთი უკნიდან ამომიდგა, მეორე – წინიდან, ბატონო ზაზა, გაგაცილებთო. მე ვუთხარი, არ მინდა, ციალა შანავა გააცილეთ, მაგას მიხედეთ-მეთქი. პოლიცია რომ არ ჩარეულიყო, ცუდი ამბები დატრიალდებოდა, ალბათ, ფიზიკურად გაგვისწორდებოდნენ. ამავე დროს მე ხალხს ვაჩვენე, რომ „ნაციონალების“ გამოსწორება



არ შეიძლება, ეს ხელისუფლება ასეთია თუ ისეთი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მიშისტები გამოსწორდებიან. ზურა ვაზაგაშვილი დახვრიტეს ქუჩაში და მის დედას სასამართლო პროცესზე უკრძალავენ მისვლას. მეტიც, ვინც მიდის და ამ ქალბატონის გვერდით ჯდება, ყველას აყენებენ შეურაცხყოფას. მე ყველგან მივალ, ია მეტრეველსაც აყენებენ შეურაცხყოფას და მინდა, ეს ქვეყანამ ნახოს. ბიძინა ივანიშვილმა თავზე დაგვასვა მურუსიძე და სხვა კუთხით წაიყვანა საქმე, მაგრამ მაინც როგორ უნდა ვთქვა, რომ „ნაციონალები“ არიან ნორმალურები? გული მიკვდება, როცა ქალბატონ ციალას მასხრად იგდებენ. ის ადამიანები, რომლებიც 24 საათი იურა ვაზაგაშვილის ოფისში ისხდნენ, დაიმალნენ, აღარავინ აღარ მოდის.

### ყვირის ხანჯალი

**— ეს ზაზა პაქსაძე ვინაა, მაგას რაღა უნდა შენგან?**

– მაგან თავისი ჭკუით ჩემზე დაიწყო შტურმი, რათა გამაჩერონ არჩევნების წინ. ჩემი შვილი სკოლის მოსწავლეა, რა უნდა საფრანგეთში, სად მაქვს მე მაგდენი ფული? ბავშვს საფრანგეთში რომ ვასწავლო, მაშინ კრედიტი უნდა ავიღო. მე ვამხილე ლევან მურუსიძე, როცა მან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხუთ არამოსამართლე წევრზე პრემიის სახით გასცა 158 ათასი ლარი. ეს იყო დარტყმა ამის საპასუხოდ, მაგრამ ყველამ იცის, რომ ეს ტყუილია. მე ასოციაციის მანქანაც კი გავყიდე და დღეს დავდივარ ფეხით. ზაზა პაქსაძე არის იუსტიციის საბჭოს წევრის, კახა სოფრომაძის ყოფილი პარტნიორი, იურიდიულ ფირმაში ერთად მუშაობდნენ და ამიტომაც დამარტყა.

**— ზაზა, როგორ ფიქრობ, რეალური საფრთხე არის?**

– არ ვიცი... არა მგონია, რაც არ უნდა გააკეთონ და დამაბრალონ, მაინც ვერ გამაჩერებენ, ჩვენ გვინდა ნორმალური სასამართლო და არა მურუსიძეების კანტორა. ეს ბრძოლა არ არის ია-ვარდით მოფენილი, შეიძლება შეურაცხყოფა მომაყენონ, მაგრამ ვინმემ ხომ უნდა ამოიღოს ხმა? პაქსაძემ ისიც კი დამაბრალა, ხატიაშვილი უცხოეთში რომ დადის, ასოციაციის ფულს არ ხარჯავს, „ნაციონალები“ აფინანსებენ, აბა, საიდან აქვსო? მე ევროპის საბჭოს ვთხოვე, ჩვენ ფული არ გვაქვს, სადაც თქვენი ეგიდით წავალ, დამაფინანსეთ-მეთქი და მაფინანსებენ. ახლა ასოციაციის ფული რომ დავხარჯო, ეს ხალხი ცოდო არ არის? ასე რომ, მე არავისი არ მეშინია, ათი წელიც რომ გაგრძელდეს ეს სასამართლო პროცესი, ასე ვიჯდები ციალა შანავას გვერდით, არ შეიძლება, იური ვაზაგაშვილის მეუღლე მიატოვოს ყველამ. მომდევნო პროცესი 13 მაისს არის ჩანიშნული და ვაპირებ, ხალხიც მივიყვანო, მობილიზაცია უნდა გამოვაცხადო!

## პეტრიაშვილის დაჭრის საქმეზე ბიზნესმენი სოსო დოლიძე დაკითხეს

„თავისუფალი დემოკრატების“ გენერალური მდივნის ალექსი პეტრიაშვილის დაჭრის ფაქტის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ აქამდე უცნობი დეტალი გახდა ცნობილი.

როგორც ადვოკატი ლილი გელაშვილი ამბობს, პოლიტიკოსის დაჭრის დღესვე გამოძიებამ ბიზნესმენი სოსო დოლიძე დაკითხა.

მისი თქმით, დოლიძემ საგამოძიებო ორგანოს მას შემდეგ მიმართა, რაც სოციალურ ქსელში დაჭრის საქმეში მისი შესაძლო მონაწილეობის ვერსიები გაჩნდა.

– ბატონი სოსოს დაკითხვა იმ დღესვე მოხდა, როდესაც ბუკა პეტრიაშვილი დაჭრეს. მინდა ხაზი გაუსვა ერთ გარემოებას – მისით გამოძიება არ დაინტერესებულა. მას შემდეგ, რაც პეტრიაშვილის დაჭრის ფაქტი მოხდა, სოციალურ ქსელში აქტიურად სახელდებოდა სოსო დოლიძის გვარი. ეს ადამიანი შეწუხდა. დაგვიკავშირდა ადვოკატებს. სურვილი გამოთქვა, პროკურატურაში წასულიყო და ჩვენება მიეცა, რომ მას ამ დანაშაულთან არავითარი შემხებლობა არ ჰქონდა, – აცხადებს ადვოკატი.

კითხვაზე, იცნობს თუ არა დოლიძე ალექსი პეტრიაშვილის თავდასხმის საქმეზე დაკავებულ ლევან მექვაბიშვილს, ადვოკატმა თქვა, რომ მისმა კლიენტმა არც კი იცის, ვინ არის დაკავებული. (ნიუპოსტი)

## ფარული ვიდეოების საქმე — რომელი მაღალჩინოსნების გვარი დაუსახელა გამოძიებას მაცაცომ?



გიორგი ჩხარტიშვილი (მაცაცო) პროკურატურაში პირადი ცხოვრების ამსახველ ვიდეოებზე დაიკითხა. როგორც ჩხარტიშვილი აცხადებს, ფარულ კადრებზე პროკურატურისთვის საინტერესო ინფორმაციას ფლობს.

ჩხარტიშვილის თქმით, მან გამომძიებელს ჩანაწერების დამზადებასთან დაკავშირებით კონკრეტული გვარები დაუსახელა, მათ შორის ორი ყოფილი მინისტრი.

– დასახელდა უკვე გამოძიების ეტაპზე ორი სახელი და გვარი, რომელსაც აქვს რაღაც გარკვეული მნიშვნელობა. მათ შორის, ყოფილი მინისტრები. მათ შორის, ერთი გვარი, ვის სახლშიც ხდებოდა კადრების გადაღება. ფარული კადრები მონტაჟდება საზღვარგარეთ, კერძოდ, თურქეთის რესპუბლიკაში. ვიდეო და აუდიოჩანაწერები ხდებოდა არა მხოლოდ წარსული ხელისუფლების დროს, არამედ ამ ხელისუფლების დროსაც, – განაცხადა ჩხარტიშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



### სკანდალური ფაქტები „მასტერაზე“ „ალიას“ არქივიდან!

# რატომ ეშინია

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი მაღალჩინოსანი, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უსაფრთხოებისა და განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი გიორგი დგებუაძე, იგივე „მასტერა“, რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი, მოძრაობა „არას“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ლევან ჩიტაძე 2012 წელს:

**ლევან ჩიტაძე:**

„მასტერა“, იგივე გია დგებუაძე, ვარდების რევოლუციის შემდგომ ჯერ უშიშროების თანამშრომელი იყო, შემდეგ ოფიციალური კუდ-ელი, თუმცა ინფორმაციას მისი საქმიანობების შესახებ გრიფი „საიდუმლო“ ადევს და მისი ფოტოებიც თითქმის არ მოიპოვება. ერთადერთი ვიდეო 2009 წელს არის გადაღებული, სადაც „მასტერა“ ჩანს, თუმცა ეს ტიმრებული. ის „მასტერას“ ძმაკაცია, რომელთან ერთადაც დგებუაძე 90-იანი წლებიდან მოქმედებდა...

ამ ყველაფრის მიუხედავად, ვარდების რევოლუციის შემდგომ, „მასტერა“ არავის დაუკავებია და შესაბამისად, პასუხიც არაფერზე უგია. მეტიც, 2006 წლიდან ის უკვე კუდ-ის თანამშრომელი ხდება და სხვადასხვა რთული საქმეების შემსრულებლადაც გვევლინება. არაერთი ფაქტია ცნობილი, როცა კრიმინალური ავტორიტეტების გადაბირება მოახერხეს და ისინი კუდ-ში ან სოდ-ში დაასაქმეს. ამ ადამიანებისგან მიღებულ ინფორმა-







სააკაშვილის სისტემის ყველაზე დაუნდობელი დამნაშავეების სია, ამ სიაში „მასტერა“ მე-9 ადგილზე იმყოფებოდა, ვიმეორებ, კონკრეტული ბრალდებების საფუძველზე მას ათასგვარ მომაკვდინებელ ცოდვაში სდებდნენ ბრალს. დღეს კი, მთავარი პროკურატურა აცხადებს, რომ „მასტერას“ მხოლოდ „ნავთლულის სპეცოპერაციის“ გამო აქვს ბრალი წაყენებული. არა, არც ეს არის მსუბუქი ბრალდება, სავარაუდოდ, მინიმუმ, ის შესაძლოა, 3 უდანაშაულო ბიჭის – 17 წლის მურად გორგაძის, 21 წლის რომან სურმანიძისა და 23 წლის მარად ართმელაძის

**»» შენიშვნები**

ცხელ გულზე კვამლი გამოუშვეს და მერე „მასტერა“ სამეგრელოს კადრებთან დაკავშირებით კი არა, საერთოდ აღარ გახსენებიათ. როცა კონკრეტული მაღალჩინოსნების სექსუალური ცხოვრების კადრები კადრები გამოქვეყნდა, „მასტერაზე“ სიტყვა არ დაუსველებიათ ჩვენი ხელისუფლების ლიდერებს, არავის უთქვამს, ეს შესაძლოა „მასტერას“ მიერ საზღვარგარეთ გატანილი კადრებიაო. ვინც მას მკვლელს ეძახდა და საკუთარ ნათქვამს კონკრეტული მტკიცებულებებით ამყარებდა, საქართველოდან ჯერ კიდევ 2012 წლის არჩევნების წინ გაიქცა. მისი სახელი იმ დროისთვის უკვე არა ერთ გახმაურებულ დანაშაულს უკავშირდებოდა, მათ შორის, ფარულ მიყურადებას, თვალთვალს, სხვისი პირადი ცხოვრების უკანონო გადაღება-ჩაწერას, რაც მთავარია, წამებასა და გაუპატიურებას. „მასტერამ“ ცხადია, სხვაზე კარგად იცოდა, რა დანაშაულებშიც მიუძღოდა ბრალი და ციხეში რომ არ ჩაესვათ, ადგა და გაასწრო. თუმცა, სამართალდამცავებმა ლამის ოთხი წლის თავზე შეძლეს მისი ჰოლანდიიდან ექსტრადირება. გიორგი დგებუაძე ძებნაში 2013 წლის 7 მარტიდან იმყოფება. ის 2014 წლის ივნისში ჰოლანდიაში დააკავეს. „მასტერას“ ბრალი აქვს წაყენებული 2012 წლის 12 იანვარს „ნავთლულის სპეცოპერაციის“ გამო, როცა კუდ-ის სპეცრაზმელებმა და მაღალჩინოსნებმა სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდები დღისით, მზისით, ხალხის თვალწინ ჩახოცეს ქუჩაში.

თავის დროზე, მიხეილ სააკაშვილი და მისი პოლიტიკური გუნდის ლიდერები ირწმუნებოდნენ, რომ ძალოვანი უწყებები კრიმინალებისგან და მათთან დაახლოებული პირებისგან გაწმინდეს და მხოლოდ სუფთა წარსულის პროფესიონალებს გაუხსნეს გზა. ახლა ვნახოთ, რამდენად მართლები იყვნენ ეს ადამიანები. „ალიამ“ საკუთარ არქივში აღმოაჩინა „მასტერას“ წარსულის დეტალები. აი, რას აცხადებდა „ალიასთან“ ინტერვიუში გია დგებუაძის შესახებ, თავის დროზე სააკაშვილის ვიდეო ინტერნეტსივრციდან გაქრა. დგებუაძე გახლავთ დათა ახალაიას ძმაკაცი, ამიტომ კუდ-იდან გადაიყვანეს თავდაცვის სამინისტროში. ახლა მოგიყვებით „მასტერას“ კრიმინალურ წარსულს, ანუ რას საქმიანობდა ის ვარდების რევოლუციამდე ან რევოლუციის შემდგომ რას აკეთებს... 90-იან წლებში „მასტერა“ ე.წ იოსებიძეების საძმოს ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო. მათ სახელთან არაერთი სისხლიანი გარჩევა და მკვლელობაა დაკავშირებული. საძმომ კრიმინალური საქმიანობა იმით დაიწყო, რომ აკონტროლებდნენ თხევადი გაზის ბიზნესს ჯერ თბილისის დონეზე, შემდგომ კი საძმოებს შორის მოხდა გარჩევები და თხევადი გაზის ბიზნესი სეგმენტებად დაიყო. იოსებიძელებმა დაიწყეს გარკვეული სეგმენტის „დაკრიშვა“, სანაცვლოდ კი სოლიდურ თანხებს იღებდნენ. ამ საძმოში იყო კრიმინალური ავტორიტეტი „დუდუც“, მაგრამ ის, სავარაუდოდ, კულინარიელებისა თუ ვერის საძმომ მოკლა. ამას მოჰყვა დიდი სისხლიანი გარჩევა და იოსებიძელებმა, სამაგიეროს გადახდის მიზნით, ბევრი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს. შევარდნაძის ხელისუფლებაში მათ ბევრი ნაცნობი ჰყავდათ, ამიტომ მოახერხეს და არაერთი დამნაშავე კრიმინალური ავტორიტეტი გამოიყვანეს ციხიდან. ამ საძმოში იყო გაწევრიანებული „კანონიერი ქურდი“, ვინმე „ლორჯო“, რომელიც ამჟამად განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკული საშუალებების, ჰეროინის შენახვა-რეალიზაციის მუხლით არის დაპაციას კი შსს ნაყოფიერად იყენებს, რადგან ეს ხალხი ყველაზე ზუსტ ინფორმაციას ფლობს სხვა კრიმინალურ ავტორიტეტებზე, მათ ახლობლებზე და ა.შ. სწორედ ამ პრინციპით მოხდა, რომ, როცა გია დგებუაძე კუდ-ში წაიყვანეს, მისი საძმაკაცო, კონკრეტულად კი ალექსანდრე მუხაძე, იგივე „ქილერა“, ციხის უფროსი გახდა. კუდ-ში „მასტერა“ გეგმავდა სპეცოპერაციებს იმ ადამიანების მიმართ, ვისითაც ხელისუფლება კონკრეტულად ინტერესდებოდა და ახორციელებდა კიდეც. ეს ადამიანები, ცხადია, ჯერ სასამართლოში ხვდებოდნენ, საიდანაც მიშას მონა მოსამართლეების ხელით ციხეში მიდიოდნენ. იქ კი ფიზიკურად უსწორდებოდნენ მათ. სასამართლოდან გლდანის იზოლატორში მოხვედრილ ადამიანს მუხაძე ფიზიკურად ამუშავებდა და სწორედ ამ ხალხის დამსახურებაა, რომ ციხიდან უამრავი პატიმარი მოკლული გამოასვენეს, ზოგიც დაინვალიდებული და მორალურად გატეხილი გამოვიდა“.

აი, ასეთი კრიმინალები ჰყავდა სააკაშვილს ძალოვან სტრუქტურებში, ასეთი შავბნელი წარსულის ადამიანი დანიშნა ჯერ კუდ-ის მე-2 სამმართველოს, შემდეგ კი თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უსაფრთხოებისა და განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს უფროსად.

არჩევნების წინ, როდესაც პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა და არასამთავრობო სექტორმა, კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით შეადგინეს განზრახ და განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობის თანამონაწილეობის ან ხელშეწყობისთვის დასაჯონ, შესაძლოა, ერთ-ერთი მათგანის მკვლელობისთვისაც, მაგრამ სხვა გახმაურებულ დანაშაულებს რა ვუყოთ? 2012 წლის არჩევნების წინ, მაშინდელი ოპოზიციის ლიდერები და დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები ხომ სააკაშვილის მთავარ „ზონდერებში“ მე-9 ადგილს ანიჭებდნენ „მასტერას“? მას აბრალებდნენ ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების გატაცებასა და ცემას, ამბობდნენ, რომ „მასტერა“ თავად ედგა ადამიანების წამება-გაუპატიურების საქმეებს სათავეში, ამას გლდანის ციხის ყოფილ უფროსთან, ალექსანდრე მუხაძესთან ერთად აკეთებდა ციხეში ხან დათა, ხან ბაჩო ახალაიას დავალებით, იღებდა პატიმართა გაუპატიურების სცენებს, ინახავდა და შემდეგ ამ ვიდეოებით აშანტაჟებდა მათ. როდესაც სამეგრელოში კასრებში წამება-გაუპატიურების, სხვათა პირადი ცხოვრების ამსახველი 28 ათასი ფაილი აღმოაჩინეს, ხელისუფლებაში ახლად მოსული „ქართული ოცნების“ ლიდერები აცხადებდნენ, რომ „მასტერა“ ამ საქმეებში უეჭველად იქნებოდა გარეული და მის დასჯას მოითხოვდნენ. იმასაც ესენი ამბობდნენ, რომ მას საზღვარგარეთ ექნებოდა გატანილი ამ ფაილების დიდი ნაწილის ასლები მაინც. ყოველ შემთხვევაში ისინი მაინც აუცილებლად, რომელთაც კუდ-ში მისი სამმართველოს უფროსობის დროს თავად და მისი თანამშრომლები იღებდნენ. თუმცა, ყველას პირში წყალი აქვს ჩაგუბებული, პროკურატურასაც კი არავინ მიმართავს, რომ „მასტერა“ სექსვიდეოების გასაჯაროებისა და სხვა საქმეებზე დაიკითხოს. კაცი იფიქრებ, რომ მისი ხსენებისა ეშინიათ.

არადა, გია დგებუაძე 2013 წლის 7 მარტს დააკავეს ჰოლანდიაში. 7 თვე ის თავისუფალი იყო და სრულიად შესაძლებელია, რომ მან სხვათა პირადი ცხოვრების, ამ შემთხვევაში, სექსუალური ცხოვრების ამსახველი და სხვა სახის კომპრომატები გადასცა თავის რომელიმე თანამოაზრეს, რომლებიც დღემდე მრავლად არიან ევროპის ქვეყნებში. შესაძლოა, სწორედ „მასტერას“ მიერ მოპოვებული კადრები გავრცელდა ამ დღეებში, ვგულისხმობ, ერთი ექსმინისტრისა და ერთი დეპუტატის სექსვიდეოების გავრცელებას. თუმცა, პროკურატურა ამაზე ხმას არ იღებს, არ ამბობს, რომ „მასტერა“ ამ მიმართულებით დაიკითხება მაინც, დაიკითხება იმ მრავალი უბედურების გამო, რომელიც მასა და კუდ-ში მის ყოფილ სამმართველოს უკავშირდება. თუ გია დგებუაძეს პროკურატურამ მხოლოდ „ნავთლულის სპეცოპერაციის“ გამო დასდო ბრალი და სხვა ცოდვები არ მოჰკითხა, მაშინ ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ მას კომპრომატები აქვს დღევანდელი ხელისუფლების გავლენიან ლიდერებზე, სავარაუდოდ, თავად პროკურატურის წარმომადგენლებზე და მიუხედავად იმისა, რომ დაჭერილია, სხვათა მეშვეობით ახერხებს მათზე შანტაჟს და სხვა ბრალდებებს თავს

არიდებს. ამ უნიათო ხელისუფლების, უგერგილო პროკურატურის ხელში არც ის გამიკვირდება, რომ „მასტერა“ ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმეშიც გაამართლონ და პოლიტიკური მოტივით დევნილად გამოაცხადონ, როგორც ეს არაერთი „ნაცდამნაშავის“ შემთხვევაში მოხდა...

**სად იყო პროკურატურა მანამდე, სანამ დათა ახალაიას საბერძნეთი თავშესაფარს მისცემდა?**

წინა კვირას გაცხადდა, რომ ინტერპოლმა „წითელი

რომ ის ჩამოყვანოს და საკუთარ დანაშაულებზე პასუხი აგებინოს. სად იყო პროკურატურა მანამდე, სანამ დათა ახალაიას საბერძნეთი თავშესაფარს მისცემდა? სად იყო მანამდე, სანამ ინტერპოლი საკუთარ კონსტიტუციას შეცვლიდა? ახალაია ხომ 2013 წლიდან იძებნება? ხომ ყველასთვის ცნობილია, რომ პროკურატურის მიერ ბერძენი სამართალდამცავებისთვის გაგზავნილი მტკიცებულებები, დათა ახალაიას ადვოკატებმა გააცამტვერეს და საბერძნეთის უზენაესმა სასამართლომაც უდანაშაულოდ ცნო ის. რატომ აპელირებს პროკუ-

ვილს აქვს და სხვათა მეშვეობით, რომელ პროკურორსაც უნდა, იმას აშანტაჟებს, რა გადაწყვეტილებასაც უნდა, იმას მიაღებინებს. არ დაგვავიწყდეს, რომ ინტერპოლმა ძებნილთა სიიდან ამოიღო თავად ზურაბ ადეიშვილი, დავით კეზერაშვილი, ერეკლე კოდუა და მიხეილ სააკაშვილზე საერთოდ არ გამოაცხადა ძებნა. როგორ, მარტო ვანო მერაბიშვილი, ბაჩო ახალაია და გიგი უგულავა იყვნენ დამნაშავე „ნაციონალები“? მიხეილ სააკაშვილის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ ხომ უამრავი მტკიცებულება აქვს პროკურატურას, მას რამდენ-

რომელიც 9 წელი შიშის ზარს სცემდა ქვეყანას, რომელმაც ათასობით ადამიანი გააუბედურა – უდანაშაულო ადამიანებით ციხეები გაავსეს, მრავალს ბიზნესი და ქონება წაართვეს და სრულიად გააკოტრეს, ხალხი აწამეს, გააუპატიურეს, ტერორისა და შიშის ქვეშ ამყოფეს და ადამიანის სახე დაუკარგეს. ამ ყველაფრის მოთავეედ დანაშაული ვერ დაუმტკიცა პროკურატურამ, როცა თითოეული მათგანის შესახებ, ათობით თუ ასობით საჩივარია შეტანილი პროკურატურაში და მათი დანაშაულებრივი საქმიანობის იმდენი მოწმე არსებობს,

### უნიათოები

მოცემა უცხო ქვეყნებიდან, რომლებიც ჩამოვთვალე. დიდი ალბათობით, დღევანდელი ხელისუფლების ლიდერებზე აქვთ კომპრომატები და ამიტომაც არის, ამ პროკურორებს ხმას რომ ვერავინ სცემს, რასაც უნდათ, იმას რომ აკეთებენ. არადა, სწორედ დღევანდელი ხელისუფლების ლიდერები და ყოფილი ოპოზიციონერები აცხადებდნენ 2012 წლის არჩევნების წინ, რომ ზურაბ ადეიშვილმა პროკურატურა პოლიტიკურ ინსტრუმენტად და ოპოზიციის სადამ-

# „ოცნებას“ „მასტერასი“?



**იუსტიციის მინისტრს, თეა წულუკიანს რომ ჰკითხოთ, იტყვის, პროკურატურის რეფორმა წარმატებით მიმდინარეობსო, ჰო, პირველი შედეგიც სახეზეა — ინტერპოლის ძებნილთა სიიდან დათა ახალაიას ამოღება**



ცირკულარით“ ძებნილთა სიიდან კუდ-ის ყოფილი უფროსი, დათა ახალაია ამოიღო. ეს კიდევ ერთი დიდი მარცხია ჩვენი პროკურატურისა. შეიძლება ითქვას, ახლად დანიშნული მთავარი პროკურორის, ირაკლი შოთაძის პირველი და სერიოზული მარცხი. მართალია, პროკურატურა თავს იმართლებს, ინტერპოლმა საკუთარ კანონმდებლობაში ძებნილთა ძებნა-გადმოცემის წესები შეცვალა, დათა ახალაიას საბერძნეთში დევნილის სტატუსი აქვს მიღებული და იმიტომ ამოიღეს ძებნილთა სიიდანო, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? ფაქტი ის არის, რომ დათა ახალაიას ევროპაში შეუზღუდავი გადაადგილების უფლება მიეცა, კაცი, რომელიც წლების მანძილზე მთელ საქართველოს ატერორებდა, რომელსაც მრავალ დანაშაულში აქვს ბრალი წაყენებული, რომელსაც საქართველოს 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი „მოდულის“ შენობაში პოლიციელის ცემის ფაქტზე. მე ვამბობდი, რომ თუ ხელისუფლების პოლიტიკური ნება არ იქნებოდა, ირაკლი შოთაძე ვერაფერს შეცვლიდა ამ სისტემაში, მის დანიშვნამდე ვწერდი, რომ ეს კაცი 5 წელი ვერ „გაქაჩავდა“ მთავარ პროკურორად, რადგან მთავარ საქმეს, ხალხის მთავარ დაკვეთას ვერ შეასრულებდა – სამართლიანობას ვერ აღადგენდა საქართველოში. ასეც ხდება, სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი, დათა ახალაია დღეს სრულიად თავისუფალია და პროკურატურას უმცირესი, თეორიული შანსიღა დარჩა,

რატურა იმით, რომ ინტერპოლმა ძებნილთა სიიდან იმიტომ ამოიღო დათა ახალაია, რომ მან საბერძნეთში თავშესაფარი მიიღო? რის საფუძველზე მიიღო თავშესაფარი? გამოდის, რომ საბერძნეთის ხელისუფლებამ ის საქართველოს ხელისუფლებისგან დევნილად ცნო, საბერძნეთის უზენაესმა სასამართლომ – უდანაშაულოდ და აბა, ოფიციალურად უდანაშაულო კაცის ძებნას ხომ არ გააგრძელებდა ინტერპოლი? ინტერპოლმა გააკეთა ის, რისი საფუძველიც მას საბერძნეთის ინტერპოლის წარმომადგენლობამ მისცა, გადასცა მას დათა ახალაიას უდანაშაულობისა და დევნილობის დამადასტურებელი მტკიცებულებები და ამოიღეს ძებნილთა სიიდან. აი, ეს გახლავთ სიმართლე და არა ის ზღაპრები, რასაც პროკურატურა გვიყვება. მთავარმა პროკურატურამ დანაშაული ვერ ან არ დაუმტკიცა დათა ახალაიას საბერძნეთის სასამართლოში და ეს არის მთელი ამბავი, ძალზე მარტივი და გასაგები.

ვრცელდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ თავად პროკურატურამ ხარვეზიანი მტკიცებულებები გაგზავნა საბერძნეთში, რომ დათა ახალაიას გამართლება არ გასჭირვებოდათ ბერძენ სამართალდამცავებს. ეს კი შეგნებულად გაკეთდა, რადგან თავად პროკურორები არიან კომპრომეტირებულნი, ისინი „ნაციონალთა“ შანტაჟის ქვეშ დღემდე იმყოფებიან, კონკრეტულად კი, ყველა პროკურორისა და გამომძიებლის შესახებ კომპრომატები ყოფილ გენპროკურორს, ზურაბ ადეიშ-

იმე საქმეზე ციხეც მიუსაჯეს და იმდენი ვერ უნდა მიეხერხებინა, რომ ექსპრეზიდენტზე ინტერპოლს ძებნა გამოეცხადებინა? ზურაბ ადეიშვილს, ერეკლე კოდუასაც და დავით კეზერაშვილსაც პატიმრობა აქვთ აქ მისჯილი, რეალურად კი, მათ უკვე ინტერპოლიც აღარ ეძებს და თავისუფლად „დაგულაობენ“ ევროპაში. ადეიშვილს კი უკრაინის მთავრობაში სერიოზული პოსტიც უკავია. როცა საფრანგეთში, ექს პროვანსის ოლქის სასამართლოში დავით კეზერაშვილის საქართველოში ექსტრადირების საქმე იხილებოდა, მთავარმა პროკურატურამ იმდენად უსუსური მტკიცებულებები წარადგინა მისი დანაშაულებისა, ფრანგი პროკურორები კინაღამ სიცილით დაიხოცნენ, კეზერაშვილის ადვოკატები კი სიხარულით ხელებს იფშვნეტდნენ, წინასწარ ზეიმობდნენ გამარჯვებას, იმდენად დაუსაბუთებელი და არამყარი იყო ეს მტკიცებულებები. ვინ გაგზავნა ეს არაფრისმთქმელი მტკიცებულებები ფრანგულ სასამართლოში? მეე? არა, გიორგი ბადაშვილის ხელქვეითებმა, მაგრამ ბადაშვილი ისე წავიდა პოსტიდან, არც მას, არც იმ პროკურორებს, ვინც კეზერაშვილის ექსტრადიციაზე იყო პასუხისმგებელი, პასუხი არ უგიათ იმ ცირკისთვის, რაც საფრანგეთში მოაწყვეს და ქართული მართლმსაჯულება შეარცხვინეს. არადა, ჩვენ ვლაპარაკობთ იმ ხალხზე, ვინც სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის ხერხემალი იყო, ვინც სააკაშვილთან ერთად ჩამოაყალიბა სისტემა,

პროკურატურასთან რომ ჩააყენო, დიდი რიგი გაიჭიმება. ცხადია, არსებობს სხვა მტკიცებულებებიც, მაგრამ პროკურატურა მაინც უუნაროა, „მასტერას“ იქით ვერ მიდის და მთავარი დამნაშავენი ვერ ჩამოათრია და ვერ დასაჯა. საქართველოს მთავარი პროკურატურაც და მისი რეგიონულ-რაიონული ოფისებიც გასაწმენდია, მოსაშორებელია ის ხალხი, ვინც „ნაციონალების“ დროს მუშაობდა ამ სისტემაში, რადგან, ფაქტობრივად, არ არსებობს იმ დროს ამ სისტემაში მომუშავე პროკურორი, რომელსაც ერთი საქმე მაინც არ შეეთითხნა, ერთი უდანაშაულო ადამიანი ან ციხეში არ გაეშვა, ან მისთვის ქონება არ წაერთმია თუ სხვა უბედურება არ დაებრალებინა. ეს საქმეები კი მათთვის დღეს კომპრომატებად არის ქცეული, ისინი პროკურატურიდან რომ წავიდნენ, მაშინ ახლად მოსულები ამ საქმეებს წამოსწევენ, ხელახლა გამოიძიებენ და ამ ნაპროკურორალებს ციხეში გაისტუმრებენ. აი, რატომ სხედან მაგრად თავიანთ პოსტებზე ძველი პროკურორები და ებღაუჭებიან სკამებს. იუსტიციის მინისტრს, თეა წულუკიანს რომ ჰკითხოთ, იტყვის, პროკურატურის რეფორმა წარმატებით მიმდინარეობსო, ჰო, პირველი შედეგიც სახეზეა – ინტერპოლის ძებნილთა სიიდან დათა ახალაიას ამოღება.

სავარაუდოდ, მარტო პროკურორებზე არ უნდა ჰქონდეთ კომპრომატები „ნაციონალებს“ და ამის ბრალი არ უნდა იყოს იმ დამნაშავეთა საქართველოსთვის არგად-

სჯელო მანქანად აქცია, რომ ყველა პროკურორი კონკრეტულ დანაშაულში იმხილებოდა და სანამ ძველი კადრები არ მოშორდებოდნენ სისტემას, მის რეფორმირებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. დღეს ეს ყოფილი ოპოზიციონერები თბილად არიან პარლამენტში, საკრებულოებსა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოკალათებულნი, სულ ფეხებზე ჰკიდიათ თავიანთი 3 წლის წინანდელი ნათქვამიც და დაპირებაც, რომ, როცა ხელისუფლებაში მოვიდოდნენ, ქვეყანაში სამართლიანობას აღადგენდნენ, ამ ხალხის ფულით კი, იცოცხლეთ, მოიწყვეს კომფორტული ცხოვრება, ბევრი საშვილიშვილოდაც გაკეთდა. ხალხი ამაოდ ელოდება ამ სამართლიანობის აღდგენას და ბევრი, მგონი, აღარც ელოდება, მიხვდჰენ, რომ ატყუებენ – ხელისუფლებას თუ ამის სურვილი ჰქონდა, 4 წელიწადში გააკეთებდა.

**ირაკლი შოთაძეც ბიძინა ივანიშვილის ისეთივე ყურმოჭრილი მონა აღმოჩნდა, როგორც გიორგი ბადაშვილი, ეტყობა, რასაც უბრძანებს, იმას აკეთებს. თავად ბიძინა ივანიშვილს კი არ სურს ეს სამართლიანობის აღდგენა, ეს კაცი, ქვეყნის რეალური მმართველი, ხელს არ ანძრევს საამისოდ და მის უკითხავად, ირაკლი შოთაძე ვერაფერს გააკეთებს. ბიძინა ივანიშვილმა უბრალოდ, გადააგდო, მოატყუა ხალხი, „ნაციონალებს“ ათასგვარი დანაშაული შეარჩინა და მათ მიერ გაუბედურებულ ხალხთან, რომლებიც მის სახლთან აქციებს აწყობდნენ, ერთი გასვლა და შეხვედრაც კი არ იკადრა.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## იმპორტიორების თხოვნის მიუხედავად, მარჯვენასაჭიანი მანქანების რეგისტრაციის აკრძალვის სავარაუდო თარიღად კვლავაც 2017 წლის პირველი იანვარი სახელდება



შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი მარჯვენასაჭიანი და საჭეგადატანილი მანქანების რეგისტრაციის აკრძალვის სავარაუდო თარიღად 2017 წლის პირველ იანვარს ასახელებს.

როგორც შალვა ხუციშვილმა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე მთავრობის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტის წარდგენისას განაცხადა, კონსულტაციების შედეგად შედგა შეთანხმება, რომ აღნიშნული შეზღუდვა არ იმოქმედებს სპორტულ მანქანებსა და იმ ტიპის ავტომობილებზე, რომლებიც ტურისტულ ბიზნესში გამოიყენება.

შს მინისტრის მოადგილის თქმით, ამ ეტაპისთვის, კონსულტაციების შედეგად შეთანხმებული თარიღი პირველი იანვარია, რათა იმპორტიორებს „ბიზნესის გადაწყობის“ და დაწყებული კონტრაქტების ბოლომდე მიყვანის საშუალება მიეცეთ.

გარდა ამისა, როგორც ცნობილია, საკანონმდებლო პაკეტით 3-დან 6 წლამდე ავტომობილები აქციზის განაკვეთის შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმში ექცევა, ხოლო მნიშვნელოვნად იზრდება აქციზის გადასახადი 8 და 8 წელზე მეტი ასაკის ავტომობილებისთვის.

შეღავათიან რეჟიმში გადადის მოპედებისა და მოტოციკლების აქციზით დაბეგვრაც.

– კუბატურის მიხედვით, 12 წლის ავტომობილის განბაჟება 70 თეთრი იქნება, 12 წლის ქვევით – 50 თეთრი. სეგმენტი, რაც იაფი მანქანებისთვის იყო ორიენტირებული, გარკვეული შეღავათებისთვის, გათვალისწინებული იქნება, რათა მოსახლეობისთვის ავტომობილების შეძენა შესაძლებელი იყოს. ჩვენი პრინციპული პოზიციაა, არ მოხდეს ავტოპარკის დაძველება, ამიტომ 12 წლიდან ეტაპობრივად, ხოლო 14 წლიდან კრიტიკულად გაძვირდება ავტომობილების განბაჟება, კუბატურის მიხედვით, – განაცხადა შს მინისტრის მოადგილემ.

რაც შეეხება მთავრობის საკანონმდებლო პაკეტის კიდევ ერთ სიახლეს, რომელიც მართვის მოწმობებზე 100-ქულიანი სისტემის დაწესებას და საგზაო ადმინისტრაციული ჯარიმების დაგროვებისა და შედეგად, ქულების განულების შემთხვევაში, მართვის მოწმობის გაუქმებას ითვალისწინებს, ამასთან დაკავშირებით შს მინისტრის მოადგილემ განმარტა, რომ მიმდინარეობს ინტენსიური კონსულტაციები იმის შესახებ, რომ მართვის მოწმობის გაუქმების ნაცვლად, მოხდეს მისი გარკვეული ვადით ჩამორთმევა, ხოლო, თუკი მძღოლს ჩამორთმეული მოწმობის ვადაზე ადრე დაბრუნების სურვილი ექნება, ასეთ შემთხვევაში ის გამოცდას ჩააბარებს.

## რადოვან კარაჯიჩს საერთაშორისო ტრიბუნალმა 40 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა



საერთაშორისო ტრიბუნალმა ბოსნიელი სერბების ლიდერს რადოვან კარაჯიჩს 1992-1995 წლებში ბოსნიის ომში გენოციდისა და სამხედრო დანაშაულისთვის 40 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამის შესახებ ინფორმაციას „ბიბისი" ავრცელებს.

სასამართლომ კარაჯიჩი დამნაშავედ ცნო 1995 წელს სრებრენიცაში მუსლიმანების მასობრივი მკვლელობის ორგანიზების საქმეზე, რასაც 7 ათასზე მეტი მამაკაცი ემსხვერპლა.

კარაჯიჩი, ასევე, დამნაშავედ ცნეს მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმებსა და მკვლელობაში ქალაქ სარაევოს ალყის დროს. მთლიანობაში, რადოვან კარაჯიჩი 11 ბრალდებიდან 10-ის მიხედვით დამნაშავედ ცნეს. ის მრავალი წლის განმავლობაში იმალებოდა. მისი დაკავება მხოლოდ 2008 წელს მოხერხდა. (ინტერპრესნიუსი)

## ვანდალიზმი მცხეთაში — ჯვრის მონასტერზე თურქული, არაბული და ლათინური წარწერები გაჩნდა!

მოქალაქე ნინო ანდრიასოვა საკუთარ „ფეისბუკ"-გვერდზე წერს, რომ მცხეთაში, ჯვრის მონასტერზე ვანდალიზმის ფაქტები ნახა – წარწერები თურქულ, არაბულ და ლათინურ ენებზე.

– 23.03.2016 – დღეს ვიყავი სტუმრებთან ერთად ჯვარზე და რა ვნახე – ჯვრის კედლებზე წარწერები თურქულად, არაბულად და როგორც ხედავთ, ლათინურად არის... როგორ შეიძლება ასე???

თუ ეს ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება, საქმე გვაქვს ძალიან მძიმე დანაშაულთან, რომელიც კონკრეტული კულტურულ-რელიგიური ძეგლის შეურაცხყოფას სცდება და შესაბამისმა სამსახურებმა ყველაფერი უნდა მოიმოქმედონ, რომ ამის ჩამდენები კანონის მთელი სიმკაცრით დაისაჯონ და ასევე, შეიმუშაონ პრევენციის მექანიზმი, რათა მომავალში აღარ განმეორდეს მსგავსი ფაქტი საქართველოს ტერიტორიაზე, – წერს ნინო ანდრიასოვა.

როგორც მოგვიანებით კულტურის სამინისტროში განმარტეს, საქმეში ჩაერთო შსს და მოკვლევაც დაიწყო. (zneoba.ge; kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# „ჩემი საქმე უშუალოდ ირაკლი ღარიბაშვილმა ჩაფარცხა! რადგან ესენი არაფერს აკეთებენ, მე თავად ვიძიებ შურს!"

**„არჩევნებში ხმა „ქართულ ოცნებას" მივეცი და სანანებელი გამიხდა. წარმოიდგინეთ, მაგათ არჩევნებში გამარჯვებას კინაღამ გადავყევი, საკუთარი თავისა და ოჯახის წევრების ჯანმრთელობა და სიცოცხლე სასწორზე დავდე და მე რომ ასე მომექცნენ, სხვას რას გაუკეთებენ?"**



**„ამ დროს, წინასწარ განზრახულად, სამივემ შუბლში დამიწყო მუშტებით ცემა, იცოდნენ, ყოფილი რაგბისტი და მოკრივე ვარ და ეგრე იოლად, თუნდაც სამნი, ვერ მომერეოდნენ, შუბლშიც იმიტომ მირტყამდნენ, რომ გავეთიშე. გავითიშე კიდეც"**





ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37

**„საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ცენტრის" ხელმძღვანელი სულხან ქობულაძე პროკურატურას უნდობლობას უცხადებს. საქმე ეხება 2015 წლის 1-ელ ოქტომბერს მომხდარი ფაქტის გამოძიებას, როცა ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე, დავით დვალი და მისი მოადგილე, ბექა ყანჩელი ამ უკანასკნელს ფიზიკურად გაუსწორდნენ. ქობულაძე აცხადებს, რომ, თუ კანონიერი გზით არ მოხდება დამნაშავეების დასჯა, სამართალს თავად აღასრულებს.**

**ქობულაძის თქმით, მისი ცემა სოციალურ ქსელში განთავსებული კრიტიკული პოსტის გამო ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მოხდა, სადაც მუდმივი ხალხმრავლობა და რამდენიმე ვიდეოთვალია დამონტაჟებული. მიუხედავად ამისა, გამოძიებას დღემდე არც ერთი შესაძლო თვითმხილველი არ დაუკითხავს. „ერთადერთი ადამიანი, ვისთვისაც წერილობით არ მიმიმართავს, ეს არის პრემიერი. მე გავაგზავნი წერილს და დაველოდები პასუხს. არ ვაპირებ სამართლის ძებნას წლების მანძილზე. ანგარიშსწორებას აუცილებლად ანგარიშსწორებით ვუპასუხებ", — განაცხადა ქობულაძემ.**

**„ალია" დეტალების გასარკვევად სულხან ქობულაძეს დაუკავშირდა.**

**— ბატონო სულხან, თუ შეიძლება გაიხსენეთ, რა მოხდა 2015 წლის 1-ელ ოქტომბერს? ვინ და რატომ გცემათ?**

— 2015 წლის 1-ელ ოქტომბერს, დაახლოებით დილის 10 საათზე, „ფეისბუკზე" დავდე პოსტი, სადაც ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარეს, დავით დვალს „ყვარყვარე" ვუწოდე. ეს იყო მინიშნება მის წარსულთან დაკავშირებით. ეს კაცი იყო შეფარული „ნაციონალი". „ქრისტიან-დემოკრატებმა" ჩასვეს პირველ ნომრად ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას სიაში. ეს პარტია კი, მოგეხსენებათ, „ნაციონალების" სატელიტი იყო. დვალი უშუალოდ „თავისუფლების ინსტიტუტისა" და ვანო მერაბიშვილის რეკომენდაციით ჩასვეს სიის სათავეში. დავით დვალი მანამდე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე იყო, საიდანაც ქრთამთან დაკავშირებული ამბის გამო გამოაგდეს, უბრალოდ, პატრონი ჰყავდა და არ დაიჭირეს. მოსამართლეობა დღესაც აკრძალული აქვს. დავით დვალი უშიშროების კადრია, ის ყოფილმა გუბერნატორმა, დასავლეთ საქართველოს უშიშროების სამსახურის ყოფილმა უფროსმა, ზაზა მეფარიშვილმა წამოსწია. შემდეგ ადგილობრივ არჩევნებზე დვალი უკვე „ქართული ოცნების" სიით გახდა საკრებულოს დეპუტატიც და საკრებულოს თავმჯდომარეც. ახლა, ყვარყვარეა ეს კაცი, აბა, რა არის?

ჩემი სტატუსი ძალიან არ მოეწონა დავით დვალს. ეს ყვარყვარე ცუდად ენიშნა, ეტყობა. დილითვე, პოსტის დადებიდან საათ-ნახევარში დამირეკა და მითხრა, მერიასთან შევხვდეთო, მერიასთან არ შევხვდი, მაშინ ქალაქის ცენტრში შევხვდეთ და ერთიერთზე დავილაპარაკოთო, მითხრა. ქუთაისის ცენტრში, ტელეკომპანია „რიონის" შენობასთან შევხვდი. იქ მოვიდა საკრებულოს მანქანით, თან ახლდა მისივე მოადგილე, ბექა ყანჩელი და პირადი მძღოლი. დაიძრა მანქანა, შემომიბრუნდა დავით დვალი და მითხრა, – ყვარყვარე ვარ მეე? დიახ, ყვარყვარე ხარ-მეთქი, ვუპასუხე. ამის შემდეგ დედა შემაგინა, პირი დავალე, რომ მეც შემეგინებინა და ამ დროს, წინასწარ განზრახულად, სამივემ შუბლში დამიწყო მუშტებით ცემა. იცოდნენ, ყოფილი რაგბისტი და მოკრივე ვარ და ეგრე იოლად, თუნდაც სამნი, ვერ მომერეოდნენ, შუბლშიც იმიტომ მირტყამდნენ, რომ გავეთიშე. გავითიშე კიდეც, რაღაცები ბუნდოვნად მახსოვს, მესმოდა მათი გინება. რაღაც მომენტში მანქანა გაჩერდა და მეორე მანქანაც მოვიდა, გაიღო კარები და მეორე მანქანიდან, მეოთხე ადამიანი გადმოვიდა, თავისა და გვერდების არეში მირტყამდა. ბოლოს დასისხლიანებული ნინოშვილის ბაზართან ჩამომსვეს. იქიდან წავედი კლინიკაში, სადაც ტვინის მძიმე შერყევა დამიდგინეს. ფაქტობრივად, სასიკვდილოდ გამიმეტეს. საქმე ხულიგნობის მუხლით აღიძრა, რაც 1 წლამდე ციხეს ითვალისწინებს. თუმცა, მე მიცავენ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ადვოკატები და ისინი იბრძვიან, რომ საქმე თავისუფლების უკანონო აღკვეთითაც აღიძრას, რაც 7 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. თუმცა, 7 წელს ვინ ჩივის, ამ ადამიანებს არც ხულიგნობის მუხლით ასამართლებენ.

**— ვინმე მფარველობთ დავით დვალს, ბექა ყანჩელსა და დვალის მძღოლს, რომ აქამდე არ დაუსჯიათ?**

— ცხადია, ჰყავთ მფარველი და ეს არის ქუთაისის მერი, შოთა მურღულია. დანამდვილებით ვიცი, რომ დვალისა და მისი ამფსონების დაუსჯელობის საკითხი, ყოფილ პრემიერთან, ირაკლი ღარიბაშვილთან გადაწყდა. ირაკლი ღარიბაშვილის ნათესავებს სერიოზული, ძვირად ღირებული ტენდერები აქვთ მოგებული ქუთაისში ინფრასტრუქტურის კუთხით და მათ ამ საქმიანობას, შოთა მურღულია, დავით დვალი და ქალაქის თითქმის მთელი ხელმძღვანელობა მფარველობდა, მათ საქმიანობას ხელს უწყობდა. ამას მთელი ქუთაისი ლაპარაკობს.

ამას ისიც დავამატოთ, რომ შოთა მურღულიას გულზე ისედაც არ ვეხატებოდი, მას მუდამ ვაკრიტიკებდი საკადრო პოლიტიკის გამო, თავისი თანაკლასელები და მეგობრები ჰყავს საკრებულოში დასაქმებული, რომელთაც ქრთამის აღების გამო აქვთ მოხდილი სასჯელი.

**— იქნებ დააკონკრეტოთ მათი ვინაობა?**

– ერთს გეტყვით, ეს არის ლევან გოგელაშვილი, რომელიც 2003 წელს, „ვარდების რევოლუციის" შემდეგ იყო მერიის საფინანსო განყოფილების უფროსი, ამავე წელს დაიჭირეს ქრთამის აღების ფაქტზე და „ნაციონალებმაც" კი ვერაფერი უშველეს, გარიყეს თავიანთი რიგებიდან. გოგელაშვილის ცოლი ბაგაბაღების აიპი-ს დირექტორია. რამდენადაც ვიცი, შოთა მურღულია და გოგელაშვილი ნათელ-მირონნები არიან... დავით დვალმა ხალხი მომიგზავნა, მოდი, საქმე არ გავართულოთ, მოვილაპარაკოთო, მაგრამ მე მოლაპარაკებაზე არ წავსულვარ, უარი ვუთხარი. დვალი და ყველა, ვინც მე მცემა, კანონით უნდა დაისაჯოს, მე გაჩერებას არ ვაპირებ. საქმეს რომ გავეცანი, აღმოჩნდა, რომ სადაც მცემეს, იმ ადგილს 2 ვიდეოთვალი აკონტროლებს და იმ დროს არც ერთი არ მუშაობდა! ერთადერთი კამერა მუშაობდა, მაგრამ ის მოშორებით იყო დამონტაჟებული და მასზე ჩანს, რომ 4 ადამიანი მცემს, მაგრამ სახეები არ იშიფრება.

**— ის მეოთხე თავდამსხმელი ვინ არის?**

– სავარაუდოდ, ის პიროვნება, რომელიც მეორე მანქანიდან გადმოვიდა და გვერდებსა და თავში მირტყამდა, მომივიდა ინფორმაცია, რომ ლევან გოგელაშვილია, მაგრამ გოგელაშვილი ამას უარყოფს. მას განუცხადებია, მე კი ვიყავი იმ მეორე მანქანაში, მაგრამ სულხან ქობულაძის ცემაში მონაწილეობა არ მომიღიაო. საერთოდ, რა უნდოდა იქ ლევან გოგელაშვილს, რას აკეთებდა, ეს გამოძიებამ უნდა გაარკვიოს, ისევე, როგორც ყველაფერი დანარჩენი. თუმცა, ისეთი ხალხია ჩარეული, ვხედავ, თავისუფალი სასამართლოს უფლებას მართმევენ და აშკარად საქმის საბოლოოდ ჩაფარცხვისკენ მიჰყავთ ყველაფერი.

**— თუ ასე მოხდა, თქვენ პირადი ანგარიშსწორებით იმუქრებით. კონკრეტულად, რას და როგორ აპირებთ? ფარულად გაუსწორებთ ანგარიშს თუ ღიად და საციხედაც გადადებული გაქვთ თავი?**

– ჩემს შეურაცხყოფას არავის ვაპატიებ, ყველამ იცის, მე ვარ ის კაცი, რომელიც ბოლომდე იბრძოლებს. თუ დამნაშავენი არ დასაჯეს, თუ სამართალი ვერ ვიპოვე, მაშინ სამივე თავდამსხმელს ღიად გავუსწორებ ანგარიშს, ისე ვერ ვიცხოვრებ.

**— ბევრია თქვენნაირად უსამართლოდ დაჩაგრული, სამართალდამცავი სტრუქტურებისგან განწბილებული და ხომ არ აპირებთ, ამ ხალხს ჩაუდგეთ სათავეში და ერთად და პირადად გაუსწორდეთ იმ ხალხს, ვინც დაგჩაგრათ?**

— არა, არაფრის მოთავეობას არ ვაპირებ, თუმცა, სიმართლე გითხრათ, გაოგნებული ვარ. ათასობით ადამიანი აწამეს, ქალები თუ მამაკაცები გააუპატიურეს, ათასი უბედურება დამართეს ხალხს და არც ერთს არ აღმოაჩნდა ისეთი გულშემატკივარი, და, ძმა, მამა, ნათესავი, რომ ამ ხალხის ნაცვლად შური იძიოს, ან ეს ადამიანები ამხელა ტვირთით, ამ საშინელი წარსულით

### შურისძიება

როგორ ცხოვრობენ, ჩემთვის გაუგებარია. მათ ადგილას ნამდვილად არაფერს შევეპუებოდი და ჩემს გამაუბედურებელს, რაკიღა კანონი არ კანონობს, თავადვე ვაგებინებდი პასუხს.

**— თქვენ პრემიერ-მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის იმედი გაქვთ? ხომ არ სცდებით? კვირიკაშვილი ხომ იმ გუნდის ლიდერია, რომელმაც სავარაუდო დამნაშავეებს ხელი დააფარა?**

– გასაგებია, მაგრამ თავად კვირიკაშვილს არ დაუფარებია ხელი ამ დამნაშავეთათვის, ის შეიძლება, საქმის კურშიც არ არის, ირაკლი ღარიბაშვილმა ჩაფარცხა ეს საქმე და ის არის დამნაშავე. ვნახოთ, მე წერილი გავუგზავნე კვირიკაშვილს, დაველოდები პასუხს, თუ არც მან მომაქცია ყურადღება, სამართლიანობა არ აღადგინა, უკვე მოგახსენეთ, რასაც გავაკეთებ.

**— 2012 წლის არჩევნებში ვის მხარეს იყავით, ბატონო სულხან და ვის მიეცით ხმა?**

– ყველა იმ ძალის მომხრე ვიყავი მთელი 9 წლის მანძილზე, ვინც სააკაშვილსა და „ნაციონალებს" ებრძოდა. სააკაშვილის დროს, 2 კვირა დაჭერილიც კი ვიყავი, როგორც ოპოზიციონერი. არჩევნებში ხმა „ქართულ ოცნებას" მივეცი და სანანებელი გამიხდა. წარმოიდგინეთ, მაგათ არჩევნებში გამარჯვებას კინაღამ გადავყევი, საკუთარი თავისა და ოჯახის წევრების ჯანმრთელობა და სიცოცხლე სასწორზე დავდე და მე რომ ასე მომექცნენ, სხვას რას გაუკეთებენ?

**შოთა მურღულიას, დავით დვალს, ბექა ყანჩელს, ლევან გოგელაშვილსა და ამ სტატიაში ნახსენებ სხვა პირებს თუ თავიანთი პოზიციის გამოხატვის სურვილი გაუჩნდებათ სულხან ქობულაძის ინტერვიუსთან დაკავშირებით, „ალია" მათ უახლოეს ნომერში მისცემს ამის საშუალებას...**

ბელა ზედელაშვილი
555 48-48-61



კომპრომატები

# სოსო ჯაჭვლიანი: „შე არაკაცო, შე ბოზო, რომ ლაპარაკობ ასეთ რამეს, ფაქტი გაქვს?!“

## „მივმართავ საზოგადოებას: რომელ პოლიტიკოსებზეც არსებობს ისეთი კომპრომატები, ნუ აირჩევთ, ნუ მისცემთ ნდობის მანდატს!“

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, სოსო ჯაჭვლიანი „ალიასთან“ საუბარში აცხადებს, რომ ამ ქვეყანაში უკვე დაუსჯელობის სინდრომი ბობოქრობს.**

– მე აბსოლუტურად ვეთანხმები იმ აზრს, რომ უნდა დაისაჯოს ამ ფირების დამამზადებელიც და გამავრცელებელიც. როდესაც ადამიანები ერთმანეთს პოლიტიკურად ვერაფერს უხერხებენ, ამის შემდეგ იწყება კომპრომატების ომი. ერთი დაინტერესებული მხარე ნადირობს მეორე მხარის ფარულ ცხოვრებაზე და მიდის სიბინძურის კორიანტელი. ახლა მოდი, სიტუაცია ასე დავალაგოთ, ანუ გეტყვი, მე როგორ ვხედავ ამ ყველაფერს: ჯერ ერთი, ერთმნიშვნელოვნად ვემიჯნები ამ ბინძურ კამპანიას, ჩემზე რომ იყოს, გადამღებსაც და გამავრცელებელსაც მივუსჯიდი სამუდამო პატიმრობას, მაგრამ აქ არის ერთი „მაგრამ“, როცა შენ ხარ პოლიტიკოსი, როცა აპირებ მაღალი თანამდებობის დაკავებას, მაშინ ნება იბოძე და იყავი ყველაფრისთვის მზად. როდესაც მადლენ ოლბრაიტს ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე ნიშნავდნენ, დაუძახეს და ჰკითხეს: რაღაც ჭორები ვრცელდება და ხომ არ შეიძლება, თქვენზე რამე კომპრომატი არსებობდესო? მან უპასუხა, ხვალ გეტყვით ყველაფერსო. წავიდა ეს ქალბატონი, კარგად გადახარშა თავისი წარსული და შემდეგ განაცხადა, ჩემზე არანაირი კომპრომატი არ არსებობსო. ჩვენ ვიცით მაგალითები, როცა პოლიტიკოსები თუ ჩინოვნიკები აცხადებენ, ჩვენ გეები ვართო. ესე იგი, როცა ადამიანი არ მალავს, მაშინ საზოგადოება თავისებურად აფასებს და შეიძლება ასეთები აირჩიოს კიდეც. ავიღოთ ბილ კლინტონის მაგალითი, ეს ადამიანი გამოვიდა და აღიარა თავისი შეცდომა, მის ცოლსაც შესაბამისი რეაქცია ჰქონდა და შემდეგ რაც მოხდა, კარგად ვიცით. ჩვენთან რა ხდება? მიდის ბოლმის ნთხევა, ერთმანეთის ლანძღვა და ამ დროს გვერდს ვუვლით მთავარს: როცა ადამიანი გამორჩეულ თანამდებობაზეა, მისი ცხოვრება ძალიან აინტერესებთ და იგივე ადამიანი ვალდებულია, თავს კონტროლი გაუწიოს. კი, ბატონო, კადრები, რაც ვნახეთ, მიუღებელია, მაგრამ ამ ქვეყანაში არსებობს სპეცსამსახურები, სწორედ მათ უნდა დაუძახონ ამ ადამიანებს და უთხრან, თქვენზე არსებობს ასეთი კომპრომატები, ითანამშრომლეთ ჩვენთან, თუ ვილაცა დაგაშანტაჟებთ, ვიქნებით საქმის კურსში. ეს კადრები აქვთ „ფეესბესაც“, „მოსადსაც“, „ნაციონალებსაც“ და „ფებეერსაც“, მიდის ნადირობა. ამ დროს ყველა ცდილობს, თავისი სახელმწიფოს სასარგებლოდ რაღაც ისეთი ჩაგადენინონ, ტექნიკურად გაგაკეთებინებენ ისეთ რამეს, რაც ჩვენ არ გვაწყობს. ამიტომ, ერთ მშვენიერ დღეს ჩაიცვი ლამაზად, კოხტად, მიდი ჩვენს სპეცსამსახურთან და მოახსენე ყველაფერი... როცა მე ვლაპარაკობდი, რომ რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა უნდა იყოს დასჯადი-მეთქი, რაც დასჯადია ყველგან, ბევრმა დამიწყო გინება, იყვნენ ერთ ამბავში, იცით, რაო? ეს იქნება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაო. ახლა რომ ვილაცა შენზე კომპრომატს დებს და მის წინააღმდეგ იბრძვი, დასჯას ითხოვ, მაშინ შეგიტრიალებ კითხვას: ეს არ არის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა? მე რომ ვიღაცა დედას მაგინებს და სარწმუნოებას მიბილწავს, თუ ხმას ამოვიღებ, მხოლოდ ეს ზღუდავს ვინმეს თავისუფლებას? იყო დრო, როცა საქართველოში ასეთი კანონები არ არსებობდა და არც დემოკრატია ყვაოდა, დაგიძახებდნენ და გეტყოდნენ: შე არაკაცო, შე ბოზო, რომ ლაპარაკობ ასეთ რამეს, ფაქტი გაქვს? ისე გაგიხდიდნენ საქმეს, გარეთ თავს ველარ გამოყოფდი, საზოგადოება თვითონ დაგსჯიდა. ისეთ პირობებს შეგიქმნიდნენ, სიკვდილს ინატრებდი! ეხლა რა ხდება? ბოზია, ჩათლახია, პატიოსანია, მორწმუნეა, არამორწმუნეა, გეია, პროჭია, ტრაკია, ყველა ერთ ტაფაშია!

**— შენი პოზიცია გასაგებია, მაგრამ მოდი, უკან გადავიწიოთ და დავუბრუნდეთ 2012 წელს: მაშინ „ქართულ ოცნებაში“ ბევრმა იცოდა და მათ შორის პარტიის ლიდერმაც, რომ ასეთი კადრები არსებობდა. ბიძინა ივანიშვილმა სახალხოდ განაცხადა, ჩემი გუნდის წევრებს გადაუღეს და მეუღლეებთან შუამდგომლობაც კი მთხოვესო. ამიხსენი, რატომ დანიშნა ასეთი ადამიანები მაღალ თანამდებობებზე, ხომ ცხადი იყო, რომ საქმე აქამდე მივიდოდა? ეს ხომ ივანიშვილის დიდი შეცდომა იყო?**

– მომისმინე. რა თქმა უნდა, ზოგადად, ყველამ ყველაფერი იცოდა, მაგრამ ამის თავი და ბოლო, ამის შემოქმედი არის ერთი ადამიანი, ერთი მანიაკი – მიხეილ სააკაშვილი. მერე დაიბეჭდა კიდეც, როგორ კაიფობდა ამ კადრებზე. აქ მოხდა პროვოცირება, მე არ ვიცი, მაშინ რა აჩვენეს ბატონ ბიძინას და რა მოიტოვეს. კი, ამ ადამიანმა გულწრფელად თქვა, კადრები იყო, რაღაცები გადაიღესო, მაგრამ იმ პერიოდში ხალხის განწყობა იყო სხვანაირი, მოვლენებში ჩარეულები იყვნენ ამერიკელები, სიტუაცია წკიპზე იდგა, შეიძლებოდა, სისხლიც დაღვრილიყო, ვის აინტერესებდა, ვის რა გადაუღეს? მთავარი იყო, სამოქალაქო ომი არ დაწყებულიყო. „ნაციონალებმა“ 2012-ში ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს ამერიკელების რჩევით, თორემ ესენი სადმე წამსვლელები იყვნენ? კი, ბატონო, წავიდნენ, მაგრამ ახლა დაიწყეს ბრძოლა ახალი შეფუთვით, ანუ ისევ ბინძური მეთოდებით. ჯერ სად ხარ? ალბათ, სხვა კომპრომატებსაც ვიხილავთ, უკვე ღიად იმუქრებიან. არადა, ტექნოლოგიები იმ დონემდე მივიდა, საიდან ვინ რას გაავრცელებს, ასი წელი ვერ გაიგებ.

**— თუ კარგად იმუშავებ, ყველაფერსაც გაიგებ... კარგი, გამოსავალი რა არის?**

– აქ არსებობს ერთი გამოსავალი, როცა იცი, რომ ისეთი არაფერი ჩაგიდენია, ისე მშვიდად შეხვდები ყველაფერს და წახვალ სასამართლოში, როგორც დაგიბარებია. მე კიდევ იმ აზრზე ვარ: პოლიტიკოსზე ისეთი კომპრომატი არ უნდა იყოს, რომელიც ქვეყანას დააზიანებს.

**— კი, ბატონო, იყო ამ ქვეყანაში ერთი მანიაკი, რომელმაც ეს ყველაფერი „ჩაგვიდო“, მაგრამ რა გააკეთა თქვენმა „ქართულმა ოცნებამ“, რომ მოვლენები ასე არ განვითარებულიყო? თუნდაც ამ მანიაკს წაუყენეს ბრალდება ამ კუთხით? ლაპარაკი ძალიან ადვილია, მაგრამ საქმე? არაფერიც არ წაუყენეს, რაღაც კოსტიუმებზე დაუწყეს დავა! ამაზე პასუხისმგებლობას რატომ არ იღებთ?**

– ამ მანიაკმა ბევრი ჩაითრია და ამ სამანიაკოს უნდა მოეღოს ბოლო!

**— მეც მაგას გეუბნებით. მაგრამ მეოთხე წელიწადია, ვერაფერი გააკეთეთ, ლაპარაკის იქით არ წასულხართ. მთავრდება თქვენი დრო, როდის და როგორ უნდა მოეღოს ამას ბოლო?**

– შენ ხომ კარგად იცი, რომ მე თავიდანვე ამაზე ვლაპარაკობ? მაშინ გამოდის, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ასეთ სიტუაციასთან: მომიტეხე მჭადი, მოგიტეხავ ყველსა. ასე მიდის პინგპონგის თამაში. ასეთი აზრი ტრიალებს საზოგადოებაში. თუ ჩვენ გვინდა, რომ ეს აზრი გავაქარწყლოთ, კი, მართალი ხარ, საჭიროა მოქმედება ფორსირებულად, მაგარი შეტევით. დღეს იქითაც არიან ადამიანები, რომლებიც თამაშობენ და აქეთაც არიან, რომლებიც ამ თამაშში არიან ჩაბმულები. ამაზე მეტი რა გინდა? გამოდიან, ბიჭო, აქეთ გვეუბნებიან, 26 ათას ფაილზე თქვენ უნდა აგოთ პასუხიო!

**— რა თქმა უნდა, როცა იქით არ აგებინებ პასუხს, მაშინ შენ უნდა აგო!**

– მოიცა, კაცო... მთელ მსოფლიოში გააბნიეს... ახლა ვილაცა კილიმანჯაროს მთაზეა ასული და იქიდან ტვირთავს. ბოლო-ბოლო, ერთ 100-დოლარიანს აჩუქებ ვინმეს და ნებისმიერი ადგილიდან აგიტვირთავს. მიდი მერე და ეძებე რამდენი ხანიც გინდა. სასწრაფოდ უნდა დაისაჯოს ის „სასტავი“, რომელმაც ეს გააკეთა, ვინც ამას იღებდა.

**— მაგას არ გეუბნები? აქამდე სად იყავი?**

– გაფიცებ ყველას, რაც პარლამენტში შემოვედი, სულ მაგაზე არ ვლაპარაკობ?

**— შენ კი ლაპარაკობ, მაგრამ ქარავანი მაინც თავისი გზით მიდის. საქმე?**

– ახლა ფიქრობენ, ამ ჯაჭვლიანმაც ძალიან გაახურა, მოდი, ამასაც რამე ავუგოროთო. აგორონ და აგორონ, რაც უნდათ!

**— „ქართულმა ოცნებამ“ არ დასაჯა დამნაშავეები, არ მიხედა თავის რიგებს და მივედით ამ სიბინძურემდე.**

– დიახ, დღეს „ნაციონალები“ იმ ქალივით იქცევიან, ბოზობაზე რომ წაასწრებ, „ტრუსიკის“ აწევას მოასწრებს, მერე აქეთ შემოგიტევს და პატიოსნებაზე დაგიწყებს ლაპარაკს. საზოგადოება ამაზე კვდება სიცილით. ამიტომ მივმართავ საზოგადოებას: რომელ პოლიტიკოსებზეც არსებობს ისეთი კომპრომატები, რაც ქვეყანას დააზიანებს, ნუ აირჩევთ, ნუ მისცემთ ნდობის მანდატს!

**„ამ ქვეყანაში არსებობს სპეცსამსახურები, სწორედ მათ უნდა დაუძახონ ამ ადამიანებს და უთხრან, თქვენზე არსებობს ასეთი კომპრომატები, ითანამშრომლეთ ჩვენთან, თუ ვიღაცა დაგაშანტაჟებთ, ვიქნებით საქმის კურსში. ეს კადრები აქვთ „ფეესბესაც“, „მოსადსაც“, „ნაციონალებსაც“ და „ფებეერსაც“**






ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბრიუსელის ტერაქტმა 4 წლის ტყუპები დააობლა — ისტორია, რომელმაც მსოფლიო შეძრა



ბრიუსელის ტერაქტებისას დაღუპული პერუელი ადელმა ტაპია რუისის ისტორიამ მსოფლიო შეძრა. მისი ფოტოები გამოცემების პირველ გვერდებზე იბეჭდება. რუისი ოთხი დაღუპულიდან ერთ-ერთია, რომლის იდენტიფიცირებაც ბელგიის ხელისუფლებამ ამ დროისთვის მოახდინა. ადელმა რუისი 37 წლის იყო, წარმოშობით პერუელი, ბელგიაში ოჯახთან ერთად საცხოვრებლად 9 წლის წინათ ჩავიდა. ის ქმარ-შვილთან ერთად ნიუ-იორკში მიფრინავდა.

– მას ორი ქალიშვილი ჰყავდა, ტყუპი გოგონები მორინი და ალონდრა. ისინიც დედასთან ერთად აეროპორტში იმყოფებოდნენ და სააღდგომო არდადეგებზე ნიუ-იორკში ჩვენი დის მოსანახულებლად მიფრინავდნენ. ამ ტერაქტმა სამუდამოდ შეცვალა მათი ცხოვრება, – ამბობს გარდაცვლილის ძმა.

4 წლის ტყუპები და ტაპია რუისის ქმარი სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩნენ. აფეთქებამდე რამდენიმე წუთით ადრე გოგონები მამასთან ერთად ტერაქტის ადგილიდან ოდნავ მოშორებით სათამაშოდ გავიდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, ერთ-ერთი გოგონა დაიჭრა.

ოფიციალური მონაცემებით, ბრიუსელის ტერაქტებისას 40 ქვეყნის მოქალაქე დაიღუპა და დაშავდა. (primenewsgeorgia.ge)

## ისრაელის დაზვერვის მინისტრი — ბელგიელები შოკოლადის ჭამას უნდა შეეშვან



ისრაელის დაზვერვის მინისტრი ისრაელ კაცი აცხადებს, რომ, თუ ბელგია გააგრძელებს შოკოლადის ჭამას, დატკბება ცხოვრებით და ამაყად გამართავს აღლუმებს, როგორც დიდი ლიბერალები და დემოკრატები და არ მიაქცევს ყურადღებას იმ მუსლიმანებს, რომლებიც იქ არიან და ტერორისტული აქტების ორგანიზებას ახორციელებენ, მანამდე ამ ბრძოლაში არაფერი გამოუვათ. ბელგიაში სახელმწიფო გლოვის ფონზე, უსაფრთხოების სამსახურების მიმართ კრიტიკა გრძელდება.

აშშ-ის დაზვერვის ერთ-ერთმა ოფიცერმა ასევე განაცხადა, რომ ბელგიის უსაფრთხოების სამსახურები „ბავშვებივით გულუბრყვილოები“ არიან. (euronews.ge)

## რუსეთი ნატო-საქართველოს თანამშრომლობის გააქტიურებით შეშფოთებულია — რუსეთის საგარეო უწყება



რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ჟენევის დისკუსიების მორიგ რაუნდთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

რუსეთის საგარეო უწყების განცხადებით, ჟენევის დისკუსიებზე რუსეთის, ასევე, ოკუპირებული სამხრეთ ოსეთისა და დე ფაქტო აფხაზეთის წარმომადგენლებმა, საქართველო-ნატოს შორის თანამშრომლობის გააქტიურების გამო შეშფოთება გამოთქვეს.

– თბილისის მხრიდან ორივე დამოუკიდებელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული პრეტენზიების გათვალისწინებით, ქართული არმიის პოტენციალის გაძლიერება და ნატო-საქართველოს ერთობლივი სამხედრო წვრთნების ზრდა, სოხუმსა და ცხინვალში საფუძვლიან შეშფოთებას იწვევს, ასევე, საფრთხეს უქმნის კავკასიაში ვითარების სტაბილიზაციისკენ მიმართულ ძალისხმევას. ამავდროულად, სამხრეთ ოსეთმა შეშფოთება გამოთქვა საქართველოში, პანკისის ხეობის რაიონში „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტების მომზადების შესახებ არსებული ინფორმაციის გამო, – ნათქვამია რუსეთის საგარეო უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

განცხადებაში, ასევე, აღნიშნულია, რომ შეხვედრა კონსტრუქციულ სამუშაო გარემოში გაიმართა.

– სოხუმს, თბილისსა და ცხინვალს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მაჩვენებელი გახდა 10 მარტს პატიმრების სამმხრივი გაცვლა. ამავდროულად, მოსკოვში შეშფოთებულები არიან საქართველო-სამხრეთ ოსეთის საზღვარზე პროვოკაციების გაგრძელების გამო. კონკრეტულად, გამაფრთხილებელი საინფორმაციო ნიშნების დაზიანების, ასევე, საქართველოს მოქალაქეებისა და ევროკავშირის მისიის დამკვირვებლების სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არასანქცირებული შეღწევის გამო, – ნათქვამია განცხადებაში.

ჟენევის მოლაპარაკებების რაუნდი საქართველოს, რუსეთის, აშშ-ს, გაეროს, ეუთოს, ევროკავშირისა და დე ფაქტო რესპუბლიკების წარმომადგენლების მონაწილეობით, ჟენევაში 22-23 მარტს გაიმართა. (ნიუპოსტი)

---

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



# თამაზ მეჭიაური: „აქვს თუ არა უფლება ამომრჩეველს, რა მრწამსი აქვს? არ უნდა იცოდეს, ვინ არის მისი

## „ვის სჭირდება გვარამიასთან ერთად ჰაერის სუნთქვა, პარაშასთან რომ არ ზის, მისი ფილმების მთავარ

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაურმა გასულ კვირას განაცხადა, „თუ არსებობს საფრთხე იმისა, რომ რომელიმე უმაღლესი თანამდებობის პირი დაშანტაჟებულ იქნეს უცხოელი სპეცსამსახურების მიერ და ამ უმაღლეს თანამდებობის პირთა მიერ მოხდეს სპეცსამსახურებზე ინფორმაციის გადაცემა, ან ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც დააზიანებს ქვეყნის უსაფრთხოებას, ასეთი თანამდებობის პირები უნდა განერიდონ სამსახურს“. მოკლედ, მეჭიაური ფიქრობს, რომ იმ პირებმა, ვისზეც არსებობს ჩანაწერები, თანამდებობები უნდა დატოვონ. რა თქმა უნდა, მყისიერად გახდა მეჭიაური კამპანია „ეს შენ გეხება“-ს თავდასხმის ობიექტი და აცხადებენ, რომ მეჭიაურის განცხადებები არის, ფაქტობრივად, იმ დანაშაულის ლეგიტიმაცია, რომელსაც ბოლო პერიოდში ჰქონდა ადგილი. თამაზ მეჭიაურმა პრეზიდენტ მარგველაშვილს იმ განცხადების გამო, — რომ მას აქვს მრავალფეროვანი და მდიდარი სექსი, წაკბინა და გააკრიტიკა: „არ ვარ იმ აზრზე, რომ ადამიანებს არ უნდა ჰქონდეთ სექსი, ზოგიერთი, ვიდრე ქსოვას სწავლობდა, ეს უკვე მოლეული მქონდა და არსად არ მიტრაბახია. არ დავიწყე გამდიდრება, როდესაც მდიდრულ სასახლეში გადავედი, ისე გამოდის, თითქოს, ვინმეს სექსს ვუკრძალავ... არა, ბატონებო, მე ვამბობ, რომ არის დევიდ პეტრეუსის მაგალითი, სულ რაღაც სამი წლის წინანდელი. ოთხვარსკვლავიანი გენერალი, რომელსაც აქვს უზარმაზარი გამოცდილება, შეიძლება ყველაზე ღვაწლმოსილი გენერალიცაა, ეს კაცი გადააყენეს მხოლოდ იმიტომ, რომ თავის ბიოგრაფთან ჰქონდა რომანი. მოუდეს მიზეზი, რომ მას ჰქონდა წვდომა საიდუმლოებაზე, რომელიც შეიძლებოდა გამჟღავნებულიყო ამ ქალბატონის მიერ...“ ამის მერე მეჭიაური არა მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ და მისი სატელიტი ორგანიზაციების თავდასხმის ობიექტი გახდა, არამედ საკუთარმა თანაგუნდელებმაც ზურგი აქციეს, მათ შორის — გია ვოლსკიმ, გედევან ფოფხაძემ, ზვიად კვაჭანტირაძემ, ამ უკანასკნელმა თვალები გადაატრიალა, ამოიხვნეშა, პირჯვარი გადაიწერა და თქვა, — ო, ღმერთო ჩემო, ეს რა ესმის ჩემს ყურებსო და უმრავლესობის ლიდერმა „კვაჭი კვაჭანტირაძემ“ მეჭიაური მიჯირყვნა — ვემიჯნები მის პოზიციასო. არც შრამიანმა დააყოვნა და შეუთვალა, — სულ ფეხებზე მკიდია გამემიჯნები თუ შემომემიჯნები, არც სკოლის დირექტორი ხარ და არც ბაღის გამგე, ბოდიშის მოხდას კი არავის წინაშე არ ვაპირებო.

ახლა კი „ალია“ გთავაზობთ ინტერვიუს **თამაზ მეჭიაურთან**, რომელიც ძალიან ხშირად „ოცნებაში“ „თეთრი ყვავით“ გამოიყურება, ხმაურიანი განცხადებების გამო.

**— ბატონო თამაზ, თქვენ მოუწოდეთ ჩინოვნიკებს, ვისზეც არსებობს კომპრომატები, დატოვონ თანამდებობები. ვის გულისხმობდით, რა ინფორმაცია გაქვთ, ან როგორ უნდა გაარკვიოს თანამდებობის პირმა, არის თუ არა მასზე კომპრომატი? აქვე გკითხავთ, ჩვენ ვნახეთ ინტერნეტმუქარა, თუ 31 მარტამდე არ გადადგებიან თანამდებობიდან სანიკიძე და ხიდაშელი, მათზე გამოქვეყნდება კომპრომატები. დამნაშავეთა ულტიმატუმის ლეგიტიმაციას ახდენთ?**

— ჯერ ერთი, ასე არ მითქვამს... მოდით, გავმიჯნოთ ორი საკითხი. პირველი, რაც შეეხება იმ ფარულ ჩანაწერებს, რომელიც აღმოჩნდა სამეგრელოს სამალავებში და თავის დროზე უნდა განადგურებულიყო, მოხდა მხოლოდ ნაწილის განადგურება. დანარჩენი, როგორც ჩანს, ქვეყნის გარეთ იყო გატანილი და დღეს სწორედ ამ ჩანაწერების გამოტანა ხდება საჯაროდ სხვადასხვა პიროვნებების დასაშანტაჟებლად. ეს არის ძალიან ცუდი და ამაზრზენი ფაქტი, როგორც მორალურად, ისე იურიდიულად. უმოკლეს ვადებში უნდა მოხდეს გამოძიების ჩატარება და დაისაჯოს ყველა, უპირველესად ისინი, ვინც ამ გადაღებების ორგანიზატორები, შემსრულებლები და შემდგომ, გამავრცელებლები იყვნენ... ახლა ვთქვათ მეორე საკითხი,

> **ზოგიერთებს სურთ დაისაჯონ მხოლოდ ისინი, ვინც ამ კადრებს ავრცელებს, იგივე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დღეს გამოძიების უმოკლეს ვადებში ჩატარებას მოითხოვენ, დიდად არ აქტიურობდნენ მაშინ, როდესაც სამალავებში იქნა აღმოჩენილი ჩანაწერები და ასე აქტიურად არ ითხოვდნენ გამოძიების ჩატარებას, თუ ვინ დაგეგმა და ვინ გადაიღო ეს ყველაფერი. მიმაჩნია, რომ თავის დროზე კადრები კი არ უნდა განადგურებულიყო, არამედ უნდა შენახულიყო როგორც მტკიცებულება და გამოძიებულიყო ეს დანაშაული, მომხდარიყო მისი სამართლებრივი შეფასება და დამნაშავეები სათანადოდ დასჯილიყვნენ.**

ვთქვი და ვიმეორებ, თუ უმაღლეს თანამდებობის პირებზე რაიმე კომპრომატი არსებობს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მის დასაშანტაჟებლად და შანტაჟის გზით მოიპოვონ საიდუმლოს შემცველი ინფორმაცია, რა თქმა უნდა, ასეთი თანამდებობის პირი აზიანებს სახელმწიფოს უსაფრთხოებას. ვთქვი, რომ ასეთი თანამდებობის პირი უნდა გადადგეს თანამდებობიდან! ახლაც ამ აზრზე ვარ.

**— და ქვეყანა რომ მთავრობის გარეშე დარჩეს, არ გეშინიათ?**

– როგორ ფიქრობთ, ასეთი სერიოზული კომპრომატი ყველაზე არსებობს? მაშინ დაღუპულა ქვეყანა, თუკი ჩვენ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები გვმართავენ.



> **„როგორ ფიქრობთ, ასეთი სერიოზული კომპრომატი ყველაზე არსებობს? მაშინ დაღუპულა ქვეყანა, თუკი ჩვენ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები გვმართავენ“**

**— ხუმრობა იქით იყოს და, იღებთ თუ არა პოლიტიკურ პასუხისმგებლობას თუნდაც კადრების განადგურებაზე, რომლის უფლებაც ხელისუფლებას არ ჰქონდა, რადგან წარმოადგენდა მტკიცებულებას, კოჰაბიტაციაზე „ნაცმოძრაობასთან“, რომლის შედეგებსაც დღეს იმკით... ფაქტობრივად, „ნაციონალებმა“ მძევლად აგიყვანეს და იმის შიშით, რომ „ნაცები“ რას იტყვიან, „ქართული ოცნების“ უმრავლესობას პირში წყალი აქვს ჩაგუბებული.**

– გეთანხმებით, პირადად ჩემს თავზე ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ არასაკმარისად ვიაქტიურე მაშინ, როცა ეს ხდებოდა. თუნდაც იმის გამო ვგრძნობ პასუხისმგებლობას, რომ ხელისუფლებამ ვერ გაუძლო იმ არასამთავრობოების ზეწოლას, რომლებიც, ფაქტობრივად, „ნაციონალებიდან“ იმართებიან და ზუსტად ამ არასამთავრობოების ზეწოლით მოხდა ამ ჩანაწერების განადგურება მხოლოდ იმ ნაწილის, რომელსაც ფლობდა „ოცნების“ ხელისუფლება, ხოლო ჩანაწერების ნაწილი, რომელსაც ფლობს ყოფილი ხელისუფლება, ფაქტობრივად, უკონტროლოდ დარჩა. მე არ გამოვრიცხავ, რომ კომპრომატები არსებობდეს არა მხოლოდ უმაღლეს თანამდებობის პირებზე, არამედ საშუალო რგოლის თანამდებობის პირებზეც, რომლებიც მუშაობდნენ სხვადასხვა ძალოვან სტრუქტურებში და არც იმას გამოვრიცხავ, რომ ზოგიერთი შანტაჟის გზით ხელს უშლის სამართლიანობის აღდგენის პროცესს. ამიტომ არის საჭირო, მოხდეს გამოძიება, თუნდაც დაგვიანებულად, მაგრამ ეს საქმე ბოლომდე უნდა მივიდეს.

**— ალბათ, მსოფლიოში არსად არ ახსენებენ იმდენჯერ სი-**

ტყვა „სექსს“, როგორც ამ ბოლო დროს საქართველოში. ფაქტობრივად, საზოგადოებას „სექსტოქსიკოზი“ დაემართა, როცა კომპრომატებზეა საუბარი, ყველას აზროვნება მიდის სექსუალურ სცენებზე. თუმცა არის ეჭვი, რომ არსებობს დანაშაულის შემცველი კომპრომატები და სექსი დანაშაული არ არის, საუბარია, რომ ეს კომპრომატები არის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ქმედებები და საუბრები. კიდევ ერთხელ დაგიკონკრეტებთ, 31 მარტამდე მიცემულია ულტიმატუმი, გადა-

რომელიც სახელმწიფო ინტერესებს აზიანებს. გეკითხებით, აქვს თუ არა უფლება ამომრჩეველს, იცოდეს, პოლიტიკოსი ვინ არის, რა ორიენტაცია და რა მრწამსი აქვს? რა თქმა უნდა, მის სექსუალურ გაქანებებს არ ვგულისხმობ, მაგრამ ამომრჩეველს აქვს უფლება, იცოდეს, ვინ არის მისი რჩეული და ვის უხდის ქვეყნის მართვაში ფულს. მაღალი რანგის პოლიტიკოსები უნდა იყვნენ გამჭვირვალე და მათ ამომრჩეველი არ უნდა მოატყუონ.

ლიტების ინტერესშია ეს ყველაფერი, რთული მისახვედრია?!.

არავის ადვოკატობას არ ვაპირებ, მაგრამ ახლა რომ უნდათ, ივანიშვილს დააბრალონ ეს ყველაფერი, კითხვა მაქვს, ეს ჩანაწერები ხომ მანამდე არსებობდა. თუ ამის საფუძველზე უნდოდათ რომელიმე თანამდებობის პირის დაშანტაჟება და პოსტიდან გადაყენება, ამხელა აჟიოტაჟი რა საჭირო იყო? კონკრეტულ პიროვნებას აჩვენებდნენ ამ ჩანაწერს და ამით ყვე-

**ვისუნთქოო...**

– ჩვენი ხელისუფლების ბრალია, ისეთი წარმონაქმნი, როგორიც გვარამიაა, დღეს კიდევ ლაპარაკობს და სხვებს მოძღვრავს, ან ვის სჭირდება გვარამიასთან ერთად ჰაერის სუნთქვა, ვის ამადლის თავს, ეს ბაღლინჯო, პრესტიჟული საკნის პარაშასთან რომ არ ზის, მისი ფილმების მთავარ გმირთან, ყავარჯნიანთან, იმიტომ გაბლატავდა...

**— პარტიის შიგნითაც ბევრი დაგიპირისპირდათ თქვენი**

***თეთრი ყვავი***

ლიმე პოლიტიკური ძალა ჩავიბათ და ამომრჩეველი მოვატყუოთ. ურეიტინგო პარტია წარმმართველ ძალად ჩააბა და ამომრჩეველი აიძულო, ხმა მისცეს, ეს არის ამომრჩევლის ნების წინააღმდეგ წასვლა, რასაც მივიჩნევ, რომ არასწორია. მართალია, თავის დროზე მარტო ვიყავი, როცა ამაზე ვსაუბრობდი, მაგრამ ახლა ბევრი მომხრე გამომიჩნდა გუნდის შიგნით.

# იცოდეს, პოლიტიკოსი ვინ არის, რა ორიენტაცია და რჩეული და ვის უხდის ქვეყნის მართვაში ფულს?!“

## ვის ამადლის თავს, ეს ბაღლინჯო, პრესტიჟული საკნის გმირთან, ყავარჯნიანთან, იმიტომ გაბლატავდა...“





**დგნენ ხიდაშელი და სანიკიძე, ქვეყანა დატოვოს ირაკლი ალასანიამ, თქვენი განცხადება ვის უკავშირდება?**

– მე არ მინდა პერსონებამდე დავიყვანო, გულწრფელად ვამბობ, რომ, რაც გავრცელდა, არც ერთი ჩანაწერი არ მინახავს, არც ადრე მქონია სურვილი, დახურულ ჩვენებას დავსწრებოდი, როცა ეს მოეწყო, არც ჭორის დონეზე მინდა საუბარი, თუმცა აქ საუბარია ისეთ კომპრომატებზე, რომლის აღიარებაც ეშინია ამა თუ იმ პიროვნებას, ზოგს უნდა, ჰომოფობობა დამაბრალოს, ზოგი ქსენოფობს მეძახის.

არანაირი პრობლემა არ მაქვს სხვა ორიენტაციის ადამიანების მიმართ. ასეთები სხვადასხვა ქალაქების მერებიც არიან, მაგრამ ისინი ხალხს პატიოსნად აცნობენ საკუთარ ორიენტაციას და არ ატყუებენ ამომრჩეველს. მაგრამ იცით, აქ რაზეა საუბარი? ამომრჩეველს რომ უმალავ და ზუსტად იცი, რომ შენზე არსებობს კომპრომატი, რაც ადასტურებს შენს ორიენტაციას, ასეთი მოხელე ექვემდებარება შანტაჟს და იღებს ისეთ გადაწყვეტილებას,

როცა მეკითხებით, რა იციან პოლიტიკოსებმა, არსებობს თუ არა მათზე კომპრომატი, მე არაფერს ვამტკიცებ, თურმეობით ფორმაში ვსაუბრობ, თუკი კონკრეტულმა თანამდების პირმა იცის, რომ მასზე არსებობს მსგავსი კომპრომატი და ამით აშანტაჟებენ, მაშინ უნდა გადადგეს. ახლა უნდათ ამ ჩანაწერებს მიმაბან და დამაშანტაჟონ, ძალიან ცდებიან, თუ ჰგონიათ, რომ სუსტი ნერვები მაქვს, გიენებივით შემომესივნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ყველანაირ ეროვნულს ებრძვიან, მათი შანტაჟის არ მეშინია. მე ვიყავი პირველი, ვინც განვაცხადე, რომ გამავრცელებლები უნდა დაისაჯონ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ხელისუფლებას შემოუტრიალონ „ნაციონალების“ ბინძური საქმე და ჩვენს ხელისუფლებაზე შეიწმინდონ ხელები, ძალიან კარგად იციან, ვისგანაც იმართება ეს პროცესები და ვინ არიან დაინტერესებული ამ ფირების გავრცელებით. შეიძლება პერსონები არ იციან, მაგრამ ის, რომ „ნაციონალების“ და მათი სატე-

ლაფერი დამთავრდებოდა. არადა, არც ეს იყო საჭირო, რამდენჯერმე გადავამტკიცეთ მთავრობა, სულ არ დააყენებდნენ მინისტრებად ისეთ კანდიდატებს, ვისზეც კომპრომატები არსებობდა და რას იზამდნენ? უამრავი შანსი იყო მათი უმტკივნეულოდ გაშვების. ღიად, ცალსახად ხელისუფლების წინააღმდეგაა მიმართული ის, რაც ხდება.

**— დღეს ბოროტმოქმედები მორალს კითხულობენ და თქვენი ხელისუფლება უსუსურია. ნიკა გვარამია, რომელიც ერთ-ერთი შემოქმედი იყო ფარული გადაღებების, პროკურორის პოზიციიდან გვიმტკიცებდა, რომ ძმები ბერძენიშვილები, ცოტნე გამსახურდია, შალვა ნათელაშვილი, გოგა ხაინდრავა და ა.შ. არიან „გრუ“-ს აგენტები, ამ ფარულ ჩანაწერებს თავის იდუმალ ხმას ადებდა და გვიმტკიცებდა, რომ „ნაცმოძრაობამ“ გმირობის ტოლფასი საქმე გააკეთა და ქვეყანა ამ „ნაძირალებისგან“ იხსნა, დღეს ეს პიროვნება „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორია და თავისუფალ სიტყვას „იცავს“. თქვენზე კი ამბობს, მექიაურთან ერთად პარლამენტში კი არა, ერთ შენობაშიც არ შევალ, რომ მისი ამოსუნთქული ჰაერით არ განცხადების გამო, გედი ფოფხაძე, ზვიად კვაჭანტირაძე, გია ვოლსკი... რა ხდება, ბატონო თამაზ, რა თამაშთან გვაქვს საქმე? თუ ვოლსკიმ და კვაჭანტირაძემ თქვენ არ დაგიცვათ, სხვისგან რას უნდა მოელოდეთ?**

– კვაჭანტირაძე არც სკოლის დირექტორია და არც კლასის დამრიგებელი, ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ და არავისგან ვიმართები, ჩემი სიტყვების მჯერა და ვარ გულწრფელი. არ მაქვს უფლება, განსხვავებული აზრი მქონდეს? თუმცა ვერავის ვაპატიებ, რომ არაკორექტულად გამოხატონ საკუთარი აზრი ჩემს წინააღმდეგ.

**— თქვენ იყავით პირველი, ვინც ღიად დაუპირისპირდა „რესპუბლიკელებს“ და ფორმულაც კი შესთავაზეთ ამ ამბიციურ პოლიტიკურ ჯგუფს, ცალ-ცალკე გასულიყვნენ არჩევნებზე და დაემტკიცებინათ, რამდენად ძლიერი პარტიაა...**

– ეს ფორმულა, რაზეც ვსაუბრობდი, იძლევა იმ შესაძლებლობას, რეალურად აისახოს პარლამენტში მოსახლეობის განწყობა და არ მოხდეს ისე, რომ გაურკვეველი რეიტინგის მქონე რომე-

**— რამდენად რეალურია ინფორმაცია, ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნების შესახებ?**

— არ მაქვს ინფორმაცია, მაგრამ მივესალმები მის პოლიტიკაში დაბრუნებას. თუმცა არ ვთვლი, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში ღარიბაშვილის დაბრუნება მიზანშეწონილია, რადგან ხელისუფლებიდან წავიდა და კვირიკაშვილი გუნდს კარგად ხელმძღვანელობს. თუმცა ირაკლი ღარიბაშვილის უნარების, გამოცდილების გამოყენება შეიძლება. მას აქვს ქარიზმა, მოსახლეობაში ნდობა და მხარდაჭერა, ჩვენ კი არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ღარიბაშვილი ამ ასაკში პენსიაზე გავუშვათ.

**— როგორ ფიქრობთ, კოალიცია არჩევნებამდე ხუთი-ექვსი თვით ადრე დაიშლება?**

– მე ვთვლი, რომ ავტომატურად არ უნდა მოხდეს ამ ბლოკის განახლება, არჩევნების წინ მოხდება კოალიციის დაშლა და ახალი საარჩევნო ბლოკის შექმნა, წინასწარ ვერაფერს გეტყვით, საარჩევნო ბლოკში რომელი პოლიტიკური პარტია იქნება და რომელი – არა.

## ფატუ ბენსუდა აგვისტოს ომის გამოძიების თემაზე „გარდიანში“ სტატიას აქვეყნებს



ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი ფატუ ბენსუდა გავლენიან გამოცემა „გარდიანში“ აქვეყნებს სტატიას, სადაც კიდევ ერთხელ განმარტავს 2008 წლის ომის გამოძიების საჭიროებას.

სტატიაში სათაურით: „რუსეთ-საქართველოს ომი: რატომ დაიწყო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ ომის დანაშაულის გამოძიება“ ფატუ ბენსუდა წერს, რომ 2008 წელს ხანმოკლე, მაგრამ ინტენსიური საბრძოლო მოქმედებების შედეგად ასობით ადამიანი დაიღუპა ან დაშავდა, მათ შორის მშვიდობისმყოფელები, ათასობით ადამიანი კი იძულებით გადაადგილებული პირი გახდა.

ფატუ ბენსუდა აღნიშნავს, რომ ქართული და რუსული მხარეები გამოძიებას ატარებდნენ, თუმცა საქართველოში ეს პროცესი შეჩერდა „სამხრეთ ოსეთსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების არასტაბილური ვითარების გამო“.

– ამგვარად, გასული წლის მარტში საქართველოს ხელისუფლებამ აცნობა ჩემს ოფისს, რომ 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის დაკავშირებულ საქმეებზე შიდა გამოძიების შემდგომი პროგრესის პერსპექტივა აღარ არის, – აღნიშნავს ბენსუდა.

ბენსუდას განცხადებით, ამ ეტაპზე დაიწყება მტკიცებულებების შეგროვება სხვადასხვა წყაროდან, ხოლო ეჭვმიტანილთა იდენტიფიცირება მომდევნო ეტაპზე მოხდება.

– თუ მოპოვებული მტკიცებულებები მოგვცემს გონივრულ საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ პირმა ჩაიდინა ომის დანაშაული და დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, მაშინ გადავალთ შემდეგ ეტაპზე – მივმართავთ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, გასცეს დაკავების ორდერი ან გამოსცეს ბრძანება სასამართლოში გამოცხადების შესახებ, – წერს ბენსუდა.

„გარდიანში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ის მკითხველს ახსენებს, რომ გამოძიება არის დამოუკიდებელი იურიდიული პროცესი და არ არის ვინმეზე გამიზნული, არ ეხება გეოპოლიტიკას ან პოლიტიკური უთანხმოებების მოგვარებას, „სამხრეთ ოსეთის“ სტატუსის განსაზღვრას, ან ვინმესთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას სამხედრო მოქმედებების დაწყებისთვის.

ფატუ ბენსუდა საქართველოში ვიზიტსა და პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან, ასევე, მინისტრთა კაბინეტის წევრებთან გამართულ შეხვედრებს წარმატებულს უწოდებს და წერს, რომ ვიზიტის დროს საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გამოთქვა მზადყოფნა, სრულად ითანამშრომლოს გამოძიებასთან.

– ჩემს ოფისს იმედი აქვს, რომ კონფლიქტის ყველა მხარე ითანამშრომლებს, – წერს ფატუ ბენსუდა. (ინტერპრესნიუსი)

## „თავი მეგონა „ქართული ოცნების“ სათავო ოფისის სათათბირო ოთახში“



„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი ნიკა მელია ცესკოში გამართულ შეხვედრას დაესწრო, სადაც საარჩევნო ოლქების საზღვრებთან დაკავშირებით, პრეზენტაცია გაიმართა.

– სამწუხაროდ, თავი მეგონა „ქართული ოცნების“ სათავო ოფისის სათათბირო ოთახში. იცით, რომ დიდუბის მოსახლეობის ნაწილი, საბურთალოს მოსახლეობის ნაწილი და გლდანის მოსახლეობის ნაწილი აირჩევს ერთ მაჟორიტარს. მიხვდა ცესკო, რომ ეს უხერხულობას გამოიწვევს – იმიტომ, რომ მაჟორიტარს რა უნდა დაარქვა – ამიტომ, თბილისში არჩეულ მაჟორიტარს აღარ ერქმევა, დავუშვათ, დიდუბის მაჟორიტარი. მიენიჭება ნუმერაცია. მაგალითად, დიდუბის რაიონის მცხოვრები აირჩევს მაჟორიტარ №1-ს. შეიძლება გავიხედოთ და მოდის მაჟორიტარი №2.

ორი საარჩევნო უბანი, სადაც წინა არჩევნებზე, მაგალითად, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოუგო „ქართულ ოცნებას“, აიღეს და მიუერთეს ახლა ვაკეს. არადა ამის აუცილებლობა არ იყო, – განაცხადა მელიამ. (news.ge)

## პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერებით დაშანტაჟების მორიგი მსხვერპლი




მოქალაქე მაია არნოუპი პროკურატურას მიმართავს და გამოძიებას ითხოვს. არნოუპის განცხადებით, პირი, რომელთანაც ჰქონდა ინტიმური ურთიერთობა, მისი პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერებით აშანტაჟებს.

– ულამ იაჰია ნაზართან მქონდა ახლო მეგობრული ურთიერთობა, შემდეგ ჩვენ ჩამოგვიყალიბდა ინტიმური ურთიერთობა, რომელმაც ჩაიწერა ეს ყველაფერი და გამოიყენა ჩემი შანტაჟის მიზნით. მან ჩემს არასრულწლოვან ქალიშვილს აჩვენა ჩემი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები. როდესაც მე გავთხოვდი, ის იძულებულს მხდიდა, რომ, თუ ხელს მოვაწერდი ჩემს მეუღლესთან, ის მას ამ კადრებს აჩვენებდა. მივმართე მთავარ პროკურორ ირაკლი შოთაძეს, თუ გამოძიება არ დაიწყება, ვაცხადებ, რომ პროკურატურის წინ ვიწყებ შიმშილს, – განაცხადა არნოუპმა. (news.ge)

# ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თამაზ მეჭიაური რა ნამუსით უნდა გაამტყუნო?!

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



თემის გაგრძელება, დასაწყისი მე-18 გვერდზე

**„ზუსტად 2 წლის წინათ „ალიაში“ და პირადად თქვენთან ინტერვიუში განვაცხადე, რომ სააკაშვილის სპეცსამსახურების წარმომადგენლებს კომპრომატები ჩვენს პოლიტიკოსებზე გატანილი ჰქონდათ საზღვარგარეთ და ისინი უცხოეთის სპეცსამსახურებისთვის ჰქონდათ გადაცემული“**





**მაშინ ამას რატომღაც ყველამ წაუყრუა და დღეს ერთი ამბავია იმაზე ატეხილი, რასაც 2 წლის წინათ „ალიაში“ ვამბობდი**

მე პირადად, რაც პოლიტიკოსების სექსუალური ცხოვრების ამსახველი ვიდეოკადრები გავრცელდა, მათ შესახებ, თამაზ მეჭიაურზე უკეთესი და ადეკვატური შეფასება არც ერთი ქართველი პოლიტიკოსისგან და ექსპერტისგან არ მსმენია. თამაზ მეჭიაურის არგუმენტი, როგორც იტყვიან, რკინისებურია – თანამდებობის პირმა, რომელიც შესაძლოა, გახდეს შინაური პოლიტიკური ძალისა თუ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების შანტაჟის მსხვერპლი, მასზე არსებული კომპრომატების გამო, პოსტი უნდა დატოვოს. ეს თემა საერთოდ განხილვასაც კი არ უნდა ექვემდებარებოდეს, იმდენად ელემენტარული და გასაგებია. ეს რომ გაიგო, დიდი სახელმწიფოებრივი აზროვნება არ არის საჭირო. უცხოეთიდან დაფინანსებულმა ულტრალიბერალებმა ერთხმად დასცხეს მეჭიაურს: ამის თქმა როგორ გაბედა, მისი რა საქმეა, ვინ დარჩება თანამდებობაზე და ვინ – არაო. მოკლედ, ამბრაზურასავით გადაეფარნენ იმ თანამდებობის პირებს, რომლებზეც, სავარაუდოდ, არსებობს სექსუალური და სხვა სახის კომპრომატები და დიდი ალბათობით, მათი ნაწილი მაინც, სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურების ხელშია. „ნაციონალთა“ ერთ-ერთი ლიდერის, ზაზა ბიბილაშვილის მეუღლემ, ცნობილმა ფსევდოლიბერალმა ნინია კაკაბაძემ ისიც კი განაცხადა მეჭიაურის ამ განცხადების საპასუხოდ, საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, ვიფიქრო, თამაზ მეჭიაურს სხვათა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გამავრცელებლების შესახებ ინფორმაციაც შეიძლება ჰქონდესო. ამ ფსევდოლიბერალებმა ოღონდ ვინმეს რაიმე დასწამონ, ვინმეს ტალახი მოსცხონ და მათთვის ეგ არის მთავარი... უსაფრთხოების ექსპერტი, ვახტანგ მაისაია „ალიასთან“ აცხადებს, რომ მან 2 წლის წინათ იცოდა, რომ ქართული სპეცსამსახურების მიერ ქართველ პოლიტიკოსზე მოპოვებული სექსუალური თუ სხვა სახის კომპრომატები უცხოეთის სპეცსამსახურების ხელში იყო: „მე არ ვიცი, თქვენ გახსოვთ თუ არა, მაგრამ

**ზუსტად 2 წლის წინათ, „ალიაში“ და პირადად თქვენთან ინტერვიუში განვაცხადე, რომ სააკაშვილის სპეცსამსახურების წარმომადგენლებს კომპრომატები ჩვენს პოლიტიკოსებზე გატანილი ჰქონდათ საზღვარგარეთ და ისინი, უცხოეთის სპეცსამსახურებისთვის ჰქონდათ გადაცემული, ცხადია, გარკვეული საზღაურის ფასად. მაშინ ამას რატომღაც ყველამ წაუყრუა და დღეს ერთი ამბავია იმაზე ატეხილი, რასაც 2 წლის წინათ „ალიაში“ ვამბობდი.**

რომელი ქვეყნის სპეცსამსახურებს შეიძლება ჰქონდეთ ეს კომპრომატები? დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, მაგრამ ლოგიკურად მას, რომელსაც ყველაზე მეტად სჭირდება ისინი, რომელიც ყველაზე მეტად არის დაინტერესებული საქართველოზე გავლენის მოპოვებით. ლოგიკურად რუსეთს მივადექით, თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ კუდ-ისა და სოდ-ის ყოფილმა მაღალჩინოსნებმა იგივე ან სხვა სახის კომპრომატები ჩვენი მეგობარი ქვეყნების სპეცსამსახურებსაც მიჰყიდეს. თუმცა, რადგან პოლიტიკაში არ არსებობენ მეგობრები, არსებობენ მხოლოდ პარტნიორები და დღევანდელი პარტნიორი ხვალ, შესაძლოა, მტრად გადაგექცეს. ამ მეგობარ სახელმწიფოთა ხელში მსგავსი კომპრომატების ქონა დიდი საფრთხეა ქვეყნისთვის“.

ვახტანგ მაისაია მიიჩნევს, რომ მინისტრის, მით უფრო, უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი მინისტრის შესახებ კომპრომატები უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ხელში, ეს კატასტროფაა:

„თუ თავდაცვის ან საგარეო საქმეთა მინისტრის შესახებ აქვთ კომპრომატები სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებს და მას ან მათ საიდუმლო ინფორმაციას სძალავენ? ეს არის სრული კატასტროფა ქვეყნისთვის, ეს ნიშნავს, რომ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა მოშიშვლებულია, სახელმწიფოებრიობას მომაკვდინებელი საფრთხე ემუქრება. ამის წარმოდგენაც კი შემზარავია. კონკრეტული ქვეყნის სპეცსამსახურები ასეთ შემთხვევაში იმდენ საიდუმლო ინფორმაციას გაზიდავენ ქვეყნიდან, ამ ზარალს ვერც აწონი და ვერც დაითვლი. ეს იმას ნიშნავს, რომ უზარმაზარი ფული და სახელმწიფო მოხელეთა ენერგია, რასაც ქვეყნის უსაფრთხოებას ვახმართ, წყალში იყრება. შესაძლოა, ქვეყანა დადგეს ნებისმიერი საფრთხის წინაშე, რასაც კი თქვენი ფანტაზია წარმოიდგენს. არამხოლოდ უშიშროების საბჭოს წევრი მინისტრის გადაბირებაა საფრთხე. თუნდაც პარლამენტის „ნდობის ჯგუფის“ წევრი დეპუტატიც ბევრ საიდუმლო ინფორმაციას ფლობს ნებისმიერი მიმართულებით და თუ სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებს კომპრომატების მეშვეობით გადაბირებული ჰყავთ ასეთი დეპუტატი, ის არანაკლები საფრთხეა ქვეყნისთვის, ვიდრე ეს წონიანი მინისტრი“. – აცხადებს ვახტანგ მაისაია.

ამის შემდეგ რომელი ნორმალური ადამიანი იტყვის, რომ ის თანამდებობის პირი, ვისზეც კომპრომატები არსებობს, პოსტზე უნდა დარჩეს? თამაზ მეჭიაური რა ნამუსით უნდა გაამტყუნო?

ეს ლიბერასტები ერთხმად აცხადებენ, რომ სკანდალური სექსუალური ხასიათის ვიდეოები კონკრეტულ პოლიტიკოსებზე ატვირთულია ინტერნეტში.

**ამბობენ, რომ რუსეთის მთავარ სპეცსამსახურს „ეფ-ეს-ბეს“ მრავლად აქვს სექსუალური და სხვა სახის კომპრომატები სხვა ქართველ პოლიტიკოსებზეც და მათაც გაავრცელებენ. ამის მიზანი კი საქართველოში არჩევნების წინ დესტაბილიზაციის გამოწვევაა.**

აი, ეს ლიბერასტული საზოგადოება კი დღე და ღამ რუსეთის ლანძღვა-გინებაშია და დედ-მამის სულს უტრიალებს. თქვე კაი ხალხო, თუ რუსეთის, კერძოდ, „ეფ-ეს-ბეს“ ხელშია ქართველი პოლიტიკოსების, მათ შორის, მაღალი თანამდებობის პირთა შესახებ კომპრომატები, ცხადია, რუსეთი მათ გამოიყენებს, ვინც უკვე გამოწველა და მისგან საჭირო ინფორმაცია მიიღო, მათზე, სავარაუდოდ, იმ უკვე არასაჭირო კომპრომატებს გადმოყრის, გაასაჯაროებს, ვინც სჭირდება, მათ შესახებ არაფერს გაახმაურებს. თუ შენი მთავარი მტერი ამ კომპრომატე-

### შანტაჟი

ბით გებრძვის და თანამდებობის პირებს, სავარაუდოდ, საიდუმლო ინფორმაციას სძალავს,

**იმას კი არ უნდა ამბობდეთ, კომპრომეტირებული თანამდებობის პირები არ უნდა გადადგნენ და დარჩნენ პოსტებზეო, არამედ ხმამაღლა უნდა გაჰყვიროდეთ, — რუსეთის სავარაუდო აგენტები საქართველოს ხელისუფლებიდან დღესვე უნდა მოშორდნენო, მეჭიაურივით უნდა ამბობდეთ, რომ მათ პოსტები უნდა დატოვონ და ვინც პოსტზე არ არის, იმ პოლიტიკოსებმა არჩევნებში არ უნდა მიიღონ მონაწილეობა. რა ვიცი, ვისაც არ გეზარებათ, ვინც თქვენს იდეებს უპირისპირდება, ყველას რუსეთისა და კრემლის აგენტს ეძახით და ვინც შესაძლოა, მართლა კრემლის აგენტი იყოს, იმ ხალხს ეფოფრებით. აი, თქვენი ლოგიკა და „დახვეწილი აზროვნება“! თუ რუსეთი ამ კომპრომატებით საქართველოში დესტაბილიზაციის მოწყობას აპირებს წინასაარჩევნოდ და ამასაც თქვენვე ამტკიცებთ, როგორ ფიქრობთ, ამ კომპტრომეტირებულ აგენტურას, მინისტრებსა თუ დეპუტატებს, სხვა მაღალი თანამდებობის პირებს არ გამოიყენებს დესტაბილიზაციის მოსაწყობად? უკეთეს დასაყრდენს სად ნახავს კრემლი საქართველოში არეულობის დასაწყებად? იმ აგენტურას, იმ „დავერბოვკებულ“ თანამდებობის პირებს მოაწყობინებს არეულობას, მოზამბიკიდან კი არ ჩამოიყვანს ხალხს?**

თუმცა, საუბედუროდ, ვერც ამას ხვდებით ლიბერასტებო, რადგან თქვენთვის რუსეთი მხოლოდ მტრის ხატია და არა რეალური მტერი, რუსეთის მტრობაც იმდენად გაწყობთ, რამდენადაც თქვენს ინტერესებს წაადგება, იმის იქით კი ვერ იხედებით.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# მარი გრიგოლია: „ელადავე შენი ოჯახის წევრებს, შე ქათამო! უტაქტო! უნამუსო! თავხედო!“

## დავით ლორთქიფანიძე: „ყველა გაიგებს, რატომ აქვს ინგას შვილს აგრესია და საიდან მოდის ეს ყველაფერი!“

25 მარტს ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში ინგა გრიგოლიამ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, დათო ლორთქიფანიძე მიიწვია. ლორთქიფანიძე გრიგოლიას მიესალმა: „გამარჯობა, შეყვარებულო ქალბატონო ინგა“! ამას მოჰყვა გრიგოლიას გალიზიანება, დამიკონკრეტეთ, რა მითხარით და რა ასპექტშიო... ცოტა ხნის შემდეგ ინგას ქალიშვილი, მარი გრიგოლიაც გამოეხმაურა ამ ინციდენტს და „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ასეთი რამ დაწერა:

„ელადავე შენი ოჯახის წევრებს, შე ქათამო!

უტაქტო! უნამუსო! თავხედო! თუ ამბობ, ნუ ჩმორდები მერე და ბოლომდე იკაცე, შე ქალო“!

**„ალია“ დათო ლორთქიფანიძეს ესაუბრა:**

– მე ინგას 20 წელიწადია რაც ვიცნობ... არასოდეს არ მქონია მასთან რაღაც ქილიკის დამოკიდებულება. მე უბრალოდ ამოვედი მისი განცხადებიდან – მან თქვა, რომ არის შეყვარებული, მას აქვს სექსი და ექნება. მე ამ პოზიციიდან მივესალმე, არანაირი სხვა განწყობა არ მქონდა. ტელევიზორში ჩანს, როცა გრიგოლიამ შეკითხვა გამიმეორა, მე პაუზას ვაკეთებ, თითქოს დავიბენი... ასე არ იყო, ჩემამდე ხმა გვიან მოდიოდა და ვერ გავიგე, რა მითხრა. შემდეგ თემა ძალიან არასასურველ კონტექსტში აიწია, ჟურნალისტებმა გაასკანდალეს და რაც ყველაზე სამწუხაროა ჩემთვის, ძალიან ცუდად ჩაერთო ამ თემაში მისი შვილი, რომელმაც უზრდელობისა და თავხედობის უმაღლესი დონე გამოამჟღავნა. ამას ასე არ დავტოვებ. მე ვაპირებ, ამასთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გავმართო და სერიოზული განცხადება გავაკეთო.

**— რა სერიოზულ განცხადებაზე ლაპარაკობ?**

– მე ყოველთვის მიცხოვრია, როგორც ქართველს, როგორც კაცს, როგორც ღირსეულ ადამიანს, მე არ მრცხვენია უკან მიხედვის, ჩემი ბეგრაუნდის და არავის არ მივცემ საშუალებას, რომ თუნდაც გაბრაზებულ გულზე ამოყაროს ის სიბინძურეები, რაც ახალგაზრდა ქალს არ ეკადრება. ეს არაფერს მატებს არც მას და არც მის ოჯახს, სადაც გაიზარდა.

**— როცა პოლიტიკაში ხარ, ბევრი რამე უნდა აიტანო.**

– არა, შეიძლება როცა სხვებს აგინებენ, ისინი ღირსნი არიან, მაგრამ მე არ მივიღებ ასეთ შეურაცხმყოფელ გამოთქმებს. მით უფრო, რომ მას არ ჰქონდა ამისთვის საფუძველი. ამასთან დაკავშირებით მე მართლა გავაკეთებ სერიოზულ განცხადებას და რასაკვირველია, პრესაც და ტელევიზიაც იქნება ინფორმირებული, რატომ აქვს ინგას შვილს აგრესია და საიდან მოდის ეს ყველაფერი!

**— რას გულისხმობ, საიდან მოდის?**

– სხვათა შორის, მე არ ვიცოდი, მისი გამოხტომის შემდეგ დამირეკა ასეულობით ადამიანმა, ბევრმა გამახსენა რაღაც თემები, სადაც პირდაპირ იკვეთება ინგას შვილის... არა, იკვეთება კი არა, პირდაპირ ჩანს, ვისი გუნდის აქტიური მხარდამჭერია. სწორედ ამაზე გავაკეთებ განცხადებას ამ კვირის განმავლობაში. სხვათა შორის, არც ეს ვიცოდი და მითხრეს, რომ ეს გოგონა ყოფილა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი.

**— კი, არის. რადგან გრიგოლიას შვილია, არ უნდა იმუშაოს?**

– არა, მაგას არ ვამბობ... ეს არის აბსოლუტურად გაუგებარი... მე არ ვკითხულობ, ვინ რატომაა შეყვარებული, ვის სად ჰყავს შეყვარებული... თუმცა მე არ გამიკვირდება, ზოგიერთის ყოფილი ან ახლანდელი შეყვარებული მაღალჩინოსანიც რომ აღმოჩნდეს. აწი ბევრი რაღაცით დავინტერესდები და ძალიან საინტერესოდ განვითარდება მოვლენები. მე არაფერი წამომიწყია... ღვთის წინაშე შემიძლია დავიფიცო, მართლა გულწრფელად ვუთხარი. მან სიამაყით აღნიშნა, შეყვარებული მყავსო და ჩემი სიტყვები რატომღა აღმოჩნდა დამაკნინებელი? მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე ინგას 20 წელია ვიცნობ, მაგრამ ასეთს არა. მე პირადად მისგან ველოდები ამ ყველაფერზე განმარტებას.



„მე არ ვკითხულობ, ვინ რატომაა შეყვარებული, ვის სად ჰყავს შეყვარებული... თუმცა არ გამიკვირდება, ზოგიერთის ყოფილი ან ახლანდელი შეყვარებული მაღალჩინოსანიც რომ აღმოჩნდეს. აწი ბევრი რაღაცით დავინტერესდები და ძალიან საინტერესოდ განვითარდება მოვლენები“




„ალია“ კომენტარისთვის **ინგა გრიგოლიასაც დაუკავშირდა, რომელმაც ასეთი პასუხი გაგვცა:**

**„მე არც ერთი წამის დახარჯვას არ ვაპირებ იმ დეპუტატის კომენტარებზე, რომელმაც ის იკადრა, რაც ნახა მთელმა ქვეყანამ“.**

---

**სკანდალი**

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



**საზოგადოების**

## „არა, ნორმალური სახელმწიფო რომ არ ვართ და არც ნორმალური ხელისუფლება გვყავს, ეს ფაქტია, მაგრამ ასეთი არანორმალურობაც არ შეიძლება“

**არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებადამცველთა გაერთიანება“ აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში სასმელი წყლის პრობლემის მოგვარებისთვის ბრძოლას იწყებს. რას და როგორ აპირებს ეს არასამთავრობო ორგანიზაცია, ამის შესახებ „ალიას“ მისი თავმჯდომარე, ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.**

– 21-ე საუკუნეში კახეთში, შიდა და ქვემო ქართლში ხალხს, ელემენტარულად, სასმელი წყალი არ აქვს, სახლიდან ასეული მეტრობით, ზოგჯერ კილომეტრობით დაშორებული სოფლის წყაროებიდან ეზიდებიან სასმელ და საერთოდ, წყალს. ხელისუფლების სურვილია, სოფელში გლეხობის დამაგრება, სოფლის აღორძინება, მაგრამ სურვილი ერთია და რეალობა მეორე. ხალხს თუ დასაბანი წყალი არ ექნება, მას რაც არ უნდა მიწის დამუშავებაში მიეხმარო, რაც არ უნდა შეეშველო მოსავლის მოყვანაში, სოფლად ვერ გააჩერებ. ამიტომ, ჯერ ეს ელემენტარული პრობლემა უნდა მოგვარდეს. დასავლეთ საქართველო ბევრად წყალუხვია, ვიდრე აღმოსავლეთი, ეს ერთი, მეორეც, იქ 5-6 მეტრზე გაჭრი მიწას და ჭას გააკეთებ, ეზოში გექნება ჭა და პრობლემაც მოგვარდება. აღმოსავლეთ საქართველოში კი 100-120 მეტრი უნდა გათხარო, წყლამდე რომ ჩახვიდე და ეს ძვირი ჯდება, ამის გადახდის თავი კი არავის აქვს. კანონით დღეს ამაზე სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობები არიან პასუხისმგებლები, მაგრამ არაფერს აკეთებენ და თუ საქმეს თავს ვერ აბამენ და სოფლებში წყალი არ არის, უნდა ჩამოსცილდნენ, სხვა გზა არ არის. ვისაც ამ პრობლემის მოგვარება შეუძლია, იმან უნდა მიხედოს საქმეს. სოფლად უნდა შევიდნენ წყალმომარაგების სახელმწიფო კომპანია და რომელიმე კერძო კომპანია. მოკლედ, თვითმმართველობები ვერ ართმევენ თავს ამ საქმეს და ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა გააკონტროლოს. ჩვენ დავიწყეთ ამ საკითხზე მუშაობა, შევხვდით უამრავ ადამიანს... არის ასეულობით სოფელი, სადაც სახლებში წყალი დღემდე არ ჰქონიათ. ინფრასტრუქტურისა და რეგიონების მინისტრის მოადგილემ, ილია დარჩიაშვილმა შეხვედრისას გვითხრა, რომ მათი სამინისტრო ამზადებს კანონპროექტს, რომელიც ამ საკითხს დაარეგულირებს, მაგრამ უკვე დიდი დრო გავიდა ამ შეხვედრიდან, ჯერ არაფერი შეცვლილა და ზაფხული კარს მოგვადგა. წყალი ზამთარშიც სჭირდება ადამიანს და ზაფხულშიც, მაგრამ ზაფხულში უწყლობა მთლად კატასტროფაა, დამეთანხმებით. როდემდე უნდა იყოს ეს ხალხი ასეთ მდგომარეობაში? არ უნდა დასრულდეს მათი ტანჯვა?



**— მერე, ეს გაჭირვებული ხალხი გადაიხდის წყლის საფასურს?**

– ხალხი მზად არის, ეს თანხები გაიღოს. ჩვენ გამოვკითხეთ რამდენიმე სოფლის მოსახლეობა და ისინი თანახმა არიან, წყლის საფასური გადაიხადონ, ოღონდაც სასმელი წყალი მიეწოდოთ. დავითვალეთ, 1 კუბური მეტრი წყალი ეღირება 3 თეთრი, ხალხი გადაიხდის ამ ფულს. წყალზე ვლაპარაკობთ, რომელიც ენატრებათ სოფელში და აბა, არ გადაიხდიან? ევროკავშირისკენ მივიჩქარით და მაინტერესებს, იმ სოფლებით, სადაც წყალი და შესაბამისად, კანალიზაციაც არ არის?! არა, ნორმალური სახელმწიფო რომ არ ვართ და არც ნორმალური ხელისუფლება გვყავს, ეს ფაქტია, მაგრამ იმდენად არანორმალურები ვართ, რომ ადამიანის სასიცოცხლო უფლებებზე წინ გენდერულ თანასწორობასა და არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მიმდევართა ქორწინების საკითხებს ვაყენებთ და მთავარი გვავიწყდება... ფაქტი სახეზეა, ჩვენი სახელმწიფო და საზოგადოება ყველას და ყველაფრის უფლებებს იცავს, გარდა 21-ე საუკუნეში უწყლოდ – სასიცოცხლო უფლების გარეშე დარჩენილი ადამიანებისას.

---



## ოქრუაშვილი: „მაესტროში“ თანხა მაქვს გადახდილი, ამის ვიდეო-აუდიომასალა გამაჩნია

– წლის განმავლობაში რაღაც გარკვეული სიცხადე და სინათლე იქნება შეტანილი ამ საკითხში. მე არ მინდა ახლა დეტალებზე საუბარი იმიტომ, რომ, თუ პროცესები ისე განვითარდა, რომ გარკვეული იურიდიული პროცედურები იქნა წამოწყებული, ბუნებრივია, ადვოკატები ითხოვენ, ხოლმე პოლიტიკურმა განცხადებებმა არ გადაწიოს პროცესები. მე არ ვიჩქარებ განცხადების გაკეთებას ამაზე, – ამის შესახებ გორის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველმა ირაკლი ოქრუაშვილმა, ტელეკომპანია „ჯიდიეს“-ის გადაცემა „20/30“-ში განაცხადა.

– ბუნებრივია, ჩემი პრეტენზიები მაქვს „მაესტროსთან“ მიმართებაში. წილზე გამაჩნია პრეტენზიები, სადაც გარკვეული თანხა მაქვს გადახდილი და ამის დოკუმენტები გამაჩნია. ვიდეო და აუდიომასალაც მაქვს.

რაც შეეხება „რუსთავი 2“-ს, მასთან მიმართებაში საინტერესო იქნება არსებული დავა, ისევე როგორც გარკვეული დრო იქნება საჭირო იმისთვის, ჩემი პრეტენზია დავაფიქსირო, – განაცხადა ოქრუაშვილმა.



ოქრუაშვილი სამომავლო გეგმებზეც საუბრობს და არ გამორიცხავს, რომ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს.

მისი თქმით, არჩევნებში მონაწილეობას ის დამოუკიდებლად აპირებს, თუმცა ეს იქნება გორში თუ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სადაც სკოლა დაამთავრა, ჯერ გადაწყვეტილია არ აქვს.

– ნაძალადევში გავიზარდე, საკმაოდ დიდი სამეგობრო მყავს. არჩევნებში ნაძალადევში არასდროს მიმიღია მონაწილეობდა. ცოტა უცხოა ჩემთვის, მაგრამ არ ვიცი, ჯერ გადაწყვეტილი არ მაქვს. ადრეა ამაზე საუბარი. ჯერ 7 თვეა, არჩევნებამდე, – განაცხადა ოქრუაშვილმა.

(ipress.ge)

## პანკისის ხეობაში არასრულწლოვანთა ქორწინებას აღარ გააფორმებენ



პანკისის ხეობაში ტრადიციული ისლამის მეჩეთებში არასრულწლოვანთა ქორწინებას აღარ გააფორმებენ. ამის შესახებ პანკისის ხეობის უხუცესთა საბჭოს ხელმძღვანელმა ხასო ხანგოშვილმა განაცხადა. მისი თქმით, ხეობის უხუცესები აღნიშნულ საკითხზე დიდი ხანი მსჯელობდნენ.

– მივიღეთ გადაწყვეტილება, ტრადიციული ისლამის მეჩეთების იმამებმა აღარ დაარეგისტრირონ არასრულწლოვანთა ქორწინება. აღნიშნულზე მსჯელობა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. ჯერ ერთი, 18 წლამდე გოგონა სკოლის მოსწავლეა და მისთვის ოჯახური ტვირთი მძიმეა. მან უნდა შეძლოს სწავლის დასრულება. მეორე არის ის, რომ ჩვენი ტრადიციებიდან გამომდინარე, ოჯახში ქალის როლი საკმაოდ საპასუხისმგებლოა და არასრულწლოვნისთვის ეს ზედმეტად დიდი პასუხისმგებლობაა. და მესამე, ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა უკვე კრძალავს არასრულწლოვანთა ქორწინებას, – განმარტა ხასო ხანგოშვილმა.

მისივე განმარტებით, ბოლო პერიოდში ტრადიციული ისლამის მეჩეთებში თითქმის აღარც ხდებოდა არასრულწლოვანთა ქორწინების გაფორმება, თუმცა კონკრეტული გადაწყვეტილების გამოცხადება ვითარებას უფრო მეტად შეცვლის. (ინტერპრესნიუსი)

## „ყველა მივეჩვიოთ გადასახადების გადახდას, სატარიფო ოაზისები აღარ უნდა არსებობდეს“

ეკონომიკის ექსპერტი ლევან კალანდაძე წყლის მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებით გოგირდის აბანოების მესვეურების პროტესტს გამოეხმაურა. ექსპერტი მიიჩნევს, რომ გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდას ყველა უნდა მიეჩვიოს.

– ყველა უნდა მივეჩვიოთ გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდას. ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ საგადამხდელო წესრიგი და კულტურა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამკვიდრდეს ამ ქვეყანაში და ექსკლუზიური, პრივილეგირებული მდგომარეობა, რაც ზოგიერთ ბიზნესსტრუქტურებს წარსულში ჰქონდა, უნდა დამთავრდეს. ყველა ჯანსაღი ბიზნესურთიერთობა სწორედ ამ პრინციპზეა დაფუძნებული, – განაცხადა კალანდაძემ.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ გოგირდის აბანოების მესვეურების ამგვარი პროტესტი და ულტიმატუმები ყოვლად უადგილოა და მათი ქმედება, პირველ რიგში, თავად ამ კომპანიებსა და იქ დასაქმებულ ადამიანებს დააზარალებს. (pia.ge)

# „ეს 40 მილიონი დოლარიც წყალში გადაყრილი იქნება, ხალხს ამით არაფერი ეშველება“

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



**ლარის კურსი ნელ-ნელა ისევ „მარილზე“ გადის... რატომ სჭირს ლარს „მოციმციმე არითმია“, რატომ მყარდება ერთ დღეს და რატომ უფასურდება მეორე დღეს? „ალიას“ ფინანსური პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილე, სერგო ჯავახიძე ესაუბრება:**

**ახლა პრემიერ-მინისტრმა თქვა, სოფლებსა და ქალაქებში გაიხსნება ინოვაციების ცენტრებიო, რისთვისაც გამოყოფილია 40 მილიონი დოლარი**

**„ე, ბიჭო, რაღად უნდა ამას ინოვაცია, მიეცი საშუალება მაგ 40 მილიონი დოლარით გლეხს, რომ ფერმა გააკეთოს, საქონელი იყიდოს და ხორცით მოგამარაგოს“**





**„გახსოვს, ერთი პერიოდი 5 ათას ლარს რომ აძლევდნენ სოფლებში გლეხებს? სად არის ეს პროგრამა, ჩაილურის წყალი დალია? შედეგი რა იყო, რა მივიღეთ?“**



**„თუ შენ საკუთარ ეკონომიკას არ მიხედე, არავითარი ინოვაცია არ გიშველის, ყველა ჩაგძირავს. კარტოფილი მოაყვანინე გლეხებს, რატომ შემოდის სომხეთიდან და თურქეთიდან, ჩვენ მიწები არ გვაქვს თუ არ მოდის? იგივე სტაფილო როგორ უნდა შემოგქონდეს სომხეთიდან? რა ინოვაცია სჭირდება ამას, მოყვანა არ ვიცით?“**

**„ეს ყველაფერი უნდა დაარეგულირონ და ბანკები ცოტა ტრაკს დააყენებენ“**

– კვარტალის ბოლოა და, წესით, ბიუჯეტის ერთი მესამედი უკვე დახარჯული უნდა იყოს. მიდის ფულის ხარჯვა და ესეც მოქმედებს. თან ეროვნული ბანკი დოლარს ყიდულობს და რაც აქამდე გაყიდული ჰქონდა, უკან აბრუნებს, ერთხელ 5 მილიონი იყიდა, მეორედ – 10 მილიონი, ალბათ, უახლოეს დღეებში კიდევ იყიდის და ლარიც ტრიალებს რაღაც ფარგლებში. ახლა მიდის დოლარის დარეზერვება, თუ დაინახავენ, რომ ლარის კურსი გაიქცა, ისევ გამოიტანენ.

**— პროდუქტებზე და სხვა საქონელზე ფასები იგივე რჩება. სიგარეტი გასაგებია, ჩვენს ჯანმრთელობაზე ზრუნავენ და ხელოვნურად გაგვიძვირეს, მაგრამ ყველაფერი იგივე რჩება მაშინაც კი, როცა საწვავიც იაფდება.**

– აქაც მიდის იგივე პროცესი, რაც მიდიოდა საწვავზე. ალბათ, გახსოვს, მენავთობეები ამბობდნენ, ჩვენ ადრე გვაქვს ნაყიდი ძვირად და უცებ ვერ გავაიაფებთო. ახლაც იმავეს ამბობენ, პროდუქტები ადრინდელი ფასებით გვაქვს შემოტანილი, ხომ ვერ ვიზარალებთო? ამაში არის სიმართლის მარცვალი, მაგრამ ბუნებრივია, შექმნილი სიტუაციით ბევრი სარგებლობს. როგორც საწვავი გაიაფდა, ბოლოს და ბოლოს, პროდუქტებიც გაიაფდება ნელ-ნელა. კი, ეს არის პრობლემა, მაგრამ გაცილებით დიდ პრობლემად გადაიქცა ეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ონლაინსესხები, უკვე იქამდეც მივედით, რომ ზოგიერთი თვითმკვლელობამდეც კი მიდის. ეს არის ძალიან ცუდი თემა... სამი დღის წინ პარლამენტში ვიყავი და ვნახე, რომ უახლოეს ხანში რაღაც ახალი ნოვაციები შემოაქვთ და ალბათ, ცოტა შეზღუდავენ. ეს უკვე ისეთი კომპანიებია, რომლებსაც ხელის მოჭერა უნდათ, წელიწადში 200-პროცენტიანი სესხი ვის გაუგია? ესენი სარგებლობენ ადამიანების პრობლემებით და მიდის ყაჩაღობა. მაგალითად, როდესაც მე ბიუჯეტის წინაშე რაღაც ვალდებულება წარმომეშობა და დავუშვათ, უნდა დამაჯარიმონ, ვერასოდეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი პროცენტის ზემოთ თანხას ვერ დამარიცხავენ. ეს არის დაახლოებით 9-12 პროცენტი წლიურად. ახლა აქ საჭიროა ახალი რეგულაცია, თუ ვინმეს ფულის გაყიდვა, ანუ გასესხება უნდა, აუცილებელია საშუალო პროცენტის დადგენა, თორემ ასე მივალთ კატასტროფამდე. რეგულაცია უნდა შეესაბამებოდეს იმ პროცენტებს, რაც აქვთ კომერციულ ბანკებს. თან ნახე, ყველა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და ონლაინ სესხის გამცემი მიბმულია ეროვნულ ბანკზე, ისე ვერაფერს ვერ გააკეთებენ, თუ „დაბრო“ არ ექნებათ. ნება იბოძონ და დაარეგულირონ ეს საკითხი. იცი, ამხელა პროცენტებს რატომ ადებენ? თუ ერთმა და ორმა ვერ გადაიხადა, მოგება მაინც ამოაქვთ და მერე იწყებენ გარჩევებს, არის მუქარები და ასე შემდეგ. როცა უზრუნველყოფის გარეშე გაძლევენ სესხს, იძახიან, რისკები მაღალიაო და ამით აბოლებენ ხელისუფლებას. ასევე, შესასწავლია საკითხი, როცა კომერციული ბანკიდან იღებ 10 ათასს და მიგაქვს 50 ათასის ქონება. უნდა დასხდნენ და კონკრეტულად დაწერონ: უზრუნველყოფით პროცენტი ამდენია, უზრუნველყოფის გარეშე – ამდენი, 10 ათასზე უნდა ჩაიდოს არა 50 ათასის ქონება, არამედ 30 ათასის ქონება. ეს ყველაფერი უნდა დაარეგულირონ და ბანკები ცოტა ტრაკს დააყენებენ. თუნდაც ვთქვათ ქონების შეფასებაზე – მაგალითად, შენი სახლი ღირს მილიონი და წახვედი კრედიტის ასაღებად, გჭირდება 50 ათასი დოლარი, შეიძლება გითხრან, ეგ ქონება არ ჰყოფნისო. მაგათი შიდა აუდიტები პირდაპირ ძარცვავენ ხალხს. გამოგიგზავნიან ვილაცას და მილიონიან უძრავ ქონებას 100 ათასად შეგიფასებს. ჰოდა, როგორია, ამხელა ქონებას მერე რომ წაიღებენ მუქთად? ახლა პრემიერ-მინისტრმა თქვა, სოფლებსა და ქალაქებში გაიხსნება ინოვაციების ცენტრებიო, რისთვისაც გამოყოფილია 40 მილიონი დოლარი.

**— ეს რაღაც პროფსასწავლებლების მსგავსი უნდა იყოს, სადაც ასწავლიან მიკროელექტრონიკას, დიზაინსა და მეწარმეობას. ეს ისევ ტყუილად გასროლილი ფულია თუ რამე შედეგს მოიტანს?**

– გახსოვს, ერთი პერიოდი 5 ათას ლარს რომ აძლევდნენ სოფლებში გლეხებს? სად არის ეს პროგრამა, ჩაილურის წყალი დალია? შედეგი რა იყო, რა მივიღეთ? მე ასეთი ღონისძიებების ნაკლებად მჯერა, ინოვაციების მეტი რა არის მთელ მსოფლიოში? შედი ინტერნეტში და ინოვაციებია იმისთანა, რომ ჩვენ არც კი დაგვესიზმრება, სფერო არ დარჩა, რაც გადაღეჭილი არ არის.

**თუ კონკრეტულ რაღაცას არ შესთავაზებენ მოსახლეობას, ეგ ფულიც წყალში გადაყრილი იქნება. დავუშვათ, მასწავლეს „სვარჩიკობა“, მერე რას ვაკეთებ, სად მივდივარ, ისევ უნდა ვიარო უმუშევარმა? ან იქნებ თურქეთში წავიდე და იქ ვიმუშაო? დაუკვირდი, ჩვენში ასე თუ ისე განვითარებულია ფარმაცევტული სფერო და სამუშაოს პოვნა უფრო ადვილია, ასევეა, მიმტანების მხრივ, რადგან რესტორნების ქსელიც კარგად მუშაობს.**

მე რეფორმებს მივესალმები, ახლა კერძო სექტორში უნდათ ახალი ტიპის აღრიცხვის შემოტანა, ევროპულ სტილზე აპირებენ, უნდა მიამსგავსონ, მაგრამ ამ ინოვაციებიდან რა გამოვა, არ ვიცი. პრინციპში, რაც აქვთ ევროპის ქვეყნებს, ეს ჩვენთვის „შპარგალკაა“ და წინ გვიდევს. მაგალითად, ჩინელებმა შექმნეს ჯერ წარმოებები, მერე წავიდნენ მიუნხენში, დაათვალიერეს გამოფენა და სანამ უკან დაბრუნდნენ, უკვე დაიწყეს გამოშვება. ამხელა ქვეყნები ნადირობენ ინოვაციებზე, მაგათ როგორ უნდა დავეწიოთ?

**რაზეა ლაპარაკი, როცა შედიხარ ჩვენს მაღაზიებში და ყრია ქართული ხორცპროდუქტები, სავსეა „სასისკით“ და ძეხვეულით, ერთი მაგის უკან გადავიხედოთ, რა ხდება? ეს ყველაფერი კეთდება ინდური ხორცით. ე, ბიჭო, რაღად უნდა ამას ინოვაცია, მიეცი საშუალება მაგ 40 მილიონი დოლარით გლეხს, რომ ფერმა გააკეთოს, საქონელი იყიდოს და ხორცით მოგამარაგოს. გაუკეთე, რა, გლეხებს მიკრობიზნესები, ამათ კიდევ ცოტა შეუზღუდე ჩინური და ინდური ხორცის შემოტანა. თუ ახლა შემოდის 80 პროცენტი, შემოვიდეს 10 პროცენტი, ამის შემდეგ ხომ დაიწყებენ სოფელ-სოფელ სიარულს და დაიწყებენ შესყიდვას? ახლა მე რა წარმოებაც არ უნდა გავაკეთო, ჩემი კონკურენტი ყველა ვარიანტში არის იმპორტიორი ფირმა და მახრჩობს. ახლა ამ ფირმებს, ფაქტობრივად, კონკურენტი არ ჰყავთ, რადგან ადგილობრივი წარმოება არ არსებობს. შემომტანს არავინ არ ეხება, არა, უცხოეთიდან პროდუქცია უნდა შემოვიდეს. თუ შენ საკუთარ ეკონომიკას არ მიხედე, არავითარი ინოვაცია არ გიშველის, ყველა ჩაგძირავს. კარტოფილი მოაყვანინე გლეხებს, რატომ შემოდის სომხეთიდან და თურქეთიდან, ჩვენ მიწები არ გვაქვს თუ არ მოდის? იგივე სტაფილო როგორ უნდა შემოგქონდეს სომხეთიდან? რა ინოვაცია სჭირდება ამას, მოყვანა არ ვიცით?**

კიდევ ვახსენებ იმ 5 ათას ლარს, თითქოს ნაწილობრივი სესხის სახით რომ დაურიგეს ვიღაც-ვიღაცებს, ამის შემდეგ რამე შეეტყო ჩვენს ბაზარს? იქნებ იმის მერე აღარ გაძვირებულა სოფლის მეურნეობის პროდუქტები? არ გვინდა ეს ექსპერიმენტები, ხალხი დაიღალა უკვე ამ ჩხირკედელაობით. აამუშავე შენი წარმოება, შენი ეკონომიკა და აღარც ლარი გაგექცევა არსად და ცხოვრებაც დასტაბილურდება.

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



# ნიკა რურუა: „ამ მთავრობის დანაშაული ისაა, რომ პირდაპირ სამ ასოზე არ გაგზავნა“

## „ის დანარჩენი კადრები, რომლის გადაღებაშიც წინა ხელისუფლებაა ეჭვმიტანილი, კეთილი ინებონ და გამოიძიონ. რატომ იღებდნენ, რა მიზნით, ვინ?“

**ცივილიზებული მსოფლიო „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ მოწყობილი ახალ-ახალი ტერორისტული აქტებითაა დაზაფრული, საქართველოში კი მთავარ თემად ისევ მორალური ტერორი და ფარული სექსკადრები რჩება. „ალია“ მთავარ თემებზე „ივერიის“ დამფუძნებელ ნიკა რურუას ესაუბრა:**

**— ბატონო ნიკა, ევროპით დავიწყოთ. ტექნოლოგიურად და აღჭურვილობით უმაღლეს საფეხურზე მდგომ ქვეყნებს რატომ უჭირთ რადიკალ ისლამისტებთან ბრძოლა?**

ცდილობს დედამიწაზე და უნდა, რომ გაზულუქებული ევროპა შეაშინოს. ტერორი რა არის? სიტყვასიტყვით თუ გადავთარგმნით, ნიშნავს შეშინებას, დაშინებას. იმიტომ აკეთებენ სწორედ ამ სიველურეს, ამიტომ შეაქვთ ბომბები იქ, სადაც შეუძლიათ, ბელგიაში, პარიზში, ანკარაში და ა.შ. ამიტომ დასავლეთი სიმაძღრისა და თვითკმაყოფილების ბანგიდან უნდა გამოვიდეს, თვალები გაახილოს და ამ ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას. ტერორისტებში არ ვგულისხმობ მაინცდამაინც ისლამისტ ტერ-

ია საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების უცხვირპირობამ, სისუსტემ და არაკომპეტენტურობამ. უკან დახია სუსტმა მთავრობამ და საგარეო პოლიტიკის სრულად ჩამოშლამ. არაფერ შუაში არ არის აქ ტერორიზმი. პირიქით, ამ ტერორიზმთან ბრძოლაში ჩვენი ჯარისკაცები ყოველთვის თავს იჩენენ ძალიან პოზიტიურად.

**— ეს გასაგებია, მაგრამ დასავლეთში მიგრაციის პრობლემა ისევ მწვავედ დგას და მიუხედავად იმისა, რომ უკვე ვიზალიბერალიზაცია მიღწეულია ევროპასთან, არა მგონია, სიხარულით გაგვიხსნან საზღვრები...**

– საზღვრები იკეტება ტერ-

ლისუფლებაა პასუხისმგებელი.

**— კი მაგრამ, ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, ისედაც დასუსტებულ ხელისუფლებას რაში აწყობს ეს სკანდალი? ვერ გათვალეს, რომ მთავარი დარტყმა მათზე მივიდოდა?**

– საერთოდ, მათი ლოგიკა ჩემთვის ძნელი გასაგებია, ფაქტია, რომ ახლა გავრცელდა და ამას აკეთებენ თანმიმდევრულად. არამხოლოდ ახლა გავრცელდა, ახლა იღებენ კიდეც, პეტრიაშვილს და მის მეუღლეს ახლა გადაუღეს ეს ყველაფერი, ანუ ეს ხელისუფლება ამას აკეთებს. ის დანარჩენი კადრები, კი, რომლის გადაღე-

## ფერთობა

ბა ჩვენს ოკუპანტს არ აწყობ, რუსეთს უნდა ღია პრორუსულობა, მათ უნდათ, ღიად თქვან დასავლეთზე უარი საქართველოში. რუსეთს ჰყავს დასაყრდენი ხელისუფლებაში, მაგრამ ღიად ვერ პრორუსობენ. მეზობელი კი ითხოვს ღიაობას, რომ გამოვიდნენ და თქვან, ამიტომაც უკვე მიმართავს მუქარას. სამწუხაროდ, ფარული პრორუსულობა ხშირად გარდაიქმნება ღიად. რადგან ვინც ფლირტს აგრძელებს რუსეთთან, ოკუპანტებს უნდათ, ხმამაღლა ათ-





**„ამ ხელისუფლებამ ტრადიცია გააგრძელა, გააძლიერეს პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გადაღება და ამით დაშანტაჟება, ესაა სწორედ დანაშაული“**

– უფრო ღრმად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი.

კეთილდღეობა, პირველ რიგში, კარგია, მაგრამ აქვს თავისი მინუსები. როდესაც დიდი ხნის განმავლობაში კეთილდღეობა არსებობს, ის ადამიანები და სახელმწიფოები, ვინც ამ კეთილდღეობაშია, ხანდახან ზულუქდებიან ხოლმე, ემართებათ თვითკმაყოფილების, ერთგვარი გაცხიმიანების სინდრომი. ჩემი აზრით, ბევრ ქვეყანას ეს მოუვიდა, დაკარგეს თვითგადარჩენის ინსტინქტები. ამიტომ ის ველური ცივილიზაციები, რომელიც არსებობენ მსოფლიოში, ანუ განუვითარებელი ცივილიზაციები და ხალხები, ამ თვითკმაყოფილ და გადამძღარ ცივილიზაციებს, ცდილობენ, თავზე დააჯდნენ, დააშინონ და დაეპატრონონ. ისლამისტური ტერორი დღეს არის ამის ერთ-ერთი მაგალითი. ისინი გრძნობენ ევროპის სისუსტეს და ამ სისუსტის გამოყენება უნდათ იმისთვის, რომ მთელი ეს ცივილიზაცია დაიპყრონ, გააუპატიურონ. ამიტომ ევროპა, რომელიც უფრო გადამძღარია, დაცხიმიანებული და ინსტინქტებდაკარგული, ვიდრე ამერიკა, პირველ რიგში, უნდა გამოფხიზლდეს, მაქსიმალურად ჩართოს თვითგადარჩენის ყველა ინსტინქტი და გახდეს უფრო რაციონალური. როგორც იმიგრაციის საკითხებში, ასევე უსაფრთხოების მიმართულებით, ასევე სამხედრო ბიუჯეტების გაზრდის თვალსაზრისით. ცივილიზაციის ომია დღეს, ღარიბ-ღატაკ, ჩამორჩენილ კულტურებსა და თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროს შორის.

ის ხალხი, ვინც ტერორისტული ორგანიზაციების ინტერესებს ატარებს, შუა საუკუნეების დაბრუნებას

ორისტებს. აქ ვგულისხმობ, ასევე, ავტორიტარულ რეჟიმებსაც, როგორიც არის რუსეთი. ამ ქვეყანაშიც ტერორია და არანაკლებ საშიში.

**— თუმცა ტერორიზმთან ბრძოლაში რუსეთი ევროპის მოკავშირეა. პარიზის ტერაქტის შემდეგ ევროპის ქვეყნების ლიდერებმა ღიად სთხოვეს პუტინს ანტიტერორისტულ ოპერაციაში ჩართვა...**

– ევროპის ლიდერებმა დიდი შეცდომა დაუშვეს, როცა რუსეთს მოკავშირე უწოდეს სირიაში, რადგან სირიაში დაეშს კი არ ებრძვის და ბომბავს რუსეთი, არამედ ბომბავს ასადის მოწინააღმდეგე ხალხს. პუტინის სურვილია, რომ ასადი სირიის უალტერნატივო მმართველად დატოვოს. ერთი ავტორიტარული რეჟიმი ეხმარება მეორეს შენარჩუნებაში, რუსეთი არის შეშლილი ასადის პარტნიორი, რომელიც ესვრის ხალხს ზარბაზნებს და ქიმიური იარაღით ებრძვის. ამიტომ დროა, დასავლეთი პრობლემასაც შეეჭიდოს. ეს არ ნიშნავს ისტერიკას, ეს არ ნიშნავს მარი ლეპენის, ტრამპისა და ამგვარი შარლატანების არჩევას, ეს ზუსტად ის არის, რაც უნდათ ტერორისტებს, ისტერიკა და გადამეტებული რეაქცია. რაციონალურად, მშვიდად და ერთად უნდა შეებრძოლოს დასავლეთი ამ ბნელ ძალას, გაანადგუროს მოკლევადიან რეჟიმში...

**— როცა მსოფლიოში ასეთი ქაოსია, ეს ჩვენს შანსებს, ვიყოთ ცივილიზებული სამყაროს ღირსეული წევრი, კიდევ უფრო არ ამცირებს?**

— თუ რამემ უკან დახია ჩვენი ქვეყანა ამ კუთხით, დახ-

ორისტებისთვის და გაურკვეველი ხალხისთვის, ქვეყნებისთვის არ იკეტება ნამდვილად, პირიქით, ევროპისთვის სწორედ ახლაა საჭირო ახალი სისხლი, ევროპული სისხლი, ევროპული თამაშის წესებით მოთამაშე ქვეყანა, რომ თავი დაიცვას ევროპამ და ცივილიზაცია გადარჩეს. ჩვენნაირი ხალხი ბუნებრივი მოკავშირეა დღეს თავისუფალი სამყაროსი, იმიტომ რომ ჩვენ ვართ ადამიანები, ვინც თავისუფალი სამყაროს თამაშის წესებს აღიარებს და იზიარებს.

**— თუმცა ევროპული თამაშის წესებთან არა მგონია, ახლოს იყოს ჩვენს რეალობაში არსებული ფსიქოლოგიური ტერორი, რომელსაც პოლიტიკური ძალები ერთმანეთის მიმართ იყენებენ, პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებს ვგულისხმობ, რომელიც იმ ხელისუფლებამ გადაიღო, რომლის წარმომადგენელი, მინისტრთა კაბინეტის წევრი იყავით. მიუხედავად იმისა, რომ ეს კადრები ახლა გავრცელდა, მოსახლეობის აზრით, მორალური პასუხისმგებლობა დიდწილად თქვენი მთავრობის კისერზეა. ისე, თქვენ თუ იცოდით, რომ მსგავს ფირებს იღებდა თქვენი ხელისუფლება?**

— რა თქმა უნდა, არ ვიცოდი, იმიტომ რომ ეს არ მეხებოდა არანაირად. ვინ რას აკეთებდა, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ გასაჯაროება რომ არასოდეს მომხდარა, ფაქტია. ტერორია, რა თქმა უნდა, ესეც, მორალური ტერორი და ყოვლად მიუღებელია გადაღებაც და გავრცელებაც.

დღეს რაც ხდება, ამაზე ნამდვილად არსებული ხე-

ბაშიც წინა ხელისუფლებაა ეჭვმიტანილი, კეთილი ინებონ და გამოიძიონ. რატომ იღებდნენ, რა მიზნით, ვინ? და თუ იღებდნენ, რატომ არ ავრცელებდნენ მაშინ? 4 წელი გადის უკვე და ვერაფერი გამოიძიეს, ამიტომ რეალურად პასუხისმგებლობა ამათ ეკისრებათ.

**— მაშინ იმიტომ არ ვრცელდებოდა, რომ პოლიტიკურ იარაღად იყენებდნენ შანტაჟისთვის, არა მგონია, ძნელი მისახვედრი იყოს ეს...**

– ვერ გეტყვით... თუ ასე ხდებოდა, ეს საზიზღრობაა, მაგრამ ამას უნდა გამოძიება და დამტკიცება. ჭორის დონეზე სახელმწიფო არ უნდა მუშაობდეს.

როდესაც შენია პროკურატურა, პოლიცია და რაც მთავარია, პოლიტიკური პასუხისმგებლობა, უნდა გამოიძიო და ეს ამათ არ გააკეთეს. ამის ნაცვლად თავად დაიწყეს სხვების გადაღება. აგერ ფარესაშვილი, მოსამართლე ბარამიძე, გვარამია, რომელსაც დაემუქრნენ ამით, ჟურნალისტი მიშველაძე და პეტრიაშვილი და ა. შ.

ამ ხელისუფლებამ ტრადიცია გააგრძელა, გააძლიერეს პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გადაღება და ამით დაშანტაჟება, ესაა დანაშაული სწორედ.

**— მაშინ როცა შიდაპოლიტიკური მორალური ტერორია, მეზობელი რუსეთი ჩასაფრებულია და მოახლოებულ არჩევნებს ხშირად ახსენებს, კეთდება მუქარისშემცველი განცხადებები ოკუპანტი მეზობლის მხრიდან წინასაარჩევნოდ, რას ემსახურება ეს?**

– შეფარული პრორუსულო-

ქმევინონ ეს მათ, რითაც საბოლოოდ დაიმარხავენ თავს და მოღალატეებად შევლენ ისტორიაში.

ამიტომაც ფლირტი არ შეიძლება ოკუპანტთან. როგორ არის, იცით? ერთმა საბჭოთა დისიდენტმა მომიყვა, ნატან შარანსკიმ, არსებობს ასეთი კაცი. მან თბილისში სტუმრობისას მითხრა, რომ საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკში, ხელმძღვანელობა იცით, ყველაზე მეტად რომელ პატიმარს ტანჯავდაო? ვინც თანამშრომლობის შეთავაზებაზე იმ წუთასვე სამ ასოზე არ აგზავნიდა ამ ხელმძღვანელობასო. თუ ეგრევე არ ეტყოდნენ უარს აგენტობის შეთავაზებაზე, მაშინ იწყებდნენ წამებას, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ, ადრე თუ გვიან, აფიქრებინებდნენ აგენტობასო. ასეა ჩვენი მთავრობაც, მან სამ ასოზე არ გაგზავნა რუსეთი და ოკუპანტი ახლა ყველანაირად, ხან მუქარით, ხან შანტაჟით ეცდება, აქციოს ის მოღალატედ.

**— „ივერიელები“ საკმაოდ აქტიურობთ, მაგრამ ამ დრომდე საზოგადოებრივ მოძრაობად რჩებით, არჩევნების მოახლოებასთან ერთად ხომ არ იგეგმება პარტიულ ორგანიზაციად ფორმირება, როგორც ხშირად ხდება ხოლმე საქართველოში?**

– საქართველოს არ აკლია პარტიები, 200-ზე მეტია, არ გვინდა, პარტიების რაოდენობა გავზარდოთ კიდევ ერთი პარტიით. ჩვენ პოლიტიკურად ძალიან აქტიურები ვართ, ასეც ვაპირებთ გაგრძელებას. შევხედავთ, მომავალი როგორც წაგვიყვანს და ისე მოვიქცევით. არჩევნებამდე საკმაო დროა და ჯერ ადრეა ამაზე საუბარი.

## „ცხელ ხაზზე შემოდის არაერთი ზარი, რომ ბაღის ადმინისტრაცია არ იტოვებს აღსაზრდელებს“

თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელი განთავისუფლებულ დირექტორებს პროცესების პოლიტიზებაში ადანაშაულებს. თემურ თორდინავას განაცხადებით, ყველა იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, ვინც ხელს უშლის ბაღების მუშაობას.

– ცხელ ხაზზე შემოდის არაერთი ზარი, რომლითაც მშობლები გვატყობინებენ, რომ ბაღის ადმინისტრაცია არ იტოვებს აღსაზრდელებს. მშობლები არიან შეშფოთებულები და გვთხოვენ, სასწავლო-საალმზრდელო პროცესების უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი ზომები გავატაროთ.

გვინდა მოგმართოთ, რომ, თუ კიდევ გაგრძელდება საალმზრდელო პროცესების ჩაშლის მცდელობა, ნებისმიერი თანამშრომელი უმკაცრესად აგებს პასუხს საბავშვო ბაღის წესდებისა და შინაგანაწესის შესაბამისად.

მოგიწოდებთ, მთელი პასუხისმგებლობით და კეთილსინდისიერად მოეკიდოთ თქვენს სამუშაოს, დაკისრებულ მოვალეობას და ნუ ჩაერთვებით პროცესების პოლიტიზების მცდელობაში, – განაცხადა თორდინავამ. **(news.ge)**

## გაბაშვილმა — ჩვენ ხომ მამაძაღლები ვართ, მაგრამ „ოცნებაში“ უფრო დიდი მამაძაღლები არიანო

იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი თამარ ქალდანი წარდგა.

საპარლამენტო უმცირესობის დეპუტატი გოკა გაბაშვილი პირადი და ოჯახური საიდუმლოს ხელყოფაზე პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს და აცხადებს, რომ მოქმედებისკენ მას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმაც უნდა მოუწოდოს.

– არა თამარ ქალდანი, არამედ სახელმწიფო ინსტიტუტები უნდა იყვნენ ორიენტირებული იმაზე, რომ ის, რაც ხდება ქვეყანაში, არ ხდებოდეს. რა თქმა უნდა, ყოველთვის, ამის ჩაწერა, თვალთვალი, მიყურადება, იყო პრობლემა, მაგრამ ეს მარაზმი ახალ დონეზეა აწეული – ეს არის პირდაპირ დაშანტაჟება ადამიანებისა და მერე გამოქვეყნება, ამის განთავსება სოციალურ ქსელებში.

ამ ვითარებაში, რა თქმა უნდა, თამარ ქალდანი ძალიან აქტიური უნდა იყოს და უნდა მოითხოვოს სახელმწიფოსგან მოქმედება, მაგრამ პირველ რიგში, უნდა იმოქმედოს პროკურატურამ, უნდა იმოქმედოს სამართალდამცავმა სტრუქტურებმა, უნდა იმოქმედოს გამოძიებამ, – განაცხადა გაბაშვილმა. (news.ge)

## მიხეილ სააკაშვილი — სიამოვნებით მექნებოდა გავლენა პროცესებზე



ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში მის საპრეზიდენტო ამბიციებს არ ადასტურებს. გამოცემა „ნოვაია გაზეტასთან“ ინტერვიუში, კითხვაზე – კიევში ბევრს საუბრობენ თქვენს საპრეზიდენტო ამბიციებზე, სააკაშვილი პასუხობს:

– ვინ? ამბიცია რომელ ქვეყანაში? უკრაინაში ეს გამორიცხულია, – აღნიშნა სააკაშვილმა და კითხვაზე, სურს თუ არა პრეზიდენტობა, უპასუხა, რომ – არა.

– უკრაინაში შეუძლებელია, ყველაფერი ერთმა ადამიანმა აკეთოს. აქ სხვა ფსიქოლოგიაა. ეს რუსეთი არ არის და არც საქართველოა. მაგრამ, რა თქმა უნდა, სიამოვნებით მექნებოდა გავლენა პროცესებზე, ამ სურვილზე უარს არ ვამბობ, – აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## დევნილებმა სამინისტროსთან აქცია გამართეს



„დევნილთა პარტიამ“ დევნილებთან ერთად სამინისტროსთან ყვითელი ბარათებით გამაფრთხილებელი აქცია გამართა. დევნილები საცხოვრებელი ფართების დაკანონებასა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ითხოვენ. ამასთანავე, სამინისტროს მათი პრობლემების იგნორირებაშიც ადანაშაულებენ.

აქციის მონაწილეებს თან ჰქონდათ პლაკატები: „შეიცვალოს სამარცხვინო კრიტერიუმები“, „ვიწვევთ სუბარს დებატებში“, „ღირსეული საცხოვრებელი პირობები ყველა დევნილს“, „დევნილთა დევნის სამინისტრო“.

როგორც „დევნილთა პარტიის“ თავმჯდომარე ლელა გულედანი აცხადებს, თუ სამინისტრო მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, სამინისტრო უკვე წითელ ბარათს მიიღებს, რასაც პერმანენტული მოჰყვება. ლელა გულედანმა მინისტრი სოზარ სუბარი დებატებში პირდაპირ ეთერში გამოიწვია, რათა სუბარმა საჯაროდ გასცეს პასუხი ყველა იმ პრობლემას, რომლებიც დევნილებს დაუგროვდათ. (ინტერპრესნიუსი)

ეთერ ბალაძე
593 15-64-47



# „პატრულის თანამშრომლები თავს გაუვიდნენ! შეგიძლიათ, მათი სამსახურიდან გაშვება მოითხოვოთ!“

**პატრულისგან დატერორებული მძღოლები სიმწრით ნაშოვნ ფულს ჯარიმებში იხდიან, სამარშრუტო ტაქსის მგზავრები მძღოლებისგან სასურველ ადგილას გაჩერებას მოითხოვენ, მგზავრების ჩამოსმა კი მძღოლებს ძვირად უჯდებათ.**

**რობიზონ ჯოხაძე,** სამარშრუტო ტაქსის მძღოლი:

– პატრულმა კი არ გაგვაჩერა, კამერამ დაგვაფიქსირა და 200-ლარიანი ჯარიმა დამიწერეს. მსუბუქ ავტომობილებს 50 ლარით გვაჯარიმებენ, ხოლო სამარშრუტო ტაქსის მძღოლებს – 200 ლარით.

— **დაჯარიმების მიზეზი რა გახდა?**

– 85 სიჩქარით მივდიოდი, 60-ზე მეტი სიჩქარით სიარული არ შეიძლება.

— **ჯარიმას სხვა რა შემთხვევაში გიწერენ?**

– თუ აკრძალულია გაჩერება და აჩერებ, მაშინ პატრული გაჩერებს და ჯარიმას გიწერს. ჩვენთან 4 მძღოლი დააჯარიმეს 200 ლარით. ეს თანხა ძალიან ძვირია, 200 ლარის გამო რამდენ ხანს უნდა იმუშაო? 200 ლარი რა ამბავია? ხალხს პენსია არ აქვს 200 ლარი, ამხელა თანხით რატომ გვაჯარიმებენ? უმეტესწილად სამარშრუტო და კერძო ტაქსებს აჯარიმებენ, რატომ? ჩვენ ოჯახები არ გვაქვს შესანახი?

**რომან ხუნდაძე,** სამარშრუტო ტაქსის მძღოლი:

– გამაჩერა პატრულმა და 200 ლარით დამაჯარიმა, სანამ ამ 200-ლარიან ჯარიმას გადავიხდიდი, მეორედ დამაჯარიმეს. იმდენად გავმწარდი, ვთქვი, არც ერთს არ გადავიხდი-მეთქი. ბინაც დაქირავებული მაქვს, ცალკე ქირის ფულს ვიხდი, ცალკე ბანკები მჭამენ, რა წყალში გადავვარდე? ბანკში დამაგვიანდება გადახდა, ამის გამო ყოველდღე მირეკავენ და ქონების დაყადაღებით მემუქრებიან. მთელი ოჯახი ჩემს კისერზეა, 5-სულიანი ოჯახიდან მხოლოდ მე ვმუშაობ. რომელი ერთი გადავიხადო, არ ვიცი. ახლა, ალბათ, პირველი 200-ლარიანი ჯარიმის საურავიც მომივა. როგორ გადავიხადოთ ამხელა ჯარიმები? ისეთ დღეში ვარ, ლამისაა თავი მოვიკლა. ამხელა თანხების გადახდას ნამდვილად ვერ შევძლებ, სახელმწიფო უნდა დაგვეხმაროს, ესენი კი ჯარიმებითა და საურავებით გვძარცვავენ.

**გივი შონია,** კერძო ტაქსის მძღოლი:

– ერთი წუთით მგზავრი ჩამოვსვი, უცებ საიდანღაც პატრული გაჩნდა და 50 ლარით დამაჯარიმა, ეს ვიღაცისთვის არც ისე დიდი თანხაა, მაგრამ ჩემი 7-სულიანი ოჯახისთვის ლუკმაპურის წართმევაა. შეიძლება მთელი დღე ვიარო და მანქანაში მგზავრი ვერ ჩავისვა, ხალხს პურის ფული არ აქვს და ტაქსს რატომ გააჩერებს? ეს მანქანაც ქირით ავიყვანე, ცალკე საწვავის, ცალკე ქირის ფული და რაღა მრჩება? ოჯახში რა მივიტანო, ამდენი მშიერი ადამიანი მე შემომყურებს. თუ სახელმწიფო არ გვეხმარება, ლუკმაპურს პირიდან ნუ გამოგვტაცებს. ასე, მძღოლები ბევრი მიზეზით შეიძლება დააჯარიმონ. ეს განუკითხაობა უნდა დამთავრდეს. ჩვენ,

**მძღოლები, ყველაზე დაუცველი ხალხი ვართ, ახლა ჩვენი საშუალებით დაიწყეს ფულის კეთება. თუ ასე გაგრძელდა, ამას დიდხანს ვერ მოვითმენთ, ერთ დღესაც ჩვენც გამოვალთ და გავაპროტესტებთ, რომ პატრულმა აღარ გაგვძარცვოს და ჩვენი შვილების ლუკმაპური არ წაგვართვას.**

**გაიოზი,** კერძო მანქანის მძღოლი:

**— პატრულმა გამაჩერა, როგორც მერე აღმოჩნდა, უმიზეზოდ. საბუთები შეამოწმა, მერე გაახსენდა, რომ სიფხიზლეზე უნდა შევემოწმებინე. ნასვამობაზე რომ ამოაგდო, ხელებგაშლილი დავჩი... ჯარიმა გამომიწერა, მაშინვე სამხარაულის ექსპერტიზაზე გავვარდი და ექსპერტიზის დასკვნა მოვიტანე. ექსპერტიზის მიხედვით ჩემს ორგანიზმში არანაირი ალკოჰოლი არ აღმოჩნდა. 50-ლარიანი ჯარიმა მაინც გადავიხადე, არც ვიცი, რისი. ანუ მაინც ზარალში აღმოვჩნდი. რა უნდა მექნა, მეჩივლა პატრულისთვის? რა გამოვიდოდა? ჯარიმაზე მეტი ნერვები მომეშლებოდა, არადა ამაზე წაყრუება ნამდვილად არ გამოვა.**

**გიორგი,** მძღოლი:

– დავაყენოთ ყველამ ვიდეორეგისტრატორი და გადავიკითხოთ კანონები, ან ჩავდოთ მანქანაში და გქონდეს. როდესაც პატრული მოვა, მაშინვე გადავიღოთ. ამის უფლება ყველას აქვს, ამ შემთხვევაში პატრული ვერ გეტყვის, არ გადაიღოო. თუ გადაღებას აგიკრძალავს, მაშინვე უნდა დარეკო და სამსახურიდან გაათავისუფლებენ. მსოფლიოში ასეა, ყველა დარღვევის ფაქტი უნდა გადაიღო და დაასაბუთო, ფოტო, ვიდეო, აუდიოჩანაწერი, ყველაზე ცუდ შემთხვევაში, შენი სიმართლე უნდა გაიტანო ყველანაირად. არ უნდა მოეშვა, თუ დაგაკავებენ უფრო კარგი, მოეკითხებათ. პლუს მორალურ ანაზღაურებასაც მოითხოვ და მის სამსახურიდან გაგდებასაც. პატრულის თანამშრომლები თავს გავიდნენ. რასაც გზაზე ვხედავ, მიკვირს, ზოგს ტყუილად აჩერებენ. ჯერ კანონი იყოს მაგალითი და მერე კანონდამცველები. მერე მოგვთხოვონ ჩვენ კანონის დაცვა.

**„ალიას“ არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორის“ დამფუძნებელი გივი კუბლაშვილი ესაუბრა:**

– 200-ლარიანი ჯარიმა ნამდვილად არასამართლიანია, რადგან არამართლწესიერი დგომისთვის ჯარიმა 50 ლარით არის განსაზღვრული და 200 ლარი ძალიან განსაკუთრებულ შემთხვევაში არის შესაძლებელი, რომ გამოიწეროს. 200-ლარიანი ჯარიმა და ავტომანქანის გადაყვანა საჯარიმოზე უნდა მოხდეს განსაკუთრებულ შემთხვევაში, მაგალითად, თუ გაჩერებული მანქანა აფერხებს მოძრაობას, ხელს უშლის სასწრაფოს, პატრულის ან სახანძროს ადგილზე მისვლას, ქმნის ავარიულ სიტუაციას. ხოლო ის, რაზეც დღეს საპატრულო პოლიციას დავალება აქვს მიცემული სამინისტროდან, რომ დააჯარიმონ 200 ლარით მძღოლები, ეს ჯარიმა უნდა იყოს 50 ლარი და არა 200. ანუ ჯარიმა არაადეკვატურია სამართალდარღვევასთან მიმართებაში. მგზავრის ავტომანქანიდან გადმოსმა და ხურდის დაბრუნება არ უნდა ისჯებოდეს 200 ლარით. ეს ძალიან არასამართლიანია. არასწორად გაჩერებისთვისაც უნდა დაჯარიმდეს მძღოლი, რა თქმა უნდა, ოღონდ არა 200 ლარით, რომელიც, როგორც ვთქვი, განსაკუთრებულ შემთხვევებში იწერება.

— **პასუხი ვის უნდა მოეთხოვოს?**

– რა თქმა უნდა, პატრულსაც და მერიასაც. რადგან ქალაქში არ არის მოწესრიგებული პარკინგები, ნარმანიას დაპირებები რომ დაპირებებად დარჩა, ყველა ვხედავთ. მისი დაპირებით, უნდა მოწყობილიყო რამდენიმე მრავალსართულიანი ავტოსადგომი და უამრავ თანხას ხარჯავს კონსულტაციებში, როგორ განიტვირთოს ქალაქში მოძრაობა, თუმცა შედეგი რომ ნულის ტოლია, ყველა ხედავს. შსს-ს კი პასუხი უნდა მოეთხოვოს საპატრულო პოლიციისთვის არასწორი და უკანონო დავალების მიცემისთვის.



„ჩვენ, მძღოლები, ყველაზე დაუცველი ხალხი ვართ, ახლა ჩვენი საშუალებით დაიწყეს ფულის კეთება“



„200 ლარით დამაჯარიმა, სანამ ამ 200-ლარიან ჯარიმას გადავიხდიდი, მეორედ დამაჯარიმეს. გავმწარდი... მთელი ოჯახი ჩემს კისერზეა, 5-სულიანი ოჯახიდან მხოლოდ მე ვმუშაობ. რომელი ერთი გადავიხადო, არ ვიცი“

„ეს თანხა ძალიან ძვირია, 200 ლარის გამო რამდენ ხანს უნდა იმუშაო? 200 ლარი რა ამბავია? ხალხს პენსია არ აქვს 200 ლარი, ამხელა თანხით რატომ გვაჯარიმებენ?“

„დავაყენოთ ყველამ ვიდეორეგისტრატორი და გადავიკითხოთ კანონები, ან ჩავდოთ მანქანაში და გქონდეს. როდესაც პატრული მოვა, მაშინვე გადავიღოთ“

### ფორმიანი რეციდივისტები

**P.S.** გიორგი ბრეგვაძე, „ალიას“ გამომცემელი: **უსამართლობა იქნებოდა, აქვე ჩემი ისტორიაც არ მეთქვა. მეც დამაჯარიმეს. აშკარად ვფიქრობდი, 200-ლარიანზე გავდიოდი, რასაც მერე საგაზეთო სტატიისთვის გამოვიყენებდი, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, სიტუაცია პატრულმა (ბორტი 7308, AF-205-Fa) რეალურად შეაფასა და 10-ლარიანი ჯარიმა გამომიწერა. ეხლა კი მთავარი, რაც ჯარიმაზე უფრო მეტად გასაკვირი და სამაგალითო აღმოჩნდა. მანქანასთან მოსულმა პატრულ-ინსპექტორმა, სავარაუდოდ, კაკულია შალვამ (საჯარიმო ქვითრის მიხედვით)**



*ei053612*
ელექტრონული საჯარიმო ქვითარი
ქ. 053612
12/03/2016 00:08
ქვითრის შემდგენი პირი
კაკულია შალვა
პატრულ-ინსპექტორი
სამართალდამრღვევი
01009005105
ბრეგვაძე გიორგი 10/12/1962
AH2715797 B
თბილისი, თბილისი მ.წულუკიძის
ქ. N 77ა ბ. 30
ავტოსატრანსპორტო საშუალება
ALL777 / AL2000360
სამართალდარღვევა
12/03/2016 00:09
ა.ს.კ. 125-8-0
დგომა გაჩერების წესებით
გათვალისწინებული სხვა
მოთხოვნის დაუცველობა.
ჯარიმა: 10 ლარი

**არა ქედმაღლურად, არა მენტორული ტონით, ჩვეულებრივად, ადამიანურად მკითხა არასწორად დგომის მიზეზი — თავს როგორ ვგრძნობდი, ცუდად ხომ არ ვიყავი. სწორედ ეს არის სამაგალითო, ეს დამოკიდებულება და საქციელი, რომელიც თუნდაც დამნაშავე მძღოლისადმი ადამიანური დამოკიდებულებით დადებით ემოციას იწვევს. მისაბაძია! და სამადლობელიც კი გახდა დანარჩენი უტიფარი, თავხედი, რეგვენი, ჭკუის დამრიგებელი და ყველაფრის მცოდნე პატრულ-ინსპექტორების ფონზე!**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



**„ნაციონალების“ თავხედობა უკვე იქამდე მივიდა, რომ ფარული ვიდეოკადრების ამბავსაც კი აპროტესტებენ და ყოველდღე ჩაგვჩიჩინებენ, ეს შენ გეხებაო. აღარც სინდისი, აღარც — ნამუსი! მეტიც, ფარული ვიდეოჩაწერებისა თუ გავრცელების დიდოსტატი, ნიკა გვარამია გამოდის და ამტკიცებს, როცა ჩვენ ვიყავით ხელისუფლებაში, ეს საქმე სრულიად ლეგალურად კეთდებოდა, ყველა შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება არსებობდაო. როგორც ყოველთვის, ცრუობს გვარამია. აი, რას გვეუბნება თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი:**

# მამუკა ახვლედიანი: „მე ვთქვი, რა ხდებოდა 2012 წელს, ყველაფერს მოვყვები-მეთქი და აგერ, გიყვებით“



„როდესაც მე 2012 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ გადმოვედი, ძალიან ბევრ ისეთ საკითხზე გაიცემოდა მოსმენის ნებართვა, რაზეც არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლებოდა“



ნიკა გვარამია გამოდის და ამტკიცებს, როცა ჩვენ ვიყავით ხელისუფლებაში, ეს საქმე სრულიად ლეგალურად კეთდებოდა, ყველა შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება არსებობდაო. როგორც ყოველთვის, ცრუობს გვარამია



– ასეთი ვიდეოკადრების გადაღება, რაც კი არსებობს, შეუძლებელია, კანონიერად მოხდეს. მაგალითად, სანამ რუსთავში ვმუშაობდი, არ მახსოვს, მსგავსი გადაწყვეტილება მიგვეღო. თუ ადამიანზე არ არის აღძრული სისხლის სამართლებრივი დევნა, სასამართლომ რის საფუძველზე უნდა გასცეს გადაღების ან მოსმენის ნებართვა? ეს გამორიცხულია. ჯერ ერთი, როცა იღებ ან ისმენ, დანაშაულის რაღაც საფუძველი უნდა არსებობდეს, რასაც შესაბამისი ორგანო იძიებს. დღეს ვისზეც არის საუბარი, ამ ადამიანების მიმართ იყო სისხლის სამართლის საქმეები აღძრული? არ იყო და შესაბამისად, ვერც ნებართვა გაიცემოდა. ყოველ შემთხვევაში, მე არ მინახავს მსგავსი გადაწყვეტილებები. ამის დადგენა საზოგადოებას ძალიან იოლად შეუძლია, არ იყო საქმე აღძრული და არსებობს ვიდეოკადრები? ესე იგი, უკანონოა. თუმცა, როდესაც მე 2012 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ გადმოვედი, ძალიან ბევრ ისეთ საკითხზე გაიცემოდა მოსმენის ნებართვა, რაზეც არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლებოდა.

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

– მაგალითად, ვიღაც ყოფილმა პატიმარმა, რომელიც იჯდა ნარკოდანაშაულზე, მისცა ჩვენება და ამის გამო 15 ნომერზე ითხოვდნენ ჩართვას, მოსმენა გვინდაო. დასაბუთება იყო ასეთი: მე ვარ ყოფილი პატიმარი, ნარკოდანაშაულისთვის მოვიხადე სასჯელი და ჩემი ძველი მეგობრები ცდილობენ, ისევ ჩამითრიონ ამ წრეში, მე კიდევ აღარ მინდა ეს საქმიანობაო. ერთ-ერთმა დამიბარა, შემომთავაზაო, ამ დროს ვიღაცამ დაურეკა, გავიდა გარეთ, „ბლოკნოტი“ დარჩა მაგიდაზე და მისი ჯგუფის ყველა წევრის ტელეფონის ნომერი იქ ეწერა, მე 15 ნომერი გადმოვწერე და ახლა ყველა დააყენეთ მოსმენაზეო. აი, ასეთ საქმეზე შეიძლება, რომ გაიცეს მოსმენის ნებართვა?

**— და ამაზე გაცემული იყო ნებართვა?**

– კი, არსებობდა ასეთი საქმეები და გაიცემოდა წინა პერიოდში.

**— ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ იყო ასეთი ფაქტები?**

– იყო რამდენიმე ფაქტი, მაგრამ, როცა ასეთები აღმოვაჩინეთ, დავიწყეთ აღკვეთა. ამაზე გვქონდა საუბრები, ასევე, გარკვეული შეხვედრები და რაღაც დონეზე შევჯერდით. ეგ კი არა, მაგალითად, ჩემი შეთავაზება იყო და მოსამართლეებსაც ვუთხარი: ადრე ასე ხდებოდა, თუ ვინმემ სასამართლოს მიმართა ნომრის მოსმენაზე და უარი უთხრეს, არსად არ ჩანდა, ეს არსად არ ფიქსირდებოდა. ჩემი ინიციატივით, ვის მოთხოვნასაც დააკმაყოფილებდნენ, ისიც უნდა დაფიქსირებულიყო და ვის მოთხოვნასაც არ დააკმაყოფილებდნენ, ისიც უნდა მიეთითებინათ. არ ვიცი, ამ კუთხით ბევრი რამე შევცვალეთ და კიდევ ბევრი რამის შეცვლა იგეგმებოდა, საქალაქო სასამართლოში არიან ჯანსაღად მოაზროვნე მოსამართლეები და ნორმალურად საქმის გაკეთება შეიძლებოდა. ჩვენ ხშირად ვიკრიბებოდით ოცი-ოცდახუთი მოსამართლე და ვსაუბრობდით პრობლემურ თემებზე, ახლა არ ვიცი, რა ხდება.

**— ანუ თქვენ ამბობთ, რომ ახლა ეს სფერო ისევ მოიშალა?**

– კი, რა თქმა უნდა, ეს პროცესიც მოშლილია და იმდენი პრობლემა დაგროვდა, ბოლო თვეების განმავლობაში ველარ ვახერხებდი გამკლავებას. კონკრეტულად ეგ საკითხი, ჯერ კიდევ სასამართლოს თავმჯდომარე ვიყავი, როცა მოიშალა. ვგულისხმობ ბოლო პერიოდს, ძალიან ბევრთან უკვე ლაპარაკიც აღარ ღირდა, ზოგს სააპელაციოში უნდოდა გადასვლა, ზოგს კიდევ ვადის გაგრძელება. იმაზე არავინ ფიქრობდა, რა იყო სწორი და მართებული, ბევრი მხოლოდ იმ გზებს ეძებდა, ვიღაცებისთვის როგორ ესიამოვნებინა და როგორ დაწინაურებულიყო. რაც ახლა ხდება, ეს ერთ და ორ დღეში არ გაჩენილა, ეს წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემებია. მე ხომ ვთქვი, რა ხდებოდა 2012 წელს, ყველაფერს მოვყვები-მეთქი...

**— ახლა სწორედ ეგ უნდა მეკითხა, რა გაქვთ მოსაყოლი?**

– მე არ მოვყვები რაღაც სისულელეებს, მავანი ცუდია და მავანი კარგია-მეთქი. მე ვილაპარაკებ მიდგომებზე, რაც იყო ძალიან არასწორი. სწორედ ამან მიიყვანა სასამართლო ამ მდგომარეობამდე. მე ვთვლი, რომ სასამართლოა დამნაშავე, რაც დღეს გვჭირს. თქვენთან არაერთხელ ვთქვი და ვიმეორებ: დღეს სასამართლოში 80 პროცენტი ისევე ფიქრობს, როგორც მე ვფიქრობ, მაგრამ ამ ადამიანებს აჩერებენ, რაღაც მექანიზმი მოიფიქრეს.

**— რა მექანიზმი უნდა მოეფიქრებინათ? ლევან მურუსიძე აღარ „გადანიშნავს“, ვადას აღარ გაუგრძელებს და ეგ იქნება, ამის ამოხსნას რა დიდი ფილოსოფია უნდა?**

– ესე იგი, მაინც მოიფიქრეს და წინა პერიოდთან შედარებით რა იცვლება? ამ შემთხვევაში მირჩევნია, სასამართლოდან წამოვიდე და შევქმნა არასამთავრობო ორგანიზაცია. ერთადერთი გზა არსებობს, უნდა იყოს გამჭვირვალობა, ჩვენ ახალს ვერაფერს მოვიფიქრებთ. თუ სასამართლომ არ მოიპოვა ნდობა, არაფერი არ გამოვა. არადა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ამ წევრებს რომ ვუყურებთ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს რომ ვუყურებთ, რა ნდობაზეა ლაპარაკი? ვიღაცა ხომ უნდა შეებრძოლოს ამ მანკიერებას? მე თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ასეთ შედეგს მივიღებდი და სასამართლოს დამატოვებინებდნენ... ასე სულელურად თუ მოიქცეოდნენ, არ ვიცოდი, მაგრამ შედეგი მაინც ასეთი იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ამაზე მაინც წავედი და საზოგადოებას ვაჩვენე, ვინ არის ეს ხალხი. ქართველებმა საკუთარი თავის გარდა, ქვეყანაზეც უნდა ვიფიქროთ, მარტო სადღეგრძელოების თქმა და არაფრისმთქმელი განცხადებების კეთება არაფერს ნიშნავს!



„როცა იღებ ან ისმენ, დანაშაულის რაღაც საფუძველი უნდა არსებობდეს, რასაც შესაბამისი ორგანო იძიებს. დღეს ვისზეც არის საუბარი, ამ ადამიანების მიმართ იყო სისხლის სამართლის საქმეები აღძრული? არ იყო და შესაბამისად, ვერც ნებართვა გაიცემოდა“

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რუდი ჯულიანი: ჰილარი კლინტონი ISIS-ის დამფუძნებელია



**FoxNews**-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ნიუ-იორკის ყოფილი მერი რუდი ჯულიანი სკანდალურ განცხადებებს აკეთებს. ჯულიანის თქმით, „კლინტონი **ISIS**-ის დამფუძნებელი წევრია, რადგან ის იყო სახელმწიფო მდივანი აშშ-ს ერაყიდან გამოსვლისას და მან ჯარების გამოყვანას, როგორც ადმინისტრაციის წევრმა, შეუწყო ხელი“.

ჯულიანი, რომელიც რესპუბლიკელია, ასევე, აცხადებს, რომ „კლინტონი იმ ადმინისტრაციის წევრი იყო, რომელმაც ერაყი მიატოვა და მის მაშინდელ ლიდერს საშუალება მისცა, ქვეყანა მიწასთან გაესწორებინა. ამან საშუალება მისცა შიიტებს, შესაბამისი არჩევანი გაეკეთებინათ, ხოლო კლინტონმა საჭირო დროს თავი აარიდა სირიაში ჯარების შეყვანას“.

– მან ხელი შეუწყო **ISIS**-ის შექმნას, ის მისი დამფუძნებელი წევრია, – განაცხადა ჯულიანიმ.

გადაცემის წამყვანის შენიშვნაზე, რომ კლინტონს იმ დროს არ ჰქონდა გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება და ერთადერთი, რაც შეეძლო გაეკეთებინა, იყო ის, რომ გადამდგარიყო, ჯულიანიმ უპასუხა „ეს არის ის, რასაც ყველა პატრიოტი გააკეთებდა“. (euronews.ge)

## მილტონ ჰეიგი: თუ ექვს ერში მოხვედრა ფული ღირს, გვითხარით, რამდენი



ბრიტანულ სპორტულ გამოცემა **ESPN**-თან საუბრისას საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, მილტონ ჰეიგმა აღნიშნა, რომ საქართველოს შეუძლია, „ექვს ერს“ ახალი ღირებულებები შემატოს.

– იმისთვის, რომ ქართული რაგბი კიდევ უფრო განვითარდეს, უფრო ძლიერ გუნდებს უნდა ვეთამაშოთ. თუ ექვს ერში მოხვედრა ფული ღირს, გვითხარით, რამდენი და ჩვენი მთავრობა და სპონსორები ხელიდან არ გაუშვებენ ამ შანსს. ეს არა სტატუს კვოს შენარჩუნებაზე, არამედ იმაზეა, რა შეგიძლია, ჩადო შენ და მისცე ახალი ღირებულება შეჯიბრს. ჩვენ ექვს ერს ღირებულებებს შევმატებთ, – განაცხადა მიტონ ჰეიგმა. (ipress.ge)

## ბელგიის შს მინისტრმა პოსტის დატოვება გადაწყვიტა, პრემიერმა მისი გადადგომა არ დააკმაყოფილა

ბრიუსელის ტერაქტების შემდეგ ბელგიის შინაგან საქმეთა მინისტრმა, იან იამბონმა პოსტის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა პრემიერ-მინისტრმა შარლ მიშელმა მისი გადადგომა არ დააკმაყოფილა.

ცნობისთვის – თურქეთის ხელისუფლებამ ბელგიას გასულ წელს ბრიუსელის ტერაქტების ერთ-ერთი შემსრულებელი იბრაჰიმ ბაკრაუი გადასცა და გააფრთხილა, რომ ის საშიში პიროვნება იყო, თუმცა ბრიუსელმა ამ გაფრთხილების იგნორირება მოახდინა. (პირველი რადიო)

## „ტყიდან საძინებლამდე 10-კილომეტრიანი მილი დაგვაპროექტებინა, სუფთა ჟანგბადი უნდა ვისუნთქოო“ — ივანიშვილის გატაცებები



ჟურნალისტ ესმა კუნჭულიას თბილისელი ტაქსის მძღოლი, რომელიც ბაკურიანში ექსპრემიერის სახლის დაპროექტებაში მონაწილეობდა, საინტერესო ამბებს უყვება:

– ხის გაგრძელება... (აი, საიდან დაწყებულა) ტაქსის მძღოლი ნაღდი დიპლომიანი შემხვდა... დინჯი, განათლებული, მეორე დიპლომი არ უხსენებია... საცობმა გვაცალა და ყველაფერზე მოვასწარით საუბარი, ლარზე, დოლარზე, ტერორზე, ანტიტერორზე, კულინარიაზე და ხეზეც.

ეგ რა არისო: ბაკურიანში სახლს რომ ვუშენებდითო, ინჟინრების დიდი გუნდი მიგვიყვანა და ტყიდან საძინებლამდე 10-კილომეტრიანი მილის გაყვანა დაგვაპროექტებინაო – ულრანი ტყიდან სუფთა ჟანგბადი უნდა ვისუნთქოო...

უკვე ვიწყებდით სამუშაოებსო, როცა ვიღაცამ „გადაგვარჩინაო“, ეჭვის ჭია გაუღვიძესო: ამ 10-კილომეტრიან მილს ვინ დაიცავს, ხომ შეიძლება რომელიმე მონაკვეთზე თქვენმა მტერმა გახვრიტოს და შხამიანი გაზი შემოგიშვათო...

მე ვერის „ანტრესთან“ ჩამოვედი, ყავა არ შემერგო, გამიცივდა, დაკრეჭილი ვიცინოდი...

**P.S.** მომატყუა ვითომ? რაში დასჭირდებოდა? თუმცა ზღვის ზედაპირზე ტაატით მონარნარე ტიტახეები თვალით რომ არ დაგვენახა და ტაქსის მძღოლს მოეყოლა, ხომ არ დავუჯერებდით? გარდა ამისა, მისია ფული და რომელ მილსაც უნდა, იმას შეიყვანს საძინებელში... – წერს ესმა კუნჭულია. (ნიუპოსტი)

# რა ხდება სინამდვილეში საბავშვო ბაღებში და რატომ ხსნიან დირექტორებს?

## „ეს აუცილებლად წააგებინებს „ქართულ ოცნებას“ არჩევნებს“

**„ძალიან ცუდი ხმები დადის. საუბარია, რომ თორდინავა დატოვებს თანამდებობას და ჯაბა სამუშიას მეუღლე დაიკავებს მას. ეს როგორ შეიძლება, ეს ხომ არის ინტერესთა კონფლიქტი? როგორ შეიძლება ქმარი საკრებულოში და ცოლი აქ?!“**

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**თბილისის ბაგა-ბაღებში „საკადრო წმენდა“ ხმაურის ფონზე მიმდინარეობს. ბოლო სამი თვის განმავლობაში განთავისუფლებულია დაახლოებით 27 ბაგა-ბაღის დირექტორი. როგორც თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი, თემურ თორდინავა ამბობს, ბაღების დირექტორები დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობისა და ზერელე დამოკიდებულების გამო განთავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან.**

**„ნაციონალური მოძრაობა“ პროცესების შეფასებაში მალევე ჩაერთო და თქვეს, რომ საკადრო ცვლილებები პოლიტიკური მოტივით ხორციელდებოდა, რომლებსაც „რესპუბლიკური პარტია“ გამოეხმაურა და „ძველი ცოდვები“ შეახსენა — პოლიტიკური მოტივით ბაგა-ბაღებიდან განთავისუფლებები თქვენი შემუშავებული სტილიაო.**

**თორდინავამ, დირექტორების პოლიტიკური ნიშნით განთავისუფლებას გამორიცხა და თქვა: ის გამონათქვამები, თითქოს პოლიტიკური ნიშნით ხდება ბაღის დირექტორების განთავისუფლება, სიმართლეს არ შეესაბამება. ასეთი მიდგომა რომ გვქონოდა, ჩვენ ამას 2014 წლის სექტემბერში დავიწყებდით, როდესაც ახალი ადმინისტრაცია შეუდგა მუშაობასო.**

**რა მოხდა რეალურად თბილისის ბაგა-ბაღებში? რა მიზეზით გაათავისუფლეს ბაგა-ბაღების დირექტორები? რა წერია აუდიტის დასკვნაში, რომელსაც თემურ თორდინავა წამდაუწუმ აფრიალებს?**

**„ალიას“ არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს სკოლამდელთა განვითარებისა და უფლებების დაცვის ლიგის“ ხელმძღვანელი, მზია ფაილოძე ესაუბრა:**

– რეალობა ასეთია, ათავისუფლებენ „ნაციონალური მოძრაობის“ კადრებს, სანაცვლოდ კი ინიშნებიან „ქართული ოცნების“ აქტივისტები. მეორდება ზუსტად იგივე, რაც მოხდა 2007 წელს. მაშინ დახურეს ბაღები, გაგვიშვეს ბაღების დირექტორები, უბრალოდ, ახალი კადრების მისაღებად ჩაატარეს ტესტირებები და კანონიერად თუ უკანონოდ მიიღეს ახალი კადრები – ზოგმა საკუთარი დედა, ზოგიერთმა სიდედრი, ზოგიერთმა ცოლი, და, კოორდინატორი, ნათესავი და ა.შ. მაშინ ჩვენ სამართლებრივადაც ვდაობდით, ვიბრძოდით, მაგრამ არავის აინტერესებდა ეს, ახლა კი, ნახეთ, ბუმერანგივით მიუბრუნდათ ის, რაზეც მაშინ გულგრილობას იჩენდნენ.

**— რა ინფორმაცია გაქვთ, დღეს ვის ათავისუფლებენ?**

– ბოლო დროს განთავისუფლებული დირექტორები, ძირითადად ის ადამიანები არიან, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებად მოიაზრებოდნენ. სწორედ ეს დირექტორები იყვნენ, მინიმუმ, 2012 წელს საბავშვო ბაღებში განთავსებული საარჩევნო უბნების კომისიების თავმჯდომარეები.

**— ახლა რა ხდება, რატომ დაიწყო ეს მასობრივი განთავისუფლებები?**

– დღეს „ქართულ ოცნებას“ ისე ეშინია, რომ წინასაარჩევნო სამუშაოს ამ ხალხის განთავისუფლებითა და საკუთარი კადრების ჩანაცვლებით იწყებს. ზუსტად ის მეორდება 2016-ში, რაც მოხდა 2007 წელს, მაგრამ ვერ გათვალეს, რომ ამით არჩევნებს ვერ მოიგებენ.

**— ანუ?**

– პირველი, იმიტომ, რომ ვერ მოახერხებენ 6 თვეში მასების მობილიზებას და მათ მხარეზე გადმოქაჩვას, პირიქით, „ქართული ოცნების“ ამ აქტივისტი დირექტორების დანიშვნით, გადაიმტერეს 3-4 ჯერ მეტი ადამიანი, ვიდრე მათი თანამდებობაზე ყოფნით ჰყავდათ. წარმოიდგინეთ, რამდენი ადამიანი დგას ამ განთავისუფლებული დირექტორების უკან, მათი ოჯახების, მშობლებისა და ახლობლების სახით. ამ ქმედებებით, რეალურად „ნაციონალურ მოძრაობას“ გაუხსნეს გზა, ამიტომაცაა ეს არასწორი პოლიტიკა და ეს აუცილებლად წააგებინებს „ქართულ ოცნებას“ არჩევნებს.

ტესტირება მაინც ჩაეტარებინათ, რომ შეყარეს ეს გაუნათლებელი ხალხი, არც ერთი არ არის კვალიფიციური კადრი, მაგრამ ეს ტესტირებებიც ვინ უნდა ჩაატაროს? გატენილია თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტო „ოდეერებით“. სხვათა შორის, უამრავი კვალიფიციური ადამიანი, რომლებიც 2007 წელს გაათავისუფლეს, დღეს სახლში ზის, მაგრამ მათ უარს ეუბნებიან დასაქმებაზე. ორად ორი ადამიანი დაასაქმეს და ისინიც იმიტომ, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები იყვნენ.

განთავისუფლებაც ვერ გააკეთეს რიგიანად. თუ მაინცდამაინც ამათი განთავისუფლება უნდოდათ, ის საფუძველი, რასაც აუდიტი უდებს განთავისუფლებას, არის სირცხვილი. წარმოადგინეს ბაგა-ბაღების დირექტორების განთავისუფლების დოკუმენტი, სადაც საუბარია ფინანსურ დარღვევებზე, არამიზნობრივ ხარჯებზე... ის, რასაც აუდიტი ედავება ბაღების დირექტორებს, რეალურად არის ბაღების სააგენტოს სისტემური დანაშაული. 2014 წლის სექტემბრიდან, საბავშვო ბაღებს არ ჰყავთ ბუღალტრები – ფინანსური მენეჯერები.

**— რა საფუძველი დაუდო აუდიტმა ამ ადამიანების განთავისუფლებებს?**

– რა ხდება რეალურად – ამ საკითხში რომ ჩაიხედოთ დეტალურად, ხდება ასეთი რამ: ყოველი თვის 15-20-დან ბაგა-ბაღებში იწყება ხოლმე ფინანსური გავლა, რაც ბაღების დირექტორებისგან მოითხოვს ინფორმაციას, რამდენი სჭირდებათ კვებისთვის მომავალ თვეში, რამდენი სჭირდებათ ხელფასისთვის, კომუნალური გადასახადებისთვის და ა.შ. ასეთ დროს ბაგა-ბაღის დირექტორი, ჩარიცხულ ბავშვთა მიხედვით, წარმოადგენს ხოლმე, რამდენიც არის საჭირო იმ მომენტისთვის, თუმცა რამდენიმე დღის მერე შესაძლოა, ჰყავდეს მეტი, ან ნაკლები ბავშვი. მეტის ალბათობა ძალიან ნაკლებია, ხოლო ნაკლების – ბევრად მეტი. შესაბამისად, ხარჯვა ხდება ბავშვის დასწრების მიხედვით, დარჩენილი თანხა კი გადადის სხვა ხარჯებში. აი, აუდიტი ედავება იმას, რომ არ დაიხარჯა ის თანხა, რაც თვის დასაწყისში იყო მითითებული. არადა, ამ საკითხს საბავშვო ბაღში კი არა, ოჯახშიც ვერ განსაზღვრავ. რომ ამბობენ, კვების თანხა ჩამოწერაო, ეს რეალურად ასე არ არის, იმიტომ, რომ კი არ ჩამოწერა, არამედ ვერ დახარჯა, იმიტომ რომ იმ თვეში ყველა ბავშვი არ გამოცხადდა, მაგრამ ამათ ვერ მოუძებნეს სხვა მიზეზი ამ დირექტორებს და გაათავისუფლეს აუდიტის სამსახურის მეშვეობით, იმ აუდიტის, რომელიც არ არის ჩახედული ამ საკითხში, მათ ჯერ კარგად უნდა გაევლოთ ეს საკითხი და მერე უნდა ემოქმედათ. რომ გამოდიან და ამბობენ, ბიუჯეტის თანხა არამიზნობრივად არის დახარჯულიო – თუ ეს თანხა არამიზნობრივად დახარჯეს დირექტორებმა, მაშინ თანამდებობიდან სახლში რატომ უშვებ? თუ აუდიტის დასკვნა არის რეალური, მაშინ რატომ არ აყენებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხს? სად არის ლოგიკა?

ძალიან ცუდი ხმები დადის. საუბარია, რომ თორდინავა დატოვებს თანამდებობას და ჯაბა სამუშიას მეუღლე დაიკავებს მას. ეს როგორ შეიძლება, ეს ხომ არის ინტერესთა კონფლიქტი? როგორ შეიძლება ქმარი საკრებულოში და ცოლი აქ?! თვითონ სამუშიას არ უნდა დაეშვა მეუღლის ამ სააგენტოში დასაქმება. რეალობა არის ის, რომ თორდინავას ჰქონდა დავალებული ბაღების დირექტორების განთავისუფლება, მან ეს დავალება ვერ შეასრულა, ბოლოს აუდიტს შეასრულებინა და ახლა ამ ხმაურის ფონზე მოუწევს წასვლა.

**— განთავისუფლებული დირექტორები სამართლებრივი დავის დაწყებას აპირებენ. რა შანსი აქვთ თანამდებობებზე დაბრუნების?**

– იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოში შეიტანენ სარჩელს და რეალური მოკვლევა მოხდება, ეს ადამიანები აუცილებლად დაბრუნდებიან თანამდებობაზე, მაგრამ უკვე ჩავლილი იქნება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები. ამათი მიზანი კი სწორედ ისაა, რომ ამ არჩევნებმა ჩაიაროს ამ დირექტორების გარეშე.





მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



**23-24 მარტს, ღამის საათებში, თბილისი განგსტერების ქალაქად იქცა. ქალაქის სხვადასხვა უბნებიდან, ერთდროულად, ძალიან ბევრი ახალგაზრდა აჰყავდათ და გაურკვეველი მიზეზებით სამმართველოებში ანაწილებდნენ.**

**როგორც ირკვევა, ამ ე.წ. „სპეცოპერაციებში“ ძირითად შემთხვევებში საპატრულო პოლიცია არ მონაწილეობდა, აქტიური მოქმედი პირები ამჯერად თბილისის მთავარი სამმართველოსა და სხვადასხვა სამმართველოების თანამშრომლები და კრიმინალური პოლიცია იყო.**

**აჩერებდნენ მანქანებს და ჩხრეკდნენ ყველას და ყველაფერს. რასთან დაკავშირებით იყო რეიდები, შსს ამაზე კომენტარს არ აკეთებს, თუმცა ერთ-ერთი ვერსიით, ეს შესაძლოა, ბოლო დროს ევროპის ქვეყნებში გახშირებულ ტერაქტებს უკავშირდებოდეს.**

**მაინც რას ემსახურებოდა ეს სპეცოპერაციები და რა ბედი ეწიათ დაკავებულ ახალგაზრდებს? „ალია“ ამის გარკვევას შეეცადა.**

# 23–24 მარტს, ღამის საათებში, თბილისი განგსტერების ქალაქად იქცა. ქალაქის სხვადასხვა უბნებიდან, ერთდროულად, ძალიან ბევრი ახალგაზრდა აჰყავდათ

## „არ მინდა ისეთი საქართველო, სადაც პოლიცია კი არ მიცავს, მცემს და ჩემზე ძალადობს“







პირველი კონკრეტული შემთხვევა, რომლის შესახებაც ინფორმაცია მოგვაწოდეს, ვაკეში, აბაშიძის ქუჩაზე მოხდა, როდესაც ავტომობილი, რომელშიც სამი ვერელი ახალგაზრდა ბიჭი იჯდა, გააჩერეს, გაჩხრიკეს, შემდეგ კი თავის მანქანაში გადასვეს და გაურკვეველი მიმართულებით წავიდნენ. როგორც გაირკვა, თბილისისა და მცხეთის სამმართველოებში ადგილი არ იყო და დუშეთის სამმართველოსკენ დააპირეს ახალგაზრდების წაყვანა, თუმცა მოგვიანებით მცხეთაში ადგილები განთავისუფლდა და ბიჭებს მოშარდვა მოსთხოვეს, ნარკოშემოწმებისთვის. მხოლოდ ერთმა მათგანმა შეასრულა პოლიციელების ბრძანება, ორმა კი კანონით მინიჭებული უფლებით ისარგებლა და მოშარდვაზე უარი განაცხადა. რის შემდეგაც, ერთ-ერთი მათგანი პოლიციელმა სცემა. დაზარალებული მძიმედაა და საწოლიდან ვერ დგება, ვინაობის გამხელისგანაც მხოლოდ იმიტომ შეიკავა თავი, რომ თავს დაუცველად გრძნობს, ამბობს, რომ ასე უმიზეზოდ თუ სცემეს, დაზღვეული არაა, ხვალ უარესი არ დამართონ.

**იმ ახალგაზრდის ანალიზმა კი, რომელიც მოშარდვას დასთანხმდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ „სუფთა“ იყო და არასდროს არანაირი ნარკოტიკული საშუალება არ მიუღია, პირველ შემთხვევაში სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ამოაგდო ერთად, განმეორებით ანალიზში კი სრულიად სუფთა აღმოჩნდა.**

ამჯერად ანალიზის პასუხს სამხარაულის ექსპერტიზისგან ელიან. ბიჭები კი, ორი – მსუბუქი, ერთი კი, როგორც აღვნიშნე, მძიმე დაზიანებების შემდეგ მეორე დღეს გამოუშვეს სამმართველოდან, ღამის მანძილზე კი არც დარეკვის მისცეს საშუალება და არც ადვოკატის მიყვანის.

„ალიას“ ინფორმაციით, რეიდები იყო ასევე დიდი ხნის მანძილზე საბურთალოზე, ნუცუბიძის ქუჩაზე და სოლოლაკში, ტაბიძის ქუჩაზე, როგორც თვითმხილველები ამბობენ, ფაქტობრივად, საათობით იყო პარალიზებული ქუჩა, რადგან ყველა მანქანას ამოწმებდნენ და ჩხრეკდნენ. განმარტებები შსს-ში რაიმე გამკაცრებული კონტროლის შესახებ ამ დრომდე არ გაკეთებულა.

შემთხვევა კი, რომელიც პოლიციის მიერ ერთ-ერთმა დაზარალებულმა „ალიას“ ექსკლუზიურად მოუყვა, წინა შემთხვევებისგან სრულიად განსხვავებულია, თუმცა რესპონდენტი ჩვენთან ყვება, როგორ სასტიკად სცემეს 24 მარტს, ღამით პოლიციაში.

**გუგა გეგეჭკორი, მომღერალი, ჯგუფ „ყველას“ ერთ-ერთი წევრი:**

– ვიღებდი სოციალური ხასიათის ვიდეოს, რაღაც თემასთან დაკავშირებით და ვიწერდი ხალხის აზრს, სადაც დამჭირდა ყველანაირი სეგმენტი. ვინც მხვდებოდა, ყველას ვწერდი ნებართვის შემდეგ. მოვხვდი „ნახალოვკაში“, შემხვდა პოლიციის შენობა, კრიმინალური პოლიციის, მივედი, ვკითხე, შეიძლებოდა თუ არა, კითხვა დამესვა და გადამეღო. მითხრეს, მობრძანდითო, შევედი და დავუსვი კითხვა, რომლის შინაარსიც დაახლოებით ასეთი იყო: გზა უნდა იყოს მთლიანად გადაკეტილი თუ არა, როცა

**გზის მონაკვეთის მესამედი არის გათხრილი? შეიძლება სულელური შეკითხვა იყო, მაგრამ ეგეთ ვიდეოს ვაკეთებდი, რადგან ზოგადად საკმაოდ ნახვად ვიდეოებს ვაკეთებ ხოლმე და ერთგვარი ჰობია.**

როგორც კი ეს კითხვა დავუსვი, ტელეფონზე დამირტყა ხელი, მერე მე დამიწყო ცემა. თავიდან, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობა არ გამიწევია, რადგან პოლიცია იყო, შემდეგ ავარდა ერთი ზემოთ, დარეკა, მოვიდა 8 კაცი, მიმაბეს ფოიეშივე რაღაც რკინაზე, დამჯდარი და ცემასთან ერთად მაგინებდნენ: შენი ევროპელი დედა მოვტ...ან, ვინც ვიდეოებს ასე დადიხართ და იღებთ, ჩვეულებრივი მეტრაკეები ხართო, ხან მირტყამდნენ, ხან ყელში წამიჭერდნენ, ხანდახან წყნარდებოდნენ, მერე ისევ ბოლმა ამოასხამდათ, ღამე იყო გვიან უკვე და არავინ იყო მათ გარდა იქ. უნდოდათ, რომ ვიდეო წამეშალა, რადგან სანამ გაითიშებოდა და ხელს დაარტყამდა, მათი ბრალეულობა ჩანდა, ჯერ კოდს მთხოვდნენ, მერე ფოიედან ქვემოთ ჩამიყვანეს. უკვე იმდენჯერ მცემეს, აღარც შემშინებია და უკვე პრინციპულად აღარ ვშლიდი ვიდეოს. დაბლა, ანუ მიწისქვეშა სართულზე, გამხადეს წელსზემოთ, გამიკეთეს ხელზე ბორკილი, დამაწვინეს, უკან კარგად შემიკრეს ხელი, რომ არ მემოძრავა და ძალით დამადებინეს ცერი, რომ განმებლოკა და წამიშალეს ვიდეო, არადა იმიტომ არ ვშლიდი, იქ კი არაფერი იყო ისეთი, უბრალოდ, რომ მედავებოდნენ უკვე დაუმორჩილებლობას, ვიდეოზე იყო აღბეჭდილი შესვლის მომენტი, რომ მათი ნებით შევედი (რადგან მერე სასამართლოზე მედავებოდნენ, რომ თურმე შევვარდი კრიმინალური პოლიციის შენობაში და არ გემორჩილებითმეთქი, ვყვიროდი).

შემდეგ გამოიძახეს სხვა ადამიანი, რომელიც არაფერ შუაში არ იყო. წამიყვანეს მცხეთაში, „კაპეზეზე“. დილით ისევ კრიმინალურში მაყურყუტეს და მერე სასამართ-

### ძალადობა

ლოში. ორნი იყვნენ სულ პროცესზე, შეიტანა ჩემმა წარმდგენმა განაცხადი, ერთი მათგანი ადამიანი იყო, მეორე რაღაც გაურკვეველი აგრესიული არსება, უბრალოდ, ლაპარაკი იცოდა და ჯერ ვერ დავადგინე, რომელი სახეობის რა „ოჯახის“ წარმომადგენელი იყო.

მოკლედ, ეს არსება ალაპარაკა მოსამართლემ და ფაქტობრივად, ჩემი რეპლიკა საჭიროც აღარ გახდა, მოსამართლემ თავისით გამოიტანა დასკვნები, მე უბრალოდ დავამატე, რომ ცემის დროს, „შენი ევროპელი დედა მოვტ...ან“-ს იმეორებდნენ-მეთქი.

**გამამართლა სასამართლომ, არავითარი ჯარიმა არ დაუწერია, სიტყვიერი გაფრთხილება მომცა, რომ პოლიციაში თვითნებურად აღარ „შევიარო“. შემიძლია, ვუჩივლო ძალადობისთვის, ცემისთვის და მინდა ბოლომდე მივყვე ამ საქმეს, თუმცა, როგორც მითხრეს, ძალიან გამიჭირდება ამდენი ძალოვნის წინააღმდეგ ბრძოლა იურიდიულადაც, მით უმეტეს, რომ ამდენი ცემის შემდეგ გარეგნულად ძალიან არ მეტყობა დაზიანებები, არადა დაბეჟილი მაქვს ყველაფერი და მტკივა. იციან, როგორ ურტყან ისე, რომ არ დალურჯდეს.**

პროცესის დასრულებისთანავე ის არსება კი გავარდა დარბაზიდან, სირბილით დატოვა სასამართლოს შენობა, მთავარია, ხომ მოიფხანა გული და მთელი ღამე მცემა. არ მინდა ისეთი საქართველო, სადაც პოლიცია კი არ მიცავს, მცემს და ჩემზე ძალადობს.

**„ალია“ ამ ფაქტზეც შეეცადა შსს-სგან კომენტარის მიღებას, მაგრამ კვლავაც უშედეგოდ.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კოპიტნართან მომხდარ ავარიას 3 ახალგაზრდა ემსხვერპლა



მსხვერპლით დასრულდა კოპიტნართან მომხდარი ავტოავარია. თვითმხილველების ინფორმაციით, შემთხვევის შედეგად 3 ახალგაზრდა დაიღუპა.

თვითმხილველთა განცხადებით, ახალ გზაზე ერთმანეთს ორი ავტომობილი შეეჯახა, ერთ-ერთს კი ცეცხლი გაუჩნდა.

მომხდარს ადასტურებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში. ფაქტზე გამოძიება 276-ე მუხლის მე-7 ნაწილითაა დაწყებული, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც 2 ან მეტი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. (ნიუპოსტი)

## ნადირაშვილი: არ მგონია, რომ ჰაკიმ ფაშას შეეშინდება და ახალ ვიდეოს აღარ ატვირთავს



ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ინიციატივას უმცირესობის წევრი ირმა ნადირაშვილი გამოეხმაურა. დეპუტატი მიიჩნევს, რომ მხოლოდ კანონის გამკაცრება გამოსავალი ვერ იქნება.

– ჩვენ გვაქვს დღეს რეალობა, რომ ყველა წითელი ზღვარი გადალახულია და პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია შეიძლება მოხვდეს ინტერნეტსივრცეში. კანონის გამკაცრება ამას ვერ უშველის, იმიტომ, რომ არსებული კანონმდებლობითაც კი არავინ დასჯილა დღემდე. მე მაინტერესებს, ცხრა წლით ვის ჩასვამენ ციხეში, ჩოკუტაევს თუ ჰაკიმ ფაშას. დღემდე არც ერთ რეალურ ადამიანზე, ვინც ეს კადრები გაავრცელა, საზოგადოებამ არაფერი არ იცის, ამიტომ ეს კანონის გამკაცრებაც არის ფარსი, იმიტომ, რომ არ მგონია, რომ ჰაკიმ ფაშას შეეშინდება და ახალ ვიდეოს აღარ ატვირთავს, – განაცხადა ნადირაშვილმა.

პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფის ფაქტზე პასუხისმგებლობა მკაცრდება, ინიციატივა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა მოამზადა. ეკა ბესელიას განცხადებით, პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფის ფაქტი მძიმე კატეგორიის დანაშაული ხდება. (news.ge)

# „ოცნების“ თანაკოორდინატორი ვიყავი,

## „ამ ყველაფრის თქმის გამო თუ ვინმე მომაკითხავს და დამაპატიმრებს,

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



**რამდენიმე დღის წინ, რედაქციაში რუსთავში მაცხოვრებელი ქალბატონი გვესტუმრა, რომელიც აღშფოთებას ვერ მალავდა. მისი თქმით, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ცოტა ხანში რუსთავი ქართველი მოსახლეობის გარეშე დარჩება:**

– მე ჭიათურელი ვარ, ყოფილი ქიმიკოსი, მაგრამ განაწილებით მოვხვდი რუსთავში და წლებია, იქ ვცხოვრობ. იმის ყურება, რაც რუსთავში ხდება, ნორმალური ქართველისთვის, უბრალოდ, შეუძლებელია! ქართველი კაცი ტოლერანტული ყოველთვის იყო, მაგრამ ჩემთვის ტოლერანტობა ის არ არის, როცა პანტაპუნტით იყიდება ქართული მიწები და რუსთავიდან ქართველები გარბიან. ჩამობრძანდით რუსთავში, აღწერა გავაკეთოთ და ვნახოთ, მოსახლეობის რამდენი პროცენტია დღეს ქართველი? და ამ ფონზე რომ შენ მიწებს არაქართველებზე ყიდი, ეს ნორმალურია? ეს ყველაფერი სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. მასიურად ხდება რუსთავის მიწების აზერბაიჯანელებზე გასხვისება! ქართველს ამ მიწების ყიდვის საშუალება არ აქვს, უმუშევარია. დამერწმუნეთ, ხდება რუსთავის ეკონომიური ანექსია, ბაზრები მაგათია, რუსთავის კინოთეატრი მაგათია, საუკეთესო მიწები მაგათია.

— **ესენი ხომ ეთნიკურად აზერბაიჯანელები, მაგრამ საქართველოს მოქალაქეები არიან?**

– რუსთაველი აზერბაიჯანელები რომ ყიდულობდნენ ამ მიწებს, კიდევ არ იქნებოდა პრობლემა, აზერბაიჯანიდან ჩამოდიან მასობრივად! არ ვიცი, შესაძლებელია მათ მთავრობა აფინანსებს, ამას ეჭვით ვამბობ, მაგრამ გეუბნებით ფაქტს: ჩამოდიან აზერბაიჯანიდან და ადგილობრივ აზერბაიჯანელებთან ერთად, ყიდულობენ ქართულ მიწებს. მე ერთი კითხვა მაქვს: როცა ისინი აჩენენ ხუთ ბავშვს, სამჯერ სწრაფად მრავლდებიან, ვიდრე ჩვენ. ქართველები, დაახლოებით, 20-30 წელიწადში რამდენი პროცენტი იქნება რუსთავში? ავაშენოთ, ბატონო, ერთი დიდი მუზეუმი, შეგვყარეთ ქართველები შიგნით და ვიქნებით მუზეუმში ექსპონატებად!

— **რაც ახლა მითხარით, ამას მოსახლეობა არ აპროტესტებს?**

– კი ვაპროტესტებთ, მაგრამ ვინ გვისმენს? ეგრევე მოგიყენებენ ანტიდისკრიმინაციულ კანონს. ამ კანონმა ქართულ მოსახლეობას ხელები მოგვაჭრა ჩვენი ქვეყნის დაცვის საქმეში! ეს კანონი არის დამოკლეს მახვილი ქვეყნის თავზე! როგორც კი ხმას ამოიღებ, აი, შენ შოვინისტი ხარო, გეუბნებიან. ერთი ჩამომითვალონ ახლა აზერბაიჯანელებმა, რამდენი მართლმადიდებლური ეკლესიაა და რამდენი კვადრატული მეტრია მიყიდული ქართველზე აზერბაიჯანში? ყველას რომ ჩვენს მიწა-წყალზე რჩება თვალი! იცით, რას გეტყვით, შვილო? შეიძლება პატარა ადამიანი ვარ, მაგრამ რაც შემეძლება, ჩემსას ყოველთვის გავაკეთებ! იცით, რატომ გაუვიდათ თავს და რატომ გაპარპაშდნენ? კაციშვილმა არ ამხილათ, მოდიან და მოდიან. ვამხილოთ და იქნება, შეჩერდნენ? მაგრამ დიდი ეჭვი მაქვს, რომ ჩვენი გაყიდული მთავრობის ხელში არაფერი შეჩერდება. ამ ყველაფრის თქმის გამო თუ ვინმე მომაკითხავს და დამაპატიმრებს, მაინტერესებს, რა მუხლს მომიყენებენ - ჩემი ქვეყნის სიყვარულს? მე ვარ ქართველი, გესმით თქვენ? და ჩვენს წინაპრებს რომ არ ებრძოლათ, როგორ ფიქრობთ, ქართულად ილაპარაკებდით დღეს?

— **რომელიმე პარტიაში ხართ გაწევრიანებული?**

– „ოცნების“ თანაკოორდინატორი ვიყავი, მაგრამ საერთოდ არ მივცემ ამათ ხმას. იცით, რატომ? მე არასდროს მივცემ ხმას იმათ, ვინც ჩემს ქვეყანას მიწასთან ასწორებს! ერთი ქვეყანა დამისახელეთ, სადაც ქართველი შედის და გუნდრუკს უკმევენ! იმას რომ

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



იცით, ამ დღეებში რა გადავიტანე? ვერც კი წარმოიდგენთ, რა მძიმე იყო... ერთ ჩემს მეგობარს წარმოშობით აზერბაიჯანელი სტუმარი მოუვიდა, შემთხვევით შევესწარი. თავიდან სტუმარი მორიდებული იყო, მერე საუბარში თანდათანობით გავიგე, რომ საქართველოში რამდენიმე წლის წინათ ჩამოსულა, რაღაც ობიექტი გაუხსნია და ბიზნესი წამოუწყია. ცოტა დავლიეთ, ერთმანეთს შევუთამამდით, ხან პოლიტიკაზე გავაბით, ხან სოციალურ საკითხებზე და, ბუნებრივია, რუსეთსაც გადავწვდით – აბა, ისე როგორ იქნებოდა? მოკლედ, ბიზნესმენი გახურდა და რას გახურდა, კაი გვარიანად რომ შეზარხოშდა, პირდაპირ მაჯახა: მეო, საქართველოს დიდი პატივი დავდე და დიდი საქმეც გავუკეთე, 30-მილიონიანი ინვესტიცია ჩავდე, შენ კი ამ ქვეყნისთვის რა გაგიკეთებიაო? გავშრი, ცოტა არ იყოს, ასეთ თავხედობას არ ველოდი. მინდოდა მეთქვა: წადი შენი კეთილებიც და შენი ინვესტიციაცმეთქი, მაგრამ მაშინ სუფრაც უნდა ამეყირავებინა, თან მეგობარს გავუწიე ანგარიში, მოვითმინე და ზრდილობიანად ვუპასუხე, – მე ვმუშაობ, რაღაცას ვქმნი და ბიუჯეტში გადასახადს ვიხდი, ზუსტად არ ვიცი, რამდენი მაქვს მთელი ცხოვრების განმავლობაში გადახდილი, მაგრამ ცოტა არ უნდა იყოს... გარდა ამისა, მე ამ მიწაზე დავიბადე და გავიზარდე, ამ ქვეყნის შვილი ვარ და ეს უკვე შეუფასებელი ინვესტიციაა-მეთქი. როგორც ჩანს, გადამთიელებს არ ესმით, ვინ ვართ ჩვენ, რა გვაკავშირებს ამ მიწასთან, მთასთან, ბართან, წყალთან და საერთოდ, რას წარმოვადგენთ. მეო, მეუბნება ბიზნესმენი რუსულად, აწი ქართველი ვარ და თანაც შენზე დიდი ქართველიიო!

ღმერთო, დიდებულო... იმ დღის მერე ვფიქრობ, რა გაგვიკეთებია ქართველებს ჩვენი ქვეყნისთვის ამ კაცზე მეტი? მოდით, ამჯერად მე ჩემსას ვიტყვი, ოღონდ ლექსად (ავტორი „პოპ“):

**„სიგარეტს ვაბოლებ და თვალს ვაყოლებ,**
**აცვია სტრეიჯი და ღრმა დეკოლტე,**
**ათ წუთს ველოდე,**
**ფლირტში ავყევი, სახლში გავყევი,**
**მიმარიაჟებს მაგარ უკანალს,**
**მასში ვერაფრით ვხედავ ნამდვილ ქალს,**
**უნდა ფული და ჰკიდია გული,**
**ვინც კარგად აპობს, სულ ყველა აწყობს,**
**იკეთებს აბორტს, არ ითხოვს პასპორტს,**
**მეც ვითამაშებ ცოტახანს ამ სპორტს“.**

ალბათ, ხვდებით, კიდევ რას ვუკეთებ საკუთარ სამშობლოს, ხომ? სხვათა შორის, ინვესტიცია საჭიროა ყველგან და ყველაფერში, მაგრამ პოეტ რაულ ჩილაჩავას ამაზე ცოტა განსხვავებული აზრი აქვს და დაუწერია კიდეც ახალი ლექსი სათაურით – „საქართველოს ინვესტორი“:

**„არაფერი შეცვლილა და**
**არაფერი შეიცვლება,**
**სანამ ასე თავხედურად**
**ხალხის ხედვნა შეიძლება.**
**მე ვინ მკითხავს...“ —**
**ვწერდი ადრე,**
**ახლა ვხვდები: მცდარად ვწერდი**
**და მიტომაც ვშიფრავ კიდეც**
**ჩემს ოდინდელ მრავალწერტილს:**
**მე არ მინდა, ეს ქვეყანა**
**მგლების ხროვამ ჩაიბაროს,**
**ერთმა ტახტზე ინებივროს,**
**ხოლო ასმა ჩაი ბაროს.**
**მე არ მინდა ეს ქვეყანა,**
**სანჯაყებად დაყოფილი,**
**როცა ასი მოჯანყეა,**
**მხოლოდ ერთი კმაყოფილი.**
**მე არ მინდა ეს ქვეყანა**
**დაკნინდეს და დაიქსაქსოს,**
**მტკივა, როცა სამაისო**
**სხივს აისი დაისს აქსოვს.**
**მე არ მინდა, ჩემს სამშობლოს**
**დაეღეროს ვინმეს ტორი.**
**უფალია მისი შემწე,**
**მფარველი და ინვესტორი“.**

გაიგონეთ? თუ ვერ გაიგონეთ, გაგიმეორებთ: ჩემი სამშობლოს შემწე და ინვესტორი უფალიაო. ვეთანხმები და ვარტყამ „ფეჩატს“!

სხვათა შორის, არის კიდევ ერთი თემა, რის გამოც მე და ინვესტორი ერთმანეთს დავეჯახეთ: ცოტა კიდევ რომ ყლურწა, დაიწყო რუსულ ენაზე რუსების გინება, ტერიტორიები წაგართვეს, ასე გიქნეს, ისე გიქნეს, ეგენი მტრები არიან, ცოტა ხანში რუსეთი დაიშლება და ქართველები გავიმარჯვებთო. ესე იგი, აზერბაიჯანელი მეუბნება, ქართველები გავიმარჯვებთო. მაშინ მე დავსვი საკითხი ასე: კაი, ბატონო, რუსეთი მტერია, ტერიტორიები წაგვართვა, ოკუპანტია, მაგრამ საინგილო რომ თქვენ გაქვთ წაღებული, რატომ არ გვიბრუნებთ, ხომ ხართ ჩვენი მეგობრები-მეთქი? ჰი, ჰი, ჰი... იცი, ეგ როდის იყოო? დიდი დრო გავიდა უკვე და აღარ გამოვა, დაივიწყეო. მე დავივიწყებ თუ არა, ეგ ჩემი საქმეა, მაგრამ მაინტერესებს, რუსეთმა ტერიტორიები წაგვართვა – მტერია, აზერბაიჯანს ჩვენი საუკეთესო კუთხე აქვს დათრეული – მეგობარია, თურქეთმა ტაო-კლარჯეთი წაგვართვა – მეგობარია, სომხეთი ყველაფერს გვედავება – მეგობარია, ახლა ამიხსენით, სად არის ლოგიკა? ლოგიკა გრამაფონშია, არავის აინტერესებს, ჩვენ რომ წაგართვით, ეს ადრე იყოო, მას შემდეგ საუკუნეები გავიდაო. ღმერთმა ნუ ქნას, საუკუნეები გავიდეს და აფხაზეთი თუ ცხინვალი ვერ დავუბრუნოთ, მაშინ რა გამოდის, გავა დრო და რუსეთიც მეგობარი გახდება? ამ ლოგიკით ასეა! ხომ ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო? დაველოდოთ, მეგობრებო, დრო თავად განგვკურნავს, ნუღარ ვფიქრობთ ტერიტორიების დაბრუნებაზე. ინვესტორმა მითხრა, წარსულს თავი დაანებე, მომავალზე იფიქრეო. უკაცრავად, მისტერ ინვესტორო, როდესაც თქვენ მეუბნებით, რომ წარსული უნდა დავივიწყო, ამ დროს არარაობა მგონიხართ... უფრო სწორად, ამაოება, რომელსაც ძალიან ბევრი მონა ემსახურება, მაგრამ მაინც არარაობაა (ავტორი ჯურხა):

**„ამაოებავ, მაინც რამდენი,**
**რამდენი მონა გემსახურება?**
**უწინ ვითვლიდი, ველარ დავთვალე,**
**აღარა მყოფნის მე მოთმინება.**
**სიმდიდრევ, ფულო, შენ ხალხთა ღმერთო,**
**რით ვერ გაძეხი კაცის წამებით,**
**შენი ბრალია რომ ჯოჯოხეთში,**
**უმრავლესობა იწვის ალებით.**
**შენაც მისმინე, შურო, წყეულო,**
**შურო, კაცისთვის მოყვარის მგმობო,**
**სულისთვის ჭირი ხარ შენ გრძნეულო,**
**მისი ვაება ვით გაიგონო?**
**შენაც მოგმართავ, ფუჭო სახელო,**
**დიდების ბევრის მწვერვალთა მფენო,**
**შენი ოცნება იყო და არის,**
**ამაოების გზაზედ რომ მევლო.**
**ბოღმავ, მარადის კაცთა მეგზურო,**
**ბოღმავ, შენ გულის გამმწარებელო,**
**განვედი ჩემგან ყოველგან კრულო,**
**ნათელის შავად გარდამქცეველო.**
**წუთისოფელო, მარად პირქუშო,**
**ხმალი წამების გადადე განზე,**
**ამაოების ამ სასტიკ ქარსაც,**
**ნუღარა გზავნი ჩვენს ცოდვილ თავზე“.**

კარგად აღარ მახსოვს... მე მგონი, მე და ინვესტორი ერთმანეთს მაინც კარგად დავშორდით. მართალია, არც ხელი ჩამოურთმევია და არც ლოყაზე უკოცნია, მაგრამ არც პანღური ამოურტყამს. კარგად დავშორდით-მეთქი, არც მე ამომირტყამს პანღური, რადგან მან საიდანღაც 30 მილიონი ლარი თუ დოლარი ჩამოიტანა და ჩემი ქვეყანა უნდა იხსნას გაჭირვებისგან. აბა, მე და ჩემნაირებს რა შეგვიძლია?

ჩვენ, პოეტები საქართველოს!



**აზერბაიჯანელი სტუმარი: მეო, საქართველოს დიდი პატივი დავდე და დიდი საქმეც გავუკეთე, 30-მილიონიანი ინვესტიცია ჩავდე, შენ კი ამ ქვეყნისთვის რა გაგიკეთებიაო? მეო, მეუბნება ბიზნესმენი რუსულად, აწი ქართველი ვარ და თანაც შენზე დიდი ქართველიიო!**



# მაგრამ საერთოდ არ მივცემ ამათ ხმას“

## მაინტერესებს, რა მუხლს მომიყენებენ – ჩემი ქვეყნის სიყვარულს?“

იძახიან, პრორუსული პროპაგანდა მიდისო, არაფერი მსგავსი არ მიდის, მე საერთოდ არ ვუყურებ რუსულ არხებს. რასაც დასავლეთი თავისი ახალი ღირებულებებით ჩემს ქვეყანას უფუჭებს, ჩემთვის ამაზე მეტი ანტიდასავლური და პრორუსული პროპაგანდა არ არსებობს. ვირს პიტნა არ უყვარდა და ცხვირში ტენიდნენო, ხომ გაგიგიათ? როდესაც მე წინააღმდეგი ვარ ლესბოსელობის, პედერასტების და



ამ ყველაფერს ცხვირში მატენი, ამაზე მეტი შენი ანტირეკლამა რა უნდა იყოს? ჩემი მძიმე ცხოვრებით ვხვდები, ვინ რას აშავებს და ვინ რას აკეთებს. ჩემი ცხოვრება არის ყველაზე დიდი ინდიკატორი დასავლური და რუსული პოლიტიკისაც. რად მინდა ვინმეს კარნახი, ჩემით ვერ ვხვდები, როგორ ვცხოვრობ? კიდევ ერთი მინდა ვთქვა: თავი დაანებოს ქართველმა „ისტობას“! იელოველები ერთიანდებიან იელოვას გარშემო, შვილო? ერთიანდებიან. აბა, იელოვა ძვირად უხსენე მათ, თავს გაგიტეხენ. მუსლიმანები თავიანთი მუჰამედის გარშემო ერთიანდებიან? ერთიანდებიან. სატანისტებიც კი თავისი სატანის გარშემო ერთიანდებიან და აბა, ჩვენ რატომ ვერ ვერთიანდებით იმის გარშემო, რაც ყველა „ისტს“ ერთი გვაქვს - მართლმადიდებლური რელიგია?

**„ალია“ კომენტარისთვის დაუკავშირდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის და ეკონომიკური განვითარების სამსახურის ხელმძღვანელს, პაატა პაპეიშვილს:**

– როგორი სიტუაცია არის, იცით? ჩვენ ჩვეულებრივად ვხელმძღვანელობთ კონსტიტუციით, თვითმმართველობის კოდექსით და მთავრობის 669-ე დადგენილებით, აუქციონთან დაკავშირებით საკუთრებაში ან სარგებლობაში ქონების გადაცემა და ამ შემთხვევაში, ჩვენ არანაირი უფლება არ გვაქვს, საერთოდ განვასხვაოთ ეროვნების მიხედვით ფიზიკური ან იურიდიული პირი, ვინც აუქციონში მიიღებს მონაწილეობას. აუქციონის დაწყების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება 30 დღით ადრე, ნებისმიერს შეუძლია, გაეცნოს მას და მიიღოს მასში მონაწილეობა... ჩემთვის ამ მომენტში ერთი და იგივეა, ეროვნების მიხედვით აზერბაიჯანელი იქნება, სომეხი თუ სხვა, ყველა ერთია ჩემთვის.

**— აბსოლუტურად გეთანხმებით... თუმცა, მოდით, ასე გკითხავთ: დაუშვათ, ჩატარდა 100 აუქციონი ას კონკრეტულ მიწის ნაკვეთზე და მყიდველების 80 პროცენტი არის უცხო ქვეყნის მოქალაქე. ამ შემთხვევაში, ამ მომენტის გათვალისწინება არ ხდება?**

– მასე არ მომხდარა, მაგრამ თეორიულად ეგ დასაშვებია, რომ ვთქვათ, 80 პროცენტი იყოს უცხო ეროვნების. მათ ჩვეულებრივად შეუძლიათ, შეიძინონ მიწები.

**— და მერე რამდენად სწორია ეს, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით?**

– ჩვენ კონსტიტუციით, თვითმმართველობის კოდექსით და დადგენილებით ვხელმძღვანელობთ, თუმცა რამდენად სწორია ეგ მომენტი, ამას მე ვერ მოგახსენებთ.

*თემის გაგრძელება მომდევნო ნომერში*

*ნინო ლაბარტყავა*
*571 99-92-33*



# რა მოუყვა „ალიას“ აკა სინჯიკაშვილმა სხვების დასაპურებლად ღამით ტაქსაობაზე



**ბოლო რამდენიმე დღეა, სოციალურ ქსელ „ფეისბუკში“ ნამდვილი ფურორი მოახდინა აკა სინჯიკაშვილმა: ერთ დღეს გადაწყვიტა, საკუთარი მანქანით Nissan Note, ნომრით SS-328-SS გასულიყო ქალაქში სატაქსაოდ და შეგროვებული ფულით ქუჩაში მყოფი (მომუშავე) ადამიანები დაეპურებინა. გადაწყვიტა, „ფეისბუკზეც“ დაპოსტა ამის შესახებ და გააკეთა კიდეც — იმ ღამესვე გავიდა ქალაქში, თითქმის ყველა მგზავრთან გადაღებული „სელფები“ კი „ფეისბუკზე“ ატვირთა. მთელი ღამის განმავლობაში შეგროვებული თანხით ბუტერბროდები და შოკოლადები იყიდა და გამთენიისას მეეზოვეებს დაურიგა... ამ ამბავს დიდი გამოხმაურება მოჰყვა, აბსოლუტური უმრავლესობა იწონებდა მის საქციელს და ხელის მომართვას უსურვებდა ამ კეთილ საქმეში...**

**ერთ-ერთი მორიგი გასვლისას, აკას მეც დავემგზავრე და მასთან ინტერვიუ ჩავწერე. ვინ არის ეს ახალგაზრდა? რას საქმიანობს? რატომ გადაწყვიტა ამ გზით ხალხის დახმარება და რას აპირებს მომავალში?**

**ამ ყველაფერზე აკა სინჯიკაშვილი გვესაუბრება:**

**— ჯერ შენზე მომიყევი, რას საქმიანობ, ვინ ხარ?**

– მე ვარ სცენარისტი, აქამდე ვმუშაობდი „ღამის შოუს სტუდიაში“, მერე „კლუბი 11“-ში, „მაესტროშიც“. ახლა ვმუშაობ პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში და სარეკლამო კომპანია „მაკენ ერიქსონში“.

**— როდის დაიწყე ეს ამბავი და რამ გადაგაწყვეტინა?**

– ერთი კვირაა, რაც დავიწყე. ერთ დღესაც, როცა სამსახურიდან თავისუფალი დრო მქონდა, ვიფიქრე, ქვეყანას რაღაცა კარგს გავუკეთებ-მეთქი და გამახსენდა, რომ ქუჩაში ვიღაცებს შიათ და გადავწყვიტე, მათი საჭმლისთვის ფული მე თვითონ გამომემუშავებინა. ჩემს „ფეისბუკის“ გვერდზე დავდე სტატუსი, რომ ხალხი დამხმარებოდა. აქამდეც ვაკეთებდი ამას, მაგრამ ცოტა გროვდებოდა ხოლმე და მერჩივნა, ხალხისთვის გამეგებინებინა. ასე უფრო მეტი ფული გროვდება და მეტ ადამიანს ვეხმარებით.

**— როდესაც სატაქსაოდ გახვედი, პირველი მგზავრი გახსოვს, ვინ იყო?**

– კი, ზურა ერქვა, რომელსაც თურმე, ჩემ გარდა, ჩემი ყველა მეგობარი იცნობდა. საერთოდ, შემთხვევით ავიყვანე ქუჩაში და როდესაც „ფეისბუკზე“ ფოტო დავდე, — ეს კლიენტი მყავს-თქო, ყველას ეგონა, რომ ჩაწყობით იყო (იცინის).

**— პირველ დღეს რამდენი იშოვე? როგორც ვიცი, მეეზოვეებს დაურიგე საჭმელი და რატომ მაინცდამაინც მეეზოვეებს?**

– თუ არ ვცდები, 64 ლარი იყო და ლოგიკურად მივედი მაგ გადაწყვეტილებამდე — მეეზოვედ ადამიანი არ იმუშავებს, თუ, რა თქმა უნდა, რაღაც გაჭირვება არ უდგას. რახან მეეზოვედ მუშაობს, ესე იგი საჭმელი ბევრი არ ექნება და გადავწყვიტე, ჩვენგანაც ეგრძნოთ მათ პატივისცემა იმის გამო, რომ ქალაქს გვილაგებენ და ამ გზით გამომეხატა მადლიერების გრძნობა. მით უმეტეს, რომ მათ საკვები პროდუქტები ძალიან სჭირდებათ.

**— მხოლოდ ერთხელ გქონდა დაგეგმილი ტაქსაობა, თუ ამ ყველაფერს რომ ამხელა გამოხმაურება მოჰყვა, იმიტომ გადაწყვიტე მეორე დღესაც გასვლა?**

– დაგეგმილი მქონდა, სამი დღე გავსულიყავი, რადგან მერე ისევ სამსახურს ვიწყებდი, მაგრამ მომეცა საშუალება, ეს ამბავი ერთი კვირა გამეგრძელებინა და ამის შემდეგაც, რამდენჯერაც მომეცემა საშუალება, იმდენჯერ ვიზამ ამას.

**— როგორი რეაქცია ჰქონდათ ადამიანებს, როცა მათ საკვებს ურიგებდი?**

– თავიდან უკვირდათ, ზოგს სამსახურიდან მოგზავნილი ვეგონე, ზოგს რაღაც ამერიკული ჰუმანიტარული დახმარებიდან, ზოგს იქიდან, ზოგს აქედან... არ მართმევდნენ საკვებს, რადგან არ იჯერებდნენ, რომ შეიძლება ფიზიკურმა პირმა ვინმეს დახმარება ასე გაუწიოს და ამიტომ ვატყუებდი ხოლმე, — ვესტეროსიდან ვარ-მეთქი (ეს არის ქალაქი „სამეფო კარის თამაშებიდან“) და მერე იჯერებდნენ, უცხო სიტყვა რომ ესმოდათ, ეგონათ, რაღაც ორგანიზაციიდან ვიყავი (იღიმის).

**— შენს „ფეისბუკზე“ ვნახე, რომ საკვები პატრულის თანამშრომლებსაც დაურიგე.**

– კი, პატრულსაც ვაჭამე და სხვათა შორის, მაგაზე მეჩხუბნენ, — პოლიციას საჭმელს ნუ აჭმევო, რაც ძალიან გამიკვირდა... პატრულის შემთხვევაში მიზანი ის იყო, რომ ისინი და ჩვეულებრივი მოქალაქეები ერთმანეთს მტრებივით არ უყურებდნენ და მათაც იგრძნონ, რომ გვაქვს იმის იმედი, რომ, როცა დაგვჭირდება, დაგვიცავენ.

**— როგორც ვიცი, ტაქსაობით ნაშოვნი ფულის მიზნობრიობა შეცვალე და ახლა გაჭირვებულ ოჯახებს ეხმარები, ხომ?**

– ისედაც მაგას ვაკეთებდი, მაგრამ ახლა ოჯახები დამიკავშირდნენ, რომლებსაც ბევრი დღეა, არ უჭამიათ. ჯერ ერთი, საკვებით დახმარება რა დახმარებაა, წესით, ქვეყანაში ეს ისედაც ყველას უნდა ჰქონდეს, მაგრამ რახან არ არის ამის შესაძლებლობა, ვცდილობ, ასეთი ოჯახები მოვძებნო და ცოტათი შევუმსუბუქო ყოველდღიური ყოფა. მაგალითად, დღეს დამიკავშირდნენ სოფელ ქსოვრისიდან და მითხრეს, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ბევრი შვილი ჰყავთ და ძალიან უჭირთ. სახლს რომ შევხედე, სადაც ცხოვრობდნენ, იმას თუ ცხოვრება და არსებობა ჰქვია, არ ვიცი... მივედი მათთან და მივუტანე საკვები, რაც, ალბათ, ორი კვირა მაინც ეყოფათ.

**— მთავრობიდან ხომ არავინ გამოგეხმაურა?**

– არა, მაგრამ ხმები მომივიდა, რომ არკვევენ, რომელი პარტიის „სტარტაფი“ ვარ არჩევნებისთვის (იცინის). თუ ვინმეს აინტერესებს, არც ერთი პარტიიდან არ ვარ.

**— კლიენტების გადაყვანისას რამე სახალისო ამბებიც იქნებოდათ, არ არსებობს...**

– ყველანაირი ხალხი მხვდებოდა, მათ შორის, უცნაურიც. მაგალითად, ერთი 45 წლის კაცი ჩამიჯდა ერთხელ და ტიროდა. ვიფიქრე, ალბათ, რაღაც საშინელება შეემთხვა და იქნებ დახმარება შემიძლია-მეთქი, და ვკითხე, რაში იყო საქმე? შეყვარებულის მამამ მაგინა, ხელი ვერ შევუბრუნე და მაგიტომ ვტირიო (იცინის). ერთხელ კიდევ ცოლ-ქმარი არჩევდა ჩემს უკან თავის პირად, ინტიმურ ცხოვრებას, საერთოდ არ მერიდებოდნენ. ცოლი ეჩხუბებოდა, — ამდენ ხანს რატომ გრძელდება შენი უმოქმედობაო, ქმარი თავს იმართლებდა და ბოლოს იჩხუბეს (იცინის).

**— შარიანი მგზავრები თუ გყოლია?**

– კი, ყოველღამე, 2 საათის შემდეგ, აუცილებლად ყველა ეგეთია, ცოტა შარზე არიან ხოლმე. მერე რაღაცებს რომ ვუხსნი, ცოტა წყნარდებიან, ზოგი მაინც არ წყნარდება, მაგრამ რაღაცნაირად ვგვარდებით ხოლმე, მთლად მუშტი-კრივამდე არ მისულა საქმე ჯერ. ორჯერ „გადამაგდეს“ კიდეც — ერთი ტიპი პირდაპირ გადახტა და გაიქცა, მეორედ ირანული ფული შემომატენეს, მითხრეს 20 ლარი არისო და რეალურად, 38 თეთრი ყოფილა. ამიტომ აწი თუ ფული ვერ ვიცანი, აღარ ავიღებ (იცინის).

**— როგორც ვიცი, ზოგიერთი ადამიანი თავისებურად გეხმარება მაგ საქმეში — ბენზინს გისხამს, ბუტერბროდების გაკეთებაში გეხმარებიან...**

– კი, კი და ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას: ორჯერ უკვე ბენზინი ჩამისხეს, ავზი გამივსეს. საერთოდ, ფულს არავის ვართმევ, რადგან მაგას მერე მთელი ამბები მოჰყვება. მარტო ძალიან ახლობლებს თუ გამოვართმევ, რომლებიც არ მიჩივლებენ, სად წაიღე ჩემი ოცი ლარიო (იცინის). ან „ვაბშე“, სად უნდა წავიღო ის 20 ლარი, რა უნდა გავაფუჭო ამ ფულით, ესეც საინტერესოა (იცინის).

**— რას გწერენ ხოლმე „ფეისბუკზე“ ამ ყველაფერზე?**

– უი, ეგ კარგი მომაფიქრდა ახლა, ერთხელ დავჯდები და

## ჭორი

ამოვკრეფ, რას მწერენ ხოლმე... სხვათა შორის, ისეთებიც გამოჩნდნენ, მწვალებელს რომ მეძახიან, — ადამიანს რომ აჭმევო, იმას ხომ კიდევ მოშივდებაო და რაღაცას რომ ელოდება და აღარ ექნება, წვალებაში გადისო... რელიგიური ნიშნითაც მებრძოდნენ, — მარხვააო და შოკოლადს და ხორცს ნუ აჭმევ ხალხსო... ერთმა საერთოდ ებრაელების დევნაში დამდო ბრალი (იცინის), ოღონდ ვერ მივხვდი, რატომ, რა ლოგიკით.

**— როგორც ვიცი, ამ ამბავში მიმბაძველებიც გამოგიჩნდნენ და სხვებიც აპირებენ იგივეს გაკეთებას, რასაც შენ აკეთებ.**

– კი, გამოჩნდნენ ვიღაცები. ჩემი საქციელის მთელი აზრი ეგ იყო, რომ მარტო მე ვერ მოვერევი ამხელა ამბავს ქვეყანში, ამიტომ ამაში ბევრი ადამიანი უნდა ჩაერთოს და ბევრმა გაიმეოროს იგივე უფრო უკეთესად და მოფიქრებულად.

**— სამომავლოდ რამე ორგანიზაციის ჩამოყალიბებას ხომ არ გეგმავ ამ კუთხით?**

– არ ვიცი, ჯერ არ მომიფიქრებია. როგორ უნდა ამის გაკეთება, ისიც არ ვიცი (იღიმის). თუ მოვიფიქრე რაღაც და დავილაგე თავში, შეიძლება რამე ეგეთი გამოვიდეს. ვნახოთ. ბოლოს მინდა ვთქვა: მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ამ საქმეში ჩაერთო და უნდა, თავადაც გააკეთოს რამე კარგი ადამიანებისთვის. ვინც მეხმარებოდა და მომავალში მომეხმარება — ყველას უღრმესი მადლობა.

## 28 მარტი, 3 აპრილის ჰოროსკოპი

### ვერძი 21.03-21.04



**სიყვარული –** საყვარელი ადამიანები თქვენგან ყურადღებას, ზრუნვასა და საჩუქრებს მოელიან. გაანებივრეთ ისინი, ვინც თქვენთვის ძვირფასია, არ მოაკლოთ სითბო, გამონახეთ დრო, რომ მათთან ერთად სადმე გაისეირნოთ. საჩუქრების, კომპლიმენტებისა და ყურადღების სხვა ნიშნების გარეშე სიყვარული შესაძლოა, ძალიან მალე გადაიქცეს მხოლოდ ერთად ცხოვრებად. მოკლედ, გაქვთ მშვენიერი შანსი, გააძლიეროთ ურთიერთობა და ყველაფერი რაციონალურად აწონ-დაწონეთ.

**სამსახური –** ხელმძღვანელობასთან კამათში არ შეხვიდეთ, შესაძლოა, ნებისმიერი სახის წინააღმდეგობა ძალიან ცუდად დამთავრდეს.

**სასიკეთო დღეები:** 31, მარტი, 1-ლი აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 29 მარტი.

### კურო 22.04-21.05



**სიყვარული –** შესანიშნავი პერიოდია ნაცნობობისა და ურთიერთობების დაწყებისთვის. ასევე, ძველ პარტნიორთან დაბრუნების, თუ, რა თქმა უნდა, დაშვებულ შეცდომებს გააცნობიერებთ. პირად ცხოვრებაში ახლა ყველაფერი თქვენს ინიციატივაზეა დამოკიდებული. არ დაკმაყოფილდეთ მიღწეულით და საწინააღმდეგო სქესი უყურადღებოდ ნამდვილად არ დაგტოვებთ.

**სამსახური –** ბედი ძალიან საინტერესო სიურპრიზს გიმზადებთ და შეეცადეთ, მომენტი გამოიყენოთ. წარმატებას მოგიტანთ ახალი წამოწყება.

**სასიკეთო დღეები:** 28, 30 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 3 აპრილი.

### ტყუპები 22.05-21.06



**სიყვარული –** შესაძლოა, ურთიერთობები დაგიზარალოთ საიდუმლოებებმა და გაურკვევლობამ. მოერიდეთ ორაზროვნებას, არ მისცეთ არავის საშუალება, მოგატყუოთ. შეეცადეთ, არ იქექოთ წარსულში და ნუ გამოიჩენთ გადაჭარბებულ ინტერესს პარტნიორის პირადი ცხოვრების მიმართ: ის, რასაც გაიგებთ, დიდი ალბათობით, არ მოგეწონებათ.

**სამსახური –** არ ღირს მოვლენების გასწრება, თავს უფლება მიეცით, ცოტა დაისვენოთ. ამ ეტაპზე ლოდინის რეჟიმი საუკეთესო არჩევანია.

**სასიკეთო დღეები:** 29, 31 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 28 მარტი.




# რატომ ძლიერდება ამოუცნობი მოვლენები მარხვის დროს?

მაია იასეშვილი
599 94-64-58



**რუბრიკის სტუმარია ნათელმხილველი, პარაფსიქოლოგი ნინო ვარსიმაშვილი. დღეს იგი პარანორმალურ მოვლენებზე გვესაუბრება, რაც ხშირად იჩენს ხოლმე თავს რელიგიურ დღესასწაულთან დაკავშირებით, მარხვის პერიოდში.**

— **ქალბატონო ნინო, ამბობენ, რომ მარხვის პერიოდში განსაკუთრებით იჩენს თავს ანომალიური მოვლენები. ეს რით არის განპირობებული?**

– მარხვის პროცესში მორწმუნე ადამიანი ისწრაფვის სრულყოფილებისკენ, ხორციელი სურვილების დათმენით იწრთობს სულს, რითაც უახლოვდება უფალს, რაც ძალიან აწუხებს დემონურ ძალებს. ისინი ცდილობენ, ადამიანები რწმენაში დააბრკოლონ და ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ მორწმუნე ადამიანებს გზა აუბნიონ, განსაკუთრებით ეს იმ ადამიანებს ეხება, ვინც პირველად იწყებენ მარხვას. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არანაირმა ცდუნებებმა და დაბრკოლებებმა არ უნდა შეგვაშინოს, ხელმოცარულობამ კი არ ჩაგვაგდოს სასოწარკვეთილებაში. რაც უფრო დიდი განსაცდელი შეგემთხვევათ, არ უნდა დანებდეთ ბოროტ ძალთა სურვილებს, არ უნდა დამწუხარდეთ, პირიქით, არ შეწყვიტოთ მარხვა სულისა და ხორცის საკურნებლად, ლოცვა და უფალს შენდობა. ბოროტი ცდილობს, მარხვის პროცესი ისე წაიყვანოს, რომ ადამიანმა ამაში ეჭვი შეიტანოს. ეს პირველი ნიშანია იმისა, რომ თქვენ თავს არ ეკუთვნით და ბოროტი ძალა თქვენზე გამარჯვებას ცდილობს. დემონური ძალა ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ დაგეზაროთ ტაძარში წირვა-ლოცვაზე დასწრება, აღსარება-ზიარება, ან გაგიჩნდეთ უპასუხო კითხვები მართლმადიდებლურ სარწმუნოებასთან დაკავშირებით. გახსოვდეთ, რომ რწმენა საჭიროა ლოგიკის გარეშე. რაც უფრო მეტად ჩართავთ ლოგიკას თქვენს რწმენაში, მით უფრო დაუახლოვდებით ეშმაკს, რადგან ნათქვამია – არა გამოსცადო უფალი შენი.

— **ქალბატონო ნინო, მარხვის დროს ადამიანები თავს იკავებენ პარაფსიქოლოგთან და ნათელმხილველთან ვიზიტისგან, ეს სწორი ტენდენციაა?**

– კატეგორიულად არ ვეთანხმები ამ ტენდენციას, მიუხედავად იმისა, რომ თავს მორწმუნე ადამიანად ვთვლი, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მარხვის დროს აქტიურდებიან ბოროტი ძალები და საჩინოს ხდიან ბევრ ანომალიურ მოვლენას, რაც აუცილებლად საჭიროებს განეიტრალებას და პარაფსიქოლოგის ჩარევას ადამიანთა ბედისწერაში. მარხვის დროს ადამიანი ექიმთან რომ არ წავიდეს, დაახლოებით ეს ტენდენციაა, ნამდვილ ნათელმხილველთან მიუსვლელობა. ცოდვა არაფერი არ არის, რაც ადამიანის სულიერ და ხორციელ კურნებას დაეხმარება. ამას წინათ, ჩემთან მოიყვანეს ბავშვი, რომელსაც ენა დაება და ბორძიკით საუბრობდა. მას სწორედ მარხვის დროს დაემართა ამოუცნობი შიშები, ამბობდა, რომ რაღაც ფრთებიან არსებას ხედავდა, ესმოდა არაბუნებრივი ხმები, ჭირვეულობდა და დაძინების ეშინოდა. ბავშვი ექიმებში ატარეს, მაგრამ დიაგნოზი ვერ დაუსვეს და დამამშვიდებელ მედიკამენტებს აძლევდნენ, რაც ბავშვზე უარყოფითად მოქმედებდა. შემდგომში აღმოჩნდა, რომ ბავშვის დედაზე განხორციელებული ჯადო ბავშვზე გადმოვიდა, გარკვეული სამუშაოს ჩატარების შემდეგ ბავშვმა თავი დააღწია სატანჯველს და ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. იმ ბავშვის მშობლებს საყოველთაოდ გავრცელებულ შეხედულებაზე რომ ეფიქრათ, შესაძლოა, შვილი დაეღუპათ, რადგან ჯადოსა და სხვა ნეგატიურ პროგრამებს ვერ შველის მედიკამენტებით მკურნალობა. არც არასოდეს მოუვათ აზრად, ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი ბავშვი ექიმის ნაცვლად მოძღვარს მიუყვანონ.

— **ეკლესია და კვეთებული ლოცვა თქვენს საქმიანობაზე აღმატებული არ არის?**

– საქმე ისაა, რომ ბავშვის მამიდა მოვიდა ჩემთან სამკითხაოდ და მშობლებს აზრად არ მოსვლიათ ნათელმხილველთან ვიზიტი, მამიდაც ძმისშვილის მდგომარეობის ამოსაცნობად არ მოსულა, რადგან დარწმუნებული იყო, მას ფსიქიკური დარღვევა ჰქონდა. შევედი თუ არა მის საინფორმაციო ველში, დავინახე ოჯახის პირველი პრობლემა, რომელთან შედარებითაც უმნიშვნელო იყო ნივთის დაკარგვა, თუმცა როგორც გითხარით, ბავშვის მამიდა იმიტომ მოვიდა, რომ დანაკარგი მეპოვა. ჯადო დედის ორსულობის დროს იყო გაკეთებული და 7 წლის ასაკში გამოვლინდა. მანამდე სუსტად ვლინდებოდა, 7 წლის ასაკში ჯადოს გამძვინვარებამ კულმინაციას მიაღწია, ბავშვი ხელიდან ეცლებოდათ. ჩემი ჩარევით წაიყვანეს მეუფე იობთან კვეთებულის ლოცვაზე, რამაც არნახული შედეგი მოგვიტანა და ეს სწორედ მარხვის პერიოდში მოხდა. ვილაცამ ეს ნათქვამი შეიძლება მკრეხელობად ჩამითვალოს, მაგრამ ხშირად მახსენდება ჩემი საქმიანობის მარხვაში შესრულების დროს, ქრისტე რომ ეუბნებოდა თავის მოწაფეებს, – რომელიმე თქვენგანს უქმე დღეს ან შაბათს რომ ცხვარი დაგეკარგოთ, განა მთელ ფარას არ მიატოვებთ და არ ეცდებით იმ ერთის დაბრუნებასო?.. ასე რომ, უქმე დღეა თუ მარხვა, აუცილებელია გაჭირვებულისთვის დახმარების გაწევა. თუ ადამიანს არ სწამს მეცნიერება და პარაფსიქოლოგია, ის არც მარხვაში მოვა ჩემთან და არც ხსნილში. განკურნების უმთავრესი წინაპირობაა რწმენა. არ მახსენდება არც ერთი შემთხვევა, პარაფსიქოლოგისადმი დადებითად განწყობილი ადამიანისთვის არ მიმენიჭებინოს ნუგეში და მისთვის სასურველ რეალობაში ყოფნა. უიღბლობის პერიოდს იწვევს ის ნეგატიური პროგრამები, რაც განსაკუთრებით აქტიურდება მარხვის დროს. მარხვის პერიოდში ხშირია ოჯახის წევრთა, ან მეუღლეთა შორის უკმაყოფილების გაღვივება, მაგრამ დემონური ძალების მიზანია, ერთმანეთზე აამხედროს შვილები და მშობლები, მეუღლეები, დაძმები, მეგობრები, მეზობლები, როგორც კი მსგავს სიმპტომს იგრძნობთ, ეცადეთ, ლოცვითა და რწმენით გაძლიერდეთ, მიაკითხეთ დედაეკლესიას და თუ მაინც სასურველ შედეგს ვერ მიაღწევთ, შეგიძლიათ, ჩემთან და ჩემს კოლეგებთანაც მობრძანდეთ. ჩვენ ვზრუნავთ თქვენს სიმშვიდეზე, სიყვარულზე, კეთილდღეობაზე. ჯადო, გათვალვა და ენერგოზემოქმედება, რაც კულმინაციას აღწევს მარხვის დროს, განსაცდელებს გიორმაგებთ. ამ დროს, არათუ საჭირო, აუცილებელიც კია, გაიწმინდოთ აურა, გასუფთავდეთ ყოველივე ნეგატივისგან და ცუდი აზრებისგან, რათა წარმატებული იყოს თქვენი ოჯახური კეთილდღეობა, პირადი ბედნიერება, სამსახურებრივი კარიერა, შემოქმედებითი მიღწევები და ბიზნესი. სამწუხაროდ, ყოველ ადამიანს არა აქვს იმის საშუალება, რომ ეწვიოს პარაფსიქოლოგს. მე არავის დავზარდები, ტელეფონითაც შემიძლია, გავცე გაჭირვებულ ადამიანს პასუხი, დისტანციურად დავუსვა დიაგნოზი და სწორ გზაზე დავაყენო. ვიმეორებ, მარხვა ბორკილი არ არის. ზოგს ეკლესიის სწამს და იქით მიუწევს გული, საითაც გული გაუწევს, იქით უნდა წავიდეს. ორივე გზა მართებული და სასურველია, მაგრამ ეშმაკი ზოგჯერ ეკლესიაში მორწმუნეებს აბრკოლებს და ადამიანებს ღვთისმსახურებთან ურთიერთობაში იმედგაცრუება ეუფლებათ. ასეთი ადამიანებისთვის ჩვენ ვხდებით შემწენი და დამხმარენი, მაგრამ, როცა ადამიანზე ჯადოა განხორციელებული და ეს ვლინდება, მე არ ვიღებ საკუთარ თავზე ბოლომდე პასუხისმგებლობას და სწორედ იქ ვაგზავნი, სადაც ყველაზე ოპტიმალური შესაძლებლობა არსებობს მისი მდგომარეობის გამოსწორებისა. ვისთვის რა არის ხსნა და ოპტიმალური შესაძლებლობა მისი ცხოვრების სასიკეთოდ შეცვლისა, ეს ყოველთვის კარგად და მკაფიოდ ვლინდება მის საინფორმაციო ველში.





> **„შევედი თუ არა მის საინფორმაციო ველში, დავინახე ოჯახის პირველი პრობლემა, რომელთან შედარებითაც უმნიშვნელო იყო ნივთის დაკარგვა, თუმცა, როგორც გითხარით, ბავშვის მამიდა იმიტომ მოვიდა, რომ დანაკარგი მეპოვნა. ჯადო დედის ორსულობის დროს იყო გაკეთებული და 7 წლის ასაკში გამოვლინდა“**

## 28 მარტი, 3 აპრილის ჰოროსკოპი

### კირჩხიბი 22.06-22.07



**სიყვარული –** შეეცადეთ, ურთიერთობაში რამე სიახლე შეიტანოთ. ბრწყინვალე პერიოდია გრძნობების განახლებისთვის და ძველი ურთიერთობის აღდგენისთვის. ისიც გაითვალისწინეთ, რომ სავსებით შესაძლებელია, მეგობრული ურთიერთობა რაღაც უფრო სერიოზულ გრძნობაში გადაიზარდოს. და კიდევ ერთი, ამ ეტაპზე მოერიდეთ გეგმების დასახვას და კონკრეტიკას.

**სამსახური –** თუ სამუშაო ადგილის შეცვლაზე ფიქრობთ, საამისო დრო სწორედ ახლა დადგა.

**სასიკეთო დღეები:** 31 მარტი, 1, 2 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 29 მარტი.

### ლომი 23.07-22.08



**სიყვარული –** საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობაში გარკვეული დაძაბულობა ჩნდება. მოგიწევთ ბრძოლა გრძნობებისთვის, მოსალოდნელია კონფლიქტი და გარჩევები. არც ისე კარგი მომენტია რომანტიკისთვის და დასვენებისთვის. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე თქვენმა ურთიერთობამ უნდა ჩააბაროს გამოცდა, რამდენად ძლიერი და პერსპექტიულია. მოემზადეთ ამისთვის და ფერად სათვალეებს ნუ მოირგებთ. გახსოვდეთ, პარტნიორს ბევრს ნუ მოსთხოვთ და რაც მთავარია – მას ულტიმატუმები არ წაუყენოთ.

**სამსახური –** ისეთი დრო დგება, შემოსავლის ზრდაზე ფიქრს, სამწუხაროდ, აზრი არ ექნება.

**სასიკეთო დღეები:** 2, 3 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 30 მარტი.

### ქალწული 23.08-22.09



**სიყვარული –** კარგი დროა უცხოელებთან ურთიერთობისთვის. ყველანაირი ლოგიკით, ამ კვირაში ნანატრი სიყვარული უნდა იპოვოთ. გამონახეთ დრო დასვენებისთვის და ახლობელ ადამიანთან განმარტოებისთვის. საუკეთესო ნაბიჯს გადადგამთ, თუ საზღვარგარეთ გაემგზავრებით, რადგან ბევრად მეტი შანსი გაქვთ, ულამაზეს თავგადასავლებში გადაეშვათ. მოკლედ, ამ კვირაში სასიამოვნო ნაცნობობა, დადებითი ემოციები და დასახული გეგმების განხორციელება გელით.

**სამსახური –** მშვენიერი დროა უცხოელ პარტნიორებთან საქმიანი კონტაქტების დამყარებისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 28, 29, 31 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 1 აპრილი.

## 28 მარტი, 3 აპრილის ჰოროსკოპი

### სასწორი 23.09-22.10

**სიყვარული –** სექსუალურობის როლი მნიშვნელოვნად გაიზრდება. უფრო მეტიც, შესაძლოა, პირველ პლანზეც კი გადავიდეს. ამასთანავე, მეუღლესთან ან მუდმივ პარტნიორთან ურთიერთობა მაინც დაძაბული დარჩება. მიმდინარე კვირაში სექსუალური აქტიურობა გარანტირებული გაქვთ, მაგრამ არ არის გამორიცხული, სწორედ ეს გახდეს დრამატული კონფლიქტის მიზეზი. შესაბამისად, კარგს იზამთ, თუ რჩეულს არ უღალატებთ და მისი ერთგული დარჩებით.

**სამსახური –** საკმაოდ სარისკო გადაწყვეტილებების მიღება მოგიწევთ.

**სასიკეთო დღეები:** 30, 31 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 2 აპრილი.

### მორიელი 23.10-21.11

**სიყვარული –** თქვენს გრძნობებს გამოცდა ელის. შეეცადეთ, ისედაც დაძაბული სიტუაცია კიდევ უფრო არ დაამძიმოთ. ზოგადად, დაძაბულობას მზრუნველობითა და მოფერებით გაანეიტრალებთ. დიდია ალბათობა, რომ პარტნიორი ვერ გაგიგებთ, მაგრამ თქვენ მაინც მაქსიმუმი უნდა გააკეთოთ.

**სამსახური –** კარგი იქნება, თუ ყველაფერი გარჩევების გარეშე ჩაივლის, თუმცა ეს ნაკლებად სავარაუდოა. თავი ხელში აიყვანეთ და არავის მისცეთ საშუალება, წონასწორობა დაგაკარგვინოთ.

**სასიკეთო დღეები:** 3 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 31 მარტი.

### მშვილდოსანი 22.11-21.12

**სიყვარული –** არც ისე საინტერესო კვირა გელით. ურთიერთობამ შესაძლოა, დაგღალოთ და თავი მოგაბეზროთ. ოჯახსა და სამსახურში მომრავლებული პრობლემები სიყვარულს დაგავიწყებთ და ნებისმიერი რომანტიკული გრძნობა მეორე პლანზე გადაინაცვლებს. ნუ წახვალთ პარტნიორის ნების წინააღმდეგ, ახლა ამის დრო არ არის.

**სამსახური –** ჩვეულებრივი რუტინული სამუშაო გამოგფიტავთ და ჯერჯერობით, საშველი არ ჩანს.

**სასიკეთო დღეები:** 29 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** არ გექნებათ.



**მაია იასეშვილი**

599 94-64-58



# რა ნახეს კლინიკური სიკვდილისას ცნობილმა ქართველებმა?

**დოქტორ მოუდის მეცნიერული ნაშრომი — „სიცოცხლე გარდაცვალების შემდეგ“, ძალიან ბევრი ადამიანის სამაგიდო წიგნია, რადგანაც არ არსებობს ადამიანი, რომელსაც სკეპტიკური ფიქრი არ გასჩენია, მართლა არსებობს თუ არა სიცოცხლე გარდაცვალების შემდეგ. დღეს გაგიმხელთ რამდენიმე ცნობილი ადამიანის ხილვების შესახებ, რაც კლინიკურ სიკვდილს უკავშირდება.**



**მიხო მოსულიშვილი, მწერალი:**

– ეს ამბავი 1987 წელს მოხდა, მე და ჩემი გეოლოგი მეგობარი, გოგი ხორნაული, ახადის მთიდან უკანა ფშავში ჩამოვდიოდით. ზურგზე გვქონდა ჩანთები გადაკიდებული. ქვევით რომ ჩავიხედე, ბოლოში ხე დავინახე. ვიფიქრე, დავცურდები და მერე ამ ხეს ჩავეჭიდები-მეთქი. ხესთან რომ მივედი, ტოტმა ვერ დამიჭირა და მოტყდა. ჩაჭიდება რომ ველარ შევძელი, თავით წავედი და ჰაერში ორჯერ ამოვტრიალდი. გავითიშე და აღარაფერი მახსოვდა. თვალი რომ გავახილე, თავზე გოგი მედგა და წყალს მასხამდა. მოტეხილი ხელით მდინარე არაგვი გამოვიარე და გოგიმ მდელოზე დამაწვინა, ჩემი „ვილისი“ ამოიყვანა და თბილისში რომ ჩამოვედით, ერთი თვე მომაკვდავი ვიყავი, ექიმებს ჩემი გადარჩენის იმედი არ ჰქონდათ, მაგრამ გადავრჩი. ისეთი დამტვრეული ვიყავი, რომ ნაწილ-ნაწილ ამაწყვეს ექიმებმა. კლდიდან რომ ჩამოვვარდი, სანამ თვალებს გავახელდი, უცნაურ სამყაროში მოვხვდი, უფრო სწორად, გვირაბი გავიარე, რაღაც უცნაურ ვარდისფერ სივრცეში მივფრინავდი და გული მწყდებოდა, რომ, რაც უნდა დამეწერა, ველარ დავწერდი, მერე ამ შეგრძნებამ გაიარა, ფრენას რომ განვაგრძობდი, არც მეშინოდა და არც ვიტანჯებოდი, არაფერი მტკიოდა. ყველაფერს ერთბაშად ვხედავდი, რაც გადამხდა გეოლოგად მუშაობისას, სტუდენტობისას, მოსწავლეობისას, საბავშვო ბაღში სიარულისას. მოკლედ, თანდათან ვპატარავდებოდი. ისიც დავინახე, როგორ ვთამაშობდი ელექტროლუმელის შიშველ სადენებზე ჩამოცმული თეთრი რგოლებით, როგორ მომვარდა დედა და მომაშორა. ისიც ვიხილე, ყალბი ბროლის თვლებით შემკული სამაჯურიდან როგორ ამოვაგდე ერთი თვალი, რისთვისაც უფროსებმა დამსაჯეს. ანუ მთელმა ცხოვრებამ კინოკადრებივით თვალწინ ჩამიარა. უცნაურია, მაგრამ იმ მომენტში იქაც ვიყავი და გარედანაც ვხედავდი ჩემს თავს. ამ ყველაფრის შემდეგ ვარდისფერი სივრცე დამთავრდა და ლურჯ კამკამა ცაში გავედი. ვიგრძენი, დრო სადღაც გაქრა და შვებით ამოვისუნთქე. ბუნებრივია, იქ, სადაც უდროობაა, არც სივრცე უნდა ყოფილიყო, მაგრამ იყო. დავინახე თეთრი ღრუბელი ჩემკენ მოცურავდა და თვალისმომჭრელად ჩამომყურებდა. უცებ, მომესმა არაბუნებრივი იდუმალი ხმა, რომელმაც თავისთან არ მიიღო და უკან დამაბრუნა. არ ვიცი, ეს ვისი ხმა იყო, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს უფლის ხმა იყო, რომელსაც მთელი ჩემი სიცოცხლე ვემორჩილებოდი. ეს ხილვა არ ყოფილა, ეს ნამდვილად შემემთხვა.



**ნუნუ ღლიღვაშვილი, მხატვარი:**

– ბევრჯერ მაქვს გამოცდილი სხეულგარეშე ყოფნა, კლინიკური სიკვდილი. პირველად მაშინ, როცა ჩემი ქალიშვილი დაიბადა. მიკეთებდნენ საკეისრო კვეთას, დამადეს სახეზე ეთილი და პრაქტიკანტ გოგონებს დაავიწყდათ მისი ჟანგბადთან შეერთება. უცებ ჩემი სხეული დავინახე, როგორ იწვა საწოლზე, მე კი ცისკენ მივდიოდი, უფრო სწორად, მივფრინავდი. ამ დროს მქონდა უწონადობის შეგრძნება, საოცარ სილაღესა და სიმსუბუქეს ვგრძნობდი. შევედი დამრეც გვირაბში, რომელსაც ჰქონდა თვალისმომჭრელი უცნაური ნათება. უცებ აღმოვჩნდი ულამაზეს გარემოში, ისეთი ტონები ვნახე, რაც ხილულ სამყაროში არასდროს მინახავს. ღვთაებრივი იყო ფრთოსანთა გალობა და ჭიკჭიკი, ყველაფერი ენით აუწერელ ნეტარებას აღწევდა. სანამ გვირაბში გავიდოდი განვლილმა ცხოვრებამ უცებ გაიარა, ვხედავდი ადამიანთა სილუეტებსაც, ზემოდან ჩანდა თეთრსხივებიანი ცა. ექიმები მირღვევდნენ მყუდროებას, არ მინდოდა ბურუსიდან გამოსვლა. მიწა იყო ხასხასა და იქ იდგნენ ადამიანები, რომლებიც ყურადღებას არ მაქცევდნენ. ძალიან ბედნიერი და აღტაცებული ვიყავი ამ სილამაზით და არ მაღიზიანებდა მათი უყურადღებობა. უცებ ჩამესმა პრაქტიკანტის ისტერიული ტირილი, მგონი, მოვკალი, ჟანგბადის შეერთება დამავიწყდაო, უცებ დავბრუნდი იქიდან, საიდან დაბრუნების სურვილიც არ მქონდა.

**ელდარ ციციშვილი, მხატვარი-არქიტექტორი:**

– ხარაჩოდან ჩამოვვარდი, საშინელი ტრავმები მივიღე და ჩემს გადარჩენას არავინ ელოდა, დავლაშქრე მარადისობის ქვეყანა. სიტყვა უძლურია იმის გადმოსაცემად, რაც იქ ვნახე, ვნახე ნაცნობებიც და უცნობებიც, მაგრამ მითხრეს, შენი დრო ჯერ არ არისო და გამომაბრუნეს, მე არ მინდოდა დაბრუნება. ექვსი თვის შემდეგ დავუბრუნდი ჩვეულ ცხოვრებას.

**ლაშა პაპუაშვილი, მსახიობი:**

– ჩემი კლინიკური სიკვდილი იყო ხილული სასწაული, ბრმა ნაწლავის ოპერაციას ვიკეთებდი და ნარკოზში შესულს გონება გამეთიშა, მოვხვდი ორ განზომილებაში. სული ამოვიდა სხეულიდან, ჯერ პალატას მიმოავლო თვალი, აკვირდებოდა ოპერაციის მსვლელობას. ამ დროს ხმამაღლა ვახსენებდი თურმე გარდაცვლილ ახლობლებს. ჩემს მეუღლეს ეგონა, რომ ვკვდებოდი. ჩემი თვალდახუჭული სხეული იწვა საოპერაციო მაგიდაზე, ჩემი სული კი ცოლს გაჰყვა დასამშვიდებლად. ექიმები ანუგეშებდნენ, ჩვეულებრივი ამბავია, ნარკოზიანი ადამიანი ბოდავსო. ეს იყო მიღმიერი სამყარო და სამუდამო სავანე, დაკარგულ მამაჩემს ვეძებდი, რომელიც დაიკარგა და არ ვიცოდი, ცოცხალი იყო თუ მკვდარი. ამ დროს ჩემი გარდაცვლილი და, ნატო დავინახე, სადედოფლო კაბა ეცვა, ჩემზე ნუ დარდობო, მითხრა, იქაურობა დამათვალიერებინა და მითხრა, მამა აქ არ არის, ის ხილულ ქვეყანაშია და ტყუილად ნუ ეძებო. ვთხოვე, შენთან დამტოვე-მეთქი, მან უცებ განმაცდევინა ცოლ-შვილთან განშორების ტკივილი, დამანახა ჩემი ოჯახი. როცა ოპერაციას მიკეთებდნენ, ვხედავდი, როგორ აჭმევდა იხვებს სიმამრი. როცა სააქაოს დავბრუნდი, გავარკვიე, რომ იმ დროს მართლაც უყიდია სიმამრს იხვები და იმ წუთებში მათ აპურებდა. ნატომ მთხოვა, დედა დაამშვიდე, მე კარგად ვარ, მამა კი აუცილებლად დაბრუნდებაო.



**მარინა ჯანაშია, მსახიობი:**

– კლინიკური სიკვდილის დროს ვნახე, რუსთაველის თეატრიდან უცებ როგორ აღმოვჩნდი განათებულ გვირაბში, სადაც უწონადობის შეგრძნება მქონდა და მივფრინავდი. მიღმიერ სამყაროში ვინც ვნახე, თეთრი სამოსი ეცვათ, მცენარეები თეთრად ყვაოდა. არ მინდოდა ხილულ სამყაროში დაბრუნება, მაგრამ ჯერ ჩემი დრო არ იყო და დავბრუნდი.

## 28 მარტი, 3 აპრილის ჰოროსკოპი

### თხის რქა 22.12-19.01

**სიყვარული –** ბრწყინვალე მომენტია ნაცნობობისთვის და რომანტიკული ურთიერთობებისთვის. ყოველმხრივ მოწოდების სიმაღლეზე დგახართ, საკუთარ თავს საუკეთესო მხრიდან წარმოაჩენთ. იყავით ინიციატივიანი და პირად ცხოვრებას მაქსიმალურად გაილამაზებთ. მოუწყვეთ დღესასწაული მას, ვინც გიყვართ.

**სამსახური –** მთელი თქვენი ენერგია კრეატიულობისკენ მიმართეთ.

**სასიკეთო დღეები:** 31 მარტი, 1-ლი აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 28 მარტი.

### მერწყული 20.01-18.02

**სიყვარული –** არც ისე მარტივი დრო დგება, რომელსაც თან ახლავს ემოციების აფეთქება და გაღიზიანების მომატება, მაგრამ ყოველგვარ გაუგებრობას გულახდილი საუბრებით გააცამტვერებთ. ყური დაუგდეთ პარტნიორის მოსაზრებებს. არც ისე კარგი კვირაა ახალი ნაცნობობისთვის, თუმცა გაქვთ შანსი, გააძლიეროთ არსებული ურთიერთობა.

**სამსახური –** ყველაზე კარგი პერიოდია გააქტიურდეთ უძრავი ქონების მიმართულებით, იქნება ეს სახლის შეძენა-გარემონტება, თუ სამშენებლო ბიზნესში ჩართვა.

**სასიკეთო დღეები:** 29, 31 მარტი, 1-ლი აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 3 აპრილი.

### თევზები 19.02-20.03

**სიყვარული –** შესანიშნავი დროა რომანტიკული ურთიერთობებისთვის და ნაცნობობისთვის გამოფენებზე, პრეზენტაციებსა თუ კონფერენციებზე. არაფორმალური ურთიერთობა საკმაოდ ლამაზ და დადებით ემოციებს გპირდებათ, თუმცა ეს ყველაფერი ფლირტს არ გასცდება და სერიოზულ გრძნობაში არ გადაიზრდება. მიმოწერა, მესიჯები, სკაიპი, სატელეფონო საუბრები – ეს ყველაფერი ძალიან დიდი დოზებით იქნება, რაც გაგიჩენთ სურვილს, უფრო მეტი მიიღოთ, მაგრამ ნუ აჩქარდებით, შესაბამის დროს დაელოდეთ.

**სამსახური –** არ მისცეთ საშუალება გრძნობებს, სამუშაოს მოგწყვიტოთ, თორემ სერიოზულად დაზარალდებით.

**სასიკეთო დღეები:** 30 მარტი, 1, 2 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 29 მარტი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. თოჯინების თეატრის დირექტორი ...-ბარაბასი
2. იტალიელი კომპოზიტორი
3. ციტრუსი
4. ქალაქის მუნიციპალიტეტი
5. კონტინენტი
6. ცხოველის ზამთრის ძილი
7. ნამარხი სპილო
8. სოფელი საგარეჯ. რაიონში
9. ნაჭრილობევი, ანუ ...
10. მხ/ფ „ცისკრის ...“
11. რისი ორგანოა ყური
12. აღორძინების ეპოქა
13. მდინარე კახეთში
14. ცხვრის ჯოგი
15. კარგი ამინდი
16. ნიავი
17. ცხვირის პლასტიკ. ოპერაცია
18. კაფე „...-რუჟი“
19. სახელმწიფო აფრიკაში
20. ქალაქი იტალიაში
21. ხალიჩა
22. მხ/ფ „ჩვენი ...“
23. ცირკის მოედანი
24. ნიანგის სახეობა
25. მეფე ვახტანგ ...
26. „სამანიშვილის ...“
27. ყველაზე მტკიცე მინერალი
28. მსახიობი ჟან-პოლ ...
29. გოგებაშვილი. „... რა ჰქმნა?“
30. ერთგვარი ლოტო
31. ოპერა „აიდა“ პერსონაჟი
32. ოსური ცეკვა
33. „... გრეის პორტრეტი“
34. ხელის საგრილებელი
35. ქალაქი კრასნოდარის მხარეში
36. ძლიერი ქარიშხალი
37. საიუველირო ქვა
38. მსახიობი არკადი ...
39. აქტიორი, ანუ ...
40. მსახიობი ალბერტო ...
41. ჰომეროსის პოემა
42. აივენჰოს სატრფო
43. „წითელი“ პლანეტა
44. ხართან რომ დაბაა
45. აქ დარბიან ცხენები
46. მხ/ფ „... კონგენიალურობა“
47. კუნძული ანტილის არქიპელაგში
48. მსახიობი ჯეიმს ...
49. იაპონური ორთაბრძოლა
50. მსახიობი ... კრამაროვი
51. ერთგვარი ავიტამინოზი
52. გორა ქუთაისში
53. კუნძული ავსტრალიასთან
54. სამშობლოს მონატრება
55. რიცხვი: ... და მრავლობითი
56. ცვარი
57. ჩოგბურთელი ... სამპრასი
58. ველური მხალი
59. მსახიობი ... ბანდერასი
60. საოპერო პარტია
61. მხ/ფ „... გამოფენა“
62. აკვიატებული აზრი
63. ძვირფასი ლითონი
64. ღორების ჯოგი
65. დაკოდილი ცხენი
66. იმრე კალმანის ოპერეტა
67. ... შვარცენეგერი
68. ვინ გაანთავისუფლეს გოლგოთაზე
69. ხარებთან ბრძოლა
70. მშვილდით სასროლი ჯოხი
71. სამიანი ნარდში
72. მან აგო კიდობანი
73. კუნძული ინდონეზიაში
74. მსახ. ... ამირანაშვილი
75. მტაცებელი ფრინველი
76. ხელოსნების გაერთიანება ძველად
77. ავსული გერმან. ზღაპრებში
78. ლუდის ბარი ინგლისში
79. მსახიობი ... ნისონი
80. ქალაქი რუსეთში
81. მომღერალი სელინ ...
82. თამაში: ...-პონგი
83. მომღერალი ... მინოუგი
84. ქალაქი ვოლგის დელტაში
85. მსახიობი ... პაპასი
86. დონ კიხოტი და ... პანსა
87. ანდაზა: ... მჭლე და შენ მსუქანი
88. აღლუმი
89. ადმირალი ... ნელსონი
90. ... ფიტცჯერალდი
91. ინის საპირისპირო
92. კვიპროსის დედაქალაქი
93. ჟამი
94. კომპოზიტორი ენიო ...
95. სოფელი გორის რაიონში
96. მეტყველების ორგანო
97. პოეტი ... ბარტო
98. ნარინჯისფერი პიგმენტი
99. მსახ. ... გორგილაძე
100. იაპონური ჯუჯა ხე
101. მსახიობი ... შარიფი
102. მსახიობი ... კლოუზი
103. მუსლიმანური მარხვა
104. ბრტყელი თევზი
105. ხის ფისიანი ანათალი
106. მოწნული ჭურჭელი
107. მეთილის, ... სპირტი
108. მსახიობი ბარბარა ...
109. გემის მზარეული
110. სანქციონური დაწესებულება
111. ბოშათა საბჭოთა თეატრი
112. სანელებელი
113. ანწლი
114. მხ/ფ „... ხვიტია“
115. მსახიობი ანა ...
116. იტალიის კუნძული
117. მკვეხარა
118. მონადირე ფრინველის დამგეშავი
119. გიორგი სააკაძის სოფელი
120. რეჟისორი ... მჭედლიძე
121. ნიშნავს ცხოველურს
122. ჟან-კლოდ ... დამი
123. მსახიობი აიშვარია ...
124. მდინარე პარიზში
125. მსახ. ... კოლელიშვილი
126. მარცვლოვანი მცენარე
127. ნაბიჯი ბალეტში
128. ტაილანდის ძველი სახელწ.
129. „... დოუელის თავი“
130. ლეშის მჭამელი ფრინველი
131. მსახიობი ... გარდნერი
132. ისტორიული ქალაქი ინდოეთში
133. ტროპიკული ნაყოფი
134. ალპური ყვავილი
135. პირის ნაცვალსახელი
136. მსახიობი ... ჰეპბერნი
137. ჩოგბურთელი ... ნავრატილოვა
138. მხ/ფ „შინდლერის ...“
139. კუნძული ხმელთაშ. ზღვაში
140. ქალაქი აშშ-ში
141. თბილისის უბანი
142. ზეთში შემწვარი კარტოფ.

პასუხები: 1. ყარაბას; 2. მასკანი; 3. მანდარინი; 4. მერია; 5. აფრიკა; 6. ანაბიოზი; 7. მამონტი; 8. მანავი; 9. ნაიარევი; 10. ზარები; 11. სმენა; 12. რენესანსი; 13. ალაზანი; 14. ფარა; 15. დარი; 16. სიო; 17. რინოპლასტიკა; 18. მულენ; 19. ნიგერია; 20. გენუა; 21. ფარდაგი; 22. ეზო; 23. არენა; 24. ალიგატორი; 25. გორგასალი; 26. დედინაცვალი; 27. ალმასი; 28. ბელმონდო; 29. იავნანამ; 30. ბინგო; 31. რადამესი; 32. „სიმდი“; 33. დორიან; 34. მარაო; 35. ანაპა; 36. გრიგალი; 37. ქარვა; 38. რაიკინი; 39. მსახიობი; 40. სორდი; 41. „ილიადა“; 42. როენა; 43. მარსი; 44. ხარი; 45. იპოდრომი; 46. მის; 47. მარტინიკა; 48. კაანი; 49. კარატე; 50. საველი; 51. სურავანდი; 52. უქიმერიონი; 53. ტასმანია; 54. ნოსტალგია; 55. მხოლობითი; 56. ნამი; 57. პიტ; 58. პანტა; 59. ანტონიო; 60. არია; 61. არაჩვეულებრივი; 62. მანია; 63. ოქრო; 64. კოლტი; 65. იაბო; 66. „სილვა“; 67. არნოლდ; 68. ბარაბა; 69. კორიდა; 70. ისარი; 71. სე; 72. ნოე; 73. იავა; 74. ამირან; 75. არწივი; 77. ტროლი; 78. პაბი; 79. ლაიამ; 80. სმოლენსკი; 81. დიონი; 82. პინგ; 83. კაილი; 84. ასტრახანი; 85. ირენ; 86. სანჩო; 87. დათვი; 88. პარადი; 89. ჰორაციო; 90. ელა; 91. იანი; 92. ნიქოზია; 93. დრო; 94. მორიკონე; 95. ატენი; 96. ენა; 97. აგნია; 98. კაროტინი; 99. მალხაზ; 100. ბონსაი; 101. ომარ; 102. გლენ; 103. რამაზანი; 104. კამბალა; 105. კვარი; 106. გოდორი; 107. ხის; 108. ბრილსკა; 109. კოკი; 110. აბანო; 111. „რომენი“; 112. მარილი; 113. ავი; 114. მაცი; 115. მანიანი; 116. სიცილია; 117. ტრაბახი; 118. ბაზიერი; 119. ნოსტე; 120. ნანა; 121. ზოო; 122. ვან; 123. რაი; 124. სენა; 125. ზაზა; 126. ბრინჯი; 127. პა; 128. სიამი; 129. პროფესორ; 130. სვავი; 131. ავა; 132. გოა; 133. მანგო; 134. ედელვაისი; 135. მე; 136. ოდრი; 137. მარტინა; 138. სია; 139. მალტა; 140. ბალტიმორი; 141. ელია; 142. ფრი. იკითხება: ბაბუაწვერა.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ბიზეს ოპერა
2. არქიპელაგი გიგანტ. კუებით
3. ვენესუელას დედაქალაქი
4. მსახიობი ... გიბსონი
5. დარბაისელი ქალი
6. წვიმისგან მოვარდნილი წყალი
7. ქიმიური ელემენტი
8. მოსამართლის მოსასხამი
9. მოჭადრაკე ქეთევან ...
10. მსახიობი ... სტრიპი
11. სახედარი
12. კულ-ტურის ძეგ-ლების უაზრო დაზია-ნება
13. მისი დედაქალაქია ბრიუსელი
14. ჩანჩქერი აშშ-ში
15. მინდვრის ყვავილი
16. დონ კიხოტის ცხენი
17. ანდაზა: ... ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო
18. ექიმი. შექმნა ზომბი (ფილმიდან)
19. მდინარე თერგის ხეობა
20. წრეების შემოსაზაზი ხელსაწყო
21. რეჟისორი ... რიჩი
22. მეზღვაურის დამხმარე ბიჭი
23. შინაური ცხოველი
26. მსახიობი ჟანრი ...
25. მწერალი იაკობ ...
26. ყანწის მასალა
27. ნამდვილის შეცვლა ყალბით
28. ცისარტყელას ფერი
29. ერთგვარი ლოტო
30. რადიოლოკატორი
31. ძაღლის ჯიში
32. პაპინიას ვაჟი
33. სახორცე ქათმის ჯიში
34. მწყემსის მოსასხამი
35. მუზეუმი ...-სოფია
36. კომპოზიტორი ნიკოლოზ ...
37. ნორვეგიის დედაქალაქი
38. გასეირნება ქალაქგარეთ
39. ძველი ფილმების ჩვენება
40. სრუტე პა-დე-...
41. მოჭიდავე ... ხაზელოვი
42. მსახ. ... თარხნიშვილი
43. სიო ზღვის პირას
44. საოპერო პარტია
45. კვირის დღე
46. გულის მთავარი სისხლძარღვი
47. ადგილი, სადაც ინდიელები ჰყავდათ თავმოყრილი
48. მსახიობი ... სპეისეკი
49. „ლვინის ქურდები“ კავსაძე
50. „მაუგლი“ დათვი
51. ... ღონიერია, თუ კაცი გონიერია
52. შენობის მუყაოს მოდელი
53. მოსევადების ტექნიკა
54. კომპოზიტორი ... კალმანი
55. სპორტის სახეობა
56. ლაზარეთი, ანუ ... საავადმყოფო
57. ... ბაბაჯანიანი
58. ბოსტნეული
59. წყლის შინაური ფრინველი
60. მოვლენა: ჩრდილოეთის ...
61. თევზის ჯიში
62. ტყავის ზოლი ფეხსაცმელზე
63. საძერწი მასალა ...-მაშე
64. თავაშვებული ლრეობა
65. „... და შვიდი ჯუჯა“
66. მაგნიტი
67. მწერი
68. ... და პანტაგრუელი
69. მორზეს ანბანის ნიშანი
70. ადამიანის წინაპარი
71. მეფის მხლებლები
72. ინდონეზიის კუნძული
73. კათიონი და ...
74. ცხენბურთი
75. მიწაში დაფლული სიმდიდრე
76. მწერლები ... და პეტროვი
77. მხატვარი ნელი ...
78. მსახიობი აიშვარია ...
79. ყაიმი
80. ცური
81. თემი ოზურგეთის რაიონში
82. ქართ. რევოლუციური ფილმი
83. მხ/ფ „იყო შაშვი ...“
84. ბუნების დაცვა
85. ოტელოს ეროვნება
86. მატონიზირებელი სასმელი
87. უქოჩრო თუთიყუში
88. პატარა გამხდარი ადამიანი
89. მსახიობი ... არტმანე
90. ... ნასრედინი
91. ზღვის კომბოსტო
92. რიცხვი ექვსი ნულით
93. ზღვაოსანი ჯეიმს ...
94. ქართ. ხალხური ზღაპარი
95. უანგარო შრომა
96. რეპტილია
97. „იმერული ესკიზები“ მათხოვარი
98. ... ძედუნი
99. კათოლიკური ეკლესიის მეთაური
100. თეატრალური მაკიაჟი
101. მსახიობი ... ქავთარაძე
102. ძვირფასი ლითონი
103. ვულკანური მასა
104. კომპოზიტორი ... როტა
105. მსახიობი ... მიდლერი
106. ყველაზე რბილი მინერალი
107. ქალაქი უკრაინაში
108. სტადიონი ერევანში
109. ქალაქი ქვემო ქართლში
110. „კაცი რომელიც იცინის“ გოგონა
111. ლომების ოჯახი
112. მისი დედაქალაქია ტოკიო
113. ხელის საგრილებელი
114. ძლიერნი ... სოფლისანი
115. „კავკ. ცარცის წრე“ მოსამართლე
116. მსახიობი ... ბლუმი
117. მხ/ფ „... შემოდგომისა“
118. ქალაქი რუსეთში
119. უფრთო ფრინველი
120. რომენ როლანი. „... ბრუნიონი“
121. მსახიობი ... დუროვი
122. პოეტი ... ახმადულინა
123. იუპიტერის თანამგზავრი
124. მომღერალი ლარისა ...
125. მდიდრული აგარაკი
126. რიცხვი 3,14
127. მარტოსული, ანუ ...
128. მიწის ფართობის ერთეული
129. პატარა არხი
130. საქმეში ჩადებული წილი
131. ბედი
132. პერსონა ...-გრატა
133. ჟამი
134. ძველი ხელნაწერი
135. „...? სად? როდის?“
136. ცისარტყელას ქალღმერთი
137. ... ფიტცჯერალდი
138. ძაღლის ნაშიერი
139. რკინის კანცლერი ოტო ფონ ...
140. პირის ნაცვალსახელი
141. ცხენზე დასაჯდომი
142. ბილიარდის ჯოხი

პასუხები: 1. „კარმენი“; 2. გალაპაგოსი; 3. კარაკასი; 4. ბანოვანი; 6. ნიაღვარი; 7. ვანადიუმი; 8. მანტია; 9. არახამია; 10. მერილ; 11. ვირი; 12. ვანდალიზმი; 13. ბელგია; 14. ნიაგარა; 15. გვირილა; 16. როსინანტი; 17. ძმა; 18. ფრანკენშტაინი; 19. დარიალი; 20. ფარგალი; 21. გაი; 22. იუნგა; 23. თხა; 26. ლოლაშვილი; 25. გოგებაშვილი; 26. რქა; 27. ფალსიფიკაცია; 28. იისფერი; 29. ბინგო; 30. რადარი; 31. დობერმან-პინჩერი; 32. აგული; 33. ბროილერი; 34. ნაბადი; 35. აია; 36. რიმსკი-კორსაკოვი; 37. ოსლო; 38. პიკნიკი; 39. რეტროსპექტივა; 40. კალე; 41. ლერი; 42. ვანიკო; 43. ბრიზი; 44. არია; 45. შაბათი; 46. აორტა; 47. გეტო; 48. სისი; 49. ელიზო; 50. ბალუ; 51. სოფელი; 52. მაკეტი; 53. ნიელო; 54. იმრე; 55. გოლფი; 56. საველე; 57. არნო; 58. ისპანახი; 59. ბატი; 60. ციალი; 61. ქარიყლაპია; 62. რანტი; 63. პაპიე; 64. ორგია; 65. ფიფქია; 66. ანდამატი; 67. კალია; 68. გარგანტუა; 69. ტირე; 70. ნეანდერტალელი; 71. ამალა; 72. იავა; 73. ანიონი; 74. პოლო; 75. განძი; 76. ილფი; 77. ოქროპირიძე; 78. რაი; 79. ფრე; 80. ჯიქანი; 81. ძიმითი; 82. „დარიკო“; 83. მგალობელი; 84. ეკოლოგია; 85. მავრი; 86. ყავა; 87. არა; 88. ჩია; 89. ვია; 90. მოლა; 91. ლამინარია; 92. მილიონი; 93. კუკი; 94. „ირმისა“; 95. ამაგი; 96. კუ; 97. ოლია; 98. მაო; 99. პაპი; 100. გრიმი; 101. გოგი; 102. ოქრო; 103. ლავა; 104. როტა; 105. ბეტ; 106. ტალკი; 107. ოდესა; 108. რაზდანი; 109. მარნეული; 110. დეა; 111. პრაიდი; 112. იაპონია; 113. მარაო; 114. ამა; 115. აზდაკი; 116. ორლანდო; 117. მზე; 118. რიაზანი; 119. კივი; 120. კოლა; 121. ლევ; 122. ბელა; 123. იო; 124. დოლინა; 125. ვილა; 126. პი; 127. ეული; 128. აკრი; 129. რუ; 130. პაი; 131. სვე; 132. ნონ; 133. დრო; 134. მანუსკრიპტი; 135. რა; 136. ირიდა; 137. ელა; 138. ლეკვი; 139. ბისმარკი; 140. ისინი; 141. უნაგირი; 142. კიი. იკითხება: მრავალძარღვა.

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ქალები დიდხანს ცოცხლობენ, მაგრამ მეტად ავადმყოფობენო



ყველასთვის ცნობილია, რომ ქალები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე კაცები, მაგრამ თურმე, მათი ცხოვრების ხარისხი რადიკალურად განსხვავდება.

ამაში კი მიჩიგანის უნივერსიტეტის მეცნიერები გვარწმუნებენ. მათი თქმით, სხვადასხვა დაავადებისგან ქალები უფრო მეტად იტანჯებიან და საკითხავია, ტანჯვის ფონზე რამდენად ულირთ ხანგრძლივი სიცოცხლე.

ქალებმა, რომლებიც დიდხანს ცოცხლობდნენ, მიუხედავად თავიანთი უპირატესობისა, ვერ შეძლეს ცხოვრების აქტიური რიტმის შენარჩუნება იმიტომ, რომ ჯანმრთელობა ხელს არ უწყობდათ.

კაცებს კი, ამ მხრივ, საქმე გაცილებით უკეთ აქვთ. მედიცინამ მათ ინფარქტისა და ინსულტის ფატალური შედეგებისგან თავი დაღწევის საშუალება მისცა. სამაგიეროდ, ქალების ტრადიციული ასაკობრივი დაავადებები, ისეთი, როგორიცაა ართრიტი, სახსრების დაავადება, ალცჰეიმერი და დეპრესია ისევ ძველ მაჩვენებელზეა და მას ქალები ჯერჯერობით ვერ ამარცხებენ.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## რამდენად ხშირად უნდა დავისვენოთ?



რა ინტერვალით უნდა დავისვენოთ, რომ შრომისუნარიანები და პროდუქტიულები ვიყოთ? ყოვლის მცოდნე და ყოვლის დამგეგმავმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ყოველ 2 თვეში ერთკვირიანი დასვენება გარდაუვალ აუცილებლობად უნდა დავიწესოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ათასგვარი დაავადების მსხვერპლი გავხდებით.

თუ მეცნიერების აღმოჩენილ პრინციპს მივყვებით, თავს ავარიდებთ ნერვულ დაძაბულობას, გადაღლასა და გადაწვას.

სპეციალისტები შეგვახსენებენ, რომ ნებისმიერი მიზეზით დიდი ხნის განმავლობაში შვებულებაზე უარის თქმას უძილობა, გაღიზიანება და გულის დაავადებები მოჰყვება.

ახლა თავად გადაწყვიტეთ, რად გიღირთ თავგადაკლული მუშაობა.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ლესბოსელი პატიმრები ციხეში ერთად წოლის უფლებას მოითხოვენ



მიშელ და სტეფანი ჰოპკინსებმა, უფლებადამცველებთან, ციხის ადმინისტრაცია, სადაც ისინი სასჯელს იხდიან, სასტიკ მოპყრობაში დაადანაშაულეს. მათი თქმით, ციხის თანამშრომლების სისასტიკე გამოიხატა იმაში, რომ ისინი ლესბოსელ წყვილებს ერთად დაძინების საშუალებას არ აძლევენ.

34 წლის მიშელისა და 33 წლის სტეფანი ჰოპკინსების თქმით, ისინი თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ, რადგან Bronzfield-ის ქალთა ციხის ადმინისტრაცია მათ ერთ კამერაში ყოფნის საშუალებას არ აძლევს. სისასტიკით „დაჩაგრული" ლესბოსელები, 18-თვიან სასჯელს ბავშვების მიმართ სასტიკი მოპყრობის გამო იხდიან. ისინი ბავშვებს მარტოს კეტავდნენ ოთახში. ეს კი რამდენიმე საათით, ხანაც მთელი დღე გრძელდებოდა. ბავშვებს ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ამ დროს პირდაპირ ოთახის იატაკზე უწევდათ. გარდა ამისა, ორივე მათგანმა ბავშვებს საყვარელი სათამაშოები დაუწვა. სასამართლომ ბავშვების მიმართ მსგავსი მოპყრობა სადისტურად მიიჩნია და საყვარლებს 1,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ადრე „ოჯახურ წყვილს" უფლებას აძლევდნენ, ერთ კამერაში ყოფილიყვნენ, მაგრამ ადმინისტრაცია მათგან მოითხოვდა, რომ მათ კამერაში სექსი არ უნდა ჰქონოდათ, თუმცა ადმინისტრაციამ მალე მათი განცალკევების გადაწყვეტილება მიიღო. მსჯავრდადებულები სასჯელს მეზობელ კამერებში იხდიან.

*plus.kvira.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ქალმა პაემნით 2 მილიონი დოლარი გამოიმუშავა



სამანტა დეფაზიო ლოს-ანჯელესში მცხოვრები, 32 წლის მარტოხელა დედაა. როგორ ფიქრობთ, როგორ უნდა გამოიმუშაოს ყველაზე მარტივად მარტოხელა ქალმა კომუნალურებისა და ბავშვის ძიძის ფული, გარდა იმისა, რომ დამლაგებლად ან ჭურჭლის მრეცხავად იმუშაოს?

სამანტას ფანტაზიები ზღვარს გასცდა და გაცნობის საიტზე დარეგისტრირდა. აღნიშნულ საიტზე ქალები დებენ ფოტოს და მომხმარებლებს შეუძლიათ საწყისი თანხის დასახელება იმისთვის, რომ მოწონებულ ქალთან ერთად ივახშმონ. თუ პირველად მითითებულ თანხას აუქციონი დახურავს, თანხის დამსახელებელ მამაკაცს შეუძლია, ქალს პაემანი დაუნიშნოს. რა თქმა უნდა, ხარჯებს კაცი უზრუნველყოფს.

ჰოდა, ერთ-ერთი მსგავსი შეხვედრის დროს სამანტამ თავის კავალერს ბიზნესგეგმა გაანდო, რომლის თანახმადაც ტაქსის კომპანია უნდა დააარსოს, მძღოლებად კი ლამაზი გოგონები აიყვანოს. კავალერსაც მოეწონა ლამაზი მძღოლების იდეა და პროექტში 2 მილიონი დოლარიც ჩადო.

ვინ თქვა, რომ ფული ძნელი საშოვნელია?

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ნიდერლანდებში პატიმრების უკმარისობის გამო, ციხეები იკეტება



ზოგს რა პრობლემა აწუხებს, გაგიჟდება კაცი. ვიღაცამ აურაცხელი პატიმარი სად წაიყვანოს არ იცის და ერთ კამერაში 12 კაცი ზის, ვიღაცამ კიდევ პატიმრები საიდან მოიყვანოს, ის არ იცის და ციხეს ხურავს.

აგერ ნიდერლანდებში თურმე, დანაშაულის რიცხვი 0.9 პროცენტამდე დავიდა და ნელ-ნელა ციხეებიც იხურება.

უახლესი მონაცემებით, ციხეებში კამერების რაოდენობის მესამედი ცარიელია და წინასწარმეტყველებენ, რომ „უარესადაც" იქნება.

რამ გააპატიოსნა ეს ხალხი ასე უსაშველოდ, რომ ციხის 1900 თანამშრომელს უმუშევრობა ემუქრება, უცნობია.

მართალია, სოციალური თვალსაზრისით უკეთესს რას ინატრებ კაცი, მაგრამ ციხის თანამშრომლებმა რა ქნან ამ პატიოსანი ხალხის გადამკიდე?

*anekdot-dnya.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## სილამაზის სალონი რუსეთში, სადაც სპეციალისტები მომხმარებლებს შიშვლები ემსახურებიან





ყაზანში სპეციალურად მამაკაცებისთვის სილამაზის სალონი გაიხსნა, რომელიც განსხვავებულია იმით, რომ აქ მომუშავე სტილისტები თუ მანიკიურის სპეციალისტები კლიენტებს თითქმის შიშვლები ემსახურებიან.

როგორც კი კლიენტი სავარძელში მოთავსდება, მისთვის პირდაპირ სალონში ერთგვარი შოუ იდგმება. კულისებიდან გამოდის თითქმის შიშველი ახალგაზრდა გოგონა, რომელიც ადგილზე მისულ მამაკაცს თმას ჭრის. კლიენტს უფლება აქვს, აირჩიოს კოსტიუმი და ამ კოსტიუმში გამოწყობილი გოგონაც მოემსახურება მას. მას შეუძლია ორი სტილისტის მომსახურებაც მოითხოვოს. ამ სალონში გოგონებს თმის შეჭრისა და დავარცხნის გარდა, მანიკიურისა და სარელაქსაციო მასაჟის გაკეთებაც შეუძლიათ.

„არ ღირს შიში და ღელვა იმაზე, თუ კლიენტი გოგონების დაკვირვება-დათვალიერებას დაიწყებს. თუმცა ისე არ უნდა ატრიალოს თავი, რომ მას გოგონებმა შეჭრისას რამე დაუზიანონ ან ცუდად შეჭრან. ყველა ჩვენი სტილისტი გამოცდილი პროფესიონალია", – აცხადებს ჟურნალისტთან საუბრისას სალონის მეპატრონე ოლია ხუსნუტდინოვა. აღსანიშნავია, რომ სალონში მხოლოდ 18 წელს ზემოთ ასაკის მქონე მამაკაცები დაიშვებიან.

*plus.kvira.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ბრიტანელმა ქალმა თითქმის 60 ათასი დოლარი დახარჯა, რომ თავის შვილს დამსგავსებოდა



დიდ ბრიტანეთში, ლანკაშირის საგრაფოში მცხოვრებმა 57 წლის ჯენეტ ჰოროკსმა 56 ათასი დოლარი დახარჯა იმისთვის, რომ ზუსტად ისე გამოიყურებოდეს, როგორც მისი 35 წლის შვილი, ჯეინ კანლიფი.

ჯენეტმა ორჯერ გაიდიდა მკერდი, გაიკეთა ცხვირის ოპერაცია, გადაიჭიმა კანი, არაერთხელ გაიკეთა ბოტოქსი, პერმანენტული მაკიაჟი, ჩაიტარა კოსმეტიკური პროცედურები, შეიღება თმა, წონაში დაიკლო და საკუთარი შვილის ორეული გახდა. დედის გაახალგაზრდავებით ჩაფიქრებული ჯეინი ამბობს, რომ ერთ მშვენიერ დღეს დედამისი მასზე ახალგაზრდა იქნება. თავად პლასტიკური ოპერაციების ეშინია და გაახალგაზრდავების მიზნით, ოპერაციებს ვერასოდეს გაიკეთებს.

დედა კი აცხადებს:

„ჯეინს ასეთი გარეგნობა ჩემგან ერგო და ვალდებული ვარ, არ ჩამოვრჩე"...

*lenta.ru*

## მომაკვდავმა მეცნიერმა უცხოპლანეტელების არსებობა აღიარა



ამერიკულ მასმედიაში გავრცელებული ცნობებით, ბოიდ ბუშმანმა, კორპორაცია Lockheed Martin-ის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, სიკვდილის წინ განაცხადა, რომ უცხოპლანეტელები არსებობენ და ისინი პერიოდულად დედამიწას სტუმრობენ.

ბუშმანის გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე, 33-წუთიანი ვიდეოჩანაწერი მომზადდა, რომელიც „იუთუბიზე" განთავსდა, მაგრამ ყურადღება მხოლოდ ახლა მიიქცია. აღნიშნულ ვიდეოში მეცნიერი უცხოპლანეტელების არსებობის შესახებ განცხადებას აკეთებს და ფოტომასალასაც წარმოადგენს. ბუშმანი ირწმუნება, რომ პირადადაც შეხვედრია და უკან წასვლის დროს სთხოვა, რომ მიწიერი ვიდეოკამერა წაეღოთ. როდესაც უცხოპლანეტელებმა კამერა უკან დაუბრუნეს, მასზე მხოლოდ გაფუჭებული კადრები იყო ასახული. თურმე, ისინი სამხედროებთან თანამშრომლობენ. ისეთი შემთხვევა, როგორიცაა 1947 წელს როზუელში საიდუმლო პროგრამა „მოგულის" მეტეზონდის კატასტროფა, უცხოპლანეტელთა ნახელავია.

ამერიკელის თქმით, უცხოპლანეტელებს 200 წელზე მეტი ხნით სიცოცხლე შეუძლიათ. ხერხემლის ნაცვლად სამი ხრტილი და ადამიანზე უფრო ნაკლები ნეკნები აქვთ. სამაგიეროდ, მათ აზრების კითხვა შეუძლიათ და ადამიანებს ტელეპატიურად ეკონტაქტებიან.

„ისინი ოთხ-ნახევარი ან ხუთი ფუტის სიმაღლის იყვნენ, ხელისა და ფეხის თითები ისეთივე აქვთ, როგორიც ადამიანებს. კონტაქტს ტელეპატიურად ამყარებენ, შედიხართ ოთახში, სადაც ერთ-ერთი მათგანია და უცებ, თქვენს კითხვაზე თქვენივე ხმით გესმით პასუხი", – განაცხადა ბუშმანმა.

მისივე თქმით, არსებობენ ცუდი და კარგი უცხოპლანეტელები.

*apocalypse.ge*



## ყველა ადამიანი აუტისტია?



ბრისტოლის უნივერსიტეტის, ბროუდის ინსტიტუტისა და მასაჩუსეტსის შტატის საავადმყოფოს მეცნიერებმა აუტიზმთან დაკავშირებულ გენეტიკურ მუტაციასა და ჯანმრთელ ადამიანებში სოციალიზაციის დარღვევის მსუბუქ ფორმას შორის კავშირი აღმოაჩინეს.

იმისთვის, რომ გენეტიკურ ფაქტორებსა და ადამიანების საერთო ქცევით მახასიათებლებს შორის ასოციაციური კავშირი ეპოვათ, მეცნიერები მოცემულობათა რამდენიმე კრებულს იყენებდნენ.

ეს მოცემულობები კი ბრიტანეთისა და საერთაშორისო კვლევის შედეგების საფუძველზე მიიღეს. მეცნიერები იკვლევდნენ მშობლებს და 1991-1992 წლებში გაჩენილ მათ შვილებს.

მას შემდეგ, რაც აუტიზმთან დაკავშირებული მუტაცია აღმოაჩინეს, ცდილობდნენ დაედგინათ, უკავშირდებოდა თუ არა მუტაცია სოციალიზაციის, მეტყველებისა და ქცევის ნორმების დარღვევას.

შედეგების თანახმად, გენეტიკური ფაქტორი ნამდვილად უკავშირდება ქცევის დარღვევას, ასევე, ჯანმრთელი ბავშვების ფსიქოლოგიურ განვითარებას. გარკვეული გენეტიკური რისკების ერთობლიობა, აუტისტური სპექტრის დარღვევის რისკს წარმოქმნის.

„ამ შედეგებით ჩვენ გენეტიკური ფაქტორების მოქმედების მექანიზმის შესწავლა შეგვიძლია. ახლა საშუალება გვაქვს გავიგოთ, გარკვეულ გენეტიკურ რისკებს როგორი დაავადება და სხვა ფენოტიპური გამოვლინებები უკავშირდება", – განაცხადა კვლევის ერთ-ერთმა ავტორმა, ელის რობინსონმა.

*lenta.ru*



## აზიასა და აფრიკაში ეპიდემიის გავრცელება ევროპის ბრალია?



ვიღაც-ვიღაცებს რომ ეგონათ, აზია და აფრიკა დიზენტერიისა და ათასგვარი ინფექციის ბუდე იყო, მეცნიერებმა აღმოაჩინეს და განაცხადეს, – სიცრუეში გვიცხოვრია, დიზენტერია პირველად ევროპაში ჩაისახა და შემდეგ თითქმის მთელ დუნიას მოედოო.

მეცნიერების საერთაშორისო ჯგუფმა 1915 წლიდან 2011 წლამდე დიზენტერიის 330 შტამი შეისწავლა და აღმოჩნდა, რომ პირველი შტამი ევროპაში, მინიმუმ მე-18 საუკუნიდან ჩნდება. დანარჩენ კონტინენტებზე კი ემიგრანტების, სამხედროებისა და კოლონიზატორების დამსახურებით გავრცელდა.

ინფექცია ყველაზე სწრაფად იმპერიალიზმის ეპოქაში, 1889-1903 წლებში განვითარდა. უკანასკნელად კი ევროპაში პირველი და მეორე მსოფლიო ომის დროს გვხვდება, რის შემდეგაც დაავადებამ დასავლეთი დატოვა, მაგრამ აზია-აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში არსებობას მე-20 ბოლომდე აგრძელებდა.

მეცნიერები ამბობენ, რომ ინფექციამ შეიძინა გენი, რომელიც ანტიბიოტიკების უმრავლესობას ანადგურებს. დღეს მიკრობების განადგურების უნარის მქონე პრეპარატების რაოდენობა 1 პროცენტზე ნაკლებია. ეს რიცხვი კი ახალი გლობალური ეპიდემიის საფრთხეს აძლიერებს.

*lenta.ru*



## ხილი, რომელიც რამდენიმე წუთში ანადგურებს კიბოს უჯრედებს



უკურნებელი სენით დაავადებულ ადამიანებს მეცნიერები განკურნებას ჰპირდებიან. მათ აღმოაჩინეს, რომ ერთ-ერთი ხილი, რომელიც ავსტრალიაში მოდის, ნივთიერებას შეიცავს, რომლებიც კიბოს უჯრედებს ანადგურებს.

კვლევის შედეგები ძალიან იმედისმომცემი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ექსპერიმენტი ცხოველებზე განხორციელდა, მეცნიერები დარწმუნებულები არიან, რომ ამ დაავადების დამარცხება უკვე შესაძლებელია. მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ „Blushwood"-ის სახელით ცნობილი ხილის თესლი EVS-46 შეიცავს, რომელიც კიბოს უჯრედებს მყისიერად ანადგურებს.

*plus.kvira.ge*



## ევროკავშირში ექიმების დიდი რაოდენობა ჰომოსექსუალიზმს დაავადებად მიიჩნევს



ევროკავშირის ქვეყნების ექიმების დიდი რაოდენობა მიიჩნევს, რომ ჰომოსექსუალობა – დაავადება, ხოლო ტრანსსექსუალიზმი მენტალური აშლილობაა. ამის შესახებ, ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტოს დირექტორმა, მაიკლ ო'ფლაჰერტიმ განაცხადა. მისი თქმით, ანგარიში, რომელიც სააგენტომ გამოაქვეყნა, მოიცავს იმ ქვეყნების ჩამონათვალს, სადაც ექიმების უმრავლესობა ჰომოსექსუალობას დაავადებად მიიჩნევს. ეს ქვეყნებია ესპანეთი, საბერძნეთი, დანია, იტალია, პოლონეთი, სლოვაკეთი, ლატვია, რუმინეთი, ბულგარეთი, უნგრეთი.

„ზოგიერთ ექიმს კვლავ არასწორად მიაჩნია, რომ ჰომოსექსუალობა დაავადებაა", – განაცხადა ო'ფლაჰერტიმ.

თუმცა, ზოგიერთ ამ ქვეყანაში, მათ შორის ესპანეთში, იტალიაში, დანიასა და უნგრეთში ექიმებს საკმარისი ცოდნა აქვთ „ლგბტ" პირების უფლებებისა და ბევრი მათგანი აცხადებს, რომ ისინი ისევე მკურნალობენ „ლგბტ" პირებს, როგორც სხვა ადამიანებს, ნათქვამია ანგარიშში.

სააგენტოს განცხადებით, კვლევა ევროკავშირის 19 ქვეყანაში ჩატარდა და თითოეულში მინიმუმ 1000 ექიმი და სამედიცინო ადმინისტრაციის წარმომადგენელი გამოკითხეს.

ევროპის საბჭოს 2010(5) რეკომენდაციის მიხედვით, წევრმა ქვეყნებმა ჰომოსექსუალობა დაავადებათა ჩამონათვალიდან უნდა ამოიღონ.

*euronews.ge*



## ახალი წამალი მკერდის კიბოს 11 დღეში ამარცხებს — პაციენტებს ქიმიოთერაპიის კურსის გავლა აღარ სჭირდებათ



მკერდის კიბოს ევროპულ კონფერენციაზე ბრიტანელმა ონკოლოგებმა კოლეგებს მათი მოულოდნელი აღმოჩენის შესახებ აცნობეს.

როგორც კონფერენციის მონაწილე მეცნიერებმა განაცხადეს, 257 პაციენტზე დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ ახალი წამალი მკერდის კიბოს 11 დღეში ამარცხებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ონკოლოგიურ პაციენტებს ქიმიოთერაპიის კურსის გავლა აღარ სჭირდებათ.

კლინიკური ცდების ჩატარების დაწყებამდე ექიმები ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ ასეთ შედეგს მიაღწევდნენ.

წამლები, რომელთა დახმარებითაც მედიკოსებმა ასეთ შედეგს მიაღწიეს ლაპატინიბი და ტრასტუზუმაბია.

ორკვირიანი კურსის შედეგად პაციენტების 11 პროცენტს სიმსივნური წარმონაქმნი საერთოდ გაუქრა, ხოლო 17 პროცენტს 5 მმ-მდე შუმცირდა.

მიუხედავად ასეთი დრამატული შედეგისა, მკურნალობის კურსი ჯერ კიდევ ინტენსიურ კვლევას საჭიროებს.

*goodnews.on.ge*



## რა უნდა იცოდეთ საკვებით მოწამვლისა და ალკოჰოლური ინტოქსიკაციის დროს



უვარგისი საკვებით მოწამვლის შემთხვევაში და ალკოჰოლური ინტოქსიკაციის დროს ავადმყოფს, უპირველესად, კუჭი და ნაწლავები უნდა ამოვურეცხოთ, მერე კი, ექიმის მითითებით, საჭირო მედიკამენტები მისცეთ.

კუჭის ამორეცხვისას მოწამლული მარჯვენა გვერდზე დააწვინეთ, 5-6 ჭიქა თბილი წყალი დაალევინეთ და შეეცადეთ, ამოაღებინოს. ეს პროცედურა მანამდე გაიმეოროს, სანამ კუჭის უვარგისი შიგთავსი მთლიანად არ ამოვა, ამას კი ამოღებული წყლის გამჭვირვალობით გაიგებთ.

ალკოჰოლური ინტოქსიკაციის დროს, ამორეცხვა სასურველია, თუმცა აუცილებელი არ არის, მით უმეტეს მაშინ, როცა ალკოჰოლის მიღებიდან უკვე 3-4 საათია გასული.

*postalioni.com*

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. თბილისის უბანი
2. ბოსტნეული
3. პოლიციელის მეტსახელი ინგლისში
4. საბურავის ზედაპირი
5. გამზირი
6. რეჟისორი რობიკო ...
7. პოეტი მიხეილ ...
8. მსახიობი ვახტანგ ...
9. მსახიობი ... მიდლერი
10. კენიის დედაქალაქი
11. კავშირებითი სიტყვა
12. ჩანთოსანი ცხოველი
13. ალექსანდრე ჭავჭავაძის მამული
14. ფილოსოფოსი ფრიდრიხ ...
15. მსახიობი ... ბესინჯერი
16. ქართ. გლეხის ფეხსაცმელი
17. პალმის ნაყოფი
18. მსახიობი ჯორჯ ...
19. სანტა კლაუსის მშობლ. მხარე
20. იუპიტერის თანამგზავრი
21. მიმიკის უქონლობა
22. თოვლზე სასრიალო დაფა
23. მომლოცველი
24. მიმდინარეობა იტალიურ კინოში
25. ციტრუსი
26. ვულკანი სიცილიაზე
27. სულხან-საბა ...
28. ანტიბიოტიკი
29. გამაგრილებელი სასმელი
30. სახელმწიფო ევროპაში
31. კვერცხის თეთრი შიგთავსი
32. ინდიელების ვარცხნილობა
33. სამონასტრო ცენტრი ტაოში
34. მხ/ფ „ნათლია“ დონ ვიტო ...
35. ჩაღრმავებაში დამდგარი წყალი
36. მდინარე გერმანიაში
37. მანათობელი მწერი
38. ფრედი მერკურის ანსამბლი
39. მსახიობი ... კახიანი
40. იაზონის გემი
41. იტალიური ღვეზელი
42. მსახიობი ... ბერიმორი
43. მხ/ფ „ქალაქი ...“
44. მტაცებელი ფრინველი
45. მსახიობი სოფი ...
46. ფუტკრების სახლი
47. მდინარე ინდოეთში
48. მწერალი ჟორჟი ...
49. ნიშნავს ცივს
50. მომღერალი ბობ ...
51. თივის დიდი გროვა
52. მხ/ფ „... ბროკოვიჩი“
53. ზურგის ტვინის ნერვთა ფესვების ანთება
54. პოეტი ... წერეთელი
55. მუსიკალური ტერმინი
56. ნადირობის ქალღმერთი
57. ხელის გულზე მკითხაობა
58. მშენებლის იარაღი
59. მდინარე ინდოეთში
60. ხელით ლამაზად ნაკერი
61. მზესუმზირა
62. სოფელი ახმეტის რაიონში
63. შემოდგომის თვე
64. სააქციო ფურცელი
65. ქალაქი გერმანიაში
66. დიდი შალი
67. წვრილობითი თხოვნა
68. მხატვარი ალბრეხტ ...
69. მსახ. ... ვარდალოსი
70. ვულკანი ჰავაიზე
71. თბილისის უბანი
72. მსახიობი ... ტაილერი
73. ქალაქი გერმანიაში
74. ურუგვაის დედაქალაქი
75. მეფის ქალიშვილი
76. სახელმწიფო აფრიკაში
77. კავშირებითი სიტყვა
78. მწერალი ჭაბუა ...
79. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
80. მსახ. მაქს ... სიუდოვი
81. ბარდი ალექსანდრე ...
82. სიმძიმე საჰაერო ბურთზე
83. სითხის გადასადენი ჭურჭელი
84. რობინზონ კრუზოს მეგობარი
85. პოეტი ... ცვეტაევა
86. სახელმწ. სამხ. ამერიკაში
87. კარგად მოარული ცხენი
88. ნიშნავს მეათედს
89. კუნძული ხმელთაშ. ზღვაში
90. არბიტრი
91. ლექსის რითმის ფორმა
92. მამლის ბიბილო
93. მდ. სანკტ-პეტერბურგში
94. ჭრიჭინას ბებია
95. კომპოზიტორი ... ვერდი
96. მან აალორძინა ოლიმპ. თამაშები
97. ფადეევი. „ახალგაზრდა ...“
98. ერთყურიანი სათვალე
99. მსახიობი ... რაიანი
100. მსახიობი ... პარიიო
101. მდიდრული აგარაკი
102. ნაბოკოვის რომანი
103. ზედსართავი სახელი
104. კომპოზიტორი სულხან ...
105. რეჟისორი ალფონსო ...
106. „კავკ. ცარცის წრე“ მოსამართლე
107. სალბუნი
108. სინთეზური ქსოვილი
109. დოსტოევსკის რომანი
110. ნიჟი
111. მსახიობი მარლონ ...
112. ჟურნალისტის დასწრების უფლება
113. ქალაქი საფრანგეთში
114. მხ/ფ „... მეზურნეები“
115. მოქიდავე ... მეკოკიშვილი
116. პოეტი ... გრანელი
117. ბრედ პიტი ფილმში
118. ქალაქი პოლონეთში
119. მოდელი ... კროუფორდი
120. რეჟისორი ... კუსტურიცა
121. მსახ. ... გოძიაშვილი
122. კომპოზიტორი ... გაბუნია
123. მევიოლინე ... ისაკაძე
124. დაბადების მოწმობა
125. ქართ. ანბანის ბოლო ასო
126. „... ჭკუისაგან“
127. ანტილოპას სახეობა
128. რუსი ილუზიონისტი
129. განთიადი
130. მთები ...-შანი
131. პატარა ტანის ძაღლი
132. მოგზაური ფრიტიოფ ...
133. ბგერის გრაფიკ. გამოსახულება
134. ბანდის მეთაური
135. სურდო
136. იანის საპირისპირო
137. სამაგიდო თამაში
138. ვენეციური ნავი
139. შინაური ფრინველი

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. კომპოზიტორი მელიტონ ...
2. კოსტიუმირებული წვეულება
3. ქვაბი, რომელიც წყალი ორთქლის საშუალებით ცხელდება
4. დაბალი ხარისხის კონიაკი
5. შუშხუნა წამალი
6. მსახიობი გოიკო ...
7. სახელმწიფო აფრიკაში
8. დაკეპილი ხორცის კვერი
9. რუმინეთის დედაქალაქი
10. საკერავი მანქანის დეტალი
11. ჩოგბურთელი ... სამპრასი
12. ქალაქი სამხ. რუსეთში
13. თვითნასწავლი მხატვრობა
14. ვულკანის ყელი
15. თვალის თეთრი გარსი
16. ებრაული სალოცავი
17. მსახიობი ... პიტი
18. ძალიან ტკბილი ნივთიერება
19. წყლის საღებავები
20. ქალაქი ესპანეთში
21. იოჰან ... ბახი
22. ქართ. ეპოსის გმირი
23. მწერალი ... მოემი
24. მსახიობების შერჩევა
25. მხატვარი დიეგო ...
26. მომღერალი ... ლანცა
27. თეთრი რეპერი
28. შვილიშვილი, ანუ ...
29. სოფელი ახმეტის რაიონში
30. ფრანგ მეფეთა სასახლე
31. პოეტი მურმან ...
32. ამოთხრილი ადგილი
33. სისხლნაკლებობა
34. კონტინენტი
35. მთის გამოძახილი
36. ... მარაბდელი
37. მოგზაური ფრიტიოფ ...
38. შტატი აშშ-ში
39. მსახიობი ... ხაფავა
40. მთის ბროლის ნაკეთობათა ფირმა
41. იმრე კალმანის ჟანრი
42. მწერალი ... დუმბაძე
43. „... ვოდევილები“
44. მსახიობი დენიელ ...-ლუისი
45. უბედურების სიგნალი
46. ნივთიერება. მაცივარ აგენტი სამაცივრო მანქანებში
47. გამომწვარი თიხის ნაკეთობა
48. ალპური ყვავილი
49. მწერალი გიორგი (გოგლა) ...
50. ნიშნავს ცივს
51. მწერალი ... ტოლსტოი
52. წამლის ჩასაწვეთებელი მილაკი
53. ბილიარდის ჯოხი
54. რეჟისორი გიორგი ...
55. ფრანგი მომღერალი ქალი
56. გერმანული ავტომობილი
57. კბილის დამცავი ფენა
58. ბოსტნეული
59. მსახიობი ... გარსია
60. ნიანგის სახეობა
61. მედეა ჩახავა და ეროსი მანჯგალაძე სპექტაკლში
62. მეტყველების ექიმი
63. „მე, ბებია, ილიკო და ...“
64. ირანში: ... ჰომეინი
65. ჩუქჩების სახლი
66. ზამბახი
67. ხელოვნური ენა
68. მსახიობი ... ტაილერი
69. სამაგიდო თამაში
70. ავტოფარეხი
71. საომარი ნადავლი
72. შოტლანდიური გვარის ნაწილაკი
73. მსახიობი ... დურბინი
74. მთის წვეტი
75. ... ხაჩატურიანი
76. ხემიანი საკრავი
77. ჟურნალისტი ... ლაზაშვილი
78. ზღვაოსანი ფერნანდო ...
79. ჯუფჯა სამეფო სახ-...
80. ქალაქი ქვემო ქართლში
81. მსახიობი ... მახარაძე
82. მეხსიერების დაკარგვა
83. ... ტიუსოს ცვილის ფიგურების მუზეუმი
84. უსინათლოთა ანბანი
85. ფარაონის სამარხი
86. ალ. ტოლსტოი. „... გარინის ჰიპერბოლოიდი“
87. დიდი ვაჭარი, ანუ ...
88. იაპონური თეატრი
89. მსახიობი ... კალკინი
90. უდაბნო პერუში
91. ისტორიული შუამდინარეთი
92. ნაცია
93. კონტინენტი
94. ბოსფორი და ...
95. ვაჟიშვილი
96. ნასესხები ფული
97. მ/ფ „ქრისტეს ...“
98. ყინვაგამძლე სითხე
99. ბალახი
100. ქალაქი ბრაზილიაში
101. მულტიპლიკატორი უოლტ ...
102. ჟელატინიანი ტკბილეული
103. ჯუჯა კუნძული სახელმწ. წყ.ოკეან.
104. მტაცებელი ფრინველის ნარნარი ფრენა
105. მზის ამოსვლა
106. ღვიძლის ძეხვი
107. საზეიმო წვეულება
108. კომპოზიტორი ... რაველი
109. მსახიობი ... ოლივიე
110. ბურუსი
111. აბელის ძმა
112. მაგიდის მოძრავი ნაწილი
113. ტაძრის მოცეკვავე ქალი ინდოეთში
114. ქალაქი ფლორიდაზე
115. დაბალფასიანი
116. ზრდადაუსრულებელი ქათამი
117. საკანცელარიო ნივთი
118. ციებცხელება
119. მაღალი კვალიფიკაციის ხელოსანი
120. ესტონეთის დედაქალაქი
121. რეჟისორი ... სკოტი
122. აღორძინების ეპოქა
123. აბლაბუდა, ანუ ...
124. ერთნახადი არაყი
125. საოპერო პარტია
126. მდინარე პარიზში
127. „შენ ... ვენახი“
128. თევზის წვნიანი
129. შილაფლავის სანელებელი
130. მომღერალი ... რიდი
131. ბალახით დაფარული, უტყეო სივრცე მშრალი ჰავის ზონაში
132. სამიანი ნარდში
133. მსახიობი ... სმიტი
134. მსახიობი ... ჟირარდო
135. მიმართვა ქალისადმი აშშ-ში
136. ბეკარი, ბემოლი, ...
137. მცენარე. ისხამს ყურძენს
138. ... ულენშპიგელი
139. მ/ფ „... ვოლოდიევსკი“
140. სოფელი მცხეთის რაიონში
141. „მაუგლი“ პითონი
142. გოგოლის მოთხრობა
143. სწრაფი მოტორიანი ნავი
144. ელვის ... პრესლი

პასუხები: 1. ბალანჩივაძე; 2. მასკარადი; 3. ბოილერი; 4. ბრენდი; 5. ასპირინი; 6. მიტიჩი; 7. ლესოტო; 8. კოტლეტი; 9. ბუქარესტი; 10. მაქო; 11. პიტ; 12. კრასნოდარი; 13. ნაივი; 14. კრატერი; 15. სკლერა; 16. სინაგოგა; 17. ბრედ; 18. ქსილიტი; 19. აკვარელი; 20. ვალიადოლიდი; 21. სებასტიან; 22. ამირანი; 23. სომერსეტ; 24. კასტინგი; 25. ველასკესი; 26. მარიო; 27. ემინემი; 28. ზადიში; 29. ალვანი; 30. ვერსალი; 31. ლებანიძე; 32. ორმო; 33. ანემია; 34. ევროპა; 35. ექო; 36. არსენა; 37. ნანსენი; 38. ალაბამა; 39. ბერტა; 40. „სვაროვსკი“; 41. ოპერეტა; 42. ნოდარ; 43. ძველი; 44. დეი; 45. სოს; 46. ფრეონი; 47. კერამიკა; 48. ედელვაისი; 49. ლეონიძე; 50. კრიო; 51. ლევ; 52. პიპეტი; 53. კიი; 54. ლიფონავა; 55. დალიდა; 56. „ოპელი“; 57. ემალი; 58. მჟაუნა; 59. ენდი; 60. კაიმანი; 61. „პეპო“; 62. ლოგოპედი; 63. ილარიონი; 64. აიათოლა; 65. იარანგი; 66. ირისი; 67. იდო; 68. ლივ; 69. ლოტო; 70. გარაჟი; 71. ალაფი; 72. მაკ; 73. დინა; 74. პიკი; 75. არამ; 76. ვიოლინო; 77. ნათია; 78. მაგელანი; 79. მარინო; 80. მარნეული; 81. კოტე; 82. ამნეზია; 83. მადამ; 84. ბრაილი; 85. პირამიდა; 86. ინჟინერ; 87. სოვდაგარი; 88. ნო; 89. მაკოლეი; 90. ნასკა; 91. მესოპოტამია; 92. ერი; 93. აფრიკა; 94. დარდანელი; 95. ძე; 96. ვალი; 97. ვნებანი; 98. ანტიფრიზი; 99. იონჯა; 100. რიო-დე-ჟანეირო; 101. დისნეი; 102. ზეფირი; 103. ნაურუ; 104. ირაო; 105. აისი; 106. ლივერი; 107. რაუტი; 108. მორის; 109. ლოურენს; 110. ნისლი; 111. კაენი; 112. უჯრა; 113. ბაიადერი; 114. მაიამი; 115. იაფი; 116. ვარია; 117. რვეული; 118. მალარია; 119. ოსტატი; 120. ტალინი; 121. რიდლი; 122. რენესანსი; 123. ქსელი; 124. რახი; 125. არია; 126. სენა; 127. ხარ; 128. უხა; 129. ძირა; 130. დინ; 131. სტეპი; 132. სე; 133. უილ; 134. ანი; 135. მემ; 136. დიეზი; 137. ვაზი; 138. ტილ; 139. პან; 140. მუხრანი; 141. კაა; 142. „ვიი“; 143. გლისერი; 144. აარონ. იკითხება: ასკილი.



ფსიქიატრი პაციენტს ესაუბრება:

– აბა, მომიყევით, რატომ დაგემართათ დეპრესია?

– რატომ და ჩემმა ყოფილმა ცოლმა ჩემი ცოლი გაიცნო, დაუმეგობრდა და ჩემი მომავალი საცოლე სცემეს... ყველაზე საწყენი კი ის იყო, რომ სხვა კაცისთვის იჩხუბეს.

*****

– ჭიჭიკია, წამოდი, არაყი ვიყიდოთ და წვენში გავურიოთ.

– რის წვენში უნდა გავურიოთ?

– რის და კუჭის წვენში, როგორ ვერ მიხვდი?

*****



სექსის მერე მიხო კედლისკენ რომ არ გადატრიალებულიყო, მაყვალამ ჭკუა ისწავლა და კედელზე დედამისის სურათი გააკრა.

*****

– ექიმო, ამ ბოლო დროს რატომღაც ყველა იგნორირებას მიკეთებს.

– შემდეგი-მეთქი, შემდეგი შემოვიდეს!..

*****

ორი პოლიტიკოსი ერთმანეთს ეტრაბახება:

– მე იმდენი ფული მაქვს, რომ ამ ქალაქს მთლიანად ვიყიდი.

– ვერ იყიდი.

– რატომ ვერ ვიყიდი?

– იმიტომ, რომ მე არ მოგყიდი.

*****



– ბავშვობიდან გემის კაპიტნობაზე ვოცნებობდი.

– რატომ არ გამოხვედი?

– გულმავიწყი ვარ და შემეშინდა, რამე ისე არ მომსვლოდა და გემის კურსი არ შემეცვალა.

– ახლა სად მუშაობ?

– ახლა ქირურგი ვარ, მაგრამ გულმავიწყობას ვერ გადავეჩვიე... ხან ხელთათმანი მრჩება, ხან მაკრატელი.

*მოამზადა დავით ახობაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## პომადა და საპონი გულის დაავადებებს იწვევს?



ცნობილი ფაქტია, რომ მედიკოსები კოსმეტიკურ საშუალებებს დიდად არ სწყალობენ და ამბობენ, რომ მათი მოხმარების გამო ქრონიკული ალერგიისა და სხვა უსიამოვნებების გაჩენის საკმაოდ მაღალი რისკები არსებობს. რაც შეეხება უახლეს ინფორმაციას, ცნობილი ხდება, რომ კოსმეტიკურ საშუალებებს ადამიანისთვის გაცილებით სერიოზული პრობლემების გაჩენა შესძლებია.

ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ანტიბაქტერიული ნივთიერება ტრიკლოზონი, რომელიც კოსმეტიკისა და საყოფაცხოვრებო ქიმიის კომპონენტია, გულის დაავადებების პროვოცირებას ახდენს.

კალიფორნიის უნივერსიტეტის მკვლევარები აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში მსხვილი კომპანიები, რომლებიც თავიანთი პროდუქციის უსაფრთხოებაზე ზრუნავენ, ნელ-ნელა უარს ამბობენ აღნიშნული ნივთიერების გამოყენებაზე. ერთი კია, სამწუხაროდ, ანალოგიური ნაბიჯი ძალიან ბევრ მწარმოებელს დღემდე არ გადაუდგამს.

ტრიკლოზანის აქტიური გამოყენება გრძელდება სარეცხ და საწმენდ საშუალებებში. მავნე ნივთიერება, ასევე, შედის კოსმეტიკასა და პირადი ჰიგიენის საშუალებებში – პომადაში, წარბებისა და წამწამების ჩრდილებში, დეზოდორანტებში, ანტიბაქტერიულ საპონში, კბილის პასტაში და ასე შემდეგ. უფრო მეტიც, ტრიკლოზანი, სამწუხაროდ, სათამაშოების წარმოებაშიც კი გამოიყენება.

როგორც კვლევებმა აჩვენა, ტრიკლოზანი კუნთების შეკუმშვას უშლის ხელს. ნივთიერებასთან კონტაქტის შემდეგ გულის მუშაობა 25 პროცენტით ნელდება, რასაც, ცხადია, სერიოზული პრობლემების გამოწვევა შეუძლია.

გარდა ამისა, ტრიკლოზანი იწვევს ფარისებრ ჯირკვალთან დაკავშირებულ პრობლემებს, უნაყოფობას, ვნებს ემბრიონის თავის ტვინს და ასე შემდეგ.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## ვაჟკაცობა ნაადრევი სიკვდილის მიზეზად დასახელდა




თურმე ვაჟკაცი ადამიანები უფრო ადრე კვდებიან და ამას ფრიად საინტერესო მიზეზი აქვს.

როგორც რატგერსკის უნივერსიტეტის ფსიქოლოგების კვლევამ აჩვენა, ვაჟკაცი ადამიანები ავადმყოფობას ყურადღებას არ აქცევენ და ექიმთან მისვლა სისუსტედ მიაჩნიათ. ყველა სიკეთესთან ერთად, თუ გარისკეს და ექიმთან მივიდნენ, მამრობითი სქესის მედიკოსებს ირჩევენ იმიტომ, რომ უფრო კომპეტენტურები ჰგონიათ.

თუმცაღა თუ ქალ ექიმს მიაკითხეს, უფრო იხსნებიან და თავიანთ ჩივილებზე გულწრფელად ლაპარაკობენ. ამასაც თავისი ახსნა აქვს – ქალებთან სისუსტეებზე საუბარი სტატუსის დაკარგვის განცდას არ უჩენთ.

ფსიქოლოგებმა 250 ისეთი ადამიანი გამოკითხეს, რომელიც თავს ვაჟკაცად მიიჩნევდა და 200-ზე მეტი ისეთი, ვისაც ამ სტატუსზე პრეტენზია არ ჰქონდა. აღმოჩნდა, რომ ვაჟკაცობასა და დამოუკიდებლობაზე პრეტენზიის მქონე ადამიანები, ექიმებს უფრო იშვიათად აკითხავდნენ და დაავადებებსაც თავისუფლად განვითარების საშუალებას აძლევდნენ, რაც საბოლოოდ მათი სიცოცხლის დღეების შემცირებას იწვევს.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## გაწმენდილი სასმელი წყალი ადამიანს სასარგებლო ბაქტერიების გარეშე ტოვებსო



ცნობილი ფაქტია, რომ მხოლოდ სუნთქვის პროცესი დღე-ღამეში ადამიანის სხეულიდან ერთ ჭიქა წყალს დევნის.

ჩვეულებრივი წყლის სასმელ წყლად გადაქცევა მას არა მხოლოდ მავნე, არამედ სასარგებლო ბაქტერიების გარეშე ტოვებს. ამასთანავე, როგორც ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, შესაძლებელია ზოგიერთი მავნე მიკროორგანიზმის სასარგებლოდ გადაქცევა.

წყლის გაწმენდა, რათა ის სასმელად გამოსადეგი იყოს, მილიონობით ბაქტერიას კლავს, თუმცა ყველა საშიში ნივთიერების განადგურება შეუძლებელია. სამაგიეროდ, იხოცებიან მიკროორგანიზმები, რომლებსაც დიდი სარგებლის მოტანა შეუძლიათ.

მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორი ლაგგარდ რასკინი დარწმუნებულია, რომ მცდელობები, წყალში შემავალი ყველა ბაქტერია ქლორითა და სხვა სადეზინფექციო საშუალებით განადგურდეს, უაზრობაა.

ტოტალური გაწმენდის მეთოდი იმ ფაქტის იგნორირებას ახდენს, რომ წყალი სასარგებლო მიკროორგანიზმებსაც შეიცავს, მათ შორის ისეთებსაც, რომელთა სასარგებლოდ გადაქცევა შეიძლება. მაგალითად, ნიტრატები, რომლებიც წყალს აბინძურებენ, შესაძლებელია, რომ უვნებელ აზოტად გადაიქცეს.

*firstnews.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ფალსიფიცირებულ თაფლს იოდით გამოააშკარავებთ



ბაზარში თაფლის დახლთან კლიენტი მივიდა. ერთხელ ჩაყო ქილაში თითი, დააგემოვნა, მეორე, მესამედ, მეოთხედ, მეხუთედ... რომ აღარ გაჩერდა, გამყიდველს მოთმინებამ უმტყუნა და უსაყვედურა. კლიენტი განაწყენდა: „რა იყო, შე კაცო, ფუტკრის განავლის ჭამას მიკრძალავო?“. „ფუტკრის რომაა, იმიტომ გიკრძალავ, თორემ ჩემი რამდენიც გინდა, იმდენი ჭამეო“, – მიუგო გამყიდველმა...

ბევრმა არ იცის, რომ თაფლი ფუტკრის „განავალი“ სულაც არ არის, რადგან ამ სასარგებლო მწერს თაფლისთვის ცალკე ადგილი აქვს ორგანიზმში, საკვების ჭამისთვის და გადამუშავებისთვის კი – ცალკე.

მოკლედ, მართლა ძალიან გემრიელია თაფლი და კიდევ უფრო დასაფასებელია მისი სამკურნალო თვისებები. ამდენად ძალიან ხშირია შემთხვევები, როცა ბევრი პროდუქტის ფალსიფიცირებას მიმართავს.

სპეციალისტები გვაფრთხილებენ, რომ ფალსიფიცირებული თაფლის შეძენით არა მხოლოდ ფულს გადავყრით წყალში, არამედ ჯანმრთელობასაც რისკის ქვეშ დავაყენებთ.

ჰოდა, იმისთვის, რათა ამ უსიამოვნებებს გადაურჩეთ, ექსპერტების რეკომენდაციაა, წყალში გაზავებულ თაფლში ერთი წვეთი იოდი ჩაასხათ. თუკი ქიმიური რეაქციის შედეგად სითხეს მოცისფრო ლაქები გაუჩნდა, ესე იგი პროდუქტი ფალსიფიცირებულია.

*medkarta.com*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## აირჩიეთ — ან მწვადი ან სიგარეტი ან...



დიახაც, სწორედ ასეთი არჩევანის წინაშე აყენებენ სპეციალისტები მწეველებს, რომლებმაც ან მავნე ჩვევაზე უნდა თქვან უარი, ან კიდევ ტყეში ცეცხლის დანთებაზე და მწვადების აშიშხინებაზე.

ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ შეშისგან წამოსული კვამლი ოთხჯერ ზრდის ფილტვების ქრონიკული დაავადებების რისკს, როცა მას მწეველი ადამიანი შეისუნთქავს. აღნიშნულის მიზეზად ექსპერტები იმ ფაქტს ასახელებენ, რომ ამ დროს მწეველის დეენემის ანომალიური ცვლილებები იწყება.

ცნობილია, რომ ბრიტანელმა მეცნიერებმა 1800 ადამიანი გამოკითხეს, რომელთა ნაწილს სიგარეტი დიდი ხნის წინ ჰქონდა გადაგდებული, ნაწილი კი კვლავ აქტიური მწეველების რიგებს მიეკუთვნებოდა. გამოკითხვის მთავარი მიზანი ჯანმრთელობაზე შეშის კვამლის გავლენის დადგენა იყო.

მიღებული მონაცემების გაანალიზების შემდეგ ნისლიან ალბიონზე დაადგინეს, რომ მწვადის მოყვარულ მწეველებში სერიოზული ცვლილებები ჰქონდა განცდილი 8 გენს, რომლებიც ფილტვის კიბოს განვითარებაზე არიან პასუხისმგებელნი.

მოკლედ, აირჩიეთ – ან მწვადი, ან სიგარეტი ან კიდევ ფილტვის კიბო!..

*med2.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## აშშ-ს ბიბლიოთეკაში წიგნი 49 წლის შემდეგ დააბრუნეს




ჯეიმს ფილიპსმა ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ წიგნი დეიტონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან 1967 წელს წაიღო, როცა ის ჯერ კიდევ პირველ კურსზე იყო.

ჯეიმსმა დაბრუნებულ წიგნთან ერთად წერილიც დატოვა, სადაც ბოდიშს იხდიდა და მიზეზს წერდა, რატომ მიითვისა ბიბლიოთეკის ქონება მთელი 49 წლით.

ფილიპსმა არ იფიქროთ, რომ მოვიპარე ან გავაჩუქეო, კი მინდოდა დაბრუნება, მაგრამ სადღაც გამებნა და ამდენი წელი ვერაფრით ვიპოვეო. ბოლოს ისევ სახლში აღმოვაჩინე და აი, მოვიტანე კიდეცო.

ყოველ დაგვიანებულ დღეზე ლაშქრობებით დაინტერესებულ ჯეიმსს ჯარიმა ეწერებოდა, რამაც საბოლოოდ, დაახლოებით, 354 დოლარი შეადგინა, მაგრამ პატიოსან სტუდენტს ჯარიმა აპატიეს.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## თითის ანაბეჭდით ადამიანის სქესისა და სიმაღლის დადგენა შეიძლება?



ავსტრალიელმა მეცნიერმა პირველმა მიაქცია ყურადღება აშკარა კავშირს ადამიანის სქესსა და სიმაღლეს საკუთარი თითების ანაბეჭდებთან.

საინტერესო კვლევა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლო ანთროპოლოგმა დენიელ ფრანკლინმა ჩაატარა დასავლეთ ავსტრალიის უნივერსიტეტიდან.

ერთი შეხედვით, ამის შესახებ ყველამ უნდა იცოდეს: მაღალ ადამიანებს უფრო გრძელი კიდურები აქვთ, მათ შორის, ხელისგულებიც. თუმცა დენიელ ფრანკლინამდე დღემდე არავის უცდია, ერთმანეთთან დაეკავშირებინა თითების ანაბეჭდების ზომები და პროპორციები სიმაღლესთან. როგორც აღმოჩნდა, სრულიად ტყუილად.

მეცნიერმა 91 მამაკაცისა და 100 ქალის მონაცემები შეისწავლა და მიღებული შედეგები მათ ანაბეჭდებს შეადარა. დადგინდა, რომ ანაბეჭდების პროპორციებს პირდაპირი კავშირი აქვს ადამიანის სიმაღლესთან, ისეთი, რომელიც საშუალებას იძლევა, სიმაღლე უზუსტესად განისაზღვროს. გარდა ამისა, საკმაოდ მჭიდროა კავშირი სქესთან მიმართებაშიც.

კვლევის ავტორის თქმით, თითების ანაბეჭდები „დრამატულად დაუფასებელია“. უბრალოდ, გასაკვირია, რომ აქამდე არავინ მიაქცია ყურადღება ასეთ კავშირს. თანაც იმ დროს, როცა ანთროპოლოგიაში უკვე დიდიხანია, რაც გამოიყენება მეთოდიკა, რომელიც საშუალებას იძლევა, მტევნის ძვლის მიხედვით საკმაოდ ზუსტად განისაზღვროს უძველესი ადამიანების სიმაღლე, სქესი და სხეულის აგებულება.

აღსანიშნავია, რომ გაცილებით ძვირად ღირებული დეენემის ანალიზები ადამიანის გარეგნობაზე ასეთ ზუსტ პასუხებს ვერ იძლევა.

*compulenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მუშაობა რომ არ დაეწყო, ავსტრიელმა... ფეხი მოიხერხა



ახლა თქვენ გვითხარით, უნდა გავიცინოთ ამ ამბავზე თუ ცრემლები წამოგვივიდეს? პრინციპში, ტირილი და დამწუხრება არ გვინდა, თუმცა მთლად ხარხარიც უხერხული გამოდის.

როგორც ირკვევა, უმუშევარმა ავსტრიელმა ფეხი მოიხერხა, სავარაუდოდ, იმის გამო, რომ არ სურდა, შრომისუნარიანად ეღიარებინათ.

პოლიციის ინფორმაციით, 56 წლის მამაკაცმა ელექტროხერხით მოიჭრა ფეხი, რის შემდეგაც მოჭრილი კიდური ღუმელში შეაგდო – ალბათ, თავი დაიზღვია, უკან არ მიმაკერონო.

შავი საქმის მერე მამაკაცმა სასწრაფო დახმარება გამოიძახა.

როცა ადგილზე ექიმები მივიდნენ, მამაკაცი გონზე იყო, თუმცა, ბუნებრივია, ძალიან ბევრი სისხლი ჰქონდა დაკარგული.

სასწრაფო დახმარების ბრიგადამ კლინიკაში დაზარალებულის მოჭრილი ფეხიც გაიყოლა, თუმცა ის უკვე იმდენად იყო დაზიანებული, კიდურის აღდგენა ველარ მოხერხდა.

იქაური მედია აღნიშნავს, რომ მამაკაცმა შოკისმომგვრელი ნაბიჯი იქამდე გადადგა, სანამ სპეციალურ, შრომითი ინსპექციის სამედიცინო კომისიაზე მივიდოდა, სადაც მისი შრომისუნარიანობის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო.

*hotgo.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ამერიკაში შექმნილი სპეციალური ქვედაბოლო პატარძლებს საპირფარეშოში შესვლას გაუმარტივებს



რამდენად მნიშვნელოვანია ხოლმე ქალისთვის ქორწილი, ყველამ ვიცით. მაგრამ, როცა საქმე ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ეხება, ყველა ოცნება ქრება, ყველა სიხარული უფერულდება და პატარძალს ერთადერთი სურვილი რჩება – რაც შეიძლება სწრაფად მიაღწიოს საპირფარეშომდე. ხოლო საპირფარეშოში საპატარძლო კაბა რამდენად კომფორტული და მოსახერხებელია, თავადაც იცით.

პატარძლებისთვის ქორწილის განმავლობაში უწყვეტი ბედნიერების მინიჭების მიზნით ჰიზერ სტინლეიქმა კაბის შიგნით ჩასაცმელი ქვედა ბოლო შექმნა. ქვედა ბოლო გამჭვირვალეა და გვერდებზე ხელებისთვის ჭრილი აქვს დატანებული. პატარძალს



შეუძლია ამ ქვედა ბოლოთი მთელი კაბა წამოიწიოს და დაიმაგროს.

ჰიზერი ამბობს, რომ იდეა 2002 წელს მოუვიდა, როცა საპატარძლო კაბების მაღაზიაში მუშაობდა. თურმე, პატარძლები ყველაზე იდეალურ კაბასაც წუნს სდებდნენ იმიტომ, რომ საპირფარეშოში არაკომფორტული იყო. ჰიზერიც ადგა და პატარძლებს ეს ერთადერთი გართულებაც მოუხსნა.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## 86 წლის პენსიონერმა გიმნასტიკური კონკურსები დაიპყრო



ქალი ქალია და თუ გაცხარდა, ის ამბებს დაატრიალებს, დედა შვილს ვერ აიყვანს ხელში.

თურმე, 86 წლის გერმანელი პენსიონერი იოჰანა კაასი გიმნასტიკური კონკურსების ნამდვილ ვარსკვლავად გადაიქცა. იქაური მედიის ინფორმაციით, იოჰანა კაასს სპორტის ამ სახეობაში 56-წლიანი გამოცდილება აქვს, თუმცა დიდი ხანია, რაც შეჯიბრებებში აღარ გამოჩენილა.

ალბათ, მობეზრდა უქმად ჯდომა და „უქმად ხტომა“ ამიტომ გადაწყვიტა – ცოტა გულს გადავაყოლებო. მისი და ყველას გასაკვირად, 86 წლის მოხუცმა არნახულ წარმატებას მიაღწია და უკვე 11 მედალი მოიპოვა.

რაც მთავარია, იოჰანა კაასი მიღწეულზე შეჩერებას არ აპირებს და გინესის რეკორდების წიგნის რეალური პრეტენდენტიცაა, როგორც ყველაზე ხანდაზმული და წარმატებული „სპორტსფრაუ“.

*gazeta.ua*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო



## მეცნიერებმა მოიფიქრეს, როგორ დაუბრუნონ სითეთრე ძველ ქაღალდებს

დროთა განმავლობაში ქაღალდის გაყვითლება ბუნებრივი პროცესია, რაც, შეიძლება ითქვას, მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობას უდიდეს ზიანს აყენებს. იტალიელი ფიზიკოსების მიერ სულ ახლახან ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, როგორ უნდა მოიქცნენ სპეციალისტები, რომ თავიდან აიცილონ ძალიან მნიშვნელოვანი ნაწარმოებების დედნების დაზიანება.

საერთოდ, მეცნიერები უკვე დიდი ხანია, მიხვდნენ, რომ ქაღალდის გაყვითლებას ცელულოზას დაჟანგვა იწვევს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ცელულოზა ხელით დამზადებული უძველესი ქაღალდის ძირითადი კომპონენტია, რომლის ჟანგვაც ქრომოფორების გაჩენას იწვევს, ჯგუფების, რომელიც სხვადასხვა ნივთიერების ფერს განსაზღვრავს.

ტორ ვერგატას უნივერსიტეტის მკვლევარებმა ახალი და ძველი ქაღალდისგან არეკლილი სინათლის ტალღების სიგრძე დაადგინეს. ამის შემდეგ გამოსხივების მაჩვენებლები ერთმანეთს შეადარეს და დაადგინეს, რომ ქაღალდი ქრომოფორების ალდეჰიდების გაჩენის გამო ყვითლდება. მოკლედ, კვლევის დანარჩენი ნაწილი ძალიან რთული სამეცნიერო ტერმინების ბრახაბრუხია. დასკვნა კი ის შეგვიძლია გამოვიტანოთ, რომ იტალიელი მეცნიერების მიგნების წყალობით, არათუ ძველი ქაღალდები აღარ გაყვითლდება, უკვე გაყვითლებული ქაღალდებისთვის სითეთრის დაბრუნებაც მოხერხდება.

*vesti.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## კაფე-ბარი „გულის შეტევა“ სასოწარკვეთილებს სპეციალურ კერძს სთავაზობს

მართლაც, ძალიან უჩვეულო სახელწოდების მქონე კაფე-ბარის მდებარეობა: აშშ, არიზონას შტატი. სასოწარკვეთილი სტუმრებისთვის მომზადებული სპეციალური კერძის ზუსტი დასახელება: უცნობია, თუმცა მის კომპონენტებზე კი ახლავე მოგახსენებთ:

„გულის შეტევის“ საფირმო კერძი ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ბუტერბროდია, თუმცა მისი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ის გახლავთ, რომ 8 ათასი კილოკალორიითაა სავსე. კერძოდ, ბურგერი მომზადებულია დაახლოებით 1 კილოგრამი საქონლის ხორცისგან, ყველის სამი და ბეკონის ოთხი უსქელესი ფენისგან, სალათის ფოთლებისგან და პომიდვრისგან.

– იმისთვის, რათა ჩვენმა სტუმარმა ასეთი ბუტერბროდი შეჭამოს, აუცილებლად სასოწარკვეთილი უნდა იყოს, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, დეპრესიაში მყოფი ადამიანი ძალიან ბევრს ჭამს და ამით ნერვებს იმშვიდებს, – განმარტავენ „გულის შეტევის“ ადმინისტრაციაში.

როგორი სულელური სახელიც აქვს ამ კაფე-ბარს, სერვისიც ისეთივე ჰქონიათ, თუმცა იმასაც ამბობენ, „გულის შეტევა“ სტუმრების მიღება-გასტუმრებას ვერ აუდისო.

*mainfun.ru*



– მე პომიდორი ვარ და მზის სითბო მიყვარს.

– მე ქლიავი ვარ და ძალიან გემრიელი ვარ.

– მე დიმიტრი ვარ და ჯერ არ მომიწევია.

*****

სადარბაზოსთან მთვრალი ანზორა დგას და მეზობელს ეკითხება:

– შენა და ანზორა სად ცხოვრობს?

– კაცო, ანზორა შენ არ ხარ?

– არა, ანზორა რომ ვარ, ის ვიცი, მაგრამ სად ვცხოვრობ, ის დამავიწყდა.

*****



– რას ფიქრობ, ახალგაზრდავ, მოიყვან ჩემს გოგოს ცოლად?

– არც დავფიქრდები.

– და ოჯახის რჩენას შეძლებ?

– რა თქმა უნდა?!

– კარგად დაფიქრდი, ჩვენ ოჯახში შვიდნი ვართ.

*****

ექიმი პაციენტს ესაუბრება:

– მე თქვენთვის ორი ამბავი მაქვს – კარგი და ცუდი, რომლით დავიწყო?

– კარგით დაიწყე, ექიმო.

– ნუ, ამ ავადმყოფობას აუცილებლად თქვენს სახელს დაარქმევენ.

*****

– ჭიჭიკია, რა არი ახალი შენკენ?

– ეჰ, ცოლი მღალატობს.

– კაცო, ვერ გაიგე – ახალი რა არის-მეთქი?

*****



– მურთაზია, როგორია შენი ძაღლი, ჭკვიანია?

– კი, აბა, რა? რასაც ვუბრძანებ, ყველაფერს ასრულებს. შენი როგორია?

– ჩემი შტერია, რო ვეტყვი წადი, ჩუსტები მომიტანე-მეთქი, გარბის სამზარეულოში და ხინკლის მოხვევას იწყებს.

***მომზადა დავით ახობაძემ***
***დავით ახობაძის ნახატი***

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ღამის ცხოვრების სიყვარული ტვინს ანადგურებს



ახალგაზრდების არცთუ მცირე ნაწილი ღამის ცხოვრების ტრფიალია და გართობასა და დროს ტარებას ისე ეძლევა, არც კი ფიქრობს, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მათ არჩევანს. გარდა ამისა, არსებობს არაერთი პროფესია, რომლის გამოც ღამის თენება, უბრალოდ, იძულებითი ნაბიჯია.

იმისთვის, რათა მედიკოსებს ღამის ცხოვრებისგან ადამიანის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის მასშტაბები დაედგინათ, შემდეგი ექსპერიმენტი ჩაატარეს: რამდენიმე ათეული მოხალისიდან გარკვეული ნაწილი დროს ღამის კლუბებში ატარებდა, დანარჩენები კი, პროფესიიდან გამომდინარე, ღამის საათებში მუშაობდნენ.

ჰოდა, დადგინდა, რომ ორივე კატეგორიის შემთხვევაში თავის ტვინის მუშაობის რიტმი და შესაძლებლობები მნიშვნელოვნად იყო დარღვეული. კერძოდ, ტესტის შევსებისას „ღამურებმა" გაცილებით უარესი შედეგი აჩვენეს, ვიდრე ადამიანებმა, რომლებიც ღამეს, ჩვეულებრივ, გამოძინებისთვის იყენებენ.

– ღამის გათენება პირდაპირ ვნებს ტვინის ფუნქციებს. განსაკუთრებით მძიმე შედეგების მომტანია მუდმივი ღამის თევები, რასაც შესაძლოა, ქრონიკული დაავადებების განვითარებაც კი მოჰყვეს, – განმარტავენ კვლევის ავტორები.

*goroskop.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ზედმეტსახელები კახეთში

წითელქუდა თამაზა, ვალეტი ლევანა, ზმეიკა ზურო... – აქამდე უცნობი კახური მეტსახელები




კახურ მეტსახელებზე ბევრჯერ დაიწერა და ბევრჯერაც ვიცინეთ, მაგრამ ამჯერად კიდევ უფრო საინტერესო, „შინაარსიან" და სასაცილო მეტსახელებს გადავეყარეთ „ფეისბუკზე":

„თონე შოთა" – დიდი ჭიპი აქვს.

„წითელქუდა თამაზა" – ბებიამისი მგელმა შეჭამა.



„რადიო მიშა" – გარეთ არ გამოდის და სულ სახლიდან გპასუხობს.

„ვალეტი ლევანა" – წელსქვემოთ მოჭრილი აქვს ფეხები.

„არსენა მზია" – მარტო მდიდარ კაცებს აძლევს.

„მედალა გია" – წინიდან სხვანაირია, უკნიდან სულ სხვანაირი.



„ზმეიკა ზურო" – გულის ოპერაცია გაიკეთა და მკერდზე გრძლად ემჩნევა ნაკერები.

„რიკულები" – ძმები არიან, ორივეს ხის ფეხი აქვთ და გვერდიგვერდ რომ დგებიან, რიკულები გამოდის.

„ფუკა გელა" – მეზობელმა ცოლი წაართვა.



„პატიოსანი ნათია" – სამი და ჰყავს და სამივე ბოზია.

„ბერმუდა ლექსო" – რომ თვრება იკარგება და ვერსად ვერ პოულობენ.

„წმინდა გიორგა" – თავისი სიდედრი მოკლა ფიწლით.

„მეკვლე ლელა" – კარგი ფეხები აქვს.

„პიდარასტი ვიქტორა" – მის ცოლს სახეზე დიდი წვერი აქვს.

*მასალა ამოკრიბა და დახატა დავით ახობაძემ*

გაზეთი „ყოველკვირეული ალია"
სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!
დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:
577 435 553
რედაქტორი მანანა გიორგაძე

განცხადება
შევისყიდი ძველებურ ნივთებს: ხმლებს, ხანჯლებს, ნახშირის სამოვრებს, მედლებს, ორდენებს, ვერცხლეულს, ძველებურ დამუშავებულ ქარვის, მარჯნისა და ფირუზის მძივებს. რუსულ მეფისდროინდელ მონეტებსა და ქაღალდის ფულს 1898 წლამდე, რუსულ წიგნებს 1940 წლამდე სამხედრო, ისტორიულ, კავკასიურ თემატიკებს. ლენინგრადისა და გერმანულ ფაიფურის ფიგურებს, ძველებურ რკინის მასიურ ქანდაკებებს. ძველებურ ავტორიან ნახატებს, ძველებურ ოქროსა და ვერცხლის სამკაულს, ბინაზე მომსახურებით.
555 125 770; 596 777 773

## ინდოელი მამაკაცის თირკმლებიდან 17 ათასი კენჭი ამოიღეს



თირკმლებში აღმოჩენილი კენჭები რომ ძვირფასი ქვების რიცხვს მიეკუთვნებოდეს, არ აშენდებოდა დანრაჯ ვადილი? აშენდებოდა და მერე როგორ, რადგან ამ 45 წლის ინდუსს ექიმებმა თირკმლებიდან 17 ათას 200 კენჭი ამოაცალეს.

ინდური მედიის ინფორმაციით, დიდი ხნის მანძილზე დანრაჯ ვადილის ცხოვრება ჯოჯოხეთად იყო ქცეული. გარდა იმისა, რომ მას ტკივილებისგან სული ჰქონდა გამწარებული, მუდმივად შეუძლოდ ყოფნის გამო იძულებული გახდა, სამსახურიდანაც გამოქცეულიყო. საბოლოო ჯამში, ექიმებმა პაციენტს დიაგნოზი დაუსვეს და ოპერაციაც წარმატებით ჩატარდა.

საინტერესოა, რომ, ამ მხრივ, წინა რეკორდიც ინდოეთში იყო დამყარებული. კერძოდ, რამდენიმე წლის წინათ ქირურგებმა კიდევ ერთ პაციენტს თირკმლებიდან 14 ათას 98 კენჭი ამოაცალეს.

*gazeta.ua*

## ღვინო მამაკაცებზე დიეტასავით მოქმედებსო



გადასარევი ინფორმაციაა, რას იტყვით, ძვირფასო მამაკაცებო?

სხვათა შორის, სიახლე ლამის მთელმა ამერიკულმა მედიამ აიტაცა, დაწყებული ტელევიზორებით და დამთავრებული ბეჭდური მედიით.

კონტინენტსგალმელების მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მართალია, წითელი ღვინო ზედმეტი წონის დაგდებაზე გავლენას ვერ ახდენს, მაგრამ სამაგიეროდ, ამცირებს სისხლში შაქრის დონეს, ეხმარება წნევის დარეგულირებას და ღვიძლში ცხიმების რაოდენობასაც ამცირებს. გარდა ამისა, ალკოჰოლურ სასმელში შემავალი ნივთიერებები ორგანიზმზე თავიანთი ზემოქმედებით, სპეციალისტებს დაბალკალორიულ დიეტას აგონებენ.

ექსპერიმენტების 30 დღის მანძილზე 11 ჭარბწონიანი მოხალისე საკვებ დანამატს იღებდა, რომელიც 99-პროცენტიანი სიხშირის 150 მილიგრამ ტრანს-რესვერატროლს შეიცავდა.

სპეციალისტები ცდილობდნენ, დაედგინათ, რამდენ ენერგიას ხარჯავდნენ მოხალისეები, რა რაოდენობით ცხიმი ილექებოდა და იწვებოდა ორგანიზმის მიერ.

შედეგების გაანალიზებით აღმოჩნდა, რომ რესვერატროლი აუმჯობესებს მეტაბოლიზმს და ასევე, სისხლსა და წნევას.

*novonews.lv*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



– ჭიჭიკია, რა არის, ცოლი მოიყვანე და გვიმალავ?

– არა, კაცო, რა ცოლი, კატამ დამჩხაპნა.

*****

– დიეტაზე დავჯექი, ეს კი ჩემი დესერტის კოვზია.

– ასეთი დიდი რატომაა?

– იმიტომ, რომ დესერტი ძალიან მიყვარს.

*****



– ვაა, რა კარგი საფრთხობელა გქონია, მიხო, ბოსტანში.

– ჩუმად, ჩემი სიდედრია, არ გაგიგოს.

*****

– გუშინ ხუთი ლიტრი ლუდი დავლიე.

– მარტომ?

– არა ნახევარ კილო სოსისთან ერთად... აბა, ლუდს ისე ხომ არ დავლევდი?

*****

– თენგიზ, შენ ტელეფონი გაქვს?

– კი, მაქვს.

– მუშაობს?

– არა, სახლში ზის.

*****

– გუშინ ოთხი მკვდარი ბუზი ვიპოვე, – ყვება კოტე სკოლაში, – ორი მამრი და ორიც – მდედრი.

მასწავლებელმა მოსწავლეს შეხედა და ჰკითხა:

– და სქესი როგორ გაარკვიე?

– ძალიან მარტივად – ორი ლუდის კათხაზე იყო მიკრული, ორიც – სარკეზე!

*მოამზადა დავით ახობაძემ*

*დავით ახობაძის ნახატი*

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, D-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

გაზეთი „ყოველკვირეული ალია"
გამოდის ორშაბათობით
გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: მანანა გიორგაძე
(577-43 55 53) 2212180 პირადი (☎106)
საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ყოველკვირეულ ალიაში" გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

ISSN 2346-8424
UDC (UAK) 070.4 (479.22) Q-754
რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა) ☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: qronika@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 1.42